

119 /
1982/3

ISSN 0182-590 X



新亞



12

1982



გნათობა



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-საბჭოთაო
და საზოგადოებრივი-პოლიტიკური ჟურნალი

წილი 58-ე

№ 12

დეკემბერი, 1982 წ.

შინაარსი

სსრა — 60

| | |
|---|----|
| ბრი და მისი კულტურა | 3 |
| ტიმინან ტახიძე — ალექსანდრე პუშკინი. ლექსი. | 10 |
| პარლზ იაშვილი — ოვანეს თუმანიანი. ლექსი | 12 |
| გიორგი ლომიძე — ნიკოლოზ ტიხონოვი. ლექსი | 13 |
| სიმონ ჩიქოვანი — საში ხმა. ლექსი | 15 |
| ილია ჩუკვა — დავაჟი. ნარკვევა | 16 |

კრთხა, კოუზჩიკ

1783 — გიორგიმედიანი ტაძრები — 1983

| | |
|--|-----|
| ანუკ სალუვაძე — ჟინი ფიცისა, კინორეზანი. გაგრძელება | 34 |
| ზუია ჩხიანი — ლექსები. | 86 |
| ავთანდილ ვალდავაძე — ვინაშე თქვა თუშთა დავაძე... მოთხრობა. | 89 |
| ვახტანგ ჯავახიძე — ლექსები. | 99 |
| ლალი გრემავაძე — დაუმთავრებელი მეთხრობა. მოთხრობა. | 104 |
| ალექსანდრე პუშკინი — ღლაპარი მითის გავლანი ასულია და ზვიდი დევპირისა. პოემა თარგმნი აჩჩილ სუღაქაძემ | 110 |

ჩვენი მივლინებით

| | |
|---|-----|
| დავით ასპურაძე — რეპორაჟი საკრინიზო მანისტრალიდან. ნარკვევა | 117 |
|---|-----|

კრიტიკა და კუმლიმენტისკა

| | |
|---|-----|
| ბუზა ვახანიძე — „ტრეზლით ნაქოვი“ სივოცხლის სივარული. | 125 |
| ვახტანგ ავაშვილი — ი. ვახვაშვილი — სწავლული იტრისტი და სამართლის თიორეტიკოსი | 133 |
| გიორგი ნოღია — დავაჟისტოთ ზომიერთი ცნება | 141 |

(იხ. შორე გვერდი)

შეცნიერება

| | |
|--|-----|
| კატარინ ვივიანი — თარგმანის ოსტატობა | 153 |
| ზალვა ხიდაშელი — ქართული ზედა საუბრების კულტურის მსოფლმადვე- ლობრივი საფუძვლივი აკადემიკოსის თვალსაზრისით | 156 |

გამოსკომეობარი

| | |
|---|-----|
| სარგის ცაიშვილი, არჩილ სულაბაური — მცხერი მთაც ბადამიკარი | 171 |
| მერხალ „მნათობის“ 1982 წლის ნომერიშის შინაარსი | 172 |

□

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

ს ა რ ე დ ა ქ ტ ო რ კ ო ლ ე ბ ი ა :

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერუ-
ლავა, ო. გიგინეიშვილი, ა. გომეიშვილი, კ. კალაძე, მ. ლიბანიძე,
ლ. მრეღაშვილი, ზ. ნატროშვილი, ო. პაპიკრიბა (პ/მგ. მდივანი), ნ. წუ-
ლდინსკირი, ვ. წულუკიძე, ო. შილაძე, ზ. ხარბანული, რ. ჯაფარიძე,
ბ. ჯიბლაძე.



ერი და მისი კულტურა

17471

წალს საბავრთა ხალხი სსრ კავშირის შემენის 60 წლის-
თანს აღნიშნავს. ისტორიას არ ახსოვს ასეთი გოგონა, რომ
გრაველი ხალხი ნებაყოფლობით გააკეთებდა მათთვის ერთად
ცხოვრებისათვის თანასწორუფლებიანობისა და თვითმყოფ-
ფადი კულტურების და ენების შენარჩუნების პირობებში.

არ არის იმის აუცილებლობა, რომ ჩამოვთვალოთ ჩვენ
ხალხების უველა მიღწევა ამ ერთიანობის ბაზაზე —
ეს მიღწევაში დიდი, გრავალმხრივი და კარგად იცის მთელმა
მსოფლიომ. მათთვისაა ვაჭარი წაკრული კულტურის საკით-
ხის შექვევა. გვაკითხვინან: რა კრინციკები უღივს სა-
შეგვლად საბავრთ სოციალისტურ კულტურას? რიგობს ეს-
მით ჩვენში შემოგვადების თვისუფლებზე? ხომ არ კარგა-
ვენ საბავრთა კავშირში მსოვრები ხალხები თავიანთ ენას,
თავიანთი კულტურის ეროვნულ სავიფიას?

ჩვენ ვთხოვთ სსრ ცენტრალური კომიტეტის კოლეტივი-
რის წევრობის ანდრიასს, საქართველოს კომპარტიის ცენ-
ტრალური კომიტეტის პირველ მდივანს და უკარგ შექვეა.
დნაქმს მასებსა ზომიერით ამ კითხვაზე.

— საყოველთაო აღიარებით, თბილისი ამ ბოლო ხანს სულ უფრო
და უფრო იმკვიდრებს ერთ-ერთი მსხვილი საერთაშორისო კულტურული
ცენტრის სახელს და დიდებას. პუბლიცისტები, ჟურნალისტები, კრიტიკო-
სები აღნიშნავენ ქართული ლიტერატურის, არქიტექტურის, თეატრის, მხა-
ტვრობისა და მონუმენტური ხელოვნების ჭეშმარიტ აღმავლობას, წერენ
ქართული კინოს ფენომენზე, რომელიც მარტო საბჭოთა კავშირში როდი
შენიშნეს: „ქართული ფილმის“ სტუდიაში გადაღებულმა კინოსურათებმა
ათობით საერთაშორისო პრიზი დაიმსახურა. სად უნდა ვეძიოთ მხატვრუ-
ლი შემოქმედების ასეთი აყვავების მიზეზები?

— ქართული სულიერი კულტურა შორეულ წარსულში იღებს სათა-
ვეს. ქართული ენა ერთ-ერთი უძველესი ცოცხალი ენაა ჩვენს პლანეტაზე-
ქვეყანაში, რომელმაც შოთა რუსთაველის გენია მოუვლინა მსოფლიოს,
პოეტური სიტყვის ამადლებული ნიმუშები შექმნა, მხატვრულ ლიტერა-
ტურას უმდიდრესი ტრადიციები აქვს. ქართულ ხალხურ თეატრს, ხუროთ-
მოძღვრებას, ხალხურ გამოყენებითს ხელოვნებას, ქართულ სიმღერებსა
და ცეკვებს. რომლებშიც ასახულია სიყვარულის, სიღამაზის, სიკეთისა და
მშვიდობის იდეალები, მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. ჩვენმა წინაპ-
რებმა შეძლეს არა მარტო შეექმნათ, არამედ შეენარჩუნებინათ კიდევ თა-
ვისთავადი, მრავალი თვალსაზრისით უნიკალური ეროვნული კულტურა.
მათ ეს კულტურა ომების ქარცეცხლსა და მტრების შემოსევაში გამოა-
ტარეს და ცოცხალი ხიდი გადეს წარსულსა და აწმყოს შორის, საუკუნე-
თა სიღრმესა და თანამედროვეობას შორის. ასე რომ, ჩვენს დღეებში მო-
მუდავე კულტურის ოსტატებს მკვიდრი დასაყრდენი აქვთ.

დღესაც შეგვიძლია ვილაპარაკოთ თვალსაჩინო და თვითმყოფ ხელო-
ვანთა მთელ პლეადაზე, რომელთა შემოქმედება, ხალხის ცხოვრების ნია-
ლში რომ გაუდგამს ფესვები და სოციალისმის ნოყიერ ნიადაგზე აღმო-
ცნებულა, ბარაქიან ნაყოფს იძლევა. ესენი არიან მწერლები ირაკლი აბა-
შვილი, მარტოხიძე, სპ. სპ. სპ.

შიძე და გრიგოლ აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე, ჭაბუა ამირეჯიბი და თორნიკე ჭილაძე, კინორეჟისორები რეზო ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე, ელდარ შენგველია, ოთარ იოსელიანი და ლანა ლოლობერიძე. ეს არის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის შემოქმედი კოლექტივი, წარმატებით რომ გამოდიოდა მოსკოვსა და კიევიში, ბაქოსა და ერევანში, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ — ინგლისსა და საფრანგეთში, იტალიასა და საბერძნეთში. იუგოსლავიაში, მექსიკასა და სხვა ქვეყნებში. ესენი არიან ჩვენი მოქანდაკენი, არქიტექტორები, მხატვრები და ქალაქთმშენებლები, სული რომ შთაბერეს და გააცოცხლეს ძველი თბილისის ის მშვენიერი უბნები, რომლებმაც თავის დროზე მოხიბლეს პუშკინი და გრიბოედოვი და რომლებიც ააფერადა ფიროსმანის ყალამმა. კიდევ ათობით სახელის ჩამოთვლა შემძლო.

მაგრამ წარსულზე ვილაპარაკებ თუ დღევანდელ დღეზე. კულტურის განვითარებას, ჩემი აზრით, ვერ მონყვევთ ცხოვრების ეკონომიკურ, სოციალურ თუ პოლიტიკურ კონტექსტს.

60 წლისთავზე სსრ კავშირისა, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო საქართველო, — იგი 1922 წელს ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციაში შედიოდა, ჩვენ, ისევე როგორც დანარჩენი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, ვაჯამებთ განვლილი გზის შედეგებს და კმაყოფილებით აღვნიშნავეთ სერიოზულ წარმატებებს. ნებისმიერ სფეროში — ეკონომიკითა და მეცნიერებით დაწყებული და პოეზიით დამთავრებული. და გამოუკლებლივ ყველა ეს წარმატება უმჭიდროესად არის დაკავშირებული საბჭოთა ერებისა და ეროვნებების სახელმწიფო გაერთიანების პროგრესულ და ეფექტიან ფორმასთან.

ჩვენ დღენიადაც და სულ უფრო მეტად ვზრუნავთ იმისათვის, რომ სოციალურ-ეკონომიკურად და კულტურულად დაჩქარებით განვავითაროთ ჩვენი ავტონომიური ფორმირებანი — აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. რომლის შექმნის 60 წლისთავიც უკვე საზეიმოდ აღვნიშნავთ.

ჩვენ ვამაყობთ ქართული ინდუსტრიის მიღწევით. და ეს სავსებით გასაგებია. სამოცი წლის წინათ, საქართველოს უდიდესი სამრეწველო საწარმო იყო... რკინიგზის სახელოსნოები! დღეს რესპუბლიკა აწარმოებს თვითმფრინავებსა და მაგისტრალურ ელმავლებს, მძლავრ სატვირთო ავტომობილებს და სამთო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. მეტალურგიული და ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციას. მაგრამ აი რა მინდა საგანგებოდ აღვნიშნო. როცა ახალგაზრდა ქალაქი რუსთავი — ქართული მეტალურგიის ცენტრი იქმნებოდა, ჩემ თანამემამულეთა მხარდამხარ იღვწოდნენ ურალელი და უკრაინელი მეტალურგები. მოსკოველი ავტომობილმშენებლები გვეხმარებოდნენ ქუთაისის ავტოქარხნის აგებაში. ენგურჰესის მშენებლობაზე, იქ მაღალ მთებში, თავი მოიყარეს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა სპეციალისტებმა. თავის მხრივ, ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებიც მონაწილეობენ ბამის მშენებლობაზე, მუშაობენ ტიუმენის ნავთობსარეწებში, ადამიანის სამსახურში ჩაყენებულ უკიდევანო ყაზახურ ყამირზე.

ხალხთა მეგობრობამ. მანამდე არნახულმა ადამიანთა ერთობამ პრაქტიკულად უდიდესი როლი შეასრულა იმაში, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკა ხუთწლედან ხუთწლედამდე აჩქარებს ეკონომიკური განვი-



თარების ტემპა და, მაშასადამე, ზრდის სოციალური ამოცანების განხორციელების ერთი ცხოვრების განვითარების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის შესაძლებლობებსაც. ვფიქრობ, სწორედ ამით აიხსნება კულტურის ის აღმავლობა, რომელიც თვალნათლივ შეიმჩნევა ამ ბოლო წლებში და რომელიც აღნიშნა ლეონიდა ილიასა ძე ბრეჭენემა, როცა შარშან თბილისში გვესტუმრა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და მისი კომპარტიის შექმნის 60 წლისთავის გამო.

— დასავლეთში, ხშირად, სულიერი ცხოვრებისადმი პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელობას შემოქმედების თავისუფლების ხელყოფად თვლიან. თანაც, კერძოდ, იხსენიებენ სახელმწიფო სუბსიდიებს საბჭოთა კულტურის განვითარებისათვის. ზოგჯერ იმასაც გვისაყვედურებენ, საბჭოთა კავშირში ხელოვნებას რაღაც უტილიტარული როლი ეკისრებაო, სოციალური მიზნების მიღწევის საშუალებად მიაჩნიათო. რას იტყვით ამაზე?

ხელოვნება ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე ცხოვრების ნაწილია. მაშ, რომელ ჭკუათამყოფელ კაცს მოუვა აზრად გადაწყვიტოს: უტილიტარულია თუ არა სრულფასოვანი ცხოვრება? დიდმა რუსმა მწერალმა თედორე დოსტოევსკიმ — ადამიანის სულის შესაიდუმლემ თქვა: „ჭეშმარიტი ხელოვნების ნიშანი სწორედ ის არის, რომ იგი მუდამ თანამედროვეა, სპარსებოდ სპარსებულა“. სასარგებლოა ამ სიტყვის ამალგებული და უკეთილშობილესი მნიშვნელობით. ამ თვალსაზრისით მე არ მნამს განყენებული. უმიზნო, უიდეო ხელოვნება. უიდეობა უტოპიაა, ან, თუ გნებავთ, წინასწარ მოფიქრებული პოზიციაა.

კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა სახელმწიფოს თავიანთ ამოცანად ის მიაჩნიათ, რომ აღზარდონ დიდი შინაგანი კულტურის მქონე ადამიანთა თაობა. უინტელიგენციოდ ეს სრულიად შეუძლებელია. ავიღოთ საქართველო. პოეზიასა და მუსიკას ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. ქართველ პატარძალს მზითვად შოთა რუსთაველის პოემას ატანდნენ. ეართველი დედა აკაკი წერეთლის იავნანას უმღერის შვილს. საქართველოში ვერ ნახავთ კაცს, მევენახე იენება თუ მეტალურგი, მწყემსი თუ მალაროელი, ზეპირად რომ არ იცოდეს გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სტრიქონები.

ხალხის სული ღიაა მშვენიერების შესაგრძნობად. ღრმა, თავისებური, გულწრფელი ნაწარმოები მძლავრ გამოძახილს პოულობს ადამიანთა გულში. მას შეუძლია გააერთიანოს იანინი კეთილშობილური, წრფელი ზრახვებისათვის. შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი ცხოვრების წესის სრულყოფია დიდ იმედებს ხელოვნებას ვუკავშირებთ.

რაც შეეხება ხელოვნის შემოქმედების თავისუფლებას, აქ უწინარეს ყოვლია იმაში უნდა გავრკვეთ, რისბან თავისუფლებაზეა ლაპარაკი? დიახ, ხელოვნის შეუძლია და უნდა იყოს კიდევ აბსოლუტურად თავისუფალი თავისი ნაწარმოების ჭანრის, თემის, ფორმის, სტილის შერჩევაში: მაგრამ არ შეიძლება ცხოვრობდე საზოგადოებაში, საერთოდ რეალურ სამყაროში და თავისუფალი იყო საზოგადოებისაგან. ეს აზრი მსოფლიოს მრავალ ჰუმანიტისტს გამოუთქვამს. გაიხსენეთ, რას წერდა თავის უბის ნიგნაკებში ამერიკელი უოლტ უიტმენი: „ზერეღე ადამიანებს თავისუფლება ყოველგვარი კანონებისაგან. ყოველგვარი თავშეკავებისაგან თავის დახსნა ჰგონიათ. ბრძენთ კი იგი, პირიქით, კანონთა კანონად მიაჩნიათ“.

შემოქმედების თავისუფლება, ჩვენი უფლებით, არ ნიშნავს განთა-

კისუფლებას მოქალაქეობრივი მოვალეობისაგან, პუმანიზმის უმაღლესი პრინციპებისაგან. ასეთ თავისუფლებას ჩვენ არ ვცნობთ. ძალადობის, დაუნდობლობის. შოვინიზმის, რასიზმისა და მილიტარიზმის პროპაგანდა ჩვენა ქვეყანაში კანონით არის აკრძალული დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს პრაქტიკისაგან განსხვავებით, სადაც „თავისუფლება“, კერძოდ. ყველაფრის, მათ შორის ხელოვნის ნიჭისა და სინდისის ყიდვის თავისუფლებას ნიშნავს.

ჩვენი პარტია ხელოვანთაგან მოელის ნამდვილ. გაბედულ, ყოვლისმომცველ სიმართლეს. და ამ მოწოდებას კულტურის მრავალი მოღვაწე ეხმარება. საქართველოში საყოველთაოდ პატივცემულმა 75 წლის მწერალმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატმა. სხვათა შორის, უპარტიო კაცმა, თბილისი მიატოვა და სოფელ აბაშას მიაშურა. მან თავის მოვალეობად, აქ ვინ გაყოფს რომელ — შემოქმედებითს თუ მოქალაქეობრივ მოვალეობად, — მიიჩნია ალენერა აბაშური ექსპერიმენტი, საკუთარი შეფასება მიეცა მისთვის. საქმე ის გახლავთ, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ეს სოფელი საქართველოს სიმინდის ბელელი იყო, მაგრამ 70-იანი წლებისათვის მიწა გამწვანდა და გლეხკაცს დოვლათი მოაკლდა. ექსპერიმენტის არსი ის იყო, რომ აქ კოლმეურნეობაში შემოსავლის განაწილების ახალი სისტემა შემოიღეს. რამდენიმე სხვა გაბედული, არასტანდარტული გადაწყვეტილება მიიღეს. და ამით შეძლეს მკვეთრად გაედიდებინათ შრომის ნაყოფიერება. ხუთჯერ გაეზარდათ სიმინდის მოსავლიანობა და შესაბამისად — გლეხკაცობის შემოაავალიც. მაგრამ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ექსპერიმენტატორებს ყოველგვარი სულის ნამწყმედი ცოდვები დააბრალეს. „ჭაობის მუდმივი მკვიდრნი“ უწოდა მათ კონსტანტინე ლორთქიფანიძემ თავის ნარკვევში „რა მოხდა აბაშაში“. ხელოვანმა თქვა თავისი სიტყვა!

მეორე მაგალითი. ჩვენს ეკრანებზე დიდი წარმატებით გადიოდა ფილმი „მშობლიური ჩემო მიწა“. ამ კინოსურათის დადგმის გულისთვის, რომელიც მწვავე, აქტუალურ თემას ეხება, კინორეჟისორმა რეზო ჩხეიძემ სამი და მეტი წლით გადაადო თავისი დიდი ხნის ოცნების განხორციელება — ესპანელებთან ერთად სერვანტესის „დონ კიხოტის“ ეკრანიზაცია.

ამ ნუსახის გაგრძელება შეიძლება. მაგრამ, აი საკითხავი: რით არის ნაკარნახევი ეს თართოლვა სულისა? ჩემთვის პასუხი სავსებით ნათელია: ხელოვნის სრულიად ბუნებრივი სურვილით, პირადად იყოს თანაზიარი, პირადად იყოს პასუხისმგებელი იმისათვის, რაც გარშემო ხდება.

და ბოლოს, ორიოდე სიტყვა კულტურის განვითარებისათვის სახელმწიფო სუბსიდიების გამო. საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციაში ჩანერილია, რომ სახელმწიფო ზრუნავს სულიერ ღირებულებათა დაცვაზე, გამრავლებაზე და ფართო გამოყენებაზე ადამიანთა ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, მათი კულტურული დონის ამაღლებისათვის. რომ საბჭოთა კავშირში ყოველნაირად ვუნყოფთ ხელს პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული შემოქმედების განვითარებას. საბჭოთა მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებათა შორის არის კულტურის მიღწევებით სარგებლობის უფლებაც. მის რეალურობას უზრუნველყოფს მთელი რიგი გარანტიები. სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდებში არსებულ სამამულო და მსოფლიო კულტურის ღირებულებათა საყოველთაო მისაწვდომობა; ქვეყნის ტერიტორიაზე კულტურულ-საგანმანათლებლო



დაწესებულებების განვითარება და თანაბარზომიერი განლაგება; ზიისა და რადიოს, წიგნის გამოცემის და პერიოდული პრესის, უფასო ბიბლიოთეკების ქსელის განვითარება; საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან კულტურული გაცვლის გაფართოება.

მაშ, რა უნდა იყოს არაბუნებრივი იმაში, რომ ხალხი თავისი საერთო-სახალხო სახელმწიფოს მეშვეობით თვითონ აფინანსებს თავისი კულტურის განვითარებას?

აი ზრდის დინამიკაც. რევოლუციამდე საქართველოში 6 თეატრი იყო. რომლებსაც დღენიდაც ფული უჭირდათ და წლების მანძილზე წყვეტდნენ ხოლმე არსებობას. დღეს რესპუბლიკაში 32 პროფესიული და 51 სახალხო თეატრია. ანალოგიური ციფრები მუზეუმების შესახებ: იყო 3, არის 110; ბიბლიოთეკები: იყო 129, არის 3938, თუ 1920 წელს ჩვენში 284 წიგნი გამოვიდა, ახლა ყოველწლიურად 2.000-ზე მეტს ვცემთ. ქართველი ავტორების ნაწარმოებები თარგმნილია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე, აგრეთვე ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, პინდი, იაპონურ, შვედურ, დანიურ და სხვა ენებზე — სულ 40 ენაზე. საზღვარგარეთის 50-ზე მეტ ქვეყანაში შესრულდა და დაიდგა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. უკანასკნელი რვა წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის საავტორო უფლებათა სააგენტოს მეშვეობით საზღვარგარეთის ქვეყნებს, ქართველ ავტორთა 2.500-მდე ნაწარმოების გამოცემის, გამოყენებისა და შესრულების უფლება გადაეცათ, განა თქმა უნდა იმას, რომ რევოლუციამდე ჩვენი ეროვნული ლიტერატურის ნიმუშები პრაქტიკულად არ უთარგმნიათ, მუსიკალური ნაწარმოებები კი არ შეუსრულებიათ საზღვარგარეთ.

და ბოლოს, დღეს რესპუბლიკაში სახელმწიფო იცავს 6 ათასამდე წარსულის ძეგლს. ამ მუშაობას სათავეში უდგას ამას წინათ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შექმნილი ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო. ეს — სახელმწიფო ხაზით. მაგრამ ჩვენში არის საზოგადოებრივი ორგანიზაციაც — კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური ნებაყოფლობითი საზოგადოება. ისინი ერთად, მხარდამხარ იღვწიან. ამ მიზნებისათვის ყოველწლიურად მილიონობით მანეთი გამოიყოფა. ეს სახელმწიფო ასიგნებანია, მაგრამ არის დაფინანსებანი, რომლებსაც ცალკეული სამინისტროები, უწყებები, საქართველოს ქალაქებისა და რაიონების საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები გამოჰყოფენ.

— როცა საბჭოურ კულტურას ვახსიათებთ, ჩვენ ვამბობთ, რომ იგი სოციალისტურია შინაარსით, მრავალფეროვანი — ეროვნული ფორმებით და ინტერნაციონალისტური — თავისი სულისკვთებით. რას გულისხმობს ამ ფორმულის თითოეული შემადგენელი ნაწილი? და კიდევ, როგორ აფასებთ თქვენ საქართველოს როლს საერთო-საბჭოური კულტურის შექმნაში, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების როლს ქართული ეროვნული კულტურის გამდიდრებაში?

— ყოველი ხელოვნის შემოქმედება ინდივიდუალურია. მაგრამ არსებობს ისიც, რაც ანათესავენს ჭეშმარიტი კულტურის ყველა მოღვაწეს. დიდმა რუსმა კრიტიკოსმა ბესარიონ ბელინსკიმ თქვა, რომ მსოფლიო კულტურის საგანძურში შედის ნაწარმოებები, რომლებიც ეროვნული ფორმით გამოხატავენ ზოგადსაბოლოო შინაარსს. სწორედ ეს არის

როგორც ჩვენი, ქართული, ისე მთელი საბჭოური კულტურის განმკურნალების მთავარი ნაწილია.

მხატვრული სრულყოფილების ერთ-ერთი პრინციპია მრავალფეროვნების შარმონიული ერთიანობა, ისეთი მრავალხმიანობა, რომელშიც ყოველი ცალკეული ხმა სხვებს ერწყმის და ამავე დროს ინარჩუნებს თავის ტონალობას, მისთვის დამახასიათებელ ფერადოვნებას. ასეთ მძლავრ სიმფონიად გვესახება ჩვენ საბჭოური სოციალისტური კულტურა. სოციალისტური რეალიზმი არათუ არ გამორიცხავს, პირიქით, გულსხმობს, როგორც კულტურის აუცილებელ კომპონენტს, მის ეროვნულ ფორმას, შემოქმედებითი გამოვლინების თავისებურებას. თითოეული ხალხის კულტურას კი ეროვნულ თავისებურებას ანიჭებს თვით ამ ხალხის ხასიათი, რომელშიც, როგორც წყლის წვეთში მზე, აისახება ხალხის ისტორიული განვითარების, მისი ენის, ყოფის, ფსიქოლოგიური ნყობის, მხატვრული ტრადიციების და ბოლოს, იმ გეოგრაფიული გარემოს თავისებურებანი, რომელშიც ერი ყალიბდებოდა.

როცა თავისი ხალხის ეროვნულ თვისებებზე ფიქრობს, ყოველი კაცი გარდაუვლად ასკვნის, რომ მთელი მისი თავისთავადობის მიუხედავად, ყოველ ხალხს ახასიათებს მისწრაფება სიკეთისადმი, აღმშენებლობისადმი, კეთილმეზობლობისადმი, სხვა კულტურების პატივისცემა და ინტერესი. ქვეყნის ეროვნული კულტურა მოკლებული ვერ იქნება ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას.

ინტერნაციონალიზმი ეროვნული ცხოვრების უმაღლესი ფორმაა. უდავოა, ეს ფილოსოფიური იდეა, რომელიც ასაზრდოებს ჩვენთვის ესოდენ წმიდათანმიდა ცნებას, როგორც არის მშვიდობა, ერთ-ერთი ყველაზე კეთილნაყოფიერია კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე. თანაც აქ არ უნდა შევცდეთ. ინტერნაციონალური შიროვნა არ არის. იგი ერთაშორისი და მრავალეროვნულია. ასე გვესმის ჩვენ საბჭოთა კავშირში მცხოვრები მოძვე ხალხების ეროვნულ კულტურათა ურთიერთგანმსჭვალვისა და ურთიერთგამდიდრების პროცესი.

რაკი სიტყვა ჩამოვარდა საერთო-საბჭოური კულტურის ჩამოყალიბებაში საქართველოს როლზე, მინდა უწინარეს ყოვლისა გავიხსენოთ გალაკტიონ ტაბიძე, რომელსაც ჩვენმა ხალხმა დიდი პოეტი უწოდა, როცა 1917 წელს მოსკოვსა და პეტროგრადში იყო. გალაკტიონმა მგზნებარე ლექსები მიუძღვნა რევოლუციას. ეს სტრიქონები კლასიკად იქცა, ხოლო მისი შემოქმედება, რომელიც რევოლუციური გარდაქმნების გზაზე შემდგარი ყველა ხალხის სულისკვეთებას ეხმიანებოდა — საერთო კულტურის კუთვნილება; ისევე, როგორც მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ტიცვიან ტაბიძის შემოქმედება. რომლებიც ყოველთვის ფაქიზად გრძნობდნენ დროის სუნთქვას, ყურს უგდებდნენ ახალი ეპოქის ნაბიჯებს.

გაისად რუსეთთან საქართველოს დამოყვრების 200 წლისთავს აღვნიშნავთ, კარგად გვესმის, რას ნიშნავდა ჩვენთვის ეს პროგრესული აქტი, კერძოდ, — ეროვნული კულტურის შენარჩუნების თვალსაზრისით. და მთელი ამ წლების მანძილზე საქართველოსა და რუსეთის ხელოვანი ინტელიგენცია, მეგობრობის მატყანეს ქმნიდა, მიუხედავად იმისა, რომ მეფის რეჟიმის თავისი პოლიტიკით ყოველნაირად ცდილობდა ერთმანეთისათვის დაეშორებინა ხალხები. პუშკინიდან და გრიბოედოვიდან მოყოლებული ეს მატყანე დღესაც იწერება. ლერმონტოვი და ლევ ტოლსტოიმი, ოსტროვსკი

და ჩეხოვმა, გორკიმ და მაიაკოვსკიმ. ესენინმა და ტიხონოვმა. ზაბოლოცკიმ და ანტოკოლსკიმ, სიმონოვმა და ლუკონინმა ოქროს ფურცლები ჩაწერეს ამ მატრიანეში.

ერთაშორისი ურთიერთობის ენაზე — რუსულ ენაზე თარგმნის წყალობით ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები ახლა საერთო-ეროვნული კუთვნილებაა. ეს მთლიანად ეხება სხვა მოძმე ლიტერატურებსაც. რუსული ენა, რომელიც დედაენასთან ერთად ჩინებულად იციან საბჭოთა კავშირში მცხოვრებმა ყველა ეროვნების ადამიანებმა, ყველა ჩვენი ეროვნული კულტურის ურთიერთგამდიდრების დიდმნიშვნელოვან ფაქტორად იქცა, ყველაათვის ფართოდ ხელმისაწვდომი გახადა თითოეული ხალხის სულიერი სიმდიდრე.

რუსული ენია შესწავლა პასიური პროცესი როდია. მისი განვითარებისათვის, ისევე როგორც დედაენის, მთელი ეროვნული კულტურის განვითარებისათვის ზრუნვა აქტიურ ზემოქმედებას მოითხოვს. ამ ზრუნვამ ჩვენში კონკრეტული გამოხატულება პოვა იმით, რომ შევიმუშავეთ მრავალმხრივი კომპლექსური პროგრამა, რომლის მიზანია მშობლიური ენების სწავლების გაუმჯობესება. ამ საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებო გადაწყვეტილება მიიღო. რესპუბლიკის სკოლებში წარმატებით მიმდინარეობს სწავლება ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ასევე გამიზნული, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა შეიქმნა ჩვენში არარუსულ სკოლებში რუსული ენის შესწავლისა და სწავლების გასაუმჯობესებლად. შემიძლია გამცნოთ, რომ ჩვენს სკოლებში სწავლობენ აგრეთვე ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, სპარსულ, ბერძნულ, თურქულ და არაბულ ენებს. როგორც ხედავთ, ჩვენმა ხალხმა კარგად შეითვისა ეს ქვეშარიტება: რამდენი ენაც იცი, იმდენჯერ კაცი ხარო.

დასასრულ, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო: სოციალიზმი არათუ არ უკარგავს ხალხებს განუმეორებელ სახეს, კულტურისა და ტრადიციების თავისებურებას, არამედ ახალ საფეხურზე აჰყავს ეს თავისებურება და სხვა ხალხთა კუთვნილებად ხდის მას. ასე თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა ტაშკენტში გამართულ ზეიმზე. და ამ სიტყვების ქვეშარიტებას თვით ცხოვრება ადასტურებს.

საბჭოთა საერთოველოს კულტურას ღირსეული ადგილი უკავია მრავალეროვნულ საბჭოურ სოციალისტურ კულტურაში. და ის, რომ ქართული კულტურის მიღწევებსა და თავისთავადს ტრადიციებში ყოველივე ზომბამდმნიშვნელოვანი სულ უფრო მეტად ხდება საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალური კულტურის კუთვნილება, რესპუბლიკაში ყველა ჩვენგანის ეროვნული სიამაყის გრძნობას იწვევს. დარწმუნებული ვარ, ასეთივე გრძნობა ეუფლება ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს, როცა საერთო პოლიფონიაში თავის ხმას გამოარჩევს ხოლმე.

ურნალი „სოვეტსკი სოიუზი“.

1982 წ. № 9.

ბიციანე ტაბიძე

ალექსანდრე პუშკინს

საქართველოს მთებს თავს ადგება
ოჭროს ნათელი,
მღერის არაგვი, ბუმბერაზი
მთების ტოროლა.
ღვეის ნათებურს მიაგავს გზა
შენგან ნათელი,
და შენზე ფიქრი — სიყვარულის
ზეავის მოწოლას.

ო, როგორ ვიცი, ბედნიერი
რომ არის წამი,
როცა გათანგულს აღარ ძალუმს
გულს არ უყვარდეს!
შენზე სიმღერით ველს ილადრავს
ქალის ლერწამი,
ჩრდილოეთისკენ სურთ გაფრენა
წინანდლის ვარდებს.

ეს ასი წელი თან წაიყვანს
კიდევ ათას წელს,
შენ უტკნობ სიყრმეს სიბერე
არ გაჰყარებია.
ისმის დიდება ყველგან, სადაც
კაცის ხმა უწევს:
იალბუზია, ჰამირი თუ
ვანჯარემია.

ველარ იცნობდი ღღეს, ძვირფასო,
მრისხანე კავკაზს,
თავისუფლება მის მაღალ მთებს
უფრო ამადლებს,
ღღეს კაცის ბედი, ჭეშმარიტად,
კაცის ბედსა ჰგავს,
არ აქვს ქვეყანა სათარეშოდ
ცოფიან ძალლებს.

საქართველოშიც გაიფანტა
 ის ხმა მწუხარე,
 როცა გიმღერდა მოწყენილი
 ლამაზი ქალი,
 ისმის გამწვევი გუგუნნი და
 სიტყვა მქუხარე,
 გული საგულეს აღარ დგება,
 გააქვს ფართქალი...

სად არ იციან დღეს, პოეტო,
 შენი სახელი,
 მზე ბედნიერი საბჭოეთის
 სადაც ანათებს!
 მილიონობით წავიდოდა
 აქ ტყვია: ცხელი
 და გაიტანდა შენ ჯალათებს —
 მეფეს და დანტესს.

მინდა დღეს ვიყო მე ზევსური
 და ზევის ბერი,
 ადუღებულ ქვაბს რომ შეაქცევს
 ლედის პირველ ჯამს,
 იტყვიან — ეს იყოს გარდასულთა
 სახანებელი,
 მთებს გადახედავს მედიდურად,
 არ იწერს პირჯვარს.

საბჭოთა მიწის დაილოცოს
 ყველა მტკაველი,
 იყოს ტყედავი, ვით პუშკინი
 და რუსთაველი,
 განუყოფელი, ბედნიერი
 ორი გენია,
 რომ მზე ერთად ანთებულნი
 გულის საკირე,
 ხალხის ოცნება პოეზიას
 აღუდგენია
 და პოეზიაც ტყედავებას
 ხალხით აპირებს.

მე ნათელი იყო მუდამ
 ამათი ბედო,
 მოწყინებულს ერთად გადამდნარი
 თამარ-სკელავედი,
 საბჭოთა მიწის დაილოცოს
 ყველა მტკაველი,
 იყოს ტყედავი, ვით პუშკინი
 და რუსთაველი.



პაოლო იაშვილი

ოვანეს თუშანიანი

გახარებულო! ბავშვის თვალებით
შენ დილამ მადლი ჩამოგაკურთა,
ჩვენ გიყურებდით ხან მოკრძალებით
და ხან გკოცნიდით ამხანაგურად.

როგორც მაღალი თაფლის სანთელი,
აენთე ლარიბ სომხეთის მთაზე,
და იმობის კვალი, შენგან ნათელი,
საასპარეზოდ შემოგვთავაზე.

შენი ლექსები, როგორც მტრედები,
ბუდობდნენ გლუხთა დაბალ ოდებში:
და მოციქულის თავგამეტებით
ჩასდექ ომების სიბოროტეში.

შენთან დღეებმა ამფრთოვანეს,
მოკვდი და გრძნობას ნისლი მოედო:
იტყვიან ბავშვნი: „წმინდა ოვანეს“,
გავიმეორებთ: „წმინდა პოეტო“.

ოქროს სიცოცხლე შემოგვძარცვა,
და დიდხანს სევდის თვალებით ვუძმურ,
როგორ დადგება ანუში ნაძვად
შენს კეთილშობილ საფლავის გულზე.

გიორგი ლონია

ნიკოლოზ ტინოვსი

ბაკათი

გომბორის თავზე მთიარესთან ვდამბ,
ამ ლექსს რომ გიწერ. კიდევ თენდება:
მაჭრის ჯამივით ელვარე ქნაო,
შენი ჭანჭახი მომაგონდება.

ისევ აქა ხარ და ენობაა სთაფლავ,
ვაზის ფოთლებით შებღღაბურთული,
მა, ისრიცება წყვედიადის აფრა,
თრთის შეუღამე უდაბურთული.

ეს აივერცხლა...

ალაზნის ველი

ბრწყინავს, ვით ფარჩა ხობის თელიანი,
შენ მაგონდება... ლექსები მწველი
აქ რომ სიღხევით მოირთელიან!

ჩვენ — ერთი ენობის გვაცვია ევართი,
ვართ, როგორც ვაზი სავსე სიტყვითი,
შენ ხალხის გულში მოწვევით ვარდი
და მისი შექვით სიტყვას ითბობდი...

თუ სიყვარულის იდექ ორწყალში,
ტვირთი ენობისა განა გიმძიმდა? —
მეორე ლექსთ-ზეირთების ქაფმეტყორცნაში
შენ მარგალიტი გამოგიმწიფდა...

არა დამწვარი მხოლოდ ოცნებით,
არც ავთანდილი სტუმრად მოსული —

განგმირული ხარ დიდ სიყვარულით
 და მისი ცეცხლით გარემოცული.

ქამია, ძმაო, გამოხმობისა.
 ვერა, ქალარა ვერ დაგვამუნჯებს,
 ვთქვათ ჩვენ სიმღერა დიდი ძმობისა
 და ჩვენი დროის დავდოთ საუნჯედ.

ცა აივერცხლა... დილა მოვარდა,
 დილა შენსავეით გახარებული,
 არ გაგვიტრია გული ორადა,
 ერთი გული გვაქვს, შეყვარებული...

სიზმის ჩიქვანი

სამი ხმა

მაყურების წკრიალი წყნარი
 მწუხრზე დააწვა მღვიძარე მიწას,
 ხევიტ გაქანდა დაჭრილი ქარი
 და კაზაკივით ყორღანზე მიწვა.
 მიწყდა ქალაში ლაქაშის ჩქამი,
 ატყდა ზარის ხმა ლუწი და კენტი.
 არ ხმაურობდა დოღაბი ჩქარი,
 არც შაშვს უნდოდა გალობა მეტი.
 მიწყდა ლერწმებში შრიალი წვიმის,
 უცხო სოფელი ათბობდა დავითს,
 სმენას აჩვევდა ქარქვეტას წივილს
 და თვალს ავლებდა ზებოვკის ყვავილს.
 ესმენდა ახლო აზიდულ მუხნარს,
 აგონდებოდა მშობელი ეთხე:
 პირველი ფუნე ფრინველსაც უყვარს
 და თვალს სწყუდებოდა კურცხალი მწუხთხე.
 რუსული ხმების საამურ სიზმოს
 აკავშირებდა სამშობლოს ხმებთან
 და უკრაინულ სიმღერის კილოს
 შინ აწყვილებდა ქართველის ბედთან.
 უნდოდა ეთქვა სიმღერა ერთი,
 ლექსში სამი ხმით შეეკრა ძმობა,
 შიგ ჩაეხატა ქალაჩა ღმერთი
 და ხეტიალში ჩამქრალი ყრმობა.
 გაიგო უცხო ბუნების სუნთქვა,
 წიგნში გაშალა მღელვარე ფრთები
 და შეაფლლა ქარქვეტას სულთან
 მოგუტუნე და მეთყველი მთები.
 ხმები აანთო სამშობლოს ლერწმით,
 შესძლო წარსულის გალობით თხრობა
 და სამი ხალხის სიმღერის შერწყმით
 თქვა მეგობრობის პირველი გრძნობა.

ილია რურუა

ლვადლი

ისმაილ ფუტყარაძესთან, როცა იგი აჭარის ასს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გახლდათ, ურთიერთობა არ მქონია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩემი ასაკი და ასევე რა თქმა უნდა, მდგომარეობაც იმ დროს ამის უფლებას არ მაძლევდა. მიუხედავად ამისა, მისი პიროვნებისადმი პატივისცემის გრძნობა, როგორც ბათუმელს, ყმაწვილკაცობიდანვე მქონდა. ამიტომაც ყოველთვის მორიდებითა და მოწინებით გამიყოლებოდა თვალი ბათუმის მთავარ ქუჩაზე გრძელი, გამართული ნაბიჯებით მიმავალი წარმოსადგენი გარეგნობის კაცისათვის. რაც მახსოვს, შინიდან სამსახურში და სამსახურიდან შინ თითქმის ყოველთვის ფეხით დადიოდა. თუ გვერდზე თანამოსაუბრეც მოპყვებოდა, მას ყურადღებით უსმენდა, თან გრძელნაკვთებიან, მზემოკიდებულ ქართულ სახეზე გულის სიკეთის დამადასტურებელი რბილი ღიმილი დასთამაშებდა.

შობდა ისე, ისმაილ ფუტყარაძე ორმოცდაათიანი წლების დამლევდიან მუდმივ საცხოვრებლად თბილისში გადასვლიდა. მან დედაქალაქშიც უმაღლე მოიპოვა მეგობრებისა და ამხანაგების სიფარული და პატივისცემა. ხანგრძლივი დროის მანძილზე საკავშირურესპუბლიკური მნიშვნელობის დაწესებულებასაც ხელმძღვანელობდა, მაგრამ ამ კოლორიტული კაცის ნასვლით თითქოს რაღაც მაინც დააკლდა მის მშობლიურ კუთხეს, აჭარას.

მას შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტი გასულა, მაგრამ ისმაილ ფუტყარაძეს აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გასვლის შემდეგაც არ დაკლებია მრავალრიცხოვან ნაცნობ-მეგობართა ყურადღება და სიყვარული.

სულ უკანასკნელ დრომდე, ვიდრე მისი ოჯახი ახალ ბინაზე გადავიდოდა საბურთალოს რაიონში, ბატონ ისმაილს ხშირად ნახავდით ძველი და ახალი თბილისის გზაშესაყარზე, ბარათაშვილის ხიდის მიდამოებში, რადგან სანაპიროზე ცხოვრობდა. უკვე ხანში შესული, მაგრამ ჯერაც ჯანმბეგარი, მტკივანი ფეხის მხარეს ხელჯოხზე დაფრდნობილი. იგი ამჟამად თავანუული ფიქრიანად გასცქეროდა მეტეებისა და წარწყალას სანახებს. თვალში-საცემად ახოვანსა და წარმოსადგევს, ხალხში უმაღ გამოარჩევდით.

მის საერთო იერს ახლავს რაღაც ხევისბერიული, მრავალწანაბი კაცის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, სიბრძნესა და ღირსებას ასე რომ უხდებდა. პირველად სწორედ აქ, სანაპიროზე, შევხვდი იმდენი წლის უნახაობის შემდეგ, მორიდებით მიუხაზლოვდი და გამოცინაურე. ერთბაშად გაუნათდა კეთილი სახე, ხალისიანი საუბარი გამიბა თავისი ვაგაკურთხევი გუგუნა ხმით. გამოთხოვებისას საკუთარ სახელზე მიმითითა — გამახარებ, თუ ზოგჯერ შემომივილი.

ვინ იცის, იმ დღის შემდეგ რამდენჯერ შევხვდებივარ ამ სათნო კაცს. და იმდენჯერ ბოდიშიც მომიხდია, დაპირება რომ ვერ შევსრულე.

და აი, ბოლოს, მაინც აღმოვჩნდი ისმაილ ფუტყარაძის ოჯახში, თანაც სასიამოვნო დავალებით — ამავდარ კაცზე ჟურნალისათვის წარკვეტი უნდა დამეწერა. ჩვეული გულმართლობით გამოსატა კმაყოფილება იმის გამო, რომ „საცხა მიკუჭული ბერიკაცი გაახსენდათ“. თავისთავად აიწყო გულღია საუბარი, რომელიც ესოდენ აუცილებელია ამ დროს. არავითარი ქალადი და ფანქარი მხოლოდ



გახსენება-მოგონებანი, ორივესათვის ესოდენ ნაცნობ გარემოს, ადამიანებსა და ამბებს რომ უკავშირდებოდა.

ჩვენს საუბარში დროდადრო, ტაქტიანად ვმბეზა ხოლმე ოჯახის დიასახლისი ქალბატონი სოფო — ისმიალ ფუტკარაძის ცხოვრების ერთგული მეგობარი, თავიდანვე დაუცხრომელი საზოგადოებრივი აქტიურობით აღსაყვე ადამიანი, თავადაც შრომის კვტერანი, დღესაც დაუღალავად რომ ფუსფუსებს. ფუტკარაძეების „ორენოვანი“ ოჯახის დედას დიდი ხანია მთარგმნელი აღარ სჭირდება.

მაშ ასე, მკითხველს ვთავაზობთ ერთი კარგი, ღირსეული კაცის ცხოვრების ამბავს, რომელმაც თავისი ხანგრძლივი და შინაარსიანი სიცოცხლის თითქმის 70 წელი ხალხის უანგარო სამსახურს მოახმარა. ისმიალ ფუტკარაძის ცხოვრება გარკვეულად ასახავს უფროსი თაობის ადამიანების მიერ საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე გამოვლილი გზის სიმწვანეებსა და სიხარულს, დროის სულსა და ხასიათს. ამ ნარკვევის შექმნაც ამითაა ნაკარნახევი.

„ფუტკარაძეების ბზა“

დღეს უკვე საზღვრისპირა სოფელ მარჯანულზე ბანარა, აღმართ-ჩაღმართიანი გზა გადის. რომელსაც ხალხი „ფუტკარაძეების გზას“ ეძახის. მისი ერთი ბოლო დროშამ კარგა ხანია ცხოვრების ფართო მაგისტრალს შეუერთა, მეორე ბოლო კი, ზედა საზღვარს რომ ეღვინება, სამიმოსვლოდ დანრეტილა, ბალახით დაფარულა.

პატარა სოფლის დედო-გვარის შვილებს ეს გზა თავიდანვე კეთილსამეზობლოდ, ცხოვრობისათვის საზრუნავთა მოსაგვარებლად გაუქვალათ. გარჯით ოდითგანვე ცნობილი ფუტკარაძეები ამ ბანარათს გადიოდნენ კობტა მთა-გორაკებზე გაბლანდულ ბილიკებზე, კაფადნენ ახოებს, ხნავდნენ, თესავდნენ, ამზადებდნენ შემას, დასადევდნენ ნადირ-ფრინველს, თავიანთ გვართან წილნაყარ ოქროსფერ მწერებს აბინაკებდნენ სკებში ყვავილოვანი მდელოების პირას, დაფულურობებულ ასწილვანი ხეების ტოტებში თუ ალესილი ქარაფების თავზე...

ამავე გზით გამოვიდა ისმიალ ფუტკარაძე ცხოვრების ავ-კარგის შესაცნობად. გაკვეთილები ყოველ ნაბიჯზე ეძლეოდა ძალიან უბრალოდ:

- რა გვარი ხარ, ქო?
- ფუტკარაძე.
- რომლის?
- ხასანასი.

— კარგი მამის ბაღე ყოფილხარ ფუტკარაძე მა მშვიდობის გზა მოგცეს...

ანც ბიჭს დადუმებული კარ-მიდამოს ახმინების ნადილი აღედრა. აიღო და გაუჭულა კენჭი ოდის ახალ, მზებე მოვლადრე ყავრის სახურავს. გაფიცებული, სურნელოვანი ყავარი საამოდ ამღერდა. კენჭს კენჭი მიჰყვა. მოულოდნელად კარი გაიღო და შიგნიდან გამოიხედა სახლის პატრონმა. ეისი ხარ, ქო, რა გინდაო, — კითხა ნამძინარევი ხმით. არც გაჯავრებია, არც გამოთებია. დაყვავებულიად ეს უთხრა მხოლოდ — სხვა დროს ნუ იხამ, ყავარი დასკდება და ავდარში შინ წვიმა ჩამომივა, შენსაივთ კარგ ბიჭებს და იისთვალეუბა ციციებს შემინუხებს, სულ პატარას აკვანში ჩაუვა და აატირებსო...

უკვე ნამოჩილული, შინიდან კარხალის სახაფხლო საძოვარზე მიდიოდა თავისიანებთან. შუაგულ პაპანაქებაში ზურგზე ქადის ფევილი მოვგდო. ტომრის სიმძიმით წელში განყვეტილს და სიციხით ოფლში გაღვრილს, ზურგიდან ცხენის ფეხის ხმა შემოესმა. ტომარა დაადგო და ცხენოსანს იმედით შეაკერა. მეზობელი აღმოჩნდა. ერთი კი კითხა. საით გაგინევიო და ცხენს მითრახი გადაუჭირა, თვალს მიუფარა... დაბინდებულზე კარჩხალში რომ ავიდა, ის ცხენოსანი იქ დახვდა ნებიერად ბალახზე ფეხმორთხმული... ბიჭს რაღაცაზე გული ეტკინა...

წელ-წელა ფართოვებოდა ბავშვობის თვალსაწიერი. გაიგო, რომ სოფლის ბაგდა კიდეე არსებობს ქალაქი, რომელსაც თათში ჰქვია. ბაბაი ზოგჯერ დიდ გოდორს გაავსებდა ხილით, კაკლით და ზურგზე მოიკიდებდა. ხელშიც რამდენიმე ფეხებმეკრულ მაშალს დაიჭურდა და წავიდოდა... ბავშვებს თვალი სულ გზაზე ეჭირათ, ვიდრე ოჯახის უფროსი არ დაბრუნდებოდა. მამა გოდრიდან ამოლაგებდა ნავთს, მარლს და თეთრ, ბამბასაივთ თეთრ პურს, რომელსაც საოცარი სურნელი ასდიოდა და კიდეე უფრო საოცრად კარგი გემო ჰქონდა. ბიჭმა ჯერაც არ იცოდა, რომ ქალაქში იკრებოდა, მოსირმული ჩაქურა, გამძლე კობტა ფეხსაცმელი...

ყურს უგდებდა უფროსების საუბარსაც. თეთრწერა ასლან ბაბუა ზოგჯერ ისეთ ამბებს მოჰყვებოდა. უფროსებსაც რომ უჭირდათ მათი დაჯერება. მამინ მოხუცი, ვითომ და სხვათაშორის, დაუმატებდა — მთელი დუნია მაქვს შემოვლილი, ახალციხეში ვყოფილვარ, მურღულშიც...

ეს მურღული რატომღაც ყველას პირზე ეყრა. ღაპარაკობდნენ მაღანზე, რომელიც ადამიანებს თურმე ტიანჭველინით ამოაქვთ მინის გულიდან და რისთვისაც ვიღაცები ფულს აძლევენ ფუხარა ხალხს.

ერთ დღეს ბაბაც გაეშადა წასასვლელად:

— მე საშუარზე მივალ, მურღულში, შვილო ისმაილ, — უთხრა ხასანმა უფროს ვაჟიშვილს. — ნენეს შენ უნდა მიეხმარო. მამუდი და პურიე პანენები არიან... შენ უკვე ვაჟკაცი ხარ.

ამას ეუბნებიან ათი წლის ბიჭს, რომელიც მშობლიურ სოფელს არ გაცილებია და ჯერაც არ გამოსულა კერის პირას მოსმენილი ზღაპრების ბურანიდან. მან კი ჯერაც ხერხემალ-გაუმავგრებელ ზურგზე უსიტყვოდ აიკიდა ცხოვრებისეული მძიმე ტვირთი. პირველად მაშინ გამოსცადა დაქირავებული მწყემსისა და მოჯამაგირე ბიჭის ხვედრი, გირვანქა მატყლისა თუ ერთი ფაში ფეჭელისათვის სხვისი ბოსლის ხვეტის დამამციკრებლობა...

კარგა ხნის შემდეგ ბაბაიც დაბრუნდა; დაღლილ-განაშებული, მაგრამ მაინც კმაყოფილი, რომ ცოტა ფული იშოვნა. ერთი მიწის ნაკვეთს დაადგა თვლი, პატრონს მოურიგდა და იყიდა. მთელი ოჯახი ხალისით შეესია — განშინდეს, დახნეს, დათესეს. საქმე გამარტვლავ რომ მიდგა, ყანას სხვა პატრონი გამოსუნიდა მოულოდნელად. იგი რამდენიმე მზღებელთან ერთად დაადგა თავზე ხასან ფუტკარაძის ჯალაბს. მე არაფერი არ ვიცი, ეგ მიწა ათადან-ბაბადან ჩემი იყო და ახლაც ჩემიაო. გლენუკაცმა თავისი ამტიკცა, მაგრამ ვინ მოუსმინა. გაგულსებული მომხდურები ყანას შეესივნენ, ნორჩ სიმინდს თხრა დაუნდეს, თან უშვერ ლანძღვასაც მოჰყენენ. მაშინ ხასანმა ცოლ-შვილი დაითხოვა — ახლაც გამეცალებო, შინ წადითო. ცუდად ენიშნათ, მაგრამ მის პრძანებას როგორ გადავიდოდნენ. მოსახვევს რომ გაცილდნენ, თოფების სროლა და ყვირილი შემოესმით... იმან, რაც იხილეს, თავზარი დასცათ: ერთი მომხდურის უკვე სულს ღაფავდა, მეორე სისხლში ცურავდა, მესამე გაქცეულიყო... არც ხასანი ჩანდა. ფირალად გავარდნილი კაცის ცოლ-შვილი მეორე დღით დააპატიმრეს, მაგრამ რაკი ბრალი ვერაფერში დადეს, მალე გაანთავისუფლეს.

თხუთმეტ წელს მიღწეულ ისმაილს ოჯახის სიმძიმე უკვე მთლიანად დაანება მხრებზე. თუმცა ოჯახი აღარც კი პქონდათ. ყველაფერი, რაც მანამდე გააჩნდათ — სახლი, ქონება, საქონელი — შურისძიების ცეცხლმა შთანთქა. კიდევ კარგი, ჯალაბს არაფერი დაუშავეს. იმან თუ გადაარჩინათ, რომ ხალხი ხასანს ამართლებდა.

ამდენი უბედურებით, ცხოვრების ქაპნის სიმძიმით გატეხილი ოჯახის დედა დაავადმყოფდა. ფირალისაგან ნაწუშათვება გამოწვეული დახმარების ხელი ნაქცულ ოჯახს ფუნდზე ვით დააყენებდა. ლოგინად ჩაყარდნოდ გულშას კეთილმა მეზობლებმა საიდანაც

თევის ქონი მოუტანეს — ეს დალიე, ზედრძე დააყოლე და მოგარჩენსო. ყოველ დღით ისმაილი ან მამუდი ნახევარლიტრიანი თუნგით მთელ სოფელს შემოივლიდნენ. ხშირად ხელცარიელი დაბრუნებულან, რადგან გაჭირვება თითქმის ყველა სახლში იყო დაზღუდული. შვილებმა დედას ვერაფრით უშველეს. გაცუდდა უკანასკნელი იმედიც — ხოჯას ლოცვა და მისი ხელით დანართილ წუსხავავლებული წყლის ყლაპვა. „შვილო ისმაილ, იმ ქვეყნად შენი იმედით მივდივარ, უმცროსი და-მშენი გებატბოდეს, აბა შენ იციო“ — ასეთი იყო დედის უკანასკნელი სიტყვები. ქაბუკი ხედბოდა, ცხოვრება კარგად რომ არ იყო მოწეობლი. პირველად ეს ხოჯას აგრძნობინა, როცა ფუჭი წუგეშის პასუხად იმდენ ხალხში მიახალა: „ნუ თუ ალაპის ნებაა, რომ ადამიანები ასე იტანჯებოდნენ!.. თუ ამის მეტი არაფერი შეუძლია, რაღად გვაჩენს. იმისთვის, რომ შემდეგ უმწეო ცხვარით გვეღიტოს?!”

ამასობაში ახალი ცხოვრების სიომაც დაქროლა.

ერთ დღეს აჭარისწყლის ხეობაში გამოჩნდნენ ნონოლაქუდებიანი მხედრები. რომელთაც წინ მოუძლოდა ნითელი დროშა. ხევის შვილებს გაუკვირდათ, რომ ამ დროშაზე გამოსახული იყო მათთვის ესოდენ ნაცნობი ნამგალი და ურო.

ჯანი, რომელსაც მიუსაჯეს 64 წელი

ცნობილი ამბავია: თურქეთთან ახლდ სახელმწიფო საზღვრის დადგენის შემდეგ მონაპირე აჭარული თუ ღაზური სოფლების სავარგულ-საძოვრების ნაწილი გლმა მხარეს დარჩა. ძნელი შესაგუებელი აღმოჩნდა სოფლების შუაზე გაყოფა, ერთი ხალხის შვილების, სისხლით ნათესაუების გათიშულად ცხოვრება, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მაშაპაათაგან დადგენილი ყოფისა და სამურწერო ურთიერთობის მოშლა; ამ უზერსულობას, ცხადია, ყველა გრძნობდა, ამიტომ 1927 წლამდე საზღვრისპირა სოფლების მცხოვრებთ, სპეციალური საშეით, უფლება ეძლეოდათ საზღვარზე გადასვლა-გადმოსვლისა, კარჩხალისა თუ ღვკობანის საძოვრებზე ნახირის გარეკვისა.

ამ ვითარების გამოწვევა მაშინვე სცადეს ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის ძირის გამოთხრით დაინტერესებულმა ელემენტებმა. რთული, არეულ-დარეულობის ხანა იყო, ინტერესთა გამძაფრებული თამაშისა, რაც ხელს აძლევდა სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტებსა და პროვოკატორებს. ისინი საბჭოეთის ახალგაზრდა სახელ-

მნიშვნის წინააღმდეგ აწყობდნენ პოლიტიკურ და ეკონომიკური ხასიათის დივერსიებს, ტერორისტულ აქტებს. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო კონტრაბანდისტობამ. ახალი ცხოვრების რეღსებზე შემდეგარ ქვეყანას ჯერ კიდევ უჭირდა, ბევრი რამ აკლდა. ამიტომ ხელის მოთხოვნის ცდუნებამ ზოგიერთი ადგილობრივი მკვიდრიც აიფოლია. მესაზღვრეებს სიფხიზლე არ აკლდათ, მაგრამ მაინც უძინადობდათ უსაფრთხოებისა და სიმშვიდის დაცვა თითქმის მეზობლური მისკლა-მოსვლის პირობებში, როცა მტრისა და მოყვრის გარჩევა ძნელი იყო, ფარული მიზნების მისაღწევად შენიღბვა კი ადვილი. საზღვრის უშიშროების ინტერესები მოითხოვდა უპირველესად მოსახლეობის მოქალაქეობრივ-პატივმოყვით შეგნების ამაღლებას, ახალი ხელისუფლების პოლიტიკის არსში მის გაარკვევას და ამით სრული თანადგომის უზრუნველყოფას. ეს კი იმ დროს, როცა ისტორიული უკუღმართობით შექმნილი მრავალი გაუგებრობა ჯერ კიდევ არ იყო გაფანტული, არც ისე ადვილი საქმე გახლდათ. მაგრამ აჭარლებს არასაკლებ კლებიანთ სავად მოაზროვნე შვილები, რომელთაც იცოდნენ, თუ ვისი გორისა იყვნენ და რა უნდა ვკეთებინათ დედასამშობლოს სასარგებლოდ. მარჯანულელი ხასან ფუტყარაძე და მისი შვილებიც ამათ რიცხვს ეკუთვნოდნენ. ამიტომაც უყოყმანოდ, შინაგანი ხმის კარნახით ამოუდგნენ მხარში ახალი ცხოვრების მშენებლებს.

იმდროისათვის უკვე სავსებით მონიჭული, ჯანღონით სავსე ვაკაცი იმხილ ფუტყარაძე თავიდანვე შეგნებულად განუდგა ადამიანურ პატიოსნებასა და ღირსებაზე ხელის აღებით ცხოვრებას:

— რაცაა ჭინჭბისთვინ რომე კონვოით სოფელში ჩაბატარებენ, მაგას სიკვდილი მირჩვენია. არ არის მაგი კაცური კაცის საკადრისი საქმე, ბოლო ვყვალასთვინ ცუდი ექნება!

მართლაც რამდენი ოჯახი ამოიკებულა მის თვალწინ კონტრაბანდისტებისა და უპატიოსნო ხალხის ძროხილით, რამდენი უდანაშაულო სიცოცხლე გაუციებია ბრმად აფრენილ ტყვიას. მშვიდ, მოსვენებულ ცხოვრებას დანატრებული ხალხის მოთმინების ფილა აიფსო. მიხედნენ, რომ გვერდზე გადაგონა არას არგებდათ, ამიტომაც ბევრმა თავადაც გამოიღო ხელი შოთისა და არეულობის გამომწვევას პარაშის აღსაკვეთად, ჩვენი მესაზღვრეების ერთგული შემწეები გახდნენ.

ზედ საზღვართან მდგარი ხასან ფუტყარაძის სახლი საბჭოთა მესაზღვრეებს თითქმის საკუთარ პოსტად პქონდათ მითვლილი, რადგან მისი ოჯახის წევრთა დახმარებით არა

ერთი საშიში და მანამავე თუ საზღვრის დამრღვევი დაუკავებიათ.

ასეთი პატივოტული სამსახურის განვეისათვის ფუტყარაძეების ოჯახის წევრებს არაერთხელ დაუმსახურებიათ მესაზღვრეთა მადლობა და ჯილდოები. ხასანსა და მის უფროს შვილს საბრძოლო იარაღის ტარების უფლებაც კი მისცეს. ეს განსაკუთრებული ნდობის გამოცხადებას ნიშნავდა. მაგრამ ფუტყარაძეების ასეთი სამსახური ყველას როდი მოსწონდა.

ჩირუხიდან ჩვეულებრივ მომავალი ხასანი თავისი ნახირით მოადგა საზღვარს. მას აქ ყველა კარგად იცნობდა, საშვიც სრულ წესრიგში ქონდა, მაგრამ რატომღაც დააკავს და ასკრეზმა თავიანთს წარუდგინეს:

- სად არის ახლა შენი შვილი ისმიალი?
- პირდაპირ კითხვა მიახლა ოფიცერმა.
- სად უნდა იყოს, სახლში! — მშვიდად მიუგო ხასანმა.
- იცით თუ არა, რომ მან პასუხი უნდა აგოს ჩვენი კანონის წინაშე?
- რისთვის?
- ჩვენს ხალხზე ნადირობს, გიურების სამსახურში ჩამდგარა... ამით მრავალი მართლმორწმუნე დაღუპა.
- გურჯია და გურჯ ხალხს, თავის ქვეყანას ემსახურება.

ჯიქური პასუხები რომ მიიღო, ჩაუშვა დაფრენება სცადა:

— ხასანადა, გელაპარაკები როგორც მუსულმანი მუსულმანს. შენ უნდა გესმოდეს, ხალხს რისთვისაც ვგზავნი თქვენს მხარეს... ხომ ხედავ, ბოლშევიკები როგორ ცდილობენ თქვენს გადარჯულებას, მუსულმანური წესების მოშლას... ჩვენი სურვილია დაიცვათ თქვენ, აჭარლები, ჩვენი მუსულმანი ძმები... შენი შვილი კი ხელს გვიშლის... ისიც ვიცით, ტყუილ-უბრალოდ არც შენ დაძვრები აქეთ. დაეალებული გაქვს ხალხი ავიომხედრო. სულ იმაზე ღაპარაკობ — ჩვენიან ასე და ასე, ფუხარა ხალხი წელში იმართებაო.

— მჭახბელებები ჩვენი ღვიძლი ძმები არიან. იმათთან დაფარული ღაპარაკი რაისთვის უნდა გვეკონდეს... მარლი, ნავთი და ნუშნუშიაც რომ არ ეშოვებათ, ჩვენი მიზეზით ხომ არა..

წონასწორობიდან გამოსულმა ჩაუშვა პატიმარს სილა გაანნა. აჭარელი კაცი შეურაცხყოფას არ გადაუღაპავს და ხელებშეკრულმა ხასანმა მარტო ის მოახერხა, რომ სახეში შეაფურთხა. გაყოფებულმა ოფიცერმა ასკრეზები მიუსია. ნაცემ-ნაბეჭვი, დიღგში ჩააგდეს.

მეორე დღითაც სცადეს ზემოქმედება, მაგრამ რომ არაფერი გამოუვიდათ, გაანთავი.

სოფლეს. დილეგადან გამოსულმა ოფიცერს მიიძახა:

— იცოდე, ამას არ შეგარჩენ, მერჯან-ჩაუშო! მე თუ არა, ჩემი შვილები გადაგიხდიან. გავიდა რამდენიმე თვე და ჩვენი სოფლებამდეც მოაღწია ხმამ — მერჯან-ჩაუშო მოუკლათო. მართალი გამოდგა. ჩვენი სასაზღვრო ხელისუფალი გაღმა მხრიდან შეორე დღესვე ოფიციალურად განუცხადეს — ის ოფიცერი ფუტკარაძის მოკლულია და მამა-შვილი დაუყოვნებლივ უნდა გადმოგვევით საქმის გამოსაძიებლადო.

პაეში პროვოკაციის სუნი დატრიალდა. ჩვენი შესაზღვრებისათვის დანამდვილებით იყო ცნობილი, რომ არც მამა და არც შვილი იმ დღეებში საზღვრის იქით არ ყოფილა. არც კონტრბანდისტების გადმოსვლა ყოფილა შემჩნეული. რომ გადმოსულყვენ კოდეც, საეჭვო იყო მერჯან-ჩაუშს მათთვის ხელი შეეშალა, რადგან მათთან იყო შეკრული. ოფიციალური ვერსიით, თურქი ოფიცერი თითქოს ღამით მოკლეს, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ იგი სიცოცხლისათვის გამოუსადეხებით დღისით, შიგ. შუა სოფელში, როცა ადგილობრივი ზოჯას სახლიდან გამოსულა. ესეც ეჭვს ზადებდა.

და მაინც ბრალდების იგნორირება არ შეიძლებოდა, უპირველესად სახელმწიფოს ინტერესების თვალსაზრისით, რაიმე ხელოვნური გართულების თავიდან ასაცილებლად. ხასან ფუტკარაძის სახლი დაუყოვნებლივ გაჩხრიკეს და თუმც საეჭვო ვერაფერი იპოვნეს, მისი დროებით დაკავება არჩიეს. ცხრა დღის შემდეგ აჭარისწყლის სასაზღვრო პუნქტში, ნინასნარ დათქმულ უბანზე, ხასანი თურქ შესაზღვრებებს წარუდგინეს — აბა გვიჩვენეთ მონძე, რომელიც ამ კაცს ხელს დაადებსო, მაგრამ ასეთი არავინ აღმოჩნდა. მაშინ განბილებული მხარე უზადრუც ვერსიას ჩაებლაუთა — ჩვენი ოფიცერს სწორედ ეს კაცი დაემუქრა და მკვლელიც ის იქნება, ამიტომ უნდა გადმოგვევით, რომ ყველაფერი ადგილზე გაუარკვიოთო. ცხადია, ამაზე კატეგორიული უარი მიიღეს — ჩვენ უკვე დაერწმუნდით საბჭოთა მოქალაქის უდანაშაულობაში, მკვლელი თქვენთან ეძიეთო. ხასანი იქვე, ყველას დახანახად გაანთავისუფლეს ბოდიშის მოხდით.

რაკი პროვოკატორებს კოეზი ნაცარში ჩაუვარდათ, შურისგება სხვა გზით სცადეს: თაყვაბო კაცებს საიდუმლო დაუალებდა მისცეს — მამა-შვილი ცოცხალი თუ მკვდარი ხელში ჩაიგდეთ და ჩაგვაბარეთო. საფუტკრეთში საგანგებო საფარიც მოიხვეს, მაგრამ მსხვერპლი ვერაფრით ვერ მოიხელთეს. მარტო ის მოახერხეს, რომ ერთხელ ისმიალს შორიდან სწორდა აუტყვეს, მაგრამ სიბნელეში ვერ მოახვე-

დრეს, თუ არ ჩავთვლით შარვლის ტოტში გავლილ ტყვიას.

ცხადი იყო, რომ ფუტკარაძეებს ძველ კერაზე აღარ დაეფიქრებოდათ. ხელისუფალთა რჩევით, ოჯახი მშობლიური სოფლიდან აიყარა და მუდმივ საცხოვრებლად ქუეყანაში გადასახლდა. ძველი კარ-მიდამო და მიწის ნაკვეთი ხასანმა კოლმეურნეობას ჩააბარა.

საზღვარს იქით ნაშონყებულ პროვოკაციული საქმე ამით მაინც არ დამთავრებულა. ერთ-ერთ გაღმა სოფელში მოუგნიათ ფუტკარაძეების ახლო ნათესავისათვის და „პოლშვენიკებთან ურთიერთობის“ ბრალდებით მისთვის 16 წლის პატიმრობა აუკიდებიათ. სასამართლო ფარის თუმც, მომავარი დამნაშავეები“ არ ესწრებოდნენ, მომზახული საბრალდებო დასკვნის საფუძველზე ხასანს — 101 წლის, ხოლო ისმიალს 84 წლის პატიმრობა გადაუნყვიტეს დაუსწრებლად.

მტკრების ასეთმა სიძულელიმა ახალგაზრდა კაცს ნიაშვე მოგვარა — შამასადამე, თავისი ქვეყნისათვის კარგად ირჯება. რაც მთავარია, ამას ზედაფს სახალხო ხელისუფლებაც, რაკი თავის მოქალაქეებს ასე გამოესარჩლა და მხარში ამოუდგა.

მართლაც ისმიალ ფუტკარაძის ღირსებაუნარი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. თუმცა ხეირიანად წერა-კითხვა უჭირდა, პარტიული ორგანიზაცია უპარტიო ახალგაზრდას უკვე დაეალებებსაც აძლევდა, ხშირად გზავნიდნენ ხოლმე სოფლებში საზოგადოებრივი კრებების ჩასატარებლად. შესაშური უნარი აღმოაჩნდა ხალხთან გულახდილო, დამაჯერებელი საუბრისა. პრინციპულობა და გაბედულებაც არ აკლდა. მთელი აჭარისწყლის დასახლება ალაძაძეა, როცა ერთ ყოველად უდანაშაულო კაცს გამოესარჩლა საჯაროდ. გაუტყვერობით დაპატიმრებული გლეხკაცი, თურმე, გულმართლად ამტკიცებდა: დამიჯერეთ, კონტრბანდის საქმეში არასოდეს ვაჭრეულვარ, ვილაც შარს მიღებს, არ ვიცი რატომო. შემთხვევით იქ მყოფი ისმიალ ფუტკარაძე ნამომადგარა და ბათუმთან ჩამოსული ხელმძღვანელების ნინაზე გაბედულად უმხილვია ზოგერთი უპატიოსნო მუშაკი: ნამდვილ კონტრბანდისტებს ხელს აფარებენ, სამაგიეროდ პატიოსან ხალხს შარს სდებენ — ვიცი, კონტრბანდა გაქვს გადამაღული, ამა და ამ დროისათვის თუ არ მოგიტანია, დაგაპატიმრებოთ. რაკი თავისი სიპართლის დამტკიცებას ვერ ახერხებს, ასეთი კაცი იძულებული ხდება ოჯახში ძვირფასეულობა შეაგროვოს, ნამდვილი კონტრბანდისტისაგან საქონელი იყიდოს და შარის მომდებს მიუტანოსო.

გულმოცემული ხალხი ერთბაშად ალაძარაკდა. ხელისუფლების წარმომადგენლის ნაღბს ამოფარებული იქვე გამოაშკარავენ.



ერების შემდეგ ყველა ისმიალს შემოეხვია, ეხვეოდა და კაცნიდა. სამართლიანი კაცის სახელის დაჯდება ბევრს ნიშნავს და ისმიალ ფუტკარაძე მიიღო იმ კუთხეში თითოთი საჩუქრული გახდა.

მალე აჭარისწყლის ტერიტორიულ პარტორგანიზაციაში დაუძახეს — რას იტყვი, ბათუმის პარტსკოლაში რომ მიგაეღიწით სასწავლებლადო. თითქოს მის გულში ჩაეჭედო, ახალგაზრდა კაცი გრძნობდა. რომ ცხოვრება მისგან საფუძვლიანი ცოდნა-განათლების მიღებას მოითხოვდა. ოჯახიდან მამის დაღოცვა-დასტური მიიღო, საბჭოდან კი იმ დროს უვლახე უფრო თავმოსაწონი „სიღარიბის მოწმობა“:

„მძღვეთა ეს მოქ. ისმიალ ხასანის ძე ფუტკარაძეს მამაზე, რომ, ის როგორც თემ-ალმასკომის მისერ მიემბულ მოწმობიდან № 1162 ჩანს, არის უკიდურესი ღარიბი და არავითარი შემოსავალი უძრავ-მოძრავი ქონებიდან არა აქვს, რაც ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით დასტურდება“.

ასე გადაიშალა 1927 წლის შემოდგომაზე ისმიალ ფუტკარაძის წინაშე ცხოვრების ახალი ფურცელი.

ცოდნის წყურვილი

ერთი ასეთი სასწავლებელი ბათუმის ძველ უბანში მდებარეობდა. ორსართულიანი ქვის შენობას ირგვლივ, შემხვედრი ქუჩების მხრითაღ, რკინის სვეტებიანი აფორული აივანი გასდევდა.

ისმიალ ფუტკარაძე ერთი ამ ძიათაგანი იყო. ვინც სასკოლო მერხში უხერხულად ჩაჭედული, ბავშვური გულმოდგინებით ჩაკერკიტებდა წიგნებს, ხელში გაცილებით ადრე რომ უნდა ჭეროდა. პედაგოგების თავიდანვე ემაღლიერებოდნენ სწავლის დაუოკებელი წყურვილით აღსავსე ახალგაზრდას. იმ დროს კაცი, რომელიც პარტსკოლას თუ მუშტაქს დაამთავრებდა, განათლებულად ითვლებოდა და ისმიალსაც განათლებული კაცის შესაფერი სამუშაო შესთავაზეს — მოსამართლედ დაუპირეს გაგზავნა. ცივი უარი უთქვამს — მთავადიღე ისეთი ვინმე გაგზავნეთ, წელზე რევოლვერის ჩამოკიდება ოცნებად რომ აქვს გადაქცეული, მე სწავლის გაგრძელება მინდა, ცოტა კიდევ შემინყვეთ ხელიო. მუშტაქის პედაგოგიურ საბჭოს ყურად უღია მისი თხოვნა:

„ამხ. ისმიალ ფუტკარაძის შესახებ პედაგოგიურ საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს აჭარკომის წინაშე, რათა დასახელებული ამხანაგი გაგზავნილ იქნეს სასწავლებელში პირველ რიგში, როგორც ფრთხილ ნიჭიერი და ზეჯითი სტუდენტი“.

ბათუმის ძველ მკვიდრო, ალბათ უკიდურესად ახსოვთ პარტიის საოლქო კომიტეტის მამინდული პროპაგანდის განყოფილების გამგე გიორგი სხულუხია. ამ ჩინებულ ადამიანისა და კომუნისტის სახელს განსაკუთრებული მადლიერებით იგონებს ბატონი ისმიალი. როცა ჩემი სათხოვარი მოვახსენე, შევატყვე გულთან რომ მიიტანა, მაგრამ არც ის დაუნალავს — უმალღეს სასწავლებელში მისაუღიწებელი ახალგაზრდების სია კარგა ხანია დავეჭავენეთო. მაინც დაპირებია — რაკი ასე მოწადინებული ხართ, რაიმეს ვიღონებო. იმ გულმადლიან კაცს სიტყვა მართლაც შეუსრულებია. 1933 წელს ისმიალ ფუტკარაძე რამდენიმე სხვა აჭარულ ახალგაზრდასთან ერთად მოსკოვს წარგზავნეს — აღმოსავლეთის მშრომელთა კომუნისტურ უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად.

მამას შვილისთვის ჩვეული ვაკეაცური თავშეკავებით დაუღოცია გზა და ბოლოს ესეც დაუყოლებია — მთავარია შენს ხალხსა და ქვეყანას გამოაღგე, თორემ მე არაფერზე შეგანუხებ, ხელმწიფის ტოლი კაციც რომ გახდო, იცოდე, სათხოვრად კარზე არ მოგადგებიო.

— მნ წელს იცოცხლა მამამეშმა, — მეუბნება ბატონი ისმიალი. — მრავალ საცდეს მოესწრო. ალბათ ჩემი წარმატებებიც ახარებდა, თუმცა ამას გარეგნულად არაფრით ამტკუნებდა... ოდესღაც ნათქვამ დიკცისაღ, მიდხანა მისდია, მაგრამ ერთხელ მაინც გატეხა... ომის მძიმე დღეები იყო. შემოდის მდივანი და მეუბნება — მისაღებში მამათქვენი ბრძანება ვიღაც კაცთან ერთადო. მაშინვე მივხედი, სხვის საქმეზე რომ იქნებოდა მოსული. ასედაც აღმოჩნდა... საუბრის დროს წარბებს ქვეშოდან გამოწყველად გამოიხედა რამდენჯერმე, მაგრამ ნიშნის მოგება ხუმრობითაც არ ვკადრე. ამაცი კაცი იყო, არ ეწყინოს მეთქი...

მოსკოვში, მაშინ, ისმიალ ფუტკარაძე მეტად უცნაურად გამოწყობილი ჩასული. გრძელ, მოქმანდაც გზაზე, მატარებელში მიმდობ, გამოუცდელ ახალგაზრდას სიფხიზლემ უღლატა თურმე და ხელმწიფით სულ გაუცლიათ. თითოეით შიშვლად დარჩენილისათვის მომავალ სტუდენტებს არცთუ ისე მდიდარი გარდერობიდან გაუღიათ თითო რაღაც და ისევ შეუღოსიათ.

ყველაზე მეტი საფიქრალი მაინც უნივერსიტეტში პირველი გასაუბრების შემდეგ გასჩენია: მისთვის პირდაპირ, დაუფარავად უთქვამთ — კარგია, ასეთი შუამდგომლობითა და დახასიათებით რომ მოხვედით, მაგრამ შენი რუსულით ჩვენიან როგორ გინდა ისწავლო, დღეში, სულ ცოტა, 70-80 გვერდი მასა.

ლის წაკითხვა-დათმობაზედა მოგონებება, პროგრამას ვერ დაძლევა.

ნებისყოფამ და სიბეჯითემ მაინც თავისი გაიტანა. აჭარიდან ჩამოსული ტანმალალი სტუდენტის სახელი მალე ყველას პირზე ეკერა, მას მიაგალითად სახავდნენ. იმ დროს „შრომითი სემესტრი“ ცნება ჯერ კიდევ არ არსებობდა, სწავლა აუცილებლად მუშაობას... თან შეთავსებას გულისხმობდა. მთელი ქვეყანა ხარაზობებში იჯდა. კომუნისტური უნივერსიტეტის მსმენელები მოსკოვის ყველაზე საამაყო შრომით უბანზე — მეტროპოლიტენის მშენებლობაზე იღვროდნენ.

ისმაილ ფუტყარაძეს პირად არქივში აქამდე შემორჩენია მეტრომშენებელთა მრავალტრაბიანი გაზეთის რამდენიმე ნიმუში. დღეს შეუძლებელია ღიმილი არ მოგვყაროთ ამ გაზეთში დაბეჭდილი მასალების ლიტერატურულმა დონემ. პათეტურობამ და გულუბრყვილო მსჯელობებმა. მაგრამ საამოვ გამოცნობ რწმენით ანთებული ადამიანების შინაგანი მგზნებარება. რა პირდაპირობა და პიროვნებობაა, როგორი შეურიგებლობა დიდი თუ მცირე ნაკლოვანებებისადმი!

ჩემი უურადლება მიიქცია მშენებლობაზე მომუშავეთა გვარებმა, რომლებიც უკლებლივ მსხვილი შრიფტითაა გამოყოფილი. თვალუნვდენელი ქვეყნის რომელი მხარის ან თუ კუთხის შვილი არ მოსულა აქ, სადგურ „კუზნეცი მისტი“ ამ ერთ სამშენებლო უბანზე: კონდაკოვი, დავითაძე, ბონდარი, ისკანდეროვი, შუსტერი, ალიშხაძე, გრიგორიანი, სარიჩევი, რაშიდოვი. შვერუკი, ჯანგულიანი, თიბილოვი...

ახალგაზრდა კომუნისტი აგიტატორი ისმაილ ფუტყარაძე უკვე თავის გამოცდილებაზე წერს. კაცო, რომელიც ერთი წლის წინათ ორ ლერ რუსულს ძლივს აბამდა, მეტრომშენებელთა ბრიგადის სული და გული გამხდარა, სხვადასხვა ერის შვილებს ყველასათვის საერთო, გასაგებ ენაზე — ლენინის ენაზე ესაუბრება.

ბევრი რამ მისცა მოსკოვში გატარებულმა წლებმა აჭარელ ახალგაზრდა კაცს. მთავარი მაინც იყო ცოდნა და შემოქმედება მეგობართა საკმაოდ ფართო წრისა თვალუნვდენელი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში.

თავისი ცხოვრების მეგობარიც მაშინ შეიძინა.

მოსკოვის ყველა ჭიშკარი ფართოდ გაიღო საბჭოეთის დიდი თუ მცირე ერების შვილთათვის. ენებისა და ტანსაცმლის ასეთი სიჭრელე მარტო ბაბილონის ლეგენდის მიხედვით თუ სმენოდა კაცობრიობას. მაგრამ ენობრივმა აღრევამ ძველ ბაბილონელებს ხელი შეუშალა ბოლომდე მიეყვანათ საოცნებო გოდოლის აგება, ამჯერად კი სხვადასხვა ენი-

ზე მოლაპარაკე ადამიანები ერთმანეთს შეხვედნენ და საერთო საქმესაც კარგად აკეთებდნენ.

ეს სულსიკვთება, ძმურად შეკავშირებული ერების ერთიანობისა და ურთიერთსიყვარულისა, უპირველესად ახალგაზრდობის გულში იბადებოდა და ღვივდებოდა. ჩვეულებრივი გახდა მეგობრული შეხვედრები, გაცნობა-დაახლოება. სწორედ ერთ-ერთ ასეთ სტუდენტურ შეხვედრაზე გაიცნო ისმაილ ფუტყარაძემ მომხიბვლელი გარეგნობის, ტანმალალი ტაგანროგელი ქალიშვილი.

ასეთ რამეზე ლაპარაკი მამაკაცებს საზოგადოებ უჭირთ და სოფიო იაკობის ასულიც, უტყუარი ქალური აღღოთი, დროზე ებმება საუბარში:

— ჩვენი გაცნობა-დაახლოება მოულოდნელად და სწრაფად მოხდა: ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები შევიდი ნოემბრის დღესასწაულზე მიგვიწვიეს კომუნისტურ უნივერსიტეტში. ჩემი პატივცემული მომავალი მეუღლე პრეზიდიუმში იჯდა. ვიგრძენი, მისი მზერა რომ მიტრიალებდა, მაგრამ ქალი რისი ქალია, არ ვიჩქნებდი... თან გულში ვფიქრობ — ძალიან მჭირდება ეგ ვიღაც კავკასიელი, ჯიბეები ალბათ სულ იარაღებით ექნება გამოტენილი... მაშინ კავკასიელებზე ასეთი წარმოდგენა გქონდა და რა დასამაღია, შევუღლავებიანებს ძალიანაც ვუფრთხობდი... მუსიკა რომ გახერხდა, მომიხსლოვდა და საცუკავად გამიწვია... ვხედავ, სიმპათიური, მორიდებული ახალგაზრდა კაცია. მომწონა მისი სიღინჯე, კარგი ტემპრის თბილი ხმა... როგორღაც ერთბაშად ნდობით განვეწყვე...

— რა ვიცი, მაშინ ძალიან კი დაიფასე თავი, უარზე იყავი, — გულკეთილად იღიშება ბატონი ისმაილი და აგრძელებს. — ერთი სიტყვით, შევუღლადით... ის დღე სტუდენტურად, უბრალოდ აღვნიშნეთ... ამასობაში უნივერსიტეტიც დაემათავრე. შინ დაბრუნების დროც მოახლოვდა, მაგრამ თითქოს რაღაც გულზე მანებებ... რა დასამაღია, იმ დროს აჭარელის ოჯახში უცხო ეროვნების ქალს კი არა საქართველოს სხვა კუთხის რძალს ვერ შეიყვანდი... ავდეკი და მამარემს მივწერე გულუბრყვილად — ასე და ასე, აქაური ქალი შევირთე, თუ მიმიღებ, ჩამოვალ, თუ არა — შუა აზიაში ან შორეულ აღმოსავლეთში წავალთ სამუშაოდ და საცხოვრებლად-მეთქი... ჩამოდიო, შემომითვალო.

ქალბატონ სოფიოს ჭროლა თვალეში ხალისიანად აუკაფდა:

— ისმაილმა, რა თქმა უნდა, წინასწარ შემამხადა, ამიხსნა თავისი კუთხის თავისებურებანი, ადათ-წესები... ძალიან მეწადა ახალითესაობას მოეწონებოდი და ცდას არ ვაკლებდი, მაგრამ დახუთ ჩემს წინდაუხედაობას...

მანქანიდან გადამოვიდეთ თუ არა, სოფლის უჩვეულო სიღამაზემ ისე ამიტაცა, რომ ისმართალს აღარ დავულოდე, წინ გავქანდი... უცებ ვიგრძენი, რომ მთელი სოფელი როგორღაც გაკვირვებთ, თითქოს გამკილაგად შემომცქეროდნენ... ახა საიდან უნდა მცოდნოდა, აჭარაში ქალს მამაკაცზე წინ ფეხის ნაფეხი რომ ეძრახებოდა... ასე იყო ეს ამბავი... მას შემდეგ, ღმერთო ჩემო, როგორ შეიცვალა ყველაფერი!

— მართლაც! — უდასტურებს ბატონი ისმართალი.

მოდვეთუბის პირველი ნაბიჯები

პარტიის საოლქო კომიტეტში ისმართალ ფუტკარაძეს არჩევანი შესთავაზეს: გინდ ხულოტი გაგიშვებთ რაიკომის მეორე მდივნად, გინდ ქვედაში — რაიადმსაკომის თავმჯდომარედ. მისი პასუხი ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა: უფრო დაგიმადლებთ, თუ რომელიმე შეიძენიან სკოლაში გამგზავნით, უმაღლესადამთავრებულის დიპლომი კი მაქვს, მაგრამ ვგრძნობ ჩემს ცოდნას შეესება კიდევ რომ ჭირდებაო. არც ეს დაუმაღლავს — არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიო მუღლესაც, რაც არ უნდა იყოს ჯერ უცხოა, მთაში, სავსებით უცნობი ადამიანების გარემოცვაში გაუჭირდება, ღერი ქართული არ იცისო.

რამდენიმე დღის შემდეგ დაიბარეს და უთხრეს — „აჭარაჭარობის“ მმართველად წასვლაზე რას იტყობდი. შემებარმა ვერაფერიც ვერ თქვა, რადგან ვაჭრობის არაფერი გავგებოდა. უსიტყვოდ მიუხედავნი — ეგ ჩვენი ვიცო, მაგრამ ქსელში საკმაოდ მოხშირდა გაფლანგვა-დატაცება, მმართველად სწორედ თქვენისთანა კაცი გვჭირდება, რამდენიმე სანდო სპეციალისტსაც დაგახმართო. უარის თქმა აღარ ეგებოდა. მხოლოდ ეს ითხოვა — სანამ მუშაობას შეუდგებოდე, სრული რვეინა ჩატარდესო. ბევრი უმსგავსება გამოიჩინებოდა, რამდენიმე კაცი პასუხისმგებელიც მისცეს. ახალი მმართველი სასამართლო პროცესს საგანგებოდ ესწრებოდა — სურდა ცოდნოდა გამფლანგველ-დამტაცებლები რა მეთოდებითა და ხერხებით მოქმედებდნენ. თავიდანვე მიხვდა, რომ მათი ერთ-ერთი ნაცადი იარაღი იყო ნაცნობ-ნათესაობის გრძობებზე თამაში.

— მორიგ სხდომაზე რომ მივედი, სასამართლო კარებთან შეგკუთვალ ხალხს ერთი ნაცნობი გამოეყო და საკმაოდ ფაშლიარული ტონით, ყველას გასაგონად შეუბნება: იმდენი მანეთი გაფლანგული არაა, რამდენი კაციც საბრალდებო სკამზე ზის, ხომ მართლად ვამბობ ჩემო ისმართალი. პირველად ცოტა დაეუბნე. მაგრამ მაშინვე მიეხვდი, რომ გაქნი-

ლი კაცის ხრიკი იყო, უნდოდა ახალი შეეხებოდა, შეხედეთ, ამ კაცთან რამდენად ახლოსა ვარ და თანამიგრძობის კიდევო. ჩვენი საქმისა ჩვენ ვიცით, ეგ მოსაზრება პროცესის ბოლომდე თქვენთვის შეინახეთ-მეთქი, ვუთხარი ცნავე და დაბრაზში შევდი... ამღერულ წყალში თევზის დაჭერის მოსურნენი, მდგომარეობის საკმაოდ იყვნენ ირგვლივ. საქმეში ჯერაც გამოუცდელ კაცს დიდი დაკვირვება და წინდახედულება მართებდა, რომ ვინმეს არ გაეცურებინა, გაუგებრობის მსხვერპლი არ გამხდარიყო... სამწუხაროდ, ასეთ გაუგებრობებს არცთუ ისე იშვითად თანამდებობებზე ამოტივტივებული უპატიოსნო კარიერისტებიც ქმნიდნენ...

ჩემი თანამოსაუბრე წუთით ჩაფიქრდა და შემდეგ განაცხადა:

— ახლა ჩემს თავს ვეთათბირებოდი — ღირს ამაზე ლაპარაკი თუ არა-მეთქი... აღბათ ღირს, რაკი ჩემი პატარა ცხოვრების ამბავის წიგნად შევერა უნებებიათ... ვინ იცის, ჩემი გამოცდილება ახალგაზრდებს რამეში გამოადგეთ... იმას მოგახსენებდით, ჩვენს დაწესებულებას ერთი გაუღუნიანი ხელმძღვანელი კურატორობდა, რომელსაც თავი ძალიან მოჰქონდა ძველი დამსახურებით. თავმოსანმონებელი წარსული, მგონი, მართლაც ჰქონდა, მაგრამ, რათ გინდათ, ცხოვრებასაც საკმაოდ ჩამორჩენოდა. ზედმეტად პატივმოყვარე იყო, მიაჩნდა, რომ მისი ღვანელი კიდევ არ იყო სათანადოდ დაფასებული, მეტ თანამდებობას იმსახურებდა. თვითდაჯერებულიც იყო ნამდენი, ყველა ხელქვეითის მსვერზე უნდა ევლო სიტყვის შეუბრუნებლად... არადა დიდ ქტუას მიიწვია და მიიწვი ვერ ვატყობდი. ერთი ფუშრუკლა კაცი იყო, სავარძელი რგებოდა და ესა... თავისთან რომ გამოიძახებოდა, სკამის შეთავაზება ავიწყებოდა, გაბღენძილი გელაპარაკებოდათ. ისე, სიტყვის მასალად, გკითხავდა — როგორ არის საქმეო, ყურს კი არც გიგდებდა. ერთ-ერთი საუბრის ბოლოს, ვითომდა ხუმრობით, „რჩევას“ მიძლევს — თუ გინდა შენთან ყველაფერი რიგზე იყოს, სამმართველო აპარატიდან ასეთი და ასეთი დაბოლოების გვარის მქონე ხალხი დაითხოვე, ამისთვის რამდენიმე დღეს გაძლევო... გულს ვეღარ მოვერიე და მკვახედ უუთხარი — ასეთა რამ ჩემთვის არც მუშაგაში უსწავლებიათ, არც უნივერსიტეტში-მეთქი... ხალხშიც არ გამიგია... შენი რჩევის მიხედვით, გამოდის, დღესვე უნდა გაევაგლო მთავარი ეკონომისტი, რაკი მისი გვარი არც „შეიღზე“ მთავრდება და არც „ძეზე“-მეთქი. არადა, ვიცო, საქმის ეროგული სპეციალისტია, კაცური კაცი. სიხშირიდან რომ გამოიყვანო და რაიმე კითხო თავისი საქმისა, პასუხს პირდაპირ თავში ჩაგიდებს, ისეთია. მი-

რჩენია მე თვითონ ნავიდე, ვიდრე თქვენი მითითება შევასრულო-მეთქი... შევატყვე სობრაზით გაიბერა, მაგრამ კრინტი აღარ დაუძრავს... წყნა გულში რომ ჩაიხვია, ამაში მალე დაერწმუნდი. კვირა არ იყო გასული, ისევე მიბარებს. ერთი ძველი, ფხალო მანქანა მყავდა, ეშმაკად, იმით მივედი... მისი კაბინეტიდან მალე ისე გამოვედი, ვერ გავიგე რა უნდოდა. მანქანის კარი რომ გამოვადე ვხედავ, საეარძელზე ვილაც უცნობი გადათხლარშულა თავხედურად. პაპიროსი სახეში მომბოლოა და მუღბნება — შენი მანქანა მობილიზებულია და მე უნდა ნავიყვანო, განა „ხაზინის“ არაფერი უთქვამსო?!. არა უშავს, უკან ფეხით წადიო... ფეხით ჩემზე მეტი ვის უვლია, მაგრამ ვხედავ აქ სულ სხვა ამბავია... უკანვე შევბრუნდი და კომენდატურიდან პარტიის საოლქო კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივანს იოსებ კოჭლამაზაშვილს დავურევ — ჩემს თავმებალობაში, მგონი, დევნი არ გეპარება, მაგრამ თავხედურ მოპყრობას არავისგან არ მოვითმენ-მეთქი... იოსები გამოცდილი, ადლოიანი ხელმძღვანელი იყო და დამამშვიდა — თუ გინდა, ახლავ ჩემს მანქანას გამოგვზავნი, ოღონდ მაგ კაცს არ აყვე, რაიმე პროუკაიცაზე არ წამოგაგონო... სულ მალე, იმხანად შექმნილი აჭარის ასს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ რომ დამინიშნეს და პირველად ახალ სამსახურში გამოცხადდო, ვხედავ, ის კაცი მოსადედელო ზის, აშკარად ფერდაკარგული, საქციელნამხდარი... კაბინეტში მივიპოტივე. ავანკალეული მუღბნება — მაპატიეთ, მაშინდელი ამბავი სულნავ ჩემი სურვილით არ მომხდარაო... ჩემს თვალში სულ დაკარგა ღირსება, მაგრამ რაც შეიძლებოდა დავამშვიდე — ჩემგან ცუდი არაფერი შეგხვდებათ-მეთქი...

მართლაც ბევრი განუკითხაობა მოხდა იმ პერიოდში ასეთი სულმდაბალი ადამიანებისა და რაღაცაზე ნანყენ-გაბორტებული კარიერისტების მეოხებით. მრავალი უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლა განუკითხაობას. მაგრამ პარტიამ მოსაკვეთი მტკიცე ხელით მოკვეთა, ტყუილარტებს თავისი უფლებები აღუდგინა. ცხოვრება შეუძლებელია სიყვითისა და სამართლიანობის გზით არ მიდიოდეს.

ცხომრება „სიბრძნის ნიბნის“ მიხედვით

ისმოდ ფუტკარაძის საოჯახო არქივში ინახება ერთი საერთო რვეული, რომელსაც შეიძლება თავისებური „სიბრძნის ნიბნი“ დავარქვათ. ამ გაცვითლებულ რვეულს რომ ვფურცლავდი, ჩემი ყურადღება მიიპყრო არა იმდენად ცნობილი მოაზროვნეების ნიბნები-

დან ამონერილმა ციტატებმა, „მრავალ რვეულს თვის საესებით უცნობი ადამიანების გამონათქვამებმა, ხალხში გავგონილმა ანდაზებმა, სხარტულებმა. ყოველ მითგანს, ჩვეულებრივ, მინერული აქვს: „ბეშუმის. ი. ნაკაშიძე. უშხო... თელი“... „ხიხაძირი. ი. გაბაიძისაგან გავგონილი“... „ჭირუხი. ნ. გათენაძე“... „წონიარისელ ო. თავდგირიძის ნათქვამი“... „აჭარისწყალი. ხ. დავითაძისაგან ჩანერილი“ და ა. შ. სრულიად უბრალო, ზოგჯერ სასკოლო განათლებას მოკლებულ ადამიანებს, თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილება თუ დაკვირვება საოცრად ზუსტი, ტყეადი სიტყვებით გამოუხატავთ.

ისმაილ ფუტკარაძეს ყოველთვის კარგად ესმოდა ამ ხალხის ენა და სიბრძნე, რადგანაც ბუნებით თავდაც აქეთკენ მიდრეკილი გონების პატრონი გახლავთ. კაცმა რომ თქვას, თანმიმდევრული, სისტემატიზირებული განათლება მას არც მიუღია, ნერა-კითხვის უცოდინარობიდან ცოდნის უფრო მაღალ საფეხურებზე გადასვლა ხშირად ნახტომებით უხდებოდათ მისი თაობისა და ბიოგრაფიის ადამიანებს, რასაც, ვასაგები მიზეზების გამო, გარკვეული ხარვეზებიც ახლდა. ისმაილ ფუტკარაძის ბედნიერება ალბათ იმაშია, რომ მას ესმოდა თავისი ცოდნის ამგვარი ხასიათი და ყოველთვის ესწრაფოდა მის შევება-გამდიდრებას. თავიდანვე ისეთი დიდი საზოგადოებრივი ტვირთი დააკისრა ცხოვრებამ, რომ ყოველდღიურად ნიგნებში ჩაღრმავების იმედიტ ვერ იქნებოდა, ამიტომ თვალი და ყური გაიზიხვია, ყველაზე დიდ მასწავლებელსა და მრჩეველს — ხალხს, მის გამოცდილებასა და სიბრძნეს მიენდო.

— ჩვენს ძველებს უთქვამთ, ტყუა რომ დაიკარგოს, მთაში მოიძიეთო... რატომ მარტო მთაში... მთა და ბარი რამ გაყო!... ხალხი ყველგანაა, ტყუის საღაროს ის ქმნის და ინახავს, — ასეთი კომენტარით ამთავრებს ჩემი თანამოსაუბრე ამ რვეულის გარშემო სჯაბაას.

ვიცი და მჯერა, რომ ამ დარბაისელ კაცს არასოდეს დამუტკრებია ხალხისაგან მონყვეტის, მისგან ვაუცხოების საფრთხე. ცნობილია, რომ მის სამსახურებრივ მანქანაში თაენისუფალ საეარძელს იშვიათად ნახავდით. განსაკუთრებით ესწრაფოდა უბრალო მშრომელი ადამიანების დამგზავრებას და მათთან გულგახსნილ საუბარს. ამის გემო და სარგებლიანობა თავიდანვე პქონდა გაგებულ:

— მთავრობის თავმჯდომარედ რომ დამინიშნეს, თითქმის კაბინეტის ტყვე შევიქნენ, ადრინდელ ტემ სიხარულს მანიჭებდა ადგილებზე გასვლა... იმ საღამოს ხულოს გზას დავადექი. აჭარისწყალს რომ გავცილდი, ვხედავ ერთი კაცი დინჯად მიყვება აღმართს,



ზურგზე ძველი გახეხილი გუდა მოუკიდია. გარეგნობაზე შეკატყე ზემოთური რომ იყო და ნინ გრძელი მანძილი ედო. შოფერს ვუთხარი — მანქანა გააჩერე და გასძახე-მეთქი... უცნობმა ერთი ამოგვხედა და გზა განაგრძო. მეორედაც რომ შეხვხიანა და ვითომც არ გაუგონიაო, მაშინ მე გაეძახე ხმაშიაღლა — კაცო, არ გესმის? მოდი, მანქანაში ჩაჯექი-მეთქი. უნდობლად მომხიქვერდა და მიპასუხა — მაგით ზაბითები დადიან, ჩემთვის არ არის გაჩენილიო. გამეცინა: რომელი დიდი კაცი-ხაბითი მნახე, შენსავით გლუხკაცის შვილი ვარ და ახლაც გლუხკაცებში ვწერივარ-მეთქი... შორიდებით მომიახლოვდა, მაგრამ სალუქ ტყავადაკრულ საგარძლებს რომ გადახედა, შეყოყმანდა. მაშინ ხელი ჩავაფე და გვერდზე მოვისვი... ვხედავ, ადგილს ვერ პოულობს, უხერხულად წრიალებს, უაზროდ საკუთარ ქალამნებს დასწერებია. ლაპარაკში რომ ავიყოლიო, ადრინდელი კიხევა გაუშვიორე — თავიდანვე რატომ არ ჩაჯექი, ამდენი რომ გკახევენინე-მეთქი... რაფრა, ყროლი ქალამნებით?.. ვუბნები — ისე ქალამნებში ვარ გახარულიო, ყოფილთვის მიც არ მცნობროცა დახმებოდა, თანამებთ გამოვლევდავდი და იოლას გავდიოდი. ჩირუხიდან კახაბრის ველამდე მხარზე მქონდა გადაკიდებული, მარტო ბათუმში შესვლის წინ ჩავიცვამდი... საუბრის თემას ნელ-ნელა ვცვლიდი... მარტოხელა გლხი აღმოჩნდა, კოლექტივის მიმართ უნდობლად განწყობილი... არც საქვევრო ამბებისა ვაეგებოდა არაფერი, თითქოს ყურიდან ახლახან ყოფილიყო ამოსუ-ლი... ამ უზო-უყულო მთებში ისედაც ქვეყანასა ხარ მოწყვეტილი, კიდეც მარტოდ ყოფნა გინდა-მეთქი?.. კოლექტივში შესვლას არავინ დაგაძალებს, მაგრამ კანტორაში ასვლას და ხალხში გაიწვას წინ რაღა უდგება, დუნიის ამბებს მაინც გაიგებ-მეთქი... ენა რომ ამოიღგა, საინტერესო კაცი აღმოჩნდა, ერთბაშად ჩაენედი გლუხობის იმ ნაწილის განწყობილებას. კოლექტივისკენ ჯერ კიდეც რომ არ შემობრუნებულიყო... ჩააკომის მიდივანს მისი სახელი და გვარი ჩავანიშნინე, ხელსაქრავი კაცი არ არის, ზოგჯერ მოიკითხე-მეთქი... შენედეგ გავიგე, კოლექტივში საკუთარი ნებით შესულა... არ ვიტყვი, რომ ეს ჩემი დამახურება იყო, მაგრამ მაინც მგონია, რომ მის გულში უნდობლობის ყინული მაშინ გადნა პირველად... ხალხი გულთამილია!

ამ ქვეშაირების დასტურად თვით ისმიალ ფუტკარაძის ცხოვრების მაგალითი გამოვდგებო-და. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის მისაღე-ბი თავიდანვე ხალხმრავალი იყო, რადგან მისი კაბინეტის კარი არასოდეს ყოფილა დახშული მომსვლელ-მთხოვნელებისათვის. შორეული სოფლებიდან ხშირად ისეთ წვრილმანზე მო-

ადგებოდნენ ხოლმე, გაგვიკრძალებდნენ. ლიან დიდი მოთმენა, თანდაყოლილი ტაქტი-იყო საჭირო თავი შეგკავებინა და არ გეთ-ქვა — შე კაი კაცო, ასეთი რამისთვის მე რას მინუხებდიო. ზოგერთი, შესაძლებელია ასე-დაც მოქცეულიყო. მაგრამ არა ისმიალ ფუტ-კარაძე.

— არ შემოდია ერთი მთხოვნელი თქვენ-თანაც არ გავიხსენო, — ამბობს ბატონი ის-მიალი. — ერთხელ მდივანი შემოდის და შე-წუხებული სახით მახსენებს — ვილაც სოფ-ლელი კაცი გელოდებათ, მარლისათვის მო-სულა. რამდენჯერმე აუხსენი. ვისთანაც უნ-და მივიდეს, მაგრამ დაურჩებია — არა, მა-ინცდა და მაინც თავმჯდომარესთან მიიდა, სხვა რაღაცაც მაქვს სათქმელიო... შემოვი-დეს-მეთქი... შეხედე, ძალიან ნაენობი სახეა. გონება დავაძებ და ბოლოს გამახსენდა... ეს ხომ იმ ოდასახლის პატრონია, პატრონისას კენჭების სროლით რომ შევანუხე... არ შევიმ-ჩნიე, აბა თვითონ თუ შემახსენებს, რაკი რა-ღაც სათხოვარზე მოსულა-მეთქი... არა, არ იკადრა!.. ისეც მე მოვკარე... მო, რაღაც მახ-სოვს ამის მსგავსი ამბავო... ბავშვობიდან გულში ჩარჩენილი პატივისცემა ერთბაშად კიდეც უფრო გაბევრდა... რაზე შეწუხებულ-ხარ-მეთქი... ერთი ნახევარი ფუთი მარლი მიიდა და უნდა დამეხმაროო... ეს თხოვნა სულაც არ მომჩვენებია უცნაურად. ომის ნლები იყო და გლუხკაცისათვის მარლი ბევრს ნიშნავდა. „აჭარკოპკავშირის“ თავმჯ-დომარეს პირადად დაეურევე, შოფერს კი და-ვავეალე — დღეს ამ თიაკაცის განკარგულებ-ში იქნები, ყველა საქმეს რომ მოათავებს, თა-ვის სოფელში აიფან-მეთქი... შენუხდა მაგ-რამ როგორ?.. არა, ბატონო, ჩემს სახლადმი ვანქანა ვერ ავა, ისედაც დიდი მადლობელი ვარ, ჩემთვის ძალიან გაისარჯეთო, კაბინეტი-დან რომ გადიოდა, კარებთან მეუბნება — ერთი ფუთი მარლი გლუხკაცითვინ განძია, მაგრამ ჩემთვის ყელაზე დიდი სიხარულია, ბაღვობის დროინდელი ამბავი რომ არ დაგ-ვინწყნია... ამ ხნის კაცი ვარ და ჯერ ბავშვის-თვის ხელი არ გამირტყამა. არც ჩემი ბიჭე-ბისთვის, ახლა რომ ფრონტზე ბრძოლობენ... რომ დამერტყა, მარჯვენა ხომ გამიხმებოდა ახლა. — ჩემი თანამოსაუბრე ფართოდ, გულ-კეთილად იღიმიება. — აი, რამოდენა სიკეთე დულს უბრალო ხალხის გულში... ეს განსაკუ-თრებით ომის ნლებში გამოვლინდა.

მართლაც! მანამდე არც თუ ისე ხალხმრავალ, მყუდ-რო ბათუმს ერთბაშად მოაწყდნენ ევაკური-ბულნი. ყირიმის ქალაქებისა და ნაწადაგურე-ბის დროებით მტრის ხელში გადასვლის შემ-დეგ ხომ სულაც აფორიაქებულ სკას დაემს-გავსა. უპირველესი საზრუნავი გახდა ზუდე-

მოშლილთათვის თავშესაფრის მიჩენა. ყველა მანამდე გამოუყენებელი შენობა თუ ბარაკი დაკავებული აღმოჩნდა. ისმაილ ფუტყარაძის მითითებით, ღია ცისქვეშ დარჩენილი მებღავურთა სასტუმრო „მორიაკში“ ჩაასახლეს. მაგრამ მთავრობის თავმჯდომარეს მოუხდა განკარგულება გაეუქმებინა: მოსკოვიდან, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკიდან მოვიდა დასაიდუმლოებული ბრძანება — სასტუმრო შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდლობის განკარგულებაშია გადაცემული, ბრძოლადან ბრძოლამდე საომარი ზომადღებისა და წყალქვეშა ნაგებობის მეთაურთა შემადგენლობის დასასვენებლად.

ვეაკურიტულთა მოწყობის კომისიის წევრებთან ერთად ისმაილ ფუტყარაძე გვიან ღამემდე დადიოდა ბათუმის უბნებში, დაქვებდა საცხოვრებლად რამდენიმე გამოსადეგ ნაგებობებს, შედიოდა ოჯახებში. მის სიტყვაზე ნეტქი ძალა პუონდა იმიტომაც, რომ მთელ ქალაქში გაერქველა ხმა — მთავრობის თავმჯდომარეს რამდენიმე ბავშვი საკუთარ ჭერქვეშ შეუფარებიაო. ეს კია, მაშინვე მითითება მიიღო სათანადო ორგანიზებთან: საომარი პერიოდის განსაკუთრებული ვითარების გათვალისწინებით, დაუშვებელია თქვენი თანამედრობისა და მდგომარეობის პირის ოჯახში უცხო ბავშვის ყოფნაო. სხვა რა გზა იყო, მოთხოვნას უნდა დამორჩილებოდა.

მთელი ქალაქი ფეხზე დადგა. როცა ახალი წლის წინა დღეებში ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა ყირიმიდან გამოხიზნული საბავშვო ბავშვის ასაკის ბავშვებთან დატვირთული გემი. მკურნე გემი, რომლითაც ამ პატარების შშობლები და ახლობლები მოდიოდნენ თურმე, ყირიმის ნაპირებთანვე ჩაუძირავთ ფაშისტების თვითმფრინავებს. ამდენი უმწურო ბავშვი რამდენიმე აღმზრდელის საქირისუფლოდ დარჩენილიყო. სხვა შესაძლებლობა აღარ აღმოჩნდა — ლტოლვილი მასწავლებლის სახლის დარბაზსა და ოთახებში დაბინავეს. მათზე მზრუნველობა ბათუმელმა დედებმა იკისრეს ქალბატონ სოფიოსთან ერთად. იგი ახლაც აღელვებული იხსენებს:

— შენობაში ერთი წიკი და დაუსრულებელი ტირილი იყო. პატარები თავიანთ დედებს უხმობდნენ გულსწემძვრელად. ვინ — მშობო, გაითხოვო, ვინ წყალ თხოვლობდა, ვინ კიდევ რას... ბერს, ამ აურზაურში, პირდაპირ სკამზე ჩასძინებოდა... გულსაკლავი საწახაობა იყო... ატირებულ-აქვითინებულნი, ბავშვებს ვეხეოდით, ვამშვიდებდით... ვის ტანსაცმელი მოქონდა მათთვის, ვის — საჭმელ-სასმელი, სათამაშოები... სტრესიდან რომ გამოგვეყვანა, მათ ბათუმელმა თანატოლებმა ხალხისიანი კონცერტი გაუშარათესა... დღეი საახალწლო ნაძვის ხე დავუდგით და გაუწყ-

ვეთ დარბაზის შუაგულში, სარკურით ჩაშლილ ვურციტ... როგორც იქნა, დამომხინდნენ და ნელ-ნელა ოჯახებში დაიხანაილეთ... აღმზრდელებს შინ სადღიო გავუმართო... უნდა გენახათ მათი სიხარული, როცა საგანგებოდ დამხმარებული ყირიმილი ჩუბურკები გამოვიტანე სუფრაზე...

საუბარში კვლავ პატივცემული ისმაილი ებმება:

— ერთი თვის შემდეგ ამ ბავშვებს ბათუმელ მოსწავლეებთან საზვიმო შეხვედრა მოეწეო. რა შედარება იყო, დაწყნარებულ-დაწყვიტულად გამოიყურებოდნენ, თუმცა თვალები ნაღვლით სჭინდით სავსე, ფრთა-ჩამოყრილ ბარტყებსა ჰგავდნენ, უდევდოდ დარჩენილთ... იმათგან ერთი ბიჭი იმ დღიდან მე და სოფას თვალიდან არ მოგვიშორებია, ყოველნივრად ხელს ვუნყოფდით... ჩვენდამი მადლიერება მოგვიანებით ლექსითაც გამოხატა... ეს ლექსი ახლა თბილისის სახლთა მეგობრობის მუზეუმის ფონდებში ინახება, ჩემგან მუზეუმისათვის გადაცემულ სხვა რელიკვიებთან ერთად. მათ შორის არის საბჭოთა კავშირის თავდაცვის ახლანდელი მინისტრის, მარშალ დ. თ. უსტინოვის ნაწუქარი სწავიერული თოფი.

სასაზღვრო რეაპუბლიკის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ყოველთვის მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობა შექონდა საბჭოთა შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებთან. 1940 წელს აჭარაში მარშალ ს. მ. ბუდინის ყოფინს შემდეგ ისმაილ ფუტყარაძეს ბოლომდე არ გაუწყვეტია მეგობრული კავშირი სამოქალაქო ომის ლეგენდარულ გმირთან... ამიერკავკასიის სამხედრო ოლქისა და სასაზღვრო ჯარების მეთაურთა შორისაც მრავლად იყო მისი პიროვნების პატივისცემელი. ასეთ ურთიერთობას კეთილი ნაყოფი გამოჰქონდა მაშინაც კი, როცა მთავრობის თავმჯდომარის თხოვნა რამდენიმე პირადული, უფრო სწორად, მოსახლეობის საქირიობებთან დაკავშირებული ყოფილა. ასე ვაკეთდა თავის დროზე, მაგალითად, აჭარის აღმართის ხიდი. საშეფო დახმარების სახით ასევე სამხედროებმა გაიყვანეს სასოფლო გზა მჭაბლისპირიდან გორგაძეთამდე, აგრეთვე ბეშუმის ადრინდელი გზის დიდი მონაკვეთი... ყველაფერი ეს მაღლიერების გრძობით აესებდა მოსახლეობის გულს სამშობლოს დამცველებისადმი, მეტ განატიას უქმნიდა სახელმწიფო საზღვრის უშიშროებას.

საზღვარი ყოველთვის საზღვარია, შეუწელებელ სიფხიზლეს მოითხოვს ადამიანებისაგან. ამასთან დაკავშირებით, ისმაილ ფუტყარაძემ ასეთი ამბავიც გაიხსენა:

— ომის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე, კრიტიკული პერიოდაა. მინისტრთა საბჭოში ვილაც

პოლკოვნიკი გამოცემადა — ყირიმის ფრონტიდან ვარ, მარშალმა ბუდიონმა გულითადად მოგვიტოხათ და ნერილიც გამომატანათ. სიამოვნებით გამოვართვი და ნავეიციხე: ფრონტის საჭიროებისათვის გთხოვთ ჩვენს წარმომადგენელს დახმაროთ ხე-ტყის დამზადების საქმეშიო. ადგილიც კია მითითებული — სასურველია ტყის მასივი ქორხოს გაღმა, ქარნალის მიდამოებში გამოყოთო. თხოვნა გასაგები იყო. მაგრამ პუნქტის მითითება რაღად დაქირდა სემიონ მიხაილოვიჩს-მეთქი. ეჭვის ხმაშიაღა გამოხატვა უზერბული იყო, მაგრამ მაინც საჭიროდ ვცნაი ზოგიერთი რამის დაზუსტება. პოლკოვნიკს ვკითხები — რა ჯრმის ხე-ტყე გჭირდებათ-მეთქი. შევატყვე, შეკითხვა მოულოდნელი აღმოჩნდა, მაგრამ ცოტადღენი ფიქრის შემდეგ მუუბნება — ნინვიანიო... ოპო, ვავიფიქრე ჩემთვის, ამ ბაართს შევდგენელმა ქარნალის ტყის მასივის არსებობა თუ იცის, ისიც უნდა უწყოდეს, რომ იქ მარტო ფოთლოვანი ტყეა... ნერილს ხელახლა გადავავე თვალი. მხოლოდ ახლა მივაქციე ყურადღება, რომ ხელმოწერა ფანქრითაა გაკეთებული. ეჭვი უფრო მომიძალა — საფრონტო ვითარებაში ნერილის მანქანაზე გადამტყდვა თუ მოხერხდა, მარშალს კალმისტარი როგორ არ აღმოაჩნდა-მეთქი... მოსულნი, ვატყობ, სკამზე აწარიაღა. არაფერი შეუკმინიე, რაც შეიძლება მშვიდად ვუთხარი — ვიდრე ქარნალში დაფრეკადე და სათანადო განკარგულებას გავეცემდე, მისაღებში დამელოდეთ-მეთქი... შემოწმება, საომარი ვითარების შესაფერისად, სწრაფად და ოპერატიულად მოხდა... ჩემი ეჭვი გამართლდა — პოლკოვნიკი და მისი თანმხლები მეორე ოფიცერიც, მისაღებში რომ ელოდებოდა, გადაცემული ჯამუშები აღმოჩნდნენ. ასეთ რისკზე იმტომ წასულანი, რომ ქარნალიდან საზღვარი ერთ ნაბიჯზეა... თანაც ჯამუშსაც გააჩნია! მათზე საგანგებო ძებნა ყოფილა თურმე გამოცხადებული...

იმის ვითარება, ბუნებრივია, ადამიანებს გაცილებით მობილნიებულს ხდის, ამკაცრებს კიდეც. მაგრამ გამოცდილებასაც ერთბაშად ანიჭებს. აჭარის მთაწარმის თავმჯდომარესაც ძალიან მოკლე დროში გამოუშუშავდა სახელმწიფო მოღვაწის უპირველესი თვისებები — აღლოიანობა, კარგსა თუ ცუდში შეუცდომლად გარკვევის, გადაწყვეტილებების სწრაფად და გაბედულად მიღების უნარი. ბევრ რაშეს იღებდა და ითვისებდა უფრო გამოცდილი ხელმძღვანელებისაგან.

ისმაილ ფუტყარაძე განსაკუთრებული მადლიერებით იხსენებს ცნობილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს. ამჟამად ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის კანდიდატ ჩარკვიანს:

— მეტად დარბაისელი, ნაპოვნი განსწავლად ადამიანი. შეუდგომისა და ხარვეზისაგან დაზღვეული ვინ არის, რომ მე ვყოფილიყავ, მაგრამ მათ არასოდეს გაგჩვიდავებდათ, ყოველთვის გარწობდით მის ნდობას, კეთილგანწყობილებას... რამდენჯერ ყოფილა, მოულოდნელად გამომიძახებდა თბილისში და პირდაპირ მეტყოდა: ამხანაგო ისმაილ, სიმათლდე მითხარი, ეს ამბავი მართლა ასეა თუ არაო... ვხედებოდი, მთლად სწორი ინფორმაცია რომ არ ჰქონდა მიღებული. ყოველთვის მისიბად სიფრთხილესა და ნინდავადულებას იჩენდა... განსაკუთრებით ევმადლიერები ერთ დიდმნიშვნელოვან საკითხში გონივრული და დროული ჩარევისათვის, რამაც თავიდან აგვააცილა მოუტევებელი შეცდომა...

ღვანლიშისილი კაცი თბილად ტაპარაკობს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნებზე, რომლებთანაც სხვადასხვა დროს უმუშავია — ალიოშა საჯიანე, იოსებ კოჭლამაზაშვილზე, მისა ბარამიაზე, გიორგი თვალჭრელიძეზე, კირილე ბეჭვაიაზე:

— განსხვავებული ხასიათი და ბუნება გააჩნდათ, მაგრამ უკლებლივ პარტიის ერთგული ჯარისკაცები, თავდადებული მუშაები და კარგი ორგანიზატორები იყვნენ... ყველაზე მეტად, გამოგიტყდებით, მაინც ალიოშა საჯიანის ევმადლიერები. ამ კაცისაგან თითქოს შუქი ასხივებდა. ერთ რამედ მისი ზრდილობა და თავზიანობა ღრდა. არ მახსოვს, მის კაბინეტში შევსულიყავი და ფეხზე არ წამომდგარიყო. მოსაჩვენებლად კი არა, ბუნებით იყო ასეთი... ერთხელ ვუთხარი კიდეც: ამხანაგო ალიოშა, ჩვენ ერთად, მგებორულად ვმუშაობთ, თქვენთან დიდ სულიერ სიახლოვეს ვგრძნობ, ამიტომ ძალიან ვწუხდები, ფეხზე წამომდგარი რომ მეგებები-მეთქი... გაციინა, მე მთავრობის თავმჯდომარეს კი არ ვუდგები ფეხზე, არამედ თანამებრძოლს. ყველაში უნდა დანიანოს და იგრძნოს, რომ ჩვენ ერთმანეთის ღირსებას ვუფრთხილდებით... სხვანაირად ნამდვილი მუშაობა ვერ წარმოიდეგენია და არც გამოვაო.

კიდეც ერთ ხელმძღვანელზე ვკითხე შრომის ეტეტრანს — იმაზე რაღას იტყვით-მეთქი:

— ძველი ბოლშევიკი იყო, კრისტიალური პატიოსანების კაცი, ენერგიული, საქმისთვის თავდადებული, მაგრამ ჩემი დაკვირვებით, სიბრძნე აკლდა.

თანდაყოლილი სიბრძნის უქონლობა ერთადერთი აღმოჩნდა, რომელსაც ისმაილ ფუტყარაძე ხელმძღვანელ მუშაკს არსებით ნაკლებად უთვლის. სხვა მხრივ ძვირი არავინ უდაცდენია, თითო იმაზედაც კი, ვისგანაც თავის დროზე დიდი უსიამოვნება შეხვდა. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ეს ხელმძღვანელი თანამდებობიდან გაანთავისუფლეს, ისმაილმა

ილ ფუტყარაძეს შესაძლებლობა მიეცა მისთვის მდგომარეობა დაემიმბებინა, მაგრამ არ იკადრა: მაგრამ მაშინ უნდა დახვედროდი, როცა ფეხზე იდგა, ახლა რა, დრო ვუშოვოო?!

ისმოდ ფუტყარაძის სულგრძელობის ამბავი რომ მისვლია, ის პირი რამდენიმე წლის პაუზის შემდეგ პირველად მაშინ შებნინებია. ტელეფონით — შენი კაცურკაცობისათვის მადლობის გადახდა ძალიან ცოტა იქნება, მხოლოდ ერთსა გთხოვ — ძველი მეგობრული ურთიერთობა აღუადგინოთ. ასედაც მოხდა.

ხალხის ნიაღვრად გამოხულ ხელმძღვანელს თავიდანვე დაუფარდა კეთილი, სამართლიანი ადამიანის სახელი. ეს კარგად იცოდნენ მის გვერდით მომუშავეებმა და სრულიად უცნობმა ადამიანებმაც. ისმოდ ფუტყარაძის მიერ განხილული რამდენიმე ამბავი ცხადად გვიდასტურებს, თუ რაოდენ დიდი მადლია ხელმძღვანელი კაცისათვის სამართლიანობის გრძნობა. მისი კარნახით ამ კეთილი გულის ადამიანს არასოდეს დაუზარებია ისეთ რამეში პირადად გარკვეული, რასაც მის ადგილას სხვა ხელქვეითს გადააბარებდა, ესაო და მთავრობის თავმჯდომარეს საამისო დრო სავადა მატესო.

მამსენება:

— შინაგან საქმეთა მინისტრი მირკეას: დამნაშავეს, რომელსაც ამდენი ხანი დაჯიქვით, მგონი ერთ მალაღმთიან სოფელში მივაკლდეო. აღმოჩნდა კაცი, რომელიც ამტკიცებს — ამა და ამ სახელში იმალუბაო. სახლის პატრონი წინასწარ პატიმრობაში უნდა ავიყვანოთ და მიწა იცოდეთო... დასტურის მიცემა ძნელი არ არის, მაგრამ უკვე რამდენი შემთხვევა ვიცო, ასეთი ნათქვამი შემდეგ რომ არ დადასტურებულა და უდანაშაულო კაცი უსაფუძვლოდ შენუხებულა... არადა ის, ვისაც ვეძებდით, რაღაც დავალებით ჩანდა შემოპარული... საგანგებო შემთხვევა იყო და მიწანმწიწონილად ჩავთვალე სოფელი მემ ავსულუზავი... დავუძახეთ იმ კაცს — კი, ნამდვილია, საკუთარი თვლით ენახეთო... რამდენჯერაც არ ჩავსვით, ერთნაირ პასუხს გვაძლევს, მაგრამ გულის სიღრმეში რატომღაც არ მჯერა მისი... კარგი, წაღი-მეთქი... შემდეგ ექვმიტიანილის ვინაობა გამოვიკითხეთ დანერძილებით. ყველა პატიოსან, გამრჯე, სამშობლოს ერთგულ ადამიანად ახასიათებს, შეუძლებელია საეჭვო პირი შეეფარებინაო... მთელ სოფელში ერთადერთი მომდურავი ყოლია, სწორედ ის, ვინც ახლა ხელს ადებს... ეჭვი მოშაძალა: იქნებ სულაც შურისგებისათვის გაუზრცელა ხმა... მეორე დილით, ვხედავ, ხმის გამაზრცელბელი თავისით გამოგვეცხა-

და: უნდა მაპატიოთ, ტყუილი ვთქვით... დერი მაგის მსგავსი... აღმოვითება ვერ დაეფარე — რაც მოგივდება, შენს თავს დააბრალე-მეთქი. გალახულივით გავიდა... ნამდვილად მაქცრ სასჯელს იმსახურებდა, მაგრამ ახლა მისი წერილი ცოლ-შვილის ხვედრმა შემანუხა... ამასობაში, გარედან, ხალხის გუგუნი მესმის. აივანზე გავედი, ვხედავ, ცრუ-დასმენი თანასოფლელებს ალყაში მოუქცევიათ. ზოგიერთი მუშტუმართული მოქიწეს მისკენ. შესაძლებელია ცუდი ამბავი დატრიალდეს. ხალხს დაშოშმინება დაუწყვე: ამ კაცის დანაშაული იცით, თქვენი აღმოვითება გასაგებია, მაგრამ თვითგასამართლების უფლებას ვერ მოგცემთ... არ დაგვიწყდეთ, რომ წერილი შვილების მამა-მეთქი... მას კანონის ვინმეფიტი გვასამართლებთ, მაგრამ იმას ვერ დაგიშლით, სოფელმა თავისი აზრი გამოთქვას-მეთქი... ხალხი ბრმა შურისგებას მაინც არ აცხა — მაგისი თავი ჩვენ გვაჭყეტთ და ვიცით როგორადაც მოუვლით... თანხმობა მივეციო... უნდა გენახათ, როგორ ტიროდნენ ცალკე ცილისმწამებელი და ცალკე მისი კოლშვილი... ასეთი შემთხვევა სხვადასხვა კოლონია ხალხიც ბევრი დადის ქვეყანაზე... მართლაც რამდენი სიფრთხილედ და წინდახედულება მართებს იმას, ვისაც დანაშაულის ვითარების გამოთიება და ადამიანის ბედის გადაწყვეტა აქვს დაკისრებული...

ისმოდ ფუტყარაძე თავისი მოღვაწეობის მამძილზე იმის აუცილებლობაშიც დარწმუნებულია, რომ ადამიანის დანაშაული რელიური ვითარების გათვალისწინებითაც უნდა განიხილო, რათა დაუფიქრებულ ნამოქმედარს ხედვეტი გართულება არ მოჰყვეს. ამას, ჩვეულებრივ საქმისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომას ეწინაა.

ქვლამ მამსენება:

—ომის უძნელესი პერიოდი, პიტლერელბი სტალინგრადის კვლბებთან დგანან... ვგრძნობთ, ზურგიდანაც მტერი რომ მოგვეგომია და გვითვალთვალუბს, მომენტს ელოდება... ღრომისა და ზურგის მცენება გავრთინადა... ყველგან ერთი და იგივე სიძნელეები, პრობლემები... პარტიის ნებასა და სიტყვას ახლა მეტი უნარით უნდა მიტანა ხალხის გულამდე... ყველა, ვის სიტყვასაც ძალა და ნდობა აქვს. ადგილებზე გასული... ამჯერად ხულოს რაიონის შორეულ სოფელ ბელბებში მომინდა ასელა... მთელმა სოფელმა მოიყარა თავი კრებაზე, მაგრამ იგი, სხვა ასეთი კრებებისაგან განსხვავებით, უცნაურად დაიწყო... კრების თავმჯდომარეს დაასწრო ვიღაც ხნიერმა კაცმა, დინჯად ნამოფდა და ყველას გასაგონად განაცხადა: ნიკოლოზას დროს ჩვენ-

თან გუბერნატორი რომ ამოვიდა, იმის შემდეგ ბელღებს დიდი კაცი არ სტუმრებიაო. შემდეგ მე მომიბრუნდა და მეუბნება: გუბერნატორმა მაშინ გადასახადებისაგან განკონთავისუფლა, შენც, ალბათ, რაღაც შეღავათებს მოგვეცემო, და დაეხდა... ხალხს ერთბაშად ავუტუნდა, მაგრამ მაშინათვე დაწინარდა, როგორც კი ფეხზე წამოკვეტი... უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა... არ დაგიმალავთ. ცოტა დავიბნენ კიდეც და სიტყვას ვერ ვპოულობდი, რომ დამეწყო... ამ კაცმა საბჭოელი თითქოს პირიდან გამოიტაცა... არადა უხედავ, ყველა სულგანაბლეს მომხრეებმა... გუმანით ვგრძნობ, რომ გაუგებრობის გაფანტვა ახლა მხოლოდ ძალიან მარტალი, გულწრფელი გამოსვლით შეიძლება... და მეც იმით დავიწყე, რასაც იმ ნუთში ვფიქრობდი და ვგრძნობდი... პირველად იმ მოხუცს მიუბრუნდი: არა მგონი საქმე ისე გქონდეთ, როგორც თქვენ წარმოადგინეთ-მეთქი... დავიჯერო, რომ ბელღეთულებს სხვებზე მეტად გჭირადეთ? ჩვენმა წინაპრებმა, ალბათ, კარგად იცოდნენ რატომაც არქმევდნენ თავიანთ სოფელს ამ სახელს... რე თუ ბელღეთი მათმა შემკვიდრებმა ისე გამოაცარიელეს, რომ დახმარებას სახელმწიფოს თხოვე. ისიც ასეთ ფროს-მეთქი?.. შემდეგ ხალხს მივმართე: დაგშვებდებით ბათუმში ჩავიდე და შთაფრობას მოვახსენო — ბელღეთელები გაჭირვება უჩივიან და სოფელგარი მოვალეობისაგან განთავისუფლებას ითხოვენ-მეთქი?.. ამის თქმა და ხალხმა იხუცლა — ეგ ჩვენ არც გვიფიქრია, ერთი კაცის აზრი მთელი სოფლის აზრი სულაც არ არისო. ჩვენს მოვალეობას თუ ადრეც არ გავეტყვივართ, ახლა მით უმეტესო... თავმჯდომარე სიტყვაში გამოსვლის მსურველებს ვეღარ ამბავრებდა... მთელი კრება ისე წარმოართა, რომ მეტის თქმა არც დამჭირებია... ფუსმენდი ამ უბრალო, პატიოსან მშრომელ ხალხს და გულ სიამაყის გრძნობით ნეტებოდა. თან გონებაში ერთი კითხვა ამეკვიპტა: მოხუცს ეს გველაფერი დაუფიქრებლობით მოუვიდა თუ წინასწარგანზრახულად?.. თუ წინასწარგანზრახულად, ხალხის განწყობილება როგორ არ იყოდა, ისიც რომ ამ ადამიანების გვერდეს ცვალორნო?.. ბელღეთელთა კეთილგანწყობილებასა და აინარტლემი იმანდ დამარწმუნდა, რომ იმ ღამით არაფრით არ გამიშვს... მეორე დღეს პულკოში რომ ავედი, ამბავი დანება — ის მოხუცი ნუხელ დაამატიმირეს და ახლა შინაგან საქმეთა განყოფილებაში ზისო... შევწუხდი. რაიკომის მდივანთან და რაიონდასკომის თავმჯდომარესთან ერთად ადგილზე მივედი და განყოფილება გამგეს ჩემი შემთხვევა დაუფარავად გავუხიარე. იმ კაცის დაკავება ხალხმა შეიძლება სხვანაირად გაიგოს, მათ უფრო, რომ შთაფრობის თავმჯ-

დომარე ნუხელ მათთან ერთად ვრთავდ ში... ხალხის ნდობას კი ახლა განსაკუთრებით უნდა ვუფრთხილდებოდეთ-მეთქი... ის კაცი სოფელი ხოჯაა, მისი გამოსვლა პროვოკაციით იყო. მიზანუხი განყოფილების უფროსმა... რაიკომის მდივანმაც თქვა თავისი — ჩვენი ხალხი დღე და ღამეა შრომში ასწორებს, რომ ფრონტს დაეხმაროს, მოხუცის დაუფიქრებელი გამოსვლა მთელმა სოფელმა ერთსულოვნად დაგმო და რა საფრთხელი გვაქვს ამ დაუფრეგროსო... ახალგაზრდა ჩვენსტი არ გაჯიუტებულა. გამჭრობითმა უხიმო და გულმართლად გვითხრა — ალბათ ავტეადიო და პატიმარი მაშინვე გაათავისუფელა... მოხუცთან საუბარმა უფრო მეტად დაგვარწმუნა, რომ ცუდი განზრახვით არაფერი უთქვამს — მეც ამ მიმანწყლის შეილი ვარ, ჩემს ხალხს და ქვეყანას როგორ გააფრეგებო...

რა თქმა უნდა, იყო აშკარად მტრული მოქმედების ფაქტებიც. შენიღბული კლასობრივი მტრები ცდილობდნენ რამით გამოწვეული სიძინელები პროვოკაციულად გამოეკანებინათ ხალხში უმრავლიების გასაღვივებლად.

კიდევ ერთი ბახსინება:

— ეს მოხდა კავკასიისათვის ბრძოლის დღეებში... ყველაფერი ნობილიზებული ფრონტისათვის... მოსახლეობისათვის გამიზნულ მინოდებებში აქა-იქ გაჩნდა შეფერხებები... რაიონული ცენტრიდან მირკავენ — ერთ-ერთ საზღვრისპირა სოფელში ამ დილით რამდენიმე კაცი მოსულა სოფელსაბჭოში და განუთქვამდებია — ჩაის პლანტაციისაში სამუშაოდ მანამდე არ გავალთ, სანამ შრომადღებებზე კუთვნილ მარცვლულსა და ფულს არ მოგვეცემთო... პროვოკატორი, ვინც ამ ხალხს აცუბება, თვითონ სოფელმა ამხილა და პბლა ააეროთ კრება გვაქვს დანიშნული, იქნებ თქვენც ჩამოხვიდეთო... მაშინვე ბანკის მმართველს დაფურცე. დამიდასტურა — მაც კოლნეურებისა მართლაც გემართება 100 ათაი მანეთი და ერთ კვირაში გავისტუმრებთო. სიტყვაცა აფუხსენი და 30 ათაი მანეთი რეზერვიდან გამოვყოფინე. თან დაევადა — სანდო კაცს ჩააბარე, გამოუფული და თან ნათყვან-მეთუი... სოფელში რომ ჩავედი, კრება უკვე დანყებული იყო... ტრიბუნაზე გასულმა ორატორმა, ვითომდა ხალხის გასამთავრებლად, თავის სიტყვაში ასეთი ხუმრობაც გაურია — რაკი ფრეილი შემოგვაკლდა, უფრო თხელ-თხელი ქაედების გამოცნობაზე გადავიდეთო. ჩააბარე აშკარად არ მოწონა, მე მით უფრო, ამიტომ ცოტა გაჯიუტებულად გადავლაპარაკე — დროა დაამთავრო-მეთქი... სიტყვა მომცეს... სამარისებური სიჩუმე ჩამო-

უარდა, ყველა თვალეში მომჩერებია. მართალი გითხრათ, სულ კარგად არ ვიცი, როთი, როგორ დავინჯო. უცებ ერთი ჩველებური ნათქვამი გაიხსენდა და ის მოვიმარჯუე: ხომ გაგვიცინიათ, მგლის დატყეული კაცს დაეძინება, მშვიერს კი არაო... ამიტომაც არ მიყვირს, ზოგიერთის ასე შენუხება. მაგრამ მე წინდა გაგახსენოთ მეორე უფრო ბრინული ნათქვამიც, ჭირსა შიგან განატრებას რომ გვანაცვლის და რომელიც ჩვენს ხალხს ყოველთვის გულს ფიცარზე ჰქონია დაწერილი... განა დაგაშვებდებოდა წინაპართა ამ ანტირქვის დავინუხება?.. თუ სულ მართალი გინდათ, არც ისეთ ჭირში ხართ ჩაეარდნილი, როგორც ზოგიერთს ჰგონია... ამა გონების თვლით მივიხედვით-უხებდით და წარმოვიდგინოთ უბედურება, რაც ჩვენს ძმებს დაატყდა მტრისაგან ოკუპირების ფიცარზე მინანულები... რაღა შორს წავიდეთ. დღეს ჩემთან მიღებაზე 20-მდე ადამიანი იყო ჩანერილი, უმეტესად ევაკუირებულნი... რაკი თქვენსკენ მომჩქარებოდა, იძულებული გაუხდი ნათთან შეხვედრა გადამეფო... მაგრამ ახლაც თვალწინ მიდგას განამებული სახე უკრაინიდან გადმოხვენილი ერთი ქალი-სა, რომელსაც თან ორი მცირეწლოვანი შვილიც მოყვანა... მის სახეს რომ შევხედვ, ცოტა ხნით უკანვე შევბრუნდი... ერთი იმისთვის მოგესმინათ და თქვენს გაჭირვებაზე მერე გულაპარაკათ... რამდენი ტანჯვა-წამება გადაუტანია, რამდენი ახლობელი მიუბარებია მინისათვის საკუთარი ბულებით... ყველაფერი დააკრგა — ფეხ-მამა, ძმა, სახლ-კარი, უონება... თქვენ რა დაგვიკარგავთ ასეთი და ამის ფასი... ფეხი მშობელ მიწაზე გიდავთ, საკუთარ ოჯახებს პატრონობთ... ცოტა ხნით ხობლას მოწოდება შეგვიფერდა, ჩაის ფული დროზე ვერ მოგვცით და ამან როგორ გაგაფუჭათ ასე!.. ეს თქვენს ღირსებასა და საცეცხლს არა ჰგავს, ვიღაც პროვოკატორს აპყულისხართ ზოგიერთები და ეს კიდევ უარესი სიარცხილი-მეთქი... ბინაში ჩაფრთხა ერთი-ნათ, რომ იტყვიან, სწორედ ისეთი ამბავი შეიქნა... ხალხი უცებ აღაპარაკდა, მაგრამ როგორ... იმ რამდენიმე პანიკოროთან ჩვენ ნუ გაგვრევთ, არ ავსოლივართ და არც ავყვებითო... როცა გამოვცხადებ, ჩაის ფული ახლავ შეგიძლიათ მიიღოთ-მეთქი, უსლსწრაფობა არავის გამოუჩენია, კანტორისაკენ არავინ გაჩქარებულა. სოფელმა სულმოკლეთა საცეცხელი მკაცრად დაგმო, თავისი ღირსება მთელი ძალით გამოაჩინა.

ამბბდარი

ისმაილ ფუტკარაძე ამჟამად 80 წლის, ჯერაც ჯანგაუტებული ადამიანია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ 80 წლიდან

თითქმის 70 წრომამი. ხალხსამი დასვენებასა მსახიურში აქვს გატარებული. მან განვლო ცხოვრების რთული და სახელოვანი გზა მოჯამაგირე სოფელი ბიჭიანი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეზე. არავითხელ ყოფილა არჩეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა ორგანიზების შემადგენლობაში. მისი შრომა აღნიშნულია ლენინის, შრომის წითელი დროშის, სამაშლოს ორის, ბარისის ორდენებით, მრავალი მედალით, საბატო სიგელით. ახლახან ლენინის პარტიაში ნახევარი საუკუნის ყოფნის სამახსოვრო მედალიც გადასცეს.

ისმაილ ფუტკარაძის ცხოვრებას რომ ეცნობით, რწმუნდებით, რომ მას თავიდან ბოლომდე უცხოვრია გულმართალი კაცისა და სპეტაკი კომუნისტის მორალური პრინციპებით, თავისი მაღალი თანამდებობრივი მდგომარეობა არასოდეს გამოუყენებია ანგარებისათვის, არასოდეს გაუყოფრებულა.

კარგა ხანია ბატონი ისმაილი პენსიაზე იმყოფება. მაგრამ თავს ცხოვრებიდან მოწვევტილად ოდნურადაც არ გრძობს. იგი შეუწელებელი ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს თავისი ხალხისა და ქვეყნის ცხოვრებას, ამაყობს მიღწევებით, რომელშიც არის მისი საკუთარი წვლილიც. ხშირად ჩადის მშობლიურ აჭარაში, რათა მოინახულოს, მოიკითხოს ახლობელ-ნათესავეები, მეგობრები. ხშირად იმ დანესებულებებშიაც შეიხადავს, ხოლმე, სადაც წლების მანძილზე უმუშაოა. ყველაგან პატივისცემითა და სიყვარულით ხვდებიან. სახეიშო დღეებში ძველი თანამშრომლებისა და მეგობრებისაგან მრავლად მისდის წერილები, მილოცვები. აი, მაგალითად, რას გვასშრომის ვეტერანს მისი ყოფილი კოლეგა მატკარაილური რეზერვების მამარტოველი ხაზით სომხეთიდან — ლაზარ მანუქიანი:

„თქვენ იყავით ჩემი საუკეთესო მეგობარი და მრჩეველი. მე ყოველთვის ვგრძობდი თქვენს სიახლოვეს... თქვენ რომ ჩვენი სისტემიდან წახვედით, თითქოს დავობლდი. ეს გასაგებიცაა. ჩვენი მშორი ურთიერთობის კონველი დღეებიდანვე არ მომეპოვებია თქვენი ყურადღება და მზრუნველობა, გახარებდათ ჩემი ყოველი წარმატება და წარუმატებლობასაც მიმსუბუქებდით კეთილი რჩევით...“

ამაგდარი ადამიანის ფოსტაში შეხვედებით კოლექტიურ წერილებსაც: „ჩვენ გადავწყვიტეთ ამ ბარათით მივმართოთ ადამიანს, რომელიც მრავალი წლის მანძილზე დიდი სიყვარულით ეკიდებოდა ჩვენს კოლექტივს, ცდილობდა საუკეთესო თვისებების დაწერვას, პოულობდა ყოველი ჩვენგანის

გულის გასაღებს. ჩვენ კარგად ვხედავდით და დიდად ვაფასებდით თქვენს კრისტალურ პატოსნებას, პირდაპირობასა და გულწრფელობას, ჩვენ თქვენი სახით გვყავდა არა მარტო ხელმძღვანელი, არამედ მეგობარი, რომლისთვისაც შეგვეძლო გულის გადაშლა..."

და მაინც არ შემოძლია არ გამოვყო ერთი ვრცელი წერილი, რომელიც ეკუთვნის დღეს ჩვენშიც კარგად ცნობილ მამულიშვილს იბრაგიმ გორაძეს. ჯერ კიდევ სიტაბუკეში ეს კაცი ბედის უკუღმართობამ მშობლიურ სოფელ გორგაძეთიდან, დღევანდელი ხელვაჩაურის რაიონში რომ შედის, თურქეთში გადახვეწა. მთელი ორმოცი წელი გაატარა მან თავის ოჯახთან ერთად უცხოეთში, სადა არ იხეტიალა, კარგად ნახა და ცოდვიც, მაგრამ პატარა აჭარული სოფლისაკენ მომავალი გზა და ბილიკი ვერ გადაივიწყა. იმათ შორის, ვინც იბრაგიმ გორაძესა და მისი ხვედრის თანაზიართ მამულისაღმდეგ ერთგულების გრძნობას უღვივებდა, ისმაილ ფუტაარაძეც გახლდათ თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობითა და კაცური სახელით. 1967 წელს თურქეთიდან გამოგზავნილი ეს პირადი წერილი სამშობლოსადმი აღელვნილ ლაღაღისს ჰგავს. ამიტომ ამ ამბულელებად მართლად დოკუმენტს აქ თითქმის მთლიანად მოვიყვანთ:

„გამარჯობათ ისმაილ ბიძა!
უწინარეს ყოვლისა გისურვებთ ჯანმრთელობას და ყოველივე დაბრკოლების გადაღებისა და იმ მიზნების განხორციელებას ცხოვრებაში, რაც თქვენს კეთილ გულს აქვს დასახული ოჯახისა და მთელი სამშობლოს საკეთილდღეოდ...“

ეხლა ჩვენც თუ გვიკითხავთ, გამაღობთ მოკითხვისათვის. ჩვენ ყველანი კარგად ვართ, არცა რა გვიჭირს გარდა დედა-სამშობლოსაგან შორს ყოფნისა და მრავალი ნათესავ-მოყვრის სინატრულისა. ზამთარია და ყველანი მოცდილი ვიმყოფებით, მაგრამ მოწყენილნი, რადგან კვი ხანია სამშობლოდან წერილი არ მქონდა მიღებული. გამიტაცა ფიქრებმა. ჩემი ცხოვრება ბავშვობიდან დღემდე ერთხელ კიდევ გადავთავალირე, რომ ისრაფილმა გარედან შემოგვაძახა და თანაც მზიარული სახით ოთახში შემოსვლისთანავე — წერილი ჩამოგიტანეო ქალაქიდან, თბილისიდან არისო. მე სიხარულით აღტაცებული ნაშრობი ფეხზე-თქვენი დაწერილი ძვირფასი წერილი იყო. საჩქაროდ ჩემთვის გადავიკითხე, სანამ ხალხი მოგროვებოდა. პურზე ბიბის ქმრის გარდაცვალების ამბავმა დიდად დამალონა, მაგრამ უკვე საეყო ოთახს რომ გადავხედე, ის სამწუხარო ამბავი გამოვტოვე. წერილი რამდენჯერმე წაშაკითხვისე. აქაური ქართველები სულ აქ იყვნენ: იუსუფ ბიძა და მისი ოჯა-

ხის შემადგენლობა, დევროშ ბიძა და ყველანი ჩვენი სოფლელები. დედაჩემი ორი თვე ინვალოგინად. წერილის მოსვლის გაგონებაზე წამოვდგა, ჩვენთან შემოვიდა და რბილად დავაჯინეთ. წერილის კითხვას ხელმეორედ შეუდექი. ყველას დიდი სიხარული ემჩნეოდა სახეზე. ის ადგილი რომ ნავეკითხე, როცა იხსენებთ — ნალიასთან დაბმული დიდი ღამფურა ძალი მიცა და დედაშენმა გადამარჩინაო, იმაზე იცინა. ასე რამდენჯერ წამაკითხეს წერილი — სამშობლოს ხმები გვესმისო აქედანაც ჩანს, რომ სამშობლოს ნატვრით ვართ ათასობით ადამიანი დატანჯული...

27 წლით სამშობლოდან დამორება და სამშობლოს სინატრული ვეღარ ავიტანე და ის იყო, რომ ამ ზაფხულს ვენეცე სამშობლოს, სადაც 75 დღე დაეყავი 'ისე, რომ ეს 75 დღე ორ კვირად გამოვიდა. ამით მეგონა ცოტათი მანაც შემომიგრძობოდა ის ტანჯვა, მაგრამ პირიქით, უფრო გამძლიერდა სიყვარული სამშობლოსადმი, ყველა ნათესავ-მოყვრისადმი. ადამიანმა ისე როგორ უნდა მიატოვოს დამოდა სამშობლო, რომ დედისა და ახლობლების ნახვა არ ინდომოს. თურმე ასეთებიც არიან. ერთი ასეთი კაცი სტამბოლში შემხვდა გერმანელებთან ომის დროს ტყვედ ჩავარდნილა და თურქეთში მისულა. ქართულ გაზეთში მის დედას და ნათესავეებს ცნობა გამოუქვეყნებოდა. ეტეებდნენ. გაზეთი ამ კაცს ნაცნობებმა გადასცეს, მაგრამ იგი დედას რა გამოეხმურა, ოცი წლის ნატრული დედა არ გაახარა. მაშასადამე, ადამიანი თვალთ არ გამოიცნობა.

ჩვენ სამშობლოს მიწასა და ქვასაც მივგატრით. მაშაჩემი სულ ვერ ივიწყებდა სამშობლოს, მაგრამ ვერ მოესწრო იმ დროს, რომ დაბრუნებულიყო თავის ქვეყანაში, მის ნათესავ-მოყვრებთან. მე ამ ზაფხულს რომ ჩავედი ბათუმში, ჩხუტუნეთის ჩვენი მამულები შემოვიარე და სახლის წინა ყანაში, სადაც მამას დიდხანს უმუშავია და მისი თოხის დაურტყმელი ადგილი არ არის, იქიდან ერთი პეშვი მიწა წამოვიღე და მის საფლავს მოვყარე. ზოგიც ბაბუას საფლავს...

ბიძა! მე უკვე შეუდექი ჩემი სამშობლოში დაბრუნების საქმეს. განცხადება და ყველა საქმრო დოკუმენტი ერთად გაიგზავნა, მაგრამ ჯერჯერობით არავითარი პასუხი არ მისულა. ეს საქმე მანუხებს... მე აქაც კარგად ვარ მოწყობილი, ცხოვრებისთვის არავფერი მაკლია, მაგრამ რაც მაკლია და უმისოდ ცხოვრება რომ არ მიწნა, ეს სამშობლოა და ჩემი სისხლის ხალხთან ცხოვრება...

ძვირფასო ბიძა! კიდევ გამიტაცა ფიქრებმა და ამ უწინარეს წერილით შეგანუხეთ, თავი გატყინეთ. ერთ კვირას თქვენთან დავრჩი, მრავალი ვინმე გავიყვანი თბილისში, მრავალი

მხარე შემოვიარეთ. ბოლოს თქვენი ფაბრიკაც დავათვლიერეთ. ძალიან კმაყოფილი დავიჩინე. თქვენი ფაბრიკის დირექტორიც გავიცინი, გულკეთილი ადამიანი ჩანს და არც მავინყდებო. ჩემი გულწრფელი საღამო გადავიცით, თუ არ შევანუხობთ, დიდი პატივისცემით. აგრეთვე ვინც მოგვიცითხოს, ყველას მზურვალე საღამო გადავიცი. თქვენს ოჯახში ბიკოლას, ბიჭიკოს, ჯუმბერს, სვეტლანას და მის ზურკოს. ყველას ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და საამუშო ცხოვრებას. იმედია მომავალ წელს კიდევ გინახვლებთ ყველას. თქვენი მოგონებების შესახებ დედაჩემი დიდად მოხარულია და მადლობას გადმოგცემს, ასევე იუსუფ ბიძაც და დევიდშ ბიძიბებიც თვლიან მზურვალე საღამოს და კარჩხალის ჩივთე ფუნდარი და მრავალი სხვებიც. იმ თქვენმა მოგონებებმა დიდი სიხარული გამოიწვია. ხასანსაც უნდა უწვდინო თქვენი საღამო. აგრეთვე მის დებსაც ფადიმეს, უმიანს, შველას და ასანას ბავშვებს... ფადიმე მაშიდაც წერილით მეუბნებოდა თქვენს შესახებ. მეც — ძალიან კარგად არის მისი თბა, პაქეიც და მათი შვილები-მეტი მივწერე.

ესლა სანამ წერილს დავაბოლავებდე, მინდა გთხოვოთ ერთი რამ: გიორგი ასათიანი შარშან აქ იყო მოსული სუხიშვილის ანსამბლთან ერთად და ის სტამბოლში გავიცინი. მრავალე ქალაქი და სოფლები შემოვიარეთ... თუ არ შეწუხდეთ, ჩემი მოკითხვა გადავიცით. თუ თურქეთში ჩამოსვლა მოუხდება, ართინის ახლოს და შავშეთში ქართული ეკლესიები და ტაძრები შევისწავლე და კინოფილმებში გადაღება შეგვიძლია.

ჩემო ბიძა! ესლა ვაბოლოვებ ამ წერილს იმ იმედით, რომ ადრე ხანში გაგვახარებს თქვენი წერილი..."

ისმაილ ფუტკარაძე გახარებულია, რომ ამ ბარათის ავტორს თავისი ნაშრომებით ახლა კვლავ სამშობლოს ზეცა დაჰნათის თავზე, რომ იბრაჰიმ გორაძემ სიყარმავეში მიაცნო ახალ მოწოდებას, მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწევა და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრიც გახდა...

ბევრი, ძალიან ბევრი რამ ახარებს ისმაილ ფუტკარაძის ნაჯად გულს, მაგრამ როგორც ყოველთვის, განსაკუთრებით ამაცებს და გულმარტობს საკუთარი ოჯახის კეთილდღეობითა და ღირსებით. ამ ტკბილ ოჯახს იგი ხომ რუდუნებით აშენებდა და თვალისჩინივით უფროხილდებოდა თავის მეუღლესთან ერთად მთელი ამდენი წლების მანძილზე. ამ ოჯახში არასოდეს არაფერი შემოსულა უკანა კარებიდან, არ გატყბილა არამი ლუკმა, არავინ დახარბებია უწრომლად და იოლად მიღებულს, რამეთუ ყოველთვის ალაღი შრო-

მითა და მოუსყიდველი პატივისცემით უფლებს ვრია.

ოჯახის მამა მხოლოდ ერთხელ დაიჭირეს სიცრუეში და ისიც უწყინარი გამოდგა, საქმისათვის აუცილებელი. ბატონ ისმაილის თქმით, მისი ვაჭიშვილი დევი, შინაურობაში ბიჭიკო, ძალიან ცელქი ბავშვი ყოფილა. როცა ქალბატონ სოფიოს ვერაფერი გაუწყვია, ბოლოს და ბოლოს იურლისათვის შეუჩივლია. მამას ონავარი ცალკე გაუხშია და ეს კონფერენციალური შეხვედრა, ბოლოს, იმით დამთავრებულა, რომ ბიჭს ხელწერილი დაუნერია დამირიგებლის სახელზე — ამირიდან წესრიგს აღარ დავარღვევო... რამდენიმე წლის შემდეგ ეს ისტორიული ეპისტოლე დევის რომელიღაც წიგნში აღმოუჩენია შემთხვევით და ამაზე გულწინააღაც უცინიათ.

სუფთა ხელებითა და მზრუნველი კეთილი გულით ნაკეთებმაც კეთილი ნაყოფი გამოიღო. ისმაილ და სოფიო ფუტკარაძეებს შესანიშნავი შვილები ჰყავთ: დევი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკია, ქალიშვილი სვეტლანა კი გერმანული ენის სპეციალისტია და უცხო ენების ინსტიტუტის ლექტორი გახლავთ. როცა ოჯახს შეუქებენ, ბატონი ისმაილი აუცილებლად გეტყვით — დიდად თავს მაინც ვერ მოვიწონებ, რადგან სამშობლოს ორი შვილი გაუზარდე მხოლოდ. ჯერჯერობით ისინიც ორ-ორს ზრდიან. მცირეშვილიანობა კი, მოგეხსენებათ, აჭარაში მაინც თავმოსაწონებელი არასოდეს ყოფილა. ამიტომაც ვაქებ ჩემს ძმას მამუდს, რომელმაც მ ქალ-ვაჭი გაზარდა და ახლა გარს 30-ზე მეტი შვილიშვილი. თუ შვილთაშვილი ახვევიაო, ამიტომაც მიმინევს ყოველთვის გული ქედაქედისაკენ. ჩაჯვდები ამდენ ახალგაზრდებსა და ბავშვებში და ესარობ. სალაპარაკოს ამოდენა აუდიტორიასთან რა გამოგილევსო.

კარგი, ღირსეული ოჯახის გამართვა რომ შეძლო, ამას ბატონი ისმაილი უფრო თავისი მეუღლის დამსახურებად თვლის — ყოველთვის დაკავებულ კაცი, მისი იმედით ვიყავიო. ქალბატონ სოფიოს კი ნდობისა და იმედის გაცდლება არ ჩვევია. ცხადია, ეს კანონიერი მადლიერების გრძნობით ავსებს ოჯახის უფროსისა და მამის გულს, რაც ყოველთვის იგრძნობა მამაკაცურად თავშეკავებულ, მაგრამ რაინდულად ფაქიზ, თბილ დამოკიდებულებაში მეუღლისადმი. ამის კიდევ ერთ დადასტურება ისმაილ ფუტკარაძის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებშიც წავაწყდით: „...გაცნობის დროიდან სოფიო იაკობის ასული ჩემთვის მუდამ იყო და არის არამარტო მეუღლე და ჩემი შვილების დედა, არამედ ნამდვილი ძვირფასი და გულისხმიერი მეგობარი. ეჭვი არ არის, რომ ბოლომდე ასე იქნება“.

სწორედ ასეთ ადამიანს, ჭეშმარიტად კომუნისტური ოჯახის შემქმნელს პქონდა მორალური უფლება რამდენიმე წლის წინათ ფრნალ „საქართველოს კომუნისტისა“ და გაზეთების ფურცლებზე გამოსულიყო წერილებით ოჯახის ღირსებისა და სინწინდის დაცვის საკითხზე. ძველი კომუნისტი ჩვეული პირდაპირობითა და პირუთვნელობით გადაწვდა აქა-იქ ფეხმოკიდებულ მრავალცოლიანობასაც, როგორც ქართული ოჯახის ტრადიციებისა და ღირსებისათვის შეუფერებელს, უცხოს...

ნამდვილად ბედნიერი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ოჯახი, სადაც ტრიალებს ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის სული, პატიოსანი შრომისა და დამოკიდებულების ატმოსფერო. სწორედ ასეთი გახლავთ ისმაილ ფუტყარაძის ოჯახი.

ამ ნარკვევის გმირთან ჩემი ბოლო შეხვედრა აგვისტოს მინურულს შესდგა. მთელი ზაფხული ისმაილ ფუტყარაძემ თავის მუდმივ-

სთან ერთად მშობლიურ ზღვისპირეთში — აჭარაში გაატარა. საოცრად გაჯანსაღებული და გახალისებული მეჩვენა. როცა ამის შესახებ ვუთხარი, მიპასუხა:

— მგონი ნათქვამი მაქვს, ახალგაზრდობაში ჩვენმა მტრებმა 84 წლის პატიმრობა მომისაჯეს მეთქი... ეს წლები თითქმის ავისრულე, მაგრამ არა ისე, როგორც ეს მათ სურდათ... ეს იყო ჩვენი, საბჭოური ცხოვრებით მონიჭებული ბედნიერი ცხოვრების წლები... რამდენი რამ მოხდა ჩემს თვალწინ, რანი ეცაყეთ და რანი გაუხდით... ახლანდელ ახალგაზრდებს ამის წარმოდგენაც კი გაუჭირდებათ... არ დაგიმალავთ, კიდე მინდა ვიცოცხლო, ეუყურო ჩემს ხალხს, ჩემს ქვეყანას.

— ბატონო ისმაილ, რაკი ყველაფერი ასე კარგად აგიხდათ, იქნებ მამათქვენისათვის თავის დროზე მისჯილი ის 101 წელიწადიც მოიხადოთ ამგვარადვე...

ოთახი ივსება ღვაწლმოსილი, ამგვარი კაცის გულიანი გუგუნა სიცილით.

ახორ სალუქვაძე

წიგნი ფიცისა

კინორომანი

ალექსანდრე და სვიმონი

42.

მოდლადეთა ხელით შებღალულ ალავერდის მწუხარ სავანეს წოწრეანთი უთენია გამოერიდა. მიზნით იარა — ალაზანზე ფონი იოლად მოიძია, სათავისოსკენ მიმავალ აღმართს ცხენიც დროულად შეუყენა და ქედსგარდამხდარი თავდაღმართში დაეშვა...

შელამებისას მწირის სადგომს მიახლოებულმა კორდიდან ახლადშესულდრული, ნედლი სამარე და სამარისპირად მუხლმოყრილი ყმაწვილი ქალი შენიშნა. ჩამოქვეითდა, ცხენი დამრეცზე სადავით ჩამოატარა...

სამარისპირად მუხლმოყრილი ყმაწვილი ქალი უჩვეულოდ გარინდულიყო, მშვიდი და ფერმკრთალი ჩანდა... ფეხშიშველს ფოთლის სამოსელი ეცვა, თმა და საგულისპირე მინდვრის ჭრელ-ჭრელი ყვავილებით შეემკო, მხარზე ქედანი ესვა!...

წოწრეანთი რიდით შეყოვნდა, შორი-ახლო შედგა. იაზრა — მარტოყოფილს მიცვალებულისთვის წესიც მარტოსვე აეგო, სამარეც მარტოს გაეთხარა...

ვინ იყო?!

ვისა ჰგლოვობდა?!

წამსზეით წოწრეანთი სასწაულის მოწმე გახდა — ქალი შეიჩხა, სამარისპირის ხელი გრძნეულივით ფრთხილად გადაუსვა — სამარე მწვანით შემოსა. ააბიბინა, გაამრთელა, კვლავ მდელიოდ აქცია!..

პაპაი მონუსხულს დაემსგავსა.

ქალი წამოდგა, შემობრუნდა...

— შენა?! — ნაღვლიანად ჰკითხა წოწრეანთს.

— ვინ ხარ, ცხადი ხარ თუ მოჩვენება?! — პირჯვარი გადაისახა პაპაიმ.

— რა ვი... ეგებ ცხადი ვარ, ეგებ მოჩვენება... — ამოიოხრა ყმაწვილმა ქალმა, — მწირი დავმარხე, წოწრეანთო... გვარი დავმარხე, სიბრძნის ჭურჭელი დავმარხე... ან კი რაილა მექნა, საბრალოს?.. ჩანავლდა, ჩაქრა, ჩაილია...

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 10, 11.

— ვინა ხარ-მეთქი!..

— ნანილი ვარ, წოწრეანთო, მწირის ნანილი... ობოლი, ნაოხარზე მოთეული, ჭირმუსარაით მომკვდარი და კვლავ აღმდგარი, გაყოცხლებული... — ამ სიტყვებზე ყმაწვილი ქალი იქაურობას განერიდა, ტყეს შეეფარა...

43.

ღამეს ღღის ნათელი ქვეყნიდან გაეძევებინა. ცხვარი ფარეხად მიყრილიყო, მიჩუმებულიყო, პაპაის თერთმეტივე ვაჟი: ანდარეზი, დევდარი, გიგოლე, ბერდია, ივანე, უთუარი, მანგია, მთვრალი, ხუნჩალე, ბუჩაი და ჭერ მთლად უწვერთელი ნაბოლარა ნაყუდა საგზალს მისხდომოდნენ. ნაბდიანები ორბებსა ჰგვანდნენ. მათ შუა ცეცხლი ლაღობდა, ცეკვავდა, ქალწულივით კოხტაობდა...

მოსორებით ნანილზე შეყვარებული ვინმე ყმაწვილი მწყემსი იჯდა, ფანდღური გაემართა, მღეროდა.

იმები ყურს უგდებდნენ, შეყვარებულს სიყვითით თანაუგრძნობდნენ, ნამდვილად მისი გულისმკეთენი იყვნენ, მაგრამ დროდადრო ყბას უშტევედნენ, ბოროტად აქილიცებდნენ.

უცებ, უფროსმა მამამ, ანდარეზმა, ყურები ცქვოტა, სიბნელეს მიაყურა:

— ჩუ!.. რა ხმა ისმის, რასა ჰგავს?!

ქარის არა ჰგავს შრიალსა?

არცა ნაძერწკლის ხმასა ჰგავ,

არცა ნაღვერდლის ბრიალსა!

არცა მდინარის ჩქამსა ჰგავ,

არცა მორვეის ვრაილსა?!

არცა კლდისპირის შლასა ჰგავ,

არცა ქვიშისა ჩხრიალსა?!

არცა ნადირთა სელასა ჰგავ,

არცა ფრინველთა ფრთბილსა?!

ეგება კაცის ხმასა ჰგავ,

კაცის ვენება და ხრიალსა?..

ვინა ხარ? დამით რას დახვალ?..

ღღ... რად გაფრბი, მზიანსა?!

თუ მოყვარე ხარ, გამაჩდი! —

ჩემგან ნუ ეღო ზიანსა.

თუ არა, ვერსად წაუხვალ,
შეცხვარის დაშნას ფხიანსა!..

ძახილზე კაცი გამოჩნდა. ხოლიგა იყო, სწორედ ის ცალთვალა ხოლიგა, იუჰანთან ერთად ტყვედ რომ ჰყავდა მუსაბეკს — ანდელი მთავრის ძეს. იყო, მაგრამ ვერ იცნეს... ან კიდევ, ოცი წლის უნახავს ვინ იცნობდა?! ნათრევი ჩანდა, დაძონძილი, წვერ-გაბურძგვნილი...

— მწირი ვარ, უგზოდ დავდივარ,
ბილიკს დავეძებ მტვრიანსა.
თქვესმეტ გაზაფხულს ტყვედ ვიყავ,
ცხენის ძვალს ვხრავდი, წვიანსა!
ვერა ვხედავდი ღვთის შტქსა,
ვერცა ღვთისშობლის ციალსა!..
ჩაჯბადინს ვეღმე მსახურად,
ფებ-მოკლეს, ლომისბუქლიანსა.

პაპაის ძენი წამოიშალნენ, ტყვედ-ყოფილი ცეცხლთან მიიყვანეს...

ნაყუდამ ტიკპორა მოიზიდა, სტუმარს ნიამორის რქა აუღესო, მიაწოდა, ხოლიგამ ყანწი ჩამოართვა...

— იხარეთ, ღმერთიმე გწყალობდეთ! — დალოცა, სულმოუთქმელად გადაჰკრა და ნაარყალი სასმისი ცერა თითზე დაიწურა...

— ეგრემე გაგიჭრეთ მტერია! — დააყოლა... მერმე უღვაში შეიწმინდა, ყანწი მასპინძელს უსიტყვო მადლობით დაუბრუნა.

უთურმა მწვადი მიაწოდა...

— იამბე, კიდევ იამბე,

შენს ბედზე სხვა რა სწერია? —

მოუთმენლად შეეცეღრა ნაყუდა.

— სხვა რა გიამბოთ, ვაფებო,
წუთისოფელი ჭკელია...

თქვესმეტ გაზაფხულს ტყვე ვიყავ,
თავი არ ამიღვრია.

არც ცხადად გამიხარია,

არც სიხმარად მომიღვნია;

ცრმულით ნაბუკი თვალები,

ცრმელშივე გამიხვლია!..

ვენაცულე ჩვენსა უფალსა!

ის არის ჩემი მხსნელია...
 სიზმრად მაჩვენა სამშობლო —
 მწვანედ ბიბინებს ველია,
 ღერქად ღვივიან იანი,
 წითლად ჰვევიან ხენია...
 გამომღვიძა საბრალოს,
 თვალზე მიბრწყინავს ცრემლია;
 თუ ველარ ვნახე სამშობლო, —
 სიკვდილი ჩაღა ძნელია
 ავღუქი, გამოვიპარე,
 წინ გზა დავიდე გრძელია,
 იქითყენ გავქუევი გუმანსა,
 სითაჲ მზის ჩასახლენია...
 სამ დღეს ვიარე, სამ — ღამეს,
 ერთხელ არ დამისვენია,
 თოვლის ქვე, ვძოვე ბალახი,
 ყინულის ვხვრიბე წვენიან...
 მეოთხე დღია გათენდა —
 ესეც იღბალი ჩემია! —
 ცივმა დაქროლა ნიავმა,
 ყბას შემაყინა წვერია...
 მოდგენ და მოდგენ ნისლები,
 ღრუბლები ტყვიის ფერია.
 ჩამოიქროლეს ზევეებმა,
 მაგრა ჩამავლეს ხელია;
 ეგრე მომწყვიტეს ფერდობსა,
 ვითამ ვიყავი ლელია,
 მთის ძირას ჩამამიტანეს,
 ხვეის მაჩვენეს ფსკერია.
 ჩამოიფრინდნენ ყორნებიც,
 ფრთა ფრთას შემოატრეს, — ძნელია!
 ერთმანეთს ეტპნებიან:
 საზრდო გვაქვს გემრიელია!
 მიტყერენ მოთმინებითა,
 სიკვდილის დასტურს ელიან.
 სიმწრით დავხუტე თვალები,
 ან რაღა ვასახელია?!

ხოლივა წამით დადუმდა, სული მო-
 იბრუნა...

— დაუსბო, კიდევ დაუსბო,
 გააღბობინე ველია!

ხელი წაშკრა ანდარეზმა ნაამბობით
 გაოგნებულ ნაკუდას.

ნაკუდა ტიკტორას მიწვიდა...

— არა, მეტს ნუღა დაძინებთ,
 თქვენი კირიბე თქვენია...

ჩაყ ეხლა უნდა გიამბობინებოდნენ
 თავად ვერ დამიჯერია,
 რა კაცს გადუწყდეს იმედი,
 იქ სასწაულის ჯერია!
 მეც მომივიღია უფალმა,
 ღვთის ანგელოსი, მხსნელია!
 პირმნათი, სახეშუანი,
 შუტი ცით მონაფენია...
 მხრებზე დაპყროდნენ დალაღნი,
 მსუბუქნი, ოჭროსფერია;
 ტანთ სეღის კაბა ემოსა,
 მალა ეპირა ეელია!
 მომიახლოვდა, მოვიდა,
 მითბრა: ნუ მოგწყენია!
 სახე ნუ დაგიღრეკია,
 ცრემლი ნუ გადმოგდენია...
 პეშვით მასმია მთის წყარო,
 შვლის რძე მაწოვა ცხელია,
 ნაქრვეს დამიგო ბალახი,
 მინდვრის ყევილი ტრელია!
 სამ დღეზე წამომოაყენა,
 მკლავში მომკოდა ხელია...
 აქეთყენ წამომიყოლა,
 ბინა მაჩვენა თქვენია,
 მერზე გამშორდა, წავიდა —
 მზე ჩადგა, დარჩა ბნელია!

ძმები გაოცებით უმზერდნენ ლექთა
 ტყვედყოფილს.

— ნაიღს შეჯერია, ბეჩაგი,
 ის არის მაგის მხსნელია!

გადაულაპარაკა მანგიამ უთურს.

44.

ღვინობისთვის კუშტი, ჯანღიანი ამი-
 ნდი იღგა, როცა ხირსის მონასტრისკენ
 მიმავალ საღალე ურმებს მცირე ამა-
 ლით ხლებული სახლთუხუცესი ომანი
 წამოეწია. მანდატურების უეცარმა.
 ფიცხმა ყიტიმმა მეტრემეები დააფრთხო.
 ისინი ჯერ კამეჭებს ეცნენ, შეუწყრნენ,
 სახრებმა მიეტანნენ. ხელმწიფის კა-
 ცებს განი მისცეს, გზა უტყეს, მერზე
 საჭანისქვეწე ნაბღის ქუდებზეც სწრაფა-
 დვე მოიხადეს და ქედმოხრილნი გზის-
 პირად დადგნენ...

ომან ჩოლოყაშვილმა და მისმა მხლე-



ბლებმა შეუბრუნებდა უსალმოდ ჩატკრო-
ლეს. აღმართა შეუდგნენ — გეზი კო-
ეთოს ციხისაკენ აიღეს...

გლებებმა მხედრობას თვალი გააყო-
ლეს...

— ე, მანდ რაღაც ანბავია, თორემ...

— ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა...

— მა, მა, მა, მა... გაძლება მაგათ
ცხენებს... — მოწონებით თავი გაიბე-
ნია სხვამ...

— ვაჟო, ავი, ჩუენმა ახალმა პატრო-
ნმა ჩოლოყაშვილიც მოჰკლათ? — გუ-
ლტბრყვლოდ გაიკვირვა ხნიერმა გლე-
ხმა.

— მა?! მეკდარი არ მიატენებდა?!

— შეელაზანდარა ქაბუცი.

გაკონათ.

— ადრეც ქარიანი იყავ! — ხელი ჩა-
იჭნია გაკილულმა და სახრემოდერებუ-
ლი, კამეჩებს მიუბრუნდა. — მოო...
აქეთ გამაი, შე კერანა, შე მგლი ნაცში
გააყვლო. შენა!..

— ხორნაბუჯზედ მიდიან, კოეთისაკენ...

— დაასვენა ვილაკამ.

— ე, მანდ ანბავია-მეთქი, ანბავი ..
ურბები აკრიალდნენ...

კოეთის ციხის კლდისპირა დილეგში,
სადაც მეფე-ძმის მიერ ტყვედპყრობი-
ლი ბატონიშვილი გიორგი უთქმელად
იდაგვოდა, აუტანელი ნესტი და დღე-
ღამიერი წყვდიადი სუფევდა. დილეგის
ერთადერთი, სათოფურივით ვიწრო
და უსუნთქავი სარკმელი ხორნაბუჯის
მლანთე ზალებმა თუ კოეთის კლდე-ცი-
ხისაკენ მიმავალ, უჟაცრიელ გზა-ბილი-
ებს გადააყურებდა. ცრიდა, დილის
ჩანლი წვიმადტყევას იმტკრებოდა.

სარკმლიდან მომზირალ ტყვე ბატო-
ნიშვილს ქვეყანა უღეთო და მოწყენი-
ლი ეჩვენა. შემობრუნდა, სარკმელს
მოსცილდა, მეფის ტახტზე დამიზნებუ-
ლი ფალასზე მიწვა, მიეგდო!.. — ბა-
ლივით კუთხეში მიიკუნტა...

წამსზეით სარკმელზე მესოფლია ღა-
ეო-ჩიტი შემოჯდა, შეფრთხილდა, შე-

ნამელი ფრთები შეიბერტყა...
თავია საზრუნავს მიაშურა...

ამაობაში განგებამ ფალასზე ბა-
ლივით მიკუნტულ ბატონიშვილს ბა-
და ბაღთან ერთად უცნაურობა სიზმაროც
მოუვლონა...

— ეთომ...

...შევა უღაჯუდ ამხედრებულნი
ნიარ, მეუფე დავით საომოდ უტეტრე-
ლი ველად აპის გარეშე ეიდოდა, მერმე
ვითომ ცა ორად გაიპო, ელვამ მართო-
მხედარა მზარადღში დაჰკრა და მეფე-
ცემული გრგვინა-გრიალით უფაქრ-
ლში ანუ ქვეყანელში ცხენიანად ჩაი-
ტანა!..

...დილეგის კარს ურდული ხმაურით
აყარეს, ეს ხმა თუ ჩაესმა ბატონიშ-
ვილს... გამოეღვიძა, ხელთპყრობილი
ჩირალდნის შექმე, მამამისის, ალექსან-
დრეს ერთგული შემწეკაცი სახლთხუ-
ცესი ჩოლოყაშვილი იხილა. თვალს არ
დაუჭერა — თავი ევლავ სიზმარში დაი-
გულა... წამოიწია, წამოდგა, ჩირალდ-
ნოსანს უნდობლად მიაჩერდა...

— სასახლეში გიხმობენ, ბატონიშვი-
ლო! — მიახარა სახლთხუცესმა.

— ვინ?! — ელდანაყრავი ეჭვით ჰკი-
თხა გიორგიმ.

— მეფე ალექსანდრე!

ბატონიშვილი შეერთა, სუნთქვა შე-
ეკრა...

— დავითი რაღა იქმნა? — ევლავ
ჰკითხა მცირე ხნის მერე.

— არც რაღა...

— ?! — ტყვე უფლისწული ყურად-
ღებად იქცა.

— აღესრულა, ბატონიშვილო. — გა-
ნუმარტა ომანმა.

უფლისწული უკუ იქცა, პირჯვარი გა-
დაისახა...

— დიდება შენდა, ღმერთო! — აღ-
მობდა.

ჩოლოყაშვილი შეცბა, შეწუხდა, მო-
ეჩვენა, თითქოს, სიხარულის ნაცვლად,

ძმისგან სადღეღვად გამეტებულ ძმის მწუხარება მოჰკვარა. დაიბნა.

— რძალი შენი. ქეთევან. ეკვობს: მტერი მტერ ჰყავდა და მოსწამლესო. — დასაინა ფრთხილად...

— არა. — აწრილდა უფლისწული, — დავითი ნებმა მოჰკლა, მოჰკლა და ქვესენელში ჩაიტანა.

— ეპიკოპოსიც მაგასა ჩივის... დავითა მამია წვევლამ უწიაო. — ფრთხილად დაეთანხმა ომანი.

— ნებმა მოჰკლა-მეთქი!.. ეს წამია მე თავად ვნახე...

— რა ნახე? — სახლთუხუცესს გიორგი გონთგადამცდარი ეჩვენა.

— სიზმარი ვნახე... ისე ცხადად ვნახე, როგორც შენ გიმზერ...

იმავე დღეს სახლთუხუცესმა ომანმა და მისმა მხლებლებმა ჭოეთის ციხეს გამორიდებული გიორგი ბატონიშვილი თან წარიტანეს. შეუსვენებლივ იარეს, ის ღამე ბოდბეში გაათენეს და უთენია ამხედრებულნი მზის ჩახდომისას უკვე გრემს იყვნენ...

მთელი გზა წვიმდა...

45.

იმ წელიწადს ადრე ჩამოზამთრდა, გიორგობისთვის მიწურულს მთები და ახლო-მახლო გორაკები თეთრად შეიფეთქა, ქარ-ჰყავდა მალე გრემსა და ძეგამშვიც ჩამოატანა.

ქრისტეშობისთვის ერთ გვიან, უამურ ღამეს ძილად მიქცევის წინ ლოცვად მდგარ ქეთევან-დედოფალს თავის ერთგული მხევალი, ობოლი თეონია ეახლა, ეინმე შირაზელი ვაჭარი შენს ზილვას ღამობსო, — მოახსენა.

— რაი მსურსო? — გაუკვირდა დედოფალს.

— არ ამხელს. ამბობს, დედოფალთან უმოწმიოდ შეხვედრა მწადის, სათქმელიც ფრიად საიდუმლო მაქვსო... ნიშნად ეს ბეჭედიც გადმომცა...

ქეთევანმა ნიშანი ჩამოართვა, ბეჭედს

დახედა, იცნო. — სადა ქედგავარო? — იკითხა მოუთმენლად.

— ქარვასლადა დგა... სასყიდლის სანახავად ჩაქოლს ფარჩა და გულქან-სამაჯური მიწეალობა. — დაიმორცხვა თეონიამ.

— ბიჭოს!? — გაელიმა დედოფალს. მხევალი აიღეწა. ეგ რად იფიქრო, — იწყინა.

— ხუმრობით ვიფიქრე. — დაამწვიდა დედოფალმა, მერე მის მწვიდსა და მწვენიერ სახეს კვლავ ნალვლიანი სათნოება დაეპატრონა. — ნუ, თეონია!.. გასწი, უთხარი, დედოფალი ეხლავე გელინს-თქო! მერმე შენს საკანში უჩუბრად მიიყუცა, თუ იქ ვერ მნახოთ. მომითმინოს, უთუოდ მოვალ.

— ეგრე ვიქმ. — მხევალი კარს გაცდა. ტალანს ფეხაკრეფით გაერიდა...

მარტოშენილი დედოფალი, ფსალმუნს მიუბრუნდა, — სალოდინოდ ხანი ისედაც ბევრი მაქვსო, — იფიქრა, ლოცვის განგრძობა დააპირა, მაგრამ „შირაზელი ვაჭრის“ მიერ საცნაურად მოართმეულმა ბეჭედმა ალარ მოასვენა, მოთმინება გაუქრო. ამიტომაც განზრახვა იქვე უგულვებელყო, სარკესთან მიდგა — თმა შეისწორა, მერე სანთელს სწვდა, ტალანში უჩქამოდ გამოვიდა და კალთებაკრეფილმა საცალფეხო კიბე სიფრთხილით ჩაინათა.

მხევალმა თეონიამ სტუმარი სასახლეში მალულად შემოიყოლა. ხელჩაკიდებული ბნელ-ბნელი ტალანებით ატარა, დათქმულ საკანთანაც უხიფათოდ მიიყვანა და კარიც უხმაუროდ შეაღო...

ადრე მოსული ქეთევან-დედოფალი სარკმელთან იდგა, ღამეს ფიქრიანად გასცქეროდა.

თოვდა...

მოახლის მყუდრო, ღარიბულ სამყოფელს ორიოდე მკრთალად მოციმციმე სანთელი ანათებდა.

„ვაჭარმა“ დოღბანდი მოიხადა, შეფიფქული მოსასხამი მოახლეს მიანება... შირალზე დედოფალი შეირხა, შემო-

ბრუნდა, ბეჭდის პატრონი იცნო, ბაგეზე წამიერი ღიმილი აუციალდა, მოახლეს წასვლა ანიშნა: სუსხავს, ბუხარში ცეცხლი მინავლდებოდაო! — უბრძანა.

თეონიამ თავი მორჩილად დახარა... გავიდა, ყარი გაიხურა.

— ერეკლე! — ცრემლი მოერია დედოფალს.

— კარგია, რომ მიცან. — გული ამოუჯდა არჩილის ძესაც. ბიძის ასული მკერდში ჩაიკრა, ჩაიკონა... — სად წავიდა ჩვენი ბალობა, ნეტა? — ბუტბუტებდა...

ჭუჭრუტანასთან მოდარაჭებულმა ცნობისმოყვარე თეონიამ სიხარულით ამოისუნთქა, მოყვასთა ბედნიერება სიკეთით თავადაც იწილადა, იქაურობას სიჭკარით გაეცალა, კიბე აირბინა, დედოფლის საწოლ ოთახში შეიჭრა, ჩანავლებულ ცეცხლს შეშა გულდაგულ შეუეკთა, სულის შებერვით ნალვერდალს ალი აუყვავა და ბუხარი საზეიმოდ ააგიზგიზა...

ამასობაში დიდი ხნის უნახავ ბიძაშვილებს საჭირისო ამბების გამო ბედნიერება გვერდზე გადაედოთ. ერთმანეთის პირისპირ მსხდარნი საქმიანად ბაასობდნენ.

სიტყვა ერეკლეს ეპყრა.

ჭეთევეანი უსმენდა.

— შაჰი დავითის სიკედილს ალექსანდრეს აბრალებს... თათბირად ალავერდი-ხან უნდილაძე იხმო, შენს მამამთილს ფლიდი, ორგული, მოლალატე და რუსთომყვანი უწოდა. ხოლო შენს მახლს, გიორგის წუპაკი და წუპაკის ლეკვი!.. მართალი არის... შაჰ-აბასს რუსი ამჟამად მხოლოდ ოსმალთა წინააღმდეგ სჭირდება... იცოდე: კახეთში არ ამოგინებს!.. ალექსანდრე კი სხვაგვარად ზომავს, იგი მთებს იქეთ ახალ ბიზანტიას ხედავს, მისი შემწევობით არა მარტო სულთნის, არამედ ირანის შემუსვრასაც ოცნებობს და საქართველოს ძველი ძლიერების აღდგენაზე ფუჭ ფი-

ჭრებს მისცემია... ჰმ, ალიაბეჭდს მამყვანებს ორივე თათარიო!..

ჭეთევეანს არ ეამა ერეკლეს ნაუბარი. არჩილის ძე მიუხვდა.

— ნუ ეჭვობ, — განაგრძო მან, — გწამდეს, რომ ჩვენი საშველი მხოლოდ ირანის ერთგულებაში ძვეს!.. აწ საქართველოც ოდენ ამ გზით აღორძინდების!.. რუსთ-ხელმწიფე კი, დაო ჩემო, თავისთვის ცდილობს, შორს იზიარება, ქრისტიანთა მფარველობას საქვეყნოდ აცხადებს, ამით კახეთის გარდა ქართლსა და სამცხესაც ემუქრება... ჰოდა შენც დიდი სიფრთხილე გმართებს, ალექსანდრეს მერე, რუსთ-ხელმწიფის წყალობით, კახეთის ტახტს გიორგი დაიჭერს. ნამდვილ მემკვიდრეს კი, შენს ძეს, თეიმურაზს, ალაჰმა უწყის, რა ბედი ელის... შაჰმა უნდილაძეც ამიტომ იხმო, შენი და შენი ძის, თეიმურაზის მფარველობა უბრძანა...

— ეგ ვით იქნების? — ჰკითხა ჭეთევეანმა.

— კონსტანტინეს უნდა მისთხოვდე... დედოფალი შეკრთა.

— ვიდრე უფლისწული თეიმურაზი ხანს მიალწვედეს. მასთან ერთად კონსტანტინე იმეფებს. — თქვა ერეკლემ და შემპარავის ღიმილით დასძინა: — თუ მისგან ტახტის მემკვიდრე ძის ყოლას შიშობ, ეგ ნუ გადარდებს... ჭორწინებამდე შაჰი კონსტანტინეს საჭურისად აქცევს...

— კმარა! — წამოიჭრა დედოფალი.

არჩილის ძემ მის სახეზე ენით აუწერელი მწუხარება, რისხვა და მისდამი ზიზღი ამოიკითხა.

— ჭეთევეან, გონს მოდი!.. მამა ხომ გახსოვს, ამოთანი?.. არჩილიც გახსოვს, ბიძაშენი!.. მეფე სვიმონიც გახსოვს!.. ჩვენ, ბაგრატოვანნი, ოდითვე თავისუფლებისთვის ვართ გაჩენილნი... თავისუფლებას კი მამული გვაძლევს!.. ამიტომ მისი აღდგომისთვის თავგანწირვაც ნეტარებად უნდა მიგვაჩნდეს!..

— მამულიო, ამბობ?!.. ზნედაცემულს მამული რადლა სჭირდების?!.. სა-

ქურისი მავლის ცოლობას მთავაზობ, ბიძაშვილო!.. გასწი, იარე!.. არცა ბიძისა ჩემის არჩილის, არცა აშოთანის და არცა სვიმონის სახელი არსად ახსენო... უნდილაძეც კარგა მომიკითხე, ქალთან არ დაწვე, გველსა ჰშობ-თქო!... — ეგრე უთხარი...

— ქეთევან?!

— გასწი!

დედოფალმა საკანი მიატოვა, კიბე უგრძობლად აიარა, თავის ოთახში შეიკეტა და აქვითინებული საწოლზე დაეშო.

— ნუ, დედოფალო... — ეფერებოდა საბრალო თონია.

თოვდა...

46.

შობადღე აღილომ და ზარ-ეყენების წკრილმა გაათენა...

ბარდნიდა, ნეკრესსა და გრემ-ენისე-ლის ახლო-მახლო მთისძირა სოფლებში წელამდე თოვლი იდო...

ქვეყანა ღზინს ეძლეოდა...

სასახლის წინ, მოედანზე, ბალები გუნდაობდნენ, ხტოდნენ, მალაყებს გადადიოდნენ...

სასახლეში მდუმარება სუფევდა. იქაურობას ჭერ კიდეც დავითზე გლოვის ნიშანი ედო... მართალია, სანადიმო დარბაზში სუფრას, ჩვეულებისამებრ, ეხლაც შლიდნენ, მაგრამ ძველებური ოხუნჯობა, სიმღერა და საშობაო მხიარულება აღარსად იყო.

მეფე ალექსანდრე და ძე მისი, გიორგი, ბუხართან ისხდნენ...

— წუხელდამ დავითის მიერ თერგზედ გაგზავნილი შიკრიკი დავკითხე, მისი ნაუბარი ვაჭრების ადრინდელ მონაყოლს შევაჯერე... თერგზე ჩამიჩუმი არ ისმის, იქაურ ვოევოდას საშამხლოსკენ გახედვაც არა ნდომია... არც მოსკოვიდან ისმის რაიმე, ამბობენ, გოდუნოვი შამხალზე ლაშქრის დაძვრას აღარ აპირებსო!... — ეუბრებოდა გიორგი მამას.

— ეგ ყველაფერი დეფტარსა და ჰგავს, შვილო ჩემო! — ჩაილაპარაკა ალექსანდრემ. — საცაა შაჰი ოსმალის დაძვრას!.. ასეთ ყოფაში რუსთ ხელმწიფეს განდგომა ვერაფერს არგებს... მაინც რა ხდება, რად არ იძვრის რუსის ლაშქარი!

— შაჰის ელჩს ამბავი მოუტანია, რუსეთს თავი უჭირს, შიმშილითა კვდებაო...

47.

თებერვლის ცივი, უსახური ცა კრემლის ახლად აღწა ჭონგუროვან გაღვანსა და ეკლესიათა ჭვროვან გუმბათებს სულთამხუთავივით დამზობოდა — სათოვლედ ჩამოქნაძილიყო.

ღვთისმშობლის მიძინების ტაძართან საწყალობლად მიხორგილ მათხოვარა ხეიბრებს ლუკმა-პურის საშოვნელად ახლო-მახლო სოფლებიდან დედაქალაქს ჩამოხიზნული, გაძვალტყავებული გლეხები და მათი ჩვილბავშვებიანი დედაკაცებიც მიმატებოდნენ.

სახელმწიფოში არნახული შიმშილი მძინეარებდა.

ქვეყანა პურს ითხოვდა!

სარკმელს მოცილებული გოდუნოვი ლუმელთან შედგა, სავარძელი ცეცხლისკენ მიიბრუნა — შიგ ჩაესვენა.

საკანში სამნი იყვნენ: ხელმწიფე, პატრიარქი ოზი და საელჩო უწყების კავკასიის საქმეთა განმგებელი აზნაური როდიონ ბირკინი.

— ელჩნი ჩვენნი, — განაგრძო ადრე წამოწყებული საუბარი ბირკინმა და სიზუსტისთვის წინ განფენილი ქალაღებიც მოიშველია, — თავადი ტატიშჩევი და ივანოვი სხვა დანასაქმთან ერთად, თან ალექსანდრე მეფის, გიორგი ბატონიშვილის, მოულოდნელად დაქვრივებული ქეთევან-დედოფლადყოფილისა და კახეთის სამეფო სახლის დანარჩენ წევრთათვის ბოძებულ, წყალობის სიგელებსაც წაიღებენ. ხოლო კახთ ბატონ ალექსანდრეს, ზემოხსენებულ სი-

გელთან ერთად, თავიდან შედგენილი საფიცროს წიგნიც გადაეცემა, რათა მან და შემკვიდრემ მისმან, ბატონიშვილმან გიორგიმ სიტყვა განაახლონ და, ამიერიდან, შენ — დიდ ხელმწიფეს, მეფესა და დიდ მთავარს სრულიად რუსეთისას, ფიცით იგივე აღვითქვან, რაც ადრე თვედორე ივანეს ძეს ჯვარხედმთხვევით აღუთქვეს. ამასთან, ელჩნი ჩვენნი გაფრთხილებულ იქნებიან, რომ საიდუმლოდ შეინახონ და კახეთს მისვლამდე არსად გაამხილონ ცნობა ლივონიის ბრძოლათა სახელგანთქმული გმირის, ივანე ბუტურლინის სარდლობით შამხლია წინააღმდეგ მოსალოდნელი ლაშქრობის შესახებ. ხოლო მის მერე, რაც ამ ამბავს კახთ-ბატონს იღუმლად გაანდობენ, მოსთხოვონ კიდევ, რომ მან — ხელდებულმან დიდისა ხელმწიფისა, მეფისა და დიდი მთავრისა სრულიად რუსეთისა, თერგის ვოევოდებთან ფარული ჰაემანი დანიშნოს და დათქმულ დროს კახეთის ქარი საშამხლოზე მათთან ერთად დასძრას. და კიდევ: საჭიროების შემთხვევაში ჩვენს ელჩებს ნება ეძლევათ გადაწერონ და გაამრავლონ ზემოხსენებული სიგელნი წყალობისანი, რათა არ იქმნენ დავიწყებულ არცა ქართლის მეფე გიორგი სვიმონის ძე, არცა ყაბარდო-ჩერქეზეთის მფლობელი, არცა არაგვის ერისთავი, არც იმერთა მეფე როსტომ, არცა ზღვისპირა საქართველოს სხვა მთავარნი და... არცა ყველა, ვინც კი რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნას მოისურვებს.

ბირკინმა დაასრულა.

გოდუნოვი თავდახრით იჭდა, თვალნი მიელულა — მიძინარეს ჰგავდა.

— თისა შემკვიდრისა და სასიძოვისა შენისა ჰანს დანიელის უდროოდ მიცვალეების შემდეგ, — ამოიოხრა პატრიარქმა, — ბეობა ვქმენით და დასტურიითა უწმიდესის სობოროისა, საცოლედ უფლისწულისად თვედორე ბორისის მისად და საქმროდ ქალისა შენისა ქსენია ბორისის ასულისად კახთ-ბატონ აღექანადრეს აწჯარდაცელილი მის, მეფე დავითის ქალიშვილი ელენე და

მისივე ვაჟი, უფლისწული თეიმურაზი გავითვალისწინეთ, რამეთუ კვართი მხსნელისა ჩვენისა, ვითარცა სახსოვარი უწმინდესი, საქართველოსი უძველეს ქალაქსა მცხეთისასა სვეტიცხოველის ტაძარსა შინა განისვენებს, უკეთუ მეფენი ქართველთანი, ბაგრატიონნი, ნათესაობითა დავითისა და ნათესაობითა სოლომონისა, თვით უფლისა ჩვენის იესოს ნათესავებათაც იხსენიებინ — და ამთავრა პატრიარქმა იობმა და აზრის სირთულისთვის დაძინა: — აჟი საძვალეც მათი უფლის საფლავის ახლო, იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ძვეს...

გოდუნოვი კვლავ თავდახრით იჭდა. მერე წამოდგა, ზარს მიწვედა, კარისკაცს უხმო, — ბუტურლინი მომგვარეთო! უბრძანა.

პატრიარქმა ბირკინს გადახედა — აშკარა იყო, ქვეყნის ახალი ხელმწიფე, მეფე და დიდი მთავარი სრულიად რუსეთისა, ბორის თვედორეს-ძე გოდუნოვი ამჯერად სხვა, უფრო საჭირო საფიქრალს მისცემოდა.

— თქვენც კარგა გახსოვთ, — ჩვეულის უდრტვინველობით წამოიწყო მან. — რომ შარშანწინისწინდელი ამინდების უკუღმართობისა, გადაუღებელი წვიმებისა და ცივი, დაწყველილი ზაფხულის გამო, პური არ დამწიფდა. საგაზაფხულოდ მიწისმუშას ხელთ უმწიფარი, დამზრალი მარცვალი-ლა შერჩა... ის დათესა!.. ამიტომ, ნაზამთრალ მინდვრებზე მოსავალი სულ აღარ მოვიდა, ხოლო, თუ მოვიდა, ისიც უფარგისი. ნათესები, რაზედაც გლეხი მთელს იმედს ამყარებდა, შარშანწინაც და შარშანაც ყინვამ დაუღუპა... ქვეყანა დაიშმა, ხორბალი ჯერ ორჯერ გაძვირდა, მერე ექვსჯერ. წელს, როგორც იცით, პურის ფასმა კიდევ სამჯერ იმატა, კორნახულის მარაგი გაქრა... სიძვირის გამო არამც თუ უქონელნი, არამედ საშუალონიც მთლად ულუქმპუროდ დარჩნენ... რა არ ეილონე — ჯერ გარეუბნებს ვეცი, სოლვიჩეგოლსკში, ბაზართან შედარებით, ორჯერ შეღავათიანი, მტკიცე ფასე-

ბი შემოვიღე, ოკოლიჩებს უფლება მივეც, ხორბლის მფლობელთათვის მარაგი თითქმის უფასოდ წაერთმიათ, პურით მოვაჭრენი მათარახებით საჯაროდ ვაცემინე, ციხეები გადაამყიდველებით ავავსე... სხვა ხელმწიფეთაგან განსხვავებით ბრბოს ენა მოვუჭლიქე, ვცადე შავ ხალხთან საერთო მომენახა, რას არ დაეპირდი, მოთმინება და უფვოთველობა შევევედრე... სმოლენსკელებს სამეფო ხაზინიდან ოცი ათასი მანეთი შევაწიე, მოაკოველებს — მრავალჯერ მეტი, გარდა ამისა დაშველთათვის საზრდოს მაძებართა რაზმებიც შევემენ, მაგრამ ვერც ამან ბრავშველა... ფული გაუფასურდა, ხაზინის კაპიკმა არამც თუ ოჯახი, არამედ ერთი სულიც ველარ შეინახა!.. მშვიერ-მწყურვალნი მოსკოვისკენ დაიძრნენ, გზად ძაღლებსა და კატებს დაერივნენ, ბალახი სძოვეს, ცაცხვისა და არყის ხის ქერქიც მოსინჯეს, ბოლოს ადამიანის ლეშსაც მიეტანნენ!.. სიკვდილმა შიმშილის ცელი მოიქნია, ქალაქები ვკამებით აივსო, მარტო მოსკოვიდან გატანილი მკვდრებით სამი უფსკრულივით ხარო ამოყორეს!.. ასოცი ათასი მიცვალებული! — აი, რა არის საფიქრალი!.. ქვეყნად ხმა დაირბა, რუსეთის მესამედი შიმშილით გაწყდაო!.. ხალხი ერთმანეთს დაერია, შობის წინადღით სახელმწიფო ბეღელი გავხსენ, რაც მეზბადა ყველაფერი ლტოლვილებს მივეც! აჰა, იხილეთ! — ამ სიტყვებზე გოდუნოვი სარკმელთან მიიჭრა, ფანჯარა გამოაღო, ბირკინი და პატრიარქი იობი ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისკენ გაახედა, — კოლომნა, ვალაკალამსკი, მოფაისკი, ვიახმა, მედინი, რევესკი, ყველგან შფოთისა და აჯანყების სენი ტრიალებს, რუსეთი გლეხთა ომს ელის!..

* საქანში საომრად აღჭურვილი, ლივონიის ბრძოლების გმირი თავადი ბუტუზ-რლინი შემოვიდა.

გოდუნოვმა სარკმელი მიხურა. თავი უმაღვე დაიმშვიდა, დაჯდა.

— თქვი, ივან. — ხმადაბლა მიმართა თავადს.

ლივონიის ბრძოლების გმირი ხელმწიფის წინ შეყოვნდა, მუხლი მოიყარა.

— შამხალზე სალაშქროდ ყველაფერი მზადაა, მეფეო. — თქვა მშვიდად...

— ვიცი, რომ მზადაა... — ჩაილაპარაკა გოდუნოვმა და მწარე, უამური ღიმილით დაუმატა, — მზადაა, მაგრამ ჩემდა სავალალოდ, მტრისთვის შემართული მახვილი ჯერ საკუთარ გულში უნდა ჩავიცე...

46.

გაზაფხულზე, როცა დაღესტნის მთებს თოვლი, ძველისძველი პერანგით ტანთ შემოაცვდათ, ანდელ მთავრის ძეს, მუსაბეკს, შამხლის ვაფი სულთან-მაჰმუდი ეწვია.

მაისის გრილი, გამჭვირვალე საღამო იყო. ბნელდებოდა.

სტუმარ-მასპინძელი ვახშამს სანთლების შექმნე შეექცეოდნენ, იმავე დარბაზში იხსდნენ, სადაც ამ ოციოდე წლის წინათ, თუშეთის მშვენიერ ასულს, ბეროდის ქალს — თალაღეს, მუსაბეკის დედა, შამსათი შვილის ცოლობას ევედრებოდა და, სადაც საბრალო თუშის ქალს ითაბანის მოჭრილი თავი მიჰგვარეს... იმ თავის გამხმარი ქალა, ეხლაც მოვერცხლილ სინზე იდო და სატრფოს ნაწნავით გალაპაზებული, მნახველს შიშის ზარს ვეროდა.

— გოდუნოვს სახლში შიმშილი უზის, გლეხი სამითთა ფიწალზე წამოგებით ემუჭრება! — დაატანა მსუყე ლუქმას მაჰმუდმა და ლეჭვა-ლეჭვით განაგრძო, — ისე, რომ რუსთ-ხელმწიფე, ჩვენზედ ლაშქრის დაძვრას შემოდგომამდე ვერა იქს!.. ეს დრო ჩვენია!.. განჯა-შამახის ფაშები უკვე დავგეშე, დიდი სულთნის პირით ძეგამზე წასვლა ვუბრძანე, ქალაქის დაპყრობა და იქ ციხის აგება განვეუზრახე... მეც ჩემსას ვიზამ... ძეგამი კახეთის მარჩენალია... თუ ვიმძლავრეთ, ალაზნის ველი შაჰსა და რუსთხელმწიფეს სამუდამოდ წაუტვა, კვლავ ოსმალოს

დარჩება!.. — დასრულა მაჰმუდმა და რატომღაც თალაღს ნაწნავით შემკულ სინს შეხედა. — ეგ თავის ქალა რაა?

— შენც კარგა იცი, რაც არი. — არ ეამა შეკითხვა მუსაბეკს.

შამხლის ეს ჩაეცინა.

— პო. და... — უდრტიკინველის ღიმილით განაგრძო მან. — თუ მხარს მომცემ. თუშების ჯინსაც იოლად ამოიყრი... ერთის ნაცვლად, ას ლამაზ დიას იწოვი!..

მუსაბეკს ეამი დასტყობოდა, ოდესღაც ფოცხვერით მარდსა და უდარდელს ფიქრიანი ნაღველი მოსძალებოდა. ამიტომაც კაბუჯი მაჰმუდის ნაუბარი იუკადრია, ლაზღანდარობად მიიღო. — კმარაო! — იფეთქა. წამოიჭრა, თავის ქალას მოსასხამი მიაგდო, ზედ მიაფარა.

— ჩემგან რას ითხოვ!..

— მუსაბეკ! — წამოენთო შამხლის მემკვიდრეც.

კარებში კოკლმა რაჯამ შემოიხედა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— რას ითხოვ მეტი. — ხმა დაიმდაბლა მასპინძელმა. რაჯას ანიშნა წასულიყო, კარი გაეხურა.

— კმ... — მწარედ ჩაიციხა მაჰმუდმა.

— მე სათხოვნელი რა უნდა მქონდეს?! ჩემი წესია, გიბრძანო!.. ნიშანზე მოთარეშეებს დასძრავ, ბახტრიონსა და გრემის ახლო-მახლო სხვა სოფლებსაც დააწიოყები!..

— გარჯის სანაცვლოდ რასა მპირდები?

— რასაც მოითარეშებ, შენვე დაგრჩების... აღარც ტყვე-ქალებს წაგართმევ. შენა გვეანდეს, ვინძლო სიბერეში მაინც გაიხარო.

— არ დაგავიწყდეს, სტუმრადა ხარ, დიდგულობა არ გმართებს! — შეახსენა მუსაბეკმა.

— ნუ მეშუქრები... მთებში ჩემი სტუმრად ყოფნა არ ითქმის!.. მთა ჩემია!.. ისე, ერთ რამეს გირჩევ, არ დაგავიწყდეს, რომ ყველანი წუთისოფლის სტუმრები ვართ!

ცხელი ზაფხული იდგა.

ასტრახანზე გამოვლით საქართველოსკენ მომავალ გოდუნოვის ელჩებს, თავად ტატიშჩევსა და ივანოვს ორმოცდაათი ქედით თხემამდე შეიარაღებული მეთოფე მხედარი მოაცილებდა. ხაზართა ველებს გამოცდენილ წინ თერგის ციხისთავი ტრახანიოტოვი და მისი რაზმი შემოეგება...

— რა ხანია გელით... შიკრიკმა თქვენი მობრძანება ივნისის ოცდამეექვსე დღისათვის გაგვითვალისწინა... ეხლა ივლისის პირველია... თქვენმა ამგვარმა დაგვიანებამ, ცოტა არ იყოს, შეგვაშინა კიდევ... ექვი მოთარეშე ლეკებზე მივიტანეთ... თუმცა ჭერ მოსკოვიდან თქვენზე აღრე გამომგზავრებული ირანის ელჩიც არსადა ჩანს...

შორს თეთრად შეფერილი კავკასიონის მწვერვალები გამოჩნდა...

— ის თეთრი რაა? — შეაწვეტიხა ტატიშჩევმა კაცთ მონატრების გამო ენად გაკრფილ თერგის ციხისთავს.

— მთები, თავადო. — უპასუხა ტრახანიოტოვმა.

— ნუთუ?! — გაუკვირდა ივანოვს, — მე რა ხანია ვუმზერ და სულ ღრუბელი მეგონა!..

— მთები... — თავისთვის გაიმეორა ტატიშჩევმა და ციხისთავს მიუბრუნდა.

— გზა დიდი გვედო... დღესა და ღამეს ვასწორებდით... აბასის ელჩი, ლაჩინბეგი კარგა ხანია უკან ჩამოვიტოვეთ!.. მოსკოვიდან ორ მაისს გამომგზავრებულეზმა ასტრახანს მხოლოდ ორმოცდამეთორმეტე დღეს, ივნისის ოცდასამს მოვალწიეთ... იმავე დღეს ადგილობრივმა ვოევოდამ, თავადმა რომოდანოვსკიმ, თერგის ციხიდან მიღებული ცნობა გადმოგვცა, თითქოს შაჰ-აბასმა მეფე ალექსანდრე მოკლა, რადგან ეს უკანასკნელი შაჰს დაყოვნებით ეახლა და არც საკმაო რაოდენობის ლაშქარი მიუყვანაო. ხოლო გიორგი ბატონიშვილი კახეთშივე დააპატიმრა: ამასობაში ასტრახანს სხვა ხმამაც მოაღწია, თითქოს შაჰ-აბასმა მა-

მის მოსაყლავად კახეთს მირზა კონსტანტინე გაგზავნა, თითქოს კონსტანტინემ მამა მართლა მოკლა და კახეთის ტახტი თავად დაირჩინაო...

— სიკრუე გახლავთ. — მოიბოდიშა ტრაზანიოტოვმა, — ჭორი სიმართლედ მოგვაჩვენეს, მაგრამ რას ვიზამთ?.. ჩვენი ვალია ფრთხილად ვიყოთ... ამჟამად მეფე ალექსანდრე შაჰთან ბრძანდება, ხოლო კახეთს ძე მისი გიორგი მართავს... აქაური ქრისტიანები თავად ბუტურლინის მობრძანებას და მის შამხალზედ ლაშქრობას მოუთმენლად ელიან... ერთმა ბერძენმა ვაჭარმა მითხრა, ლივონიის სახელგანთქმულმა გმირმა შიმშილის გამო ატეხილი გლეხთა ომი სისხლში უმალვე ჩაახშოო... შამხალს ოაღას უხამს!..

თერგია ციხისთავი, ცოტა არ იყოს, თავქარიანი ჩანდა.

— სისხლი რა შუაშია?! — მკაცრად მიუგო ტატიშჩევმა, — თავადმა ივანე ბუტურლინმა მხოლოდ ყაჩაღები დასაჯა! ხალხი კი, არა სისხლითა და მახვილით, არამედ მძარცველთათვის ჩამორთმეული პურით დააშოშმინა... გლეხს სათესლე მარცვალი მისცა... მისი წყალობით დღეს რუსეთი კვლავ პურის ყანებში ცურავს... ამბობენ, წელს არნახული მოსავალი იქნებაო.

— მადლობა ღმერთს! — აღმოხდა ტრაზანიოტოვს.

ციხის გალავანში შევიდნენ...

მოსორებით მდინარე ხმაურობდა...

50.

ბატონიშვილმა გიორგიმ რუსთ-ხელმწიფის ელჩები, თავადი ტატიშჩევი და ივანოვი „წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის“ გამო კარგახანს ალოდინა და მხოლოდ ირანელი მოხელის, მაჰმად-ბეგის მერე მიიღო. თეიმურაზ დავითის ძის და მისი დის, ელენეს ირანს წასაყვანად მოკლენილი შაჰის მოციქული მაჰმადი სამეფო პალატიდან სახეგაბარწყინებული გამოვიდა, რუსეთის ელჩებს თავმდაბლად მიესალმა და, კმა-

ყოფილი მომლოდინე მხლებლებს უხმოდ თად იქაურობას საჩქაროდ განერიდა.

ირანელის ზედმეტი მოწიწება ტატიშჩევს არ ეამა — იგი ნიშნისმოგებას უფრო გავდა, ვიდრე მისდამი პატივისცემას!.. გულმა რეჩხი უყო.

— მგონი „მეგობარმა“ დაგვჯახნა! — გადაულაპარაკა ივანოვს. გუმანიოთ ივანოვო, „მაქანკლობამ არ გაუშართლა“... ეს კი მარცხს უდრიდა! მისი ელჩობის პირველ, მნიშვნელოვან მარცხს!..

მოსკოველ ელჩებს სამეფო პალატიში თვით სახლთუხუცესი ომანი შეუძღვა...

გიორგი ბატონიშვილი სტუმრებს ფეხზემდგარი დაუხვდა. ხოლო რუსთველი ეპისკოპოსი ანდრონიკაშვილი და სხვა დიდებულნი მერმე წამოუდგნენ...

ბატონიშვილმა ელჩები ღიმილით მოიკითხა:

— ჩვენი იმდღინდელი სისხლისღვრის მერე იმედია, ზოგი რამ კვლავაც დაკვირვებით განსაჯეთ და ალბათ, აღარც ძველებურად უქმყოფილონი ბრძანდებით.

— უქმყოფილებისა რა მოგახსენოთ, — ღიმილითვე მიუგო ტატიშჩევმა, — მაგრამ ამ შეხვედრას მაინც მოუთმენლად ვესწრაფოდით, რადგან შიში დიდი გვქონდა, რომ თეიმურაზ უფლისწულის და მისი დის ელენეს შაჰთან გაგზავნას ჩვენი თათბირის გარეშე გადასწყვეტილი...

— თათბირით რა მოიძეოდის, — აღარ ადროვა ბატონიშვილმა, — როცა ირანის მბრძანებელი ჩვენს მოხუც მეფეს თავისთან იჭერს და მის უმძევლოდ გამოშვებას არა ნებულობს?! არც ეამი ითმენს... ჰა, საქმენი საქვეყნონი მტენარადა დგანან... კარს მომდგარ ჭირსაც უყოყმანო წამლობა უნდა!.. ამიტომაც საქმელი იქმნა!.. ბედს დავპყვე, უფლისწულსა და მის დას, დავითის ასულ ელენეს ირანს გამგზავრება უთქვენოდ გარდუწყვიტე...

— ეგ, ჩვენდა სავალალოდ, დიდი



ხელმწიფისათვის უარს თქმას ჰგავს. — შენიშნა ფრთხილად ივანოვმა.

— უარს თქმას რადა. დალოცვილო?! — გაოცდნენ გიორგი ბატონიშვილმა. — ე მაგ საქმით ვერ აღექვანდრე მეფეს დაეხანო! მერე დიდი ხელმწიფის, მეფისა და დიდი მთავრის, გოდუნოვის სახელით შაჰთან მოციქულს გაეგზავნით, სარძლოსა და სააბოს მოეთხოვით!... დედის შვილია, ამ ომში და დელგაში ვიბრსა იქმს. ოსმალთა წინააღმდეგ მხრის დამკერ დიდ ხელმწიფეს უარს მოახსენებს!.. არა, სიმართლე გითხრათ, მაგისა ცოტა მედარდები... საკომპანო ამჟამად სხვაა... ცნობა მაქვს, რომ შამხლის მემკვიდრე ვაჟმა, სულთან-მამხუდმა, განჯა-შამახის ფაშები კახეთზედ ამხედრა!... დღეს თუ არა, ხვალ მეგამში მოვლენ, თუ მეგამი დაირჩინეს, შიგ ციხეებსაც ააგებენ და მორჩა! ამბობენ, ლენი დაძრულანო, თქვენგან ქებული ბუტურღონისა კი არაფერი ისმია... რად მედავებით, დალოცვილო? თერგის ციხისათვის ის მაინც მისწერეთ, რომ მეთოფეთა რაზმები მომავლელონ... ყველას ვერ გაეწვდი, ქრისტიაწიანი ჩვენ ერთნი ვართ, სხვანი ათასნი!..

— მეფე აღექვანდრეს ასეთი რამ ხელმწიფისათვის არ უთხოვნიდა და არც სამაგისო ბრძანებს გვაქვს. — მორიდებით შეახსენა ივანოვმა.

— ბრძანება რად გონდა, დალოცვილო?! ავიღებოთ შემწეობა წყალობის სიგელითაც გაქვთ გათვალისწინებულნი... თუ მეთოფებებს თერგიდან ვეღარ იპოვებთ, ეგ თქვენი რაზმი მაინც მოხილეთ, მართალია მცირეა, მაგრამ ქვეყანა შედად დაიხარავს და დღემანაც იქნა იფიქრება, კახნი მარტონი აღაო აიონ, ეგე, რა მოცადლო მთავრულ გვაქვს!..

ტატიშვილს გაეღიმა.
— მაგასაც მოფიქრება სჭირდება. — ჩაილაპარაკა თავითვის.
— მივირს, საფიქრალი რაღაა?! — მხრები აიჩეზა ბატონიშვილმა. — ან

აქამდისინ კახეთის შეათვალს მტრულს შენი ერთი ან ორი ცოხე მაინც რად არ ააგეთ და შიგ მეციხოვნენი არ ჩააყენეთ!.. მაშინ ჩვენც ბარე ოციასთან მოლაშქრეს გამოვიყვანდით, მერე ქართლის მეფეს რუსთა ხელმწიფისა ხელმწიფისა შეიქმნებოდა, ჩვენოდენი სპა იმასაც ჰყავს, მხარა მოგვებამდა... და ლენი რას მიქვინა?! ვერც ხონთქარი და ველარც შაჰი თვალმეში უბატონოდ ველარც შემოგახედავდა... — ბატონიშვილი წამით დადუმდა, სიცხარე გაიწვია. — ჩვენი ქვეყანა მაგარია, — ხმადაბლა განაგრძო მან. — ტყუილია და მთებითაც გარემოცული. ამიტომ შემოსაყვლელოც მცირენი აქვს... თითონაც ჰხედეთ, ჩვენში ყველაფერი უხედადა: აბრეშუმში, პური თუ ლენო!.. ბედაურები და სხვა ოთხფეხიც ატარებელი... ანეთ სამეფოს ხელმწიფენი დიდის ლაშქრით თუ იშოვნიან, თქვენ კი ღმერთი გაურჩელად გაძლევთ!.. ოსმალთა და ყიზილბაში რაზმნი გვებრძვის, ჩვენ კი ღვთის წყალობით, მედგარა ვდგევართ... ზოგჯერ ხარკსა და, ამა, შვილებსაც კი ვაძლევთ... დროა, დიდმა ხელმწიფემ ჩვენზედ მოწყალება მოიღოს და ურჩულთა ტანჯვისგან გვიხსნას!..

ბატონიშვილი დადუმდა.
ხელმწიფის ელჩები საგონებელს მიეცნენ.

— ღმერთო შენ შეგვეწიე! — პირველი გადაიხარა ეპიკოპოსმა.
დარბაზი წამოიშალა...
პალატში ატუმართგამრიგე კარისკაცმა შემოაბოტა.

— ხელმწიფის ელჩთა მოციქული, კამენევი გეახლათო! — მოახსენა იქ მყოფთ.

ყველანი გაფაციცდნენ...
მოციქული ნამგზავრი ჩანდა.
— გათულ შაბათს თავად ივანე ბუტურღონისა ლაშქარი თერგზედ ჩამოდგა და კახთ-ბატონისა ნიშანს-ლა ელისო! — შემოსვლისთანავე განაცხადა მან.

ამ ფრიად სასიხარულო ამბის გამო,

გიორგობა დღეს კახეთის ყველა ეკლესიაში რუსთხელმწიფის სადიდებელი პარაკლისი გადაიხადეს.

51.

ყველერი იდგა, მარტის მზეს ძალღონე შემატებოდა, სააღდგომოდ მიწა გაელღო, ხეები შეეკვირტა, ხევ-ხუეებმა და მთებიდან გამონაყარ მდინარისპირებში ენგელა, ია და ყოჩივარდა მოემრავლებინა...

სასახლის ბაღში სასეირნოდ გამობრძანებული გოდუნოვის ელჩები სიამესთან ერთად არც მთავარ საზრუნავს ივიწყებდნენ — ივანოვი თავად ტატიშჩევს როდიონ ბირკინისადმი განსაგზავნად შედგენილ, ყოველთვიურ საცნობარო არხას უკითხავდა...

— მას მერე, რაც ქვრივმა დედოფალმა გიორგი უფლისწულისა და ალექსანდრე კახთ-ბატონის დაყინებული მოთხოვნით შვილები თვისი — მემკვიდრე თეიმურაზი და ულენე ირანს გაგზავნა, შაჰმა სათანადო გადაწყვეტილება მიიღო: შირვანში რომელიც კახთა ლაშქარმა უნდა დაიპყროს, კონსტანტინ-მირზას წინასწარ უწყალობა და აამშობლოში მამასთან ერთად გამოისტუმრა. კახეთისაკენ წამოსულ მამა-შვილს თან ყიზილბაშთა ჭარი და სულთნებისა თუ ხანების მთელი წუება გამოაყოლა, რათა ისინი გამუჟულმანებულმა მირზა-კონსტანტინემ მის მიერ დაპყრობილ შირვანში მმართველებად დაადგინოს. როგორც ჩვენმა შიკრიკმა კამენევმა გვაუწყა, ამა თვის მერვე დღეს კახთ-ბატონი ალექსანდრე და კონსტანტინე-მირზა იეგამს მოვიდნენ, მათ ზემოხსენებული ოთხი ხანი და ექვსი სულთანიც მოჰყვა, ხოლო ორიათასი ყიზილბაში მეთოფე და სხვა მოლაშქრენი კახეთის საზღვართან დადგნენ. კამენემა, აგრეთვე, ისიც გვაცნობა, რომ კახთ-ბატონს ჩვენთან შეხვედრა დაუყოვნებლად სურს, რათა დიდი ხელმწიფის, მეფისა და დიდი მთავრის ბორის თვედორესძის ბრძანება რაც შეიძლება მალე შეისმინოს და ნაბრძანების შესრულებაზეც დასტურდეს.

ნების შესრულებაზეც დასტურდეს. იზრუნოს. გარდა ამისა, შიკრიკმა ჩვენმა საიდუმლოდ გაგონილი და უეჭველად უშრადსალები ცნობაც მოგვაწოდა: თითქოს შაჰს, კონსტანტინესთვის, გიორგი ბატონიშვილის შეპყრობა ან მოკვლა დაევალებინოს!.. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ბატონიშვილს უცვებ ვაცნობეთ და კურჩიეთ, ყიზილბაშებს ერიდოს, მაგრამ, როგორც გადმოგვცეს, ბატონიშვილმა გიორგიმ ჩვენი გაფრთხილება უშრად არ იღო და იეგამს, მამასთან შესახვედრად, ულაშქროდ გაემართა.

ივანოვი დადუმდა.

— საოცარია, — მხრები აიჩეხა თავადმა ტატიშჩევმა, — მთებზე ჭერ ისევ თოვლი ძვეს, ხეებმა კი კვირტები რახანია გამოიღეს... ჰო, აი კიდევ რა, ისიც მისწერე, რომ ერევნის აღების შემდეგ ოსმალთა წინააღმდეგ ჩვენმა მოკავშირე შაჰმა ყარსის ციხეს ალყა შემოარტყა, ხოლო მოთარეშენი ბასიანსა და დასავლეთით მდებარე ქვეყნებს გაუსია... საეულიახმოა ისიც, რომ ქართლის მეფეს აბასმა თავიათვის საჩუქრად, ლორე და დებედა გამოსთხოვა. ეს მხარე ცალკე მაჰმადიანურ სახანოდ აქცია და დებედას ქვემო ნაწილში თურქმენული ბორჩალუს ტომიც ჩაასახლა. მან ამით ქართლს სამხრეთიდან თავდაცვია საშუალება მოუსპო, დამბლა დასცა, ალყაფი მოურღვია. ამავე მიზნით მოხუც ალექსანდრეს კახეთის აღმოსავლეთი კარი კავენისელი გამოსტყუა, სასულთანო შექმნა და ეს დიდად მნიშვნელოვანი მხარეც თავისთვის დაიჩინა. ეს არის და ეს...

ელჩებმა სეირნობა განაგრძეს.

52.

ის ღამე, ბატონიშვილმა კონსტანტინემ, მაჰმად-ბეგის კარავში გაატარა. მარტონი იყვნენ, ცეცხლისპირად მიმსხდარნი, სვამდნენ — ყვარლის საფერავს მისძალეზოდნენ...

— მამის მკვლელი ხელმწიფობას ვერა იქა, თუნდაც რომ ქნას, ექვს თვეზე

მეტს ვერ გასძლებს. — ნაღვლიანის ლილინით დაატანა ლვინოს კონსტანტინემ.

— მთვრალი ხარ, გული გიტირის. — ჩაიღუღღღლა მაჰმადმა. — ეხლა ძილი სჭობს! — დაუმატა.

თვითონაც მთვრალი იყო, ენას ძლივს აბრუნებდა.

— არა, იღბალიც არი და იღბალიც... მოკვლა, ღმერთი დამსჯის!.. არ მოკვლა, შაჰი!..

მაჰმად-ბეგი არ სტყუოდა — ბატონიშვილს ცრემლი მორგოდა, ცოტაც და, ეგებ, აქვითინებულყო კიდევ.

— ეგრეა, ეველანი სიკვდილისანი ვართ... არ მოკვლავ, შაჰი დაგსჯის! მოკვლავ, — ალაჰი!.. ძილი სჭობს-მეთქი... დაასხი!.. მართალია, რჯული ღვინის სმას გვიშლის, მაგრამ ამის არ დაღვევაც ხომ ურჯულობა იქნება, ჰა!.. დაასხი!.. ძლივს დაისხეს.

კონსტანტინემ მაჰმადს ჯამი ჯამზე მიურტყა, მიუჭახუნა... დასცალეს.

— მაშის მკვლელი ხელმწიფობას ვერა იქს, თუნდაც რომ ჰქნას, ექვს თვეზე მეტს ვერ გასძლებს...

ბატონიშვილს კისერი მოწყდა, გადაიხინჯა, თავი გვერდზე გადაუვარდა, ჩივიდა...

53.

მეორე დღეს, დილით, მირზა-კონსტანტინე, მაჰმად-ბეგი, ალი-ხან მოვაფეცი, შაჰმირ-ხანი, კაკუნისელის ახლად დადგენილი მმართველი სუნიათ-ხანი და დანარჩენი ყოზილბაში სულთნები, ალექსანდრე მეფის სადგომს მხლებლებთანად ეწვივნენ. სათათბირო დარბაზში სახლთუხუცესი ომანი, რუსთველი ეპისკოპოსი ანდრონიკაშვილი, ძმა მისი აბედ და კახეთის სხვა დიდებულნიც რახანია შეკრებილიყვნენ. მოსულები დამხედურთ ადგებულად მიესალმნენ, მათთვის განკუთვნილი ადგილები ქედ-მალღურად დაიკავეს და კახთ-ბატონის

მოლოდინში სიცილნარევი, სუბმაღვდელმთავარი საუბარი განაგრძეს...

— აჰი, შენა სთქვი, ალექსანდრე ჯერ რუსთ-ხელმწიფის ელჩებს მიიღებსო? — გადასძახა სუნიათ-ხანმა მოშორებით მჯდარ მაჰმადს.

— ეგ მამა-შვილობითა ჰქმნა, კონსტანტინეს ხატრი გასწია, თორე ჩვენისთანა გარუჭული ხალხი, რუსთან რა მოსატანია!.. — გამოეკასუხა მაჰმად-ბეგი. სპარსელებმა გადაიხარხარეს.

ეპისკოპოსმა ჩოლოყაშვილს გადახედა, ჩოლოყაშვილმა — კონსტანტინეს... ბატონიშვილი თავდახრილი იჯდა. დუმდა...

აამეფო ნიშნებით მორთულ მეფე ალექსანდრეს დარბაზში გიორგი ბატონიშვილი და მისი ძე, ახლად ფეხადგმული უფლისწული იესე შემოჰყვნენ.

დარბაისელნი წამოიშალნენ...

ყმაწვილმა ბიძა იცნო, მასთან მიიჭრა, მიეფოლორცა... კონსტანტინემ მისიშვილი ხელში აიტატა, მიუალერსა, მუხლებზე დაისკუბა... გიორგიც ბაღს მიჰყვა, ძმის გვერდით ჩამოჯდა...

დანარჩენებიც დასხდნენ.

— ეგ ბაღლი რაღაა? — წაჩურჩულა სუნიათ-ხანმა მოვაფეკს.

— რა ვი, ბაღლია... მაგით კახთ-ბატონი იმას გვანიშნებს, დე, კონსტანტინე და დავითის ძე თეიმურაზი შაჰსა ჰყვანდეს, მე სხვა შვილი და შვილიშვილიც მივისო. — ჩურჩულითვე მიუგო მოვაფე-ხანმა.

— ეგეც არი და ისიცა, რომ, — ჩიერია საუბარში შაჰმირ-ხანი, — გიორგი მაგ ბაღლით პირდაპირ გვეუბნება, შინა ვარ, აწ თქვენი შიში სრულიადაც აღარა მაქვსო.

ჩაჩუმდნენ.

პაწია მმისწულის შემხედვარე კონსტანტინეს დედა და თავის ბაღლობა გაახსენდა...

— შენ გავედრებ, ლეთისმშობელო ქალწულო, შეურყეველსა ზღუდესა ცხოვრებისასა ჩვენისასა, წინააღმდე-

გობათა ზრახვანი განაქარვენ და ერისა შენისა მწუხარება სიხარულად გარდასცვალუ და სოფელსა შენსა მოუწოდე მშვიდობისათვის, სოფლისა ევედრე, ლეთისმშობელო, რამეთუ შენ ხარ სასოება ჩვენი.— ლოცულობდა სასახლის კარის მცირე საყდარში ლეთისმშობლის ხატთან მუხლმოყრილი თინათინ დედოფალი.

დედის გვერდით უფლისწულნიც დაჩოქილიყვნენ. — ერეკლე, გიორგი, დავითი, დანი მათნი და ორი წლის პატარა კონსტანტინე. საყდარში, მლოცველთაგან შეუმჩნევლად, აღექსანდრე მეფე შემოვიდა, სანთელი აანთო და პატარა კონსტანტინეს გვერდით მორჩილად დაიჩოქა. ყველას სანთლები ეპყრა...

— სიტყობებო ანგელოსთაო, — ისმობდა დედოფლის ხმა, — მწუხარეთა სიხარულაო, ქრისტიანეთა მეოხეო, ქალწულო და დედაო უფლისაო, შემწე გვყავ ჩვენ და გამოგვიხსენ საუკუნეთა სატანჯველისაგან...

— მე შაჰსა ესთხოვე, — ხმადაბლა წამოიწყო მეფემ, — რომ ჩემი მისდამი ერთგულება კვლავაც ეცადა და შირვანზე ლაშქრობა ჩემთვის მოენდო, მაგრამ ამინდი შეიცვალა. შაჰის დიდი მეგობრისა და ქვეყნისა ჩემის ხელმძღვანლის, დიდი ხელმწიფის, მეფისა და დიდი მთავრის გოდუნოვის წყალობით ლივონიის ომების გმირი, სახელმოხვეჭილი სარდალი, თავადი ივანე ბუტურლინი თავისი ლაშქრით საშამხლოს შეესია... მხრის დაქერას მთხოვეს... სიმართლით ვიტყვი, შამხალზე რუსთა გამარჯვების დიდი იმედი მაქვს. ამიტომ ჩემი ლეკეთზე ლაშქრობაც დროულად და შაჰისთვისაც სასურველად მომაჩნია. გარდა ამისა, დაღესტანზე კახთა შესევნას გიორგი ბატონიშვილი რუსთა ელჩებს ჩემი ერეგნიდან დაბრუნების უმაღლესე შეპირებია...

შაჰის ხმამ კონსტანტინეს ეხლა გრე-

მი და ყურშიტ-ჩერქეზის შიერ შორიშეული კვიციანი ფაშატი გაახსენა:

უფლისწულის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა — ძუძუთა კვიცს კისერზე ეხვევოდა, ჰკოცნიდა, ეალერსებოდა... დაჩაირებული ჰაკიც იქვე იდგა, ლორთქო ბალახს წიწკნიდა; დროდადრო ბრიალა თვალს კვიცისკენ გამოაპარებდა. პატარა კონსტანტინეს ეგონა, დედა ცხენი იმასა ჰფიქრობს, მის პაწიას არაფერი დაეუშავო და დედის გასაგონად კვიცს ენას უჩლექდა:

— ნუ კვიცუნავ, ნუ... გეფერები... რომ გაგზრდი, ჰუნეთა მეფედ გაყურთებ, დედილოსაც გვერდით გიყოლიებ, არ მოგაცილებ... შამი, მო, ნახე, ეგე, როგორი ძუა აქვს!..

მეფე და მისი სტუმარი მაშინ სიყვარულით უმზერდნენ შეიდი წლის კონსტანტინეს.

— შირვანი თუ დაღესტანი? — განაგრძობდა მეფე, — ამისთვის გიხმეთ, ამადაც შეახელით... არჩევანის დროს ჰეშმარიტება უფლისაგან განდგომას არ შეგვაგონებს, ლეთისადმი სიტყვა გაუტეხელ არს...

— არამც და არამც! — ბალლი ძირს დასვა კონსტანტინემ, — ეგ დრო წავიდა, ორ სკამზე ქდომა კახეთს აწ არ არგებს!.. შაჰი დღეს ჩვენგან შირვანის დახსნას მოითხოვეს, მისგან განდგომა ლალატია!

— სიბრძნე ეგ გახლავთ! — დასტური დასცა კონსტანტინეს ნაუბარს მაჰმად-ბეგმა.

გიორგი ბატონიშვილმა მძას აღმაცერად გახედა — აშკარა იყო, მას, შაჰის კარზე აღზრდილი „შირზა“, მხოლოდ მეტოქედ ანუ კახეთის ტახტის მძიებლად მოაჩნდა.

— უჩქველია, ჯერ საშამხლოს დალაშქვრა ხამს, მერე შირვანის!... — გადაჭრით განაცხადა მან.

— ჰმ, — მწარედ ჩაიკინა კონსტანტინემ. — შენ, მამო ჩემო, მხოლოდ

ტაბტიანის ილწვი, საქვეყნო საქმე „გვერდზე“ გვიდა! რუსიც მაგისტრის გელმაზებდა... ავი აღრე დავითის მოკვლაც წადილად გქონდა... არ ვიცი, ეგებ, მოჰკალი კიდევ!..

— მხოლოდ საშამლო-მეთქი! — ხმას აუწია გიორგიმ.

— გონს მოდი, კაცო!.. — ამოიკენესა მირზა-კონსტანტინემ, — სიბრძნე და სინამდვილე ერთად ვერა სძოვს... სინამდვილე ეამბა, სიბრძნე — მოჩვენება!

— პირიქით არის, — არ შეეუბა გიორგი, — სიბრძნე ღმერთია! ეამბი — მოჩვენება.

— სიბრძნე და ეამბ ერთ არს. — ჩაილაპარაკა რუსთველმა ეპისკოპოსმა.

— ჭერ შირვანი! — დაიძახა სუნიათხანმა.

— საქმეს ერი სწყვეტს! — ჩაურთო აბელ ანდრონიკაშვილმა.

— რუსთ-ხელმწიფის ეგრე მიტოვება არ იქმნებოდა... ომში დგა, ჩვენგან მხარს ელის. — განაცხადა ჩოლოყაშვილმა.

— შაჰიც ომში დგას! — წამოგნთო მაჰმადი.

— ომიც არის და ომიც... — ამოიოხრა აბელმა.

— ან შაჰი, ან რუსეთი! — გადაჰრით განაცხადა კონსტანტინემ.

— ეთქვათ! — ბრძანა მეფემ და რუსთველ ეპისკოპოსს შეხედა.

— რუსეთი. — არ დააყოვნა მღვდელმთავარმა.

ალექსანდრე ეხლა სახლთუხუცესს მიუბრუნდა...

— თქვი!

— რუსეთი.

— რუსეთი. — დაეთანხმა გიორგი ბატონიშვილიც.

სპარსელნი აწრიალდნენ...

მირზა-კონსტანტინე გაოგნებით იდგა-ველავ დედას იხანებდა:

— უფალო ჩვენო იესო ქრისტევ მე-უფეო დიდებისაო შეგვიწყალე ჩვენს რამეთუ შენ გესავთ ნუ განგვირისხდები ფრიად და ნუცა მოიხსენებ უსჯულ-

ლოებათა ჩვენთა, არამედ შეგვიწყალე ჩვენს ზედა წყალობითა, ვითარცა სახიერ ხარ და გვიხსენ შენ სამართლად რისხვისაგან შენისა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩვენი და ჩვენ ვართ ერნი შენი და ყოველივე ქმნილი შენთანა ვართ, სახელი შენი წოდებულ არს ჩვენსა ზედა და შეგვიწყალე ჩვენ!

ლოცულობდა თინათინ დედოფალი.

დედის გვერდით დაჩოქილ უფლისწულებს ხელთ სანთლები ეპყრათ... სანთელი ეპყრა ერეკლეა, გიორგის, დავითს...

სანთელი ეპყრა პატარა კონსტანტინესაც...

— აქ მყოფნი ექვსი ხმითა ვართ: მე, რუსთველი ეპისკოპოსი, ძე ჩემი გიორგი, ძე ჩემი კონსტანტინე, სახლთუხუცესი ომან და კაკ-ენისელის მმართველი სუნიათ-ხან... სამი ჩვენთაგანი შამხალზე გალაშქრებას მირჩევს, ორი — შირვანზედ... ეხლა ჭერი ჩემზედა დგას...

მეფე წამოიმართა.

— დედის სულს ეფიცავ, ღალატია! — ჩაილაპარაკა თავისთვის კონსტანტინემ.

განაჩენის მოლოდინში დარბაზი გაიჩინდა.

ყველანი ფეხზე იდგნენ.

ყიზილბაშებმა სავინიციობოდ ბებუთები მოსინჯეს...

— რუსეთი. — თქვა მეფემ...

— რუსეთი — აღტაცებით გაიმეორა გიორგი ბატონიშვილმაც.

— ღალატია-მეთქი! — ეხლა კი ხნამაღლა იღრიალა მირზა-კონსტანტინემ და ძმას საყელოში წვდა...

ყიზილბაშთათვის ეს ნიშანი იყო — დანები იშიშვლეს...

მოხუცმა მეფემ საყვარელი შეილის გადასარჩენად ხელი გამოიღო, მაგრამ რა, აღარ დააყადეს — შამპირ-ხანი და ალი-ხან მოვაფეკი მგლებივით ეცნენ — ბებუთი შიგ გულში ჩასკეს. განგმირული ტაბტზე მიაგდეს... სხვა ხანები და

უზილობაში სულთნები დარბაისლებს დაერივნენ — ეპისკოპოსი და ძმად მისი ახელ სიცოცხლეს უმაღლეს გამოასალმეს...

ამასობაში მაჰმად-ხანმა და კონსტანტინემ გიორგი ბატონიშვილს ბოლო მოუღეს... მაჰმადი ახლა ჰაწია იესეს დაედევნა, ბაღმა ბიძას მიაშურა...

— ალა, ალ მომკლას, ძია!

კონსტანტინემ იესე ხელში აიტაცა, გულში ჩაიკრა...

— ალაო, გესმის! — რისხვად შეაფეთა ბებუთმოღერებულ მაჰმადს.

უზილობაში ბეგი შედგა, შეჩერდა...

ბეგამ-ქალაქში უზილობაშებმა კახელების ზოცვა დაიწყეს. ხმაურზე რუსი მეთოფეები და ელჩები გამოცვივდნენ, — კახთ-ბატონის სადგომს მიაშურეს...

54.

თუმეხს დღეობა ჰქონდათ — უკლებლო ხატთან შეყრილიყვნენ, შეკრებილიყვნენ... ხალხი ახლო-მახლო სოფლებიდანაც საკმაოდ მოსულიყო — შესაწირი ცხვარ-კურატი ხატის წინ დაეყენებინათ; მოშორებით ჭაბუკებს ქორბელელა გაემართათ. დოღის ხმაზე ნავარდობდნენ, ცეკვავდნენ, წრეში გამალებით ტრიალებდნენ, დროდადრო ერთმანეთს მხრებზე ადგებოდნენ — მბრუნავ სართლებს ჰქმნიდნენ... ქადაგის მოლოდინში ვინ სუფრას შლიდა, ვინ კიდევ ცეცხლზედ შედგმულ ვეება ქვაბებს დასტრიალებდა. წესისამებრ ქალები ცალკე იდგნენ, მამაკაცი — ცალკე. ერთნი ბაასს მისცემოდნენ, მეორენი — რახსა და ქილიკობას... ბავშვებიც იქვე მიმობობოდნენ, ერთმანეთს ებღლარძენებოდნენ, უდარდელად კისკისებდნენ... რტოებგაქოლგილ ხის ჩეროში მეფანდურე ქალ-ვაჟს ჰაქრობა გაემართათ...

საერთო მხიარულება ქადაგის გამოჩენამ შეწყვიტა. ხალხი სმენად იქცა...

— წარსდები ხატის კარზედ, კურატი, საწირითაო, ფეხზე წამოდგა ბატონი, შემომხვდა ღიმილითაო: უბრძანე თუშის შეიღებსა, აგავსებთ წყალობითაო! კარგად მოგირთავთ ქალ-რძალსა, ტყაყაბა-ზარბაბითაო; ვახარებ ახალ-უზლებსა, თავ-ოქრო-გვირგვინითაო! მტერს დაგიმბრმავებთ, ორგულსა, ეშმაკსა კახელითაო, გიმჩალებთ მოკეთებებსა, მოყვარეს მრავალ ვზითაო; აგიესებთ კოდსა, ბუღელსა, ლუღს ვიდნეთ წყალივითაო! ნურაფრის შეგეშინდებათ, გატარებთ მშვიდობითაო!

დაასრულა ქადაგმა. ხალხი სიხარულით შეირხა...

— დაგლოცოს პირმა ღვთისამა, ნაწილმა ბარძიშისამა, ამ ქვეყნად ხატმა და ჭვარამა, იმ ქვეყნად მადლმა ცისამა! —

გაისმა აქეთ-იქიდან.

ხატისკენ მომავალ ბილიკზე ნანილი გამოჩნდა, მხარზე კვლავ ქედანი ესვა... მოწყენილს ჰგავდა, ნელა მოდიოდა, ლერწამივით მოირხეოდა.

— შშიდა გიორგის კარზედა, ხე აღვად ამოსულია, ზედა დასხშია უფრდენი, საჭმელად შემოსულია... იმის ნახვევი ქალ-ვაგი, შავადა შემოსულია...

ჰაპაისძენი გაფაციცდნენ, ნანილზედ შეყვარებულნი მეფანდურე ვაგი დაიბნა, აწრიალდა... სხვებს არაფერი შეუშინევიათ. ლეკთა ტყვედუოფილმა ცალთვალა ზოლოგამ სასმისი მოიწარგვა:

— შენაც იხარე, ნანილო, კაცთ ანგლოსო, ხნისსაო! ღვთის კვალზე დაიარები, შექ გიდგა სიკეთისაო... დღეს რატომ მოგიწყენია, რატომ გაუბრბი ღიხნისაო?

ნანილმა პასუხი შეაყოვნა...

— რას მარგებს, ვიზიარებო, როცა რომ, გული სტირსაო;

წუხელ-ღამ სიზმარი ვნახე —
ვარსკვლავნი ჰყრიდნენ თრთვილსაო,
ტირლით აღმომხდარიყო
ცისკარი თენებისაო,
თან მაცნე ამოეყოლა,
მოამბე სიკვდილისაო!..
შავად ჰყვავოდა ხეხილი,
ტოტი ტყდებოდა ხისაო:

ნისლებს მიმოაქეთ იანი!..
მგელი და ცხვარი ერთად ძოვს,
შველიც და ვეფხიც ბუკლიანი;
მყარს მანის თეთრი ქედანი,
ფრთასკველი, მხარ-სისხლიანი!
არც ზრება, არც შშორადება,
ვით ქიუხს ნისლი გვიანი!..

ჩაილაპარაკა თავისთვის.
სიჩქმე ჩამოვარდა.
მაცნემ ხატის კარს ცხენი მოაგდო.
ჩამოქვეითდა, თვალით პაპაი მოძებნა,
შეუყოვნებლად მიეახლა...

ნანილმა ამოიქვენესა, წამოდგა, იჭაღ-
რობას განერიდა.

ქედნით მხარ-დამშვენებულს თვალი
გააყოლეს, მისდამი იღუმალის რილით
აღიკანენ.

— ლეგების მოსვლას ამბობენ,
გატემა ჩაღმის შთისასა,
დადგომა ცველურთის სოფელს,
უაღრმ ჩაბღომას შიხასა!..
გაღმოსვლას ქვათენთის შთახე,
ზედ დახურვასა ცისასა;
ქანქანით შესვლას ამბობენ,
გატემა გალავნისასა;
შიგ დატანასა ამბობენ,
სამოცის ვაგაკისასა!

— ვერ გაიგევეთ, პაპივ,
ვგ ნაუბარი ზიანი!

მხრები აიჩეჩა ქორთოშმა.
წოწრენათმა აუე მიტგო:

— ნუ აჩნადებვი, ქორთოშო,
ზმა-სიტყვა სამიზნე არი
გუშანით უნდა გაატრეა
ისარი ფიქრითურთიანი!..
სისხლის ტბა ჩემი ეამია,
დავლიან-თარეშანი,
შიგ შე-წითელი ყვავილი —
მტერ-მოყვარენი ხმლანნი;

ამბავმა გამგონნი შესძრა. სუფრასთან
მსხდომნი წამორიშალნენ.

— მტერობის წყალო, მდინარო,
გრილო, გრილისა შთისაო,
ჩამთქმელო თეთრი ცხენისა,
ზედ კი ვაგაკისაო!..

დღე-ბნელი სააქაო,
ნათელი — სსამოთხე არი!
იანი, ნისლში მავალი —
ხატ-ანგელოსნი ღვთიანი!
მგელ-ცხვარი ერთად ნძოვარი,
მოსისხლართ სულევი არი;
ერთურთის ყვალა ნანობენ,
დადიან თვალ-ცხვლიანი!
გულს რო ქედანი მიბჯალავს,
ის ჩემი სულის სვე არი.
გალეპილია სისხლითა,
ღვე-ქაქთა თანაზიარა!
სწადიან მურდალს ზე-ფრენა,
მეგრამ არ ძალუძს, ქვე არი!
ხშირ-ხშირად შევედრანი —
რა მივავ,
ბეჩავს რად მომე ზიანი!
მოგიველ, ვიჯე ებრალო,
ნათელი, ხალისიანი!..

ჩაილაპარაკა ნანილმა.
ყველანი წოწრენათს მისჩერებოდნენ.
პაპაი დუმდა, სათქმელს არჩევედა...

— ზმას რად არ იღებ, პაპივ,
სიტყვა რად გიძვირს, სვიანი?..
მამანატრებით ურჯულთო,
შენი ამაღ-შების ზრიალი!
გამაი, ლაშქარს ჩაუძებ,
თორე არ იქნეს გვიანი!..

შეეხმინა ჩაფიქრებულს ქორთოში
— მრავალნაცადი მეომარი.
პაპაიმ თავი ააწია.

პაპაი წამით დადუმდა, სული მოიბ-
რუნა. მერმე გაოგნებულ მრაველს თვა-
ლი გადაავლო და კვლავ ფიქრიანად გა-
ნაგრძო:

— მე ვერ წამულ, ქორთოშო,
ფიქრი რამ მანდის ზიანი:
ვითამ გარს შეერას სისხლის ტბა,
წა-წითელი ყვავილიანი;
ვითამ სუ სხვა დგას აშინდი,
დღე-ბნელს ღამე სცელის მზიანი,
თოვლი თოვს, ველი ბიბინებს,

— მე ვერ წამულ, თუშებო,
სახვით საქმე მაქვს, გვიანი,
დავეუფლები, ვილოცებ. —
ღღე გაგიფინდეთ ღვთიანი!

თქვენ წაგიძღვებთ ქორთოში,
ჩემს ზელში ნაზარდი არა...

ბაბაი კვლავ დადუმდა, მზერა უფროს
იეს, ანდარეზს მოაპყრო, მერე დანარ-
ჩენებშიც მოათვალიერა...

— ჩემს შვილებს იგი წარუძღვეს,
ვინც ემეტესი ხნის არი!
წამოდექ, შვილო, ანდარეზ!
მეშედე შენ ხარ მისანი.
შენაც წამოდექ, ბერდიავ,
ხან მოგივიდათ ედისანი!
გიგოლეც წამოაყენე,
მუხლი გაართეთ მგლისანი!
ნულარც შენ დემხარ, დედდარო,
იყოდე, ომი ჭკვის არი!
გვერდით იყოლე ივანე,
ხმა გესმის ნარჩევისათ!
გახსოვდეს, შენ და მანკიმ
ტყვილ არ ხარჯით ისარი!
ჩემი მოურალი სადღაა?
მონაირე და მისანი!..

ეძლავ მომგვარე, ეთერო,
თუ მაღლი გწყოლობს ლეთისანი!
შენც დაშენაზე, ბაჩუავ,
მმა მისად შავი ღლის არი!
ნუ მოიშორებ ხუნაღეს,
ტოტნი ხართ ერთის ხისანი!
ნაკუდაც თან წარიტანეთ,
აღარც ნაკლები ის არი!
გწყოლობდეთ სამების მაღლი,
ფარაშები გიორგისანი!

წოწრენათმა დაასრულა.

— გუწველოს ძალმა ღეთისამა,
ნაწილმა ბარბისამა!
ამ ქვეყნად — ხატმა და ქვარმა,
იმ ქვეყნად — მაღლმა ცისამ!

ამოსთქვა ხალხმა...

55.

ტყვე-ქალებით, ბედაურებითა და ნა-
ხირით გაბეკრებულმა ლეკთა მოთარე-
შე ლაშქარმა საღამისო ბანაეი აღრე-
შეთოვლად მთებთან და კლდოვანი
ნაპრალეებით ზღუდეშემგარებულ ზე-
განზე დასკა.

ზეგან ლორლოვანი იყო, მდევართა-
თელის მიუდგომელი. ამტომაც, ლეკთა
ბელადები გულმშვიდად ირჩებოდნენ,
ნადავლ-ნაწიოკარი სახელდახელოდ და-

აბინავეს, გუშაგნიც მხოლოდ აქა-იჭ
დაუყუენეს და ვახშმის მოლოდინში უგე-
რგილო ღლაბუტს შეექცენ. მალე ბინ-
დთან ერთად ზეგანზე მთის უცაბედი
ნისლიც ჩამოიშალა, გაუმჟვირვალად
ჩამოწვა და ისედაც ძნელად სახილვე-
ლი ავაზაქთა ბანაეი ეხლა მთლად გაა-
ქრო, მთლად გააუჩინარა.

— ლეკო, ნუ ზიზარ ლორლოვანს,
მამა წაგიწუდეს მკედარა!
თუ ვაქაყო ხარ, გამოდი,
გაჩვენე შენი ქანია!
გამოდი, მომაქნევენ
ჩემი ფრანგული ხმალი!
თორემ იყოდე, მოგივალ,
თმენის აღარ მაქვს ძალი. —

გაისმა სიბნელეში, ლეკები შეკრთნენ,
წამოიშალნენ, თოფ-იარაღი მოიგდეს,
სიჩუმეში მიაყურეს...

— ჩამოგვეხსენით, თუშებო!
დღისერთანი ვართ ჩვენა...
ჩვენის ერთგული ცოლების
სასურველები ვართ ჩვენა!
მაშთა სისხლი გვიყვიოს,
მათი შვილები ვართ ჩვენა! —

გასძახა მუსა-ბეკმა სიბნელეს.

— ვერ დაგვეხსენით, ლეკებო,
რჩელის ერთგული ვართ ჩვენა!
თუ თქვენ ხართ დღისერთანი,
ორად გამჭრეული ვართ ჩვენა!
თუ ცოლთა სასურველი ხართ,
არც საძულველი ვართ ჩვენა!
თავთ დაგჭრით, ცოლებს მიგირთმევთ,
ჯარგი სტუმრები ვართ ჩვენა! —

უბასუხა ქორთოშმა.

— გამოდი, ლეკო, გამოდი!
სიკვდილი გიჟობს ველად!
თორემ მოგივა შიმშილი,
გადაგვეყვა წყარადა!
დაგრჩება ლორლოვანი
სალოკად, საცოხნელად!

კვლავ გაისმა წყევლიდში ქორთოშის
მძლავრი, მუქარიანი ხმა: ამასობაში
ნისლიც გადავიდა, იჭაურობას მთვარის
რბისფერი ნათელი მოეფინა...

ხაწემ ქარაფს ახედა, თუშთა წინამძ-
ღვარი იცნო...

— ტყუილა ცდები, ქორთოშო!
 ხაწე შეერთება ანელადა...
 მომშვივა? — არ დავლონდები.
 ცხენის ზორს შევკამ ხმელადა!
 თუ მომწყურდება, აოც მაშინ, —
 ცხენის სისხლს შევსვამ ცხელადა!
 თუ მომწყინდება, თქვენს ქალებს
 მოუვალ საკაცნელადა!

ხაწეს ნაუბარმა ლეკებს საბაბი მის-
 ცა, აროხროხდნენ, მტრის გულის გასა-
 ხეთქად გასალიმარი საბარხაროდ გაიხა-
 დეს.

უეცრად თოფმა იგრიალა... ხაწე შე-
 ირხა, ჩაიკეცა...

ტყვიას ტყვიითვე უპასუხეს...
 ქარაფის პირად მდგარი ქორთოში
 უსუიქცა, თვალს მიეფარა...
 მუსაბეკი ლოდს ამოუღდა...

— მშანო, ალაპი ვახსენთ!
 ეამ გვიღვა გამოცდისაი,
 ვინც დღეს მოკვდება, იცოდეთ,
 მარად უკვდავიც ის არი!
 თავს დაადგებათ ნათელი,
 იმ ჩვენი პაპებისანი!
 ხმლებით დაეთხაროთ სანგრები —
 კარნი მტერთ სამარისანი;
 საცა დაგვაკლდეს, ცხენთ დავკრათ,
 ლეშ დაედვათ ცქენებისანი,
 ქვეშ ამოვიგოთ ტყვე-ქალნი,
 მომცენი სიფიცისანი!
 ვინც დავიტყვებით, დავიგოთ
 თექებო უნაგრისანი,
 ზედ წამოვეართოთ ტყვიანი,
 ვით თვალნი აღმასისანი;
 ჩქარ-ჩქაოა ეტნათ თოფები,
 ნაქებნი, ზვარისისანი!
 თუ საქმე ხნალზე მიდგება,
 ზილ-ფუხარ ალაპის არი!
 ცით ჩამოგვიტანს ვიბრაილ,
 მშანი ვართ მამამდისანი!
 ვინსლო, ისეთი ომი ექმნათ,
 ეგონოთ — უბუღის არი!
 ზეცა განიხვენს, გამოიხდნენ
 ტურფანი სამოთხისანი!
 გაციებულნი გვიკეპრდნენ
 მნახველნი მეუფისანი! —

მიმართა მუსაბეკმა ლაშქარს.

— გეთ, დლა დვა.
 ჩაუ ღუნა დვა.
 ჩაუ ხანა დვა.
 ჩაუ ლანა დვა! —

გაისმა ჰასუხად მოთარეშე მუსაბეკმა
 რიხიანი სიმღერა.

ბელადის სიტყვით აღფრთოვანებული
 მეომრები საფართა თხრას გამალებით
 შეუდგნენ. ბელტები ხანჯლებით დასჭ-
 რეს და სანგრები იცე ააგეს. პერმე ზედ
 საბრძოლო ბაირალებიც აღმართეს... სა-
 ცა საფარი დააკლდათ, ცხენები დაქ-
 ლეს და წინ იფარეს; საცა მეტი მოუვი-
 დათ, ქვეშ ქალები ამოიგეს...

ატუდა ბრძოლა საატკი და უღმო-
 ბელი. აწორედ ისეთი, როგორც უბუ-
 დისა იყო! ცა მართლაც განიხვნა, მარ-
 თლაც გამოიხდნენ ჰურიები — სამო-
 თხის მშვენიერი ააულნი და ანგელო-
 აებთან ერთად ბრძოლის საცქერლად
 ახლო-მახლო ფერდობებს მოეფინენ...
 მერე მეომართა მედგარ სიმღერას თა-
 ვიანთი წყრილა ხმებიც ააყოლეს. სან-
 გრებში ჩადგნენ და სხვებთან ერთად
 ისინიც სამკვედრო-სასიცოცხლო ფერხუ-
 ლში ჩაებნენ!..

— გეთ, დლა დვა.
 ჩაუ ღუნა დვა.
 ჩაუ ხანა დვა.
 ჩაუ ლანა დვა! —

გაისმა უფრო მძაფრად...

მებრძოლთა სიტლანქეს შეხამებული,
 ჰურიათა და ანგელოსათა ლეთებრივი
 მიმოხვრა საოცარ ცეკვას ჰგავდა. რომ-
 ლის მსგავსი, ალბათ, არცერთ მოკვდავს,
 არაადროს არ უნახავს!

56.

ის ლამე წოწრეანთმა სიზმარ-ცხადში
 გაატარა. კერასთან მიმჭდარი, ტყავ-
 თექაზე გაუხდელად მიწვა, მიეგდო...
 მთვლეშარე, ცეცხლთან ერთად ჩანავ-
 ლდა, ჩაიფერფლა... ედელში გამაგრე-
 ბული ჩირაღდანიც ჩაუჭრობელი დარ-
 ჩა...

— თქვენი ჭირიმე, უორნებო,
 გლოვა არ იცით მკვდარზედა,
 რაც უნდა კაი უმა მოკვდეს,
 ცრემლ არ მოვიგათ თვალზედა.

იამოდა შორიდან ძველი, ნაღვლიანი
სიმღერა.

წოწროვანთი ფიქრს მისცემოდა, მრავლის განმცდელი, მრავლის მთმენი, მრავლის მნახველი... ფიქრობდა ვიდრე ნაფიქრალზე სიზმარი აღმოუცენდა, უცნაური სიზმარი — სიზმარი, მაგრამ არცა მხოლოდ სიზმარი!.. უფრო ჩვენებასა ჰგავდა, ნათელს, მკვეთრსა და ცხადზედ ცხადად სახილველ, განგების მიერ მოვლენილ უჩვეულო ჩვენებას!.. არა, ეგებ ცხადიც სწორედ ეგ იყო!.. ცხადიცა და ცხადზედ მეტიცა!.. კარმა უჩუმრად გაიჭრიალა, ჩუ!.. ბინაში ჭერ ეპვი შემოვიდა, მერმე — იმედი!.. ეჭვს თალხი ემოსა, აანთელივით მკრთალსა და შეფითრულ სხეულს თალხით იფარავდა... მწუხარე, სათნო სახე ჰქონდა საბრალოს, თრთოდა, ზრუნვად ჰქეუელი, ბინას, დიასახლით ათვალეობდა... ვილაცას ჰგავდა!.. ღმერთო, დიდებულო, ვილაცა რას მიქვიან?! ვილაცას კი არა, მზისავარს ჰგავდა!.. ჰაპაის მზისავარს, მისი შვილების დედაა!.. კარგა დიდი ხნის წინ გამოტირებულ მზისავარს, სამარეს მიბარებულ ერთგულ მზისავარს... აწ კი აულეთიდან ააგანგებოდ მობრუნებულს, შვილებზედ გადაგებულ მზისავარს...

იმედი სხვა იყო... ნათელი, სიკოცხლით სავსე, ტანთ ყვავილები ემოსა, მხარზე ჰქდანი ესვა!

დიან, ჰაპაის ეჭვი და იმედი ერთად ეწვივნენ...

მზისავარი და ნანილო ეწვივნენ...

რად ეწვივნენ?!

მზისავარმა ცეცხლს ფიჩხი მიუმატა — ერა გააღვივა, გაამამაცა... მერმე თაროდან გობი გადმოიღო, ნაცრიანი წყლით აავაო — ნაცარი მოხარშა, ჩივა აკამზე ჩამომჯდარმა ნახარშით სავსე გობი მუხლებზე დაიდგა, ჩააშტერდა, ჩააკვირდა, მარჩიელივით ჩაეძია, ჩააჩიჩინდა.

ნანილმაც იგივე ჰქმნა—ჰაპაის ცოლს

წინ დაუჭდა — ჩიბრით დაეჭდა ჩიბრით
პოდ დაუპირისპირდა...

უცებ იჭვს — მზისავარს აღმოხდა:

— დედარი მოკლეს!..
— გიგოლემ
ფერი დაიდო მგლისაო,
რად გიგოლე ვიქნები,
თუ ჭავრი ვქამე მტრისაო!
თოფს დაჭრა თავის მაყარსა, —
ლეკის საფარი თრთისაო,
ერთი დღე დაბადებისა,
მეორე — სიკვდილისაო!
ათი შესწირა დედარსა,
გახარებული თელისაო!.. —

შეესიტყვა იმედი.

ეჭვი:

— ნუ გიხარია, გიგოლე,
თვითონაც გულში გვირსაო!..
არა სწადიან სიკვდილი,
კბილს შიგან სიტყვას სტრისაო,
საუორნევე როგორ გამხადეს,
მოყმე ვიყავი მზისაო?!

იმედი:

— მოღრუბლულ ცას ჰგავს ბერდია,
პირი არ სწირავს ღიშაო,
ხელი გაიჭრა განჯარსა,
ტარი აქვს ჯიხვის რქისაო,
ლეკის სანგარში შეიჭრა,
ნათომ ჩამდის უბისაო,
მეორეს დასა წვერითა, —
ჰება გაისმა მგლისაო;
მესამეს გადაუქნია,
მამტან ივნები წელისაო!

ეჭვი:

— მერე თვითონაც დაეცა,
შეჭნი ჩაუდინენ მზისაო, —
ხელმარჩვედ დაჭრეს ლეკებმა,
მუხლი მოსტეხეს მგლისაო;
ქვიშის დაუდგეს ლოგინი,
ივეა დღოუყარ პირსაო,
ატრდნენ კათი ქალები,
თხები დაჭყარეს თრისაო!

იმედი:

— ქალნო, ნუ სტირით, კახელნო,
ივანე ვიხით გხახედა;
თუ ლეკებს წაგაუვანინოთ,
წვერიც ნუ მსმინა უბუხედა!..
ჭერ თოფი დაჭრა ივანემ,
მერე მივიდა ხმაღვება,
აკაფა მოწინავეი:

დედარ, გაგზავნე წყალზედა
ერთი გოგონს შეწირა:
გუთანს შეუბი ზენაზედა!
მესამე კიდევ — ბერდის:
ძალად იყოლე ცხვარზედა!
მეოთხეს დაკრა, დასკვება:
ვხლა ვიზრუნებ თავზედა!

ექვი:

— თავისთვის ვეღარ იზრუნა,
ალარ ეწერა ხმალებდა:
ლეკმა მოილო შევალო,
შუბლი გაუბო შევაზედა!
იქვე, ღორღოვანს ჩაბერვა
ზორკი უვლრა ქვაზედა!

იმედი:

— გამზრდელიც დაელოცება,
უთურს, პაპის შეილსო,
მარტო ჩაუბტა მტრის ლაშქარს,
თან ელვა ჩაყვა ცისაო!
ოთხის მის სისხლის მებზნელსა,
მადლი სკოდნია ხმლისაო!
არ უწინდება მტრის ტყვიას,
პირით ნაკვერცხალს ჰკრისაო!...

პაპი:

— მკერდს მანის შავი ყორანი,
გულს მკორტნის, ძღვმა ვეღარა!...

ექვი: (ჩურჩულით)

— დაჭრილ ას პაპას უთერი,
კვდება, მორჩების ვეღარა!
მთებს გამოხედავს თოვლიანს,
მთანო, დაგლახავთ ვეღარა!
შილდის თავს გრილო წყაროო,
ჩამოგიყვები ვეღარა!
წენოძის კალო, ლამაზო,
ქორწილს გადვიხდით ვეღარა!...

იმედი:

— უთურს შაჰზედა მანგია,
კრემლით ავესო თვალია,
კლდიდან დაეშვა ზეავივით,
თან ჩაიტანა ქვანია!
სანამ მოზრდნენენ ლეკები,
მის მკელელს მოაჭრა თავია,
მერე მოიძრო ჩაჩქანი,
დაატრიალა ქარია:
ღამაკათ, ლეკის შვილებო,
ხუროდ ავიგოთ მკელარია!
კაფა და კაფა ურჩელო,
სისხლის მოვარდა ღვარია;
თვალეს და ვეღარ დათვალეს,
მანგიას ნახანქარია!

ექვი:

— იბრძოდა, სანამ გადუბტა
მანგიას ხანჯლის ტარია,
სანამ დაიწედა მხარ-მუხლი,
ოფლის დაედო ნამია,
მერე იმასაც უხებლეთეს,
ბასრმა გილო ჩქამია,
ქვიშაზე წითლად გავორდა
მანგიას კობტა თავია!

იმედი:

— მთვრალის ამის დამნახავს,
ძერა დააქდა მხარზედა!
ვიომე, ძმარ მანგიავე,
ხანჯარ არ შავრჩა ტარზედა! —
ესა სთქვა, შუბს ჰკრა, ჰორღოლსა
მის მკელელს აძგერა წამზედა,
მეორეს ხმალით მივარდა,
მეხად დაატედა თავზედა!
მესამე კლდეებს ახეთვა,
ტენი შეუნთხია ქვაზედა!

ექვი:

— ბოლოს თვითონაც დაეცა,
სიკვდილ დააქდა მხარზედა;
იმისი ცოდვის შემწურე,
მთვარე გაბრუნდა ცაზედა!

პაპი:

მკერდს მანის შავი ყორანი,
ლეიძლს მკორტნის, ძღვმა ვეღარა!...

ექვი:

— ავად ას შენი მთვრალაო,
კვდება, მორჩების ვეღარა!
მთებს გამოხედავს ბენავი,
მთანო, დაგლახავთ ვეღარა!
შავის კლდის ჯიხვო, ლამაზო,
ქარს ჩავიყენებთ ვეღარა!
ხატში დასტურის სასმისო,
ხელში ავიღებ ვეღარა!
ფშაქში გათლილო ფანდერო,
ლარებს ავიწყობ ვეღარა!

იმედი:

— ლურჯას მოველო ზენაღე,
ქვემოდან უქრის ქარია!
ცხენს გადუქნია მათრახი
შეოდეკო, შეიდი მხარია,
ისეთნაირად გადაქრა,
გავას გააძრო ტყავია!
ქარქაშით ამანათა
თავის ფრანგული ხმალია;
საცა ნალს დაქრავს ლურჯაო,
სისხლის გუზდება ლეარია.
შეიდი შესწირა მთვრალის:
მავის იყავით ყმანია!

ეჭვი:

— ზუნჩაღეც ისე აჯაფეს,
როგორც საქაღე მხალია,
მშებს შიუწვიწეს, ჩასძახეს:
იქაც იქნებით მშანია!

იმედო:

მაშინ გახელდა ბუჩაიცი, —
ზევინი დიძრა ზნისაო,
წინ ვერ უღგება სანგარი,
წარღენის ქარივით ქრისაო...
ლეკის ირზია ბელადი,
მოჯამაგირედ მშისაო, —
შედრკენენ, შეშინდენენ ლეკები:
ეს რა გრივადი ქრისაო!

ეჭვი:

— დედას გიტირებთ, ბუჩაივ,
ჩვენაც შეიღნი ვართ ლეთისაო! —
ზურგოდან წამოეპარნენ,
მშას, მოქომავეს მშისაო,
ბეკებს შუა დაკერეს, დააგდეს,
გაწყუდა იმედი ზნისაო;
ლიმილით სავსე თვალები
შავ-ზნელს მიეცა ძილსაო!

პაპი:

— იქვო, დადექი, დადექი!
ნუ ქრი, ნუ მიქრობ სანთელსა!
ჩამოეტსენი, ყორანო;
ამ ჩემსა არემარესა!
ქვეყანა ლეთისგან შექმნილი,
შენგან რად უნდა წახდესა!

ეჭვი:

— ტყუილა ცდილობ, გასრულდა —
ბნელი ეწია ნათელსა!

იმედო:

— სხვა ვინ ეთქვა, მშა მშის ერთგული,
ვაფი ნაკედასთანაო?
რა ვუვოთ, ბატარათა,
მშებს უღგას ბოლოდანაო,
მოკლუა, მაგრამ ბასრია,
შემონახული დანაო!
ლექს ეცა გახელებული,
გაბგლიცა, გადაჰყარაო,
ორი სხვაც თან გააყოლა,
ტრიალებს როგორც ჯარაო...
პევირობენ ლეკის შვილები:
დიდი ჰქონია ძალია!

ეჭვი:

— აღარც ნაკედას დსცალდა,
თურმე კლდის პირას მდგარაო, —

ფეხი მოუცდა, დაქანდა,
კლდეზე ხორცი გააცალაო!
მთამ ჩამოჰყარა ნაშალი,
ზედ პირზე დააფარაო...

ეს რა ხმა ესმის პაპის,
რა საამური ეღარენი!
ქიხვინი, აბჯრის ტრიალი,
ცხენის ფლოტვების თქარენი!
იქნებ კვლავ ქარი ამჯრობს,
ან ლამის ლანდი მალულთ;
ან იქნებ მაქნე მოვიდა,
სიტყვა რომ ჰქონდეს ფარული?...
კაბი გაიღო, გამოჩნდა
მოვე გზით გამოქართული,
ოფლ-სისხლი გადალეკილი,
ხმალ-ხანჯლით ჩამოღარული...

პაპი: (გაბარებულთ)

— მაღლი ღმერთს, შეიღო ანდარეზ,
კიდევ შეგავლე თვალია!
ღმერთი არ იზამს, ამოწყუდეს
წოწრვანთ კარგი გვარია!
ბიჭები როდის მოგვივლენ?
როდის გავუღო კარია?

ანდარეზი დუმდა, ხმას არ იღებდა...

პაპი: (დაეჭვებულთ)

— ხმას რად არ იღებ, ანდარეზ!
სახე რადა გაქვს მწარეა?
მარტო რადა ხარ? რა იქნენ,
რად არ ამოგვეუნენ მშანია?!
ნუ გეშინია, ანდარეზ,
ნუ კრთი, ჩამოჰყარ ზარია!

ანდარეზი:

— მე არ მეშინის, პაპავ,
ჯილაგი ჩემიც მუარია!
ნუ გამოწყურები, მოგვივლე,
წითელის არყით მთვარალია! —
მშები სუვეველა გაწვირე,
კახეთს დავეარე შევდარია,
ფერხითი დავუსვე შუბები,
ღროშებს უქანებს ქარია!
თავით დავუბი ცხენები,
მტრალი როგორც ქალია!
იმათ სულს ვფიცავ, ლეთის მადლმა,
არც მე არ გვევარ მხდალია,
მენაც მწუწროდა სიკვდილი,
მაგრამ ვითმინე, ბრალია!
ვერ იქნა, ვერ გავიმეტე
ჩვენი ლამაზი გვარია!
ძალით მოვიკალ გულისთქმა,
ძალით დავებზე კარია!..
წამოველ — მწაღდა მეკობზა,
კარგი ექნენ თუ ავია?

ახლა შენ თვითონ განსაჯე,
მდინარის შენ ხარ თავია!

არ დაგივიწყებს ქვეყანა,
თუშთა ხატი და ჯვარია!

პაპაი: (კარგა ხნია დუმვილის მერე)

— შეილო, იუტჩე, ანდარეზ,
შენი სიციცხლე მწარეა,
უძმობას ველარ გაუძლებს,
დამიღონდები ძალიან:
ფიჭრი წაგახდენს, დაგლავეს,
დაგლავეს, დაგადნობს, ბრალია!
იქ წადი, სადაც გასრულდა
შენის ათი ძმის გზანია!

რა ეამა ეს ნაუბარი მამისა, ანდარე-
ზი გაბრუნდა, კარი გაიხურა... პაპაი
ჩასაქრობად განწირულ ჩირალდანა და-
აქცერდა...

სიტემემ თანდათან გაითავისა ანდა-
რეზის ცხენია ფლოქვების თქარუნი...
ჩირალდანი ჩაქრა. — წყვედიას მღუ-
მარებაც შეერწყვა, ყოველივე გააქრო,
გააარაფრა...

პირველი ნაწილის დასასრული

ნაწილი მორბო

ძ ე თ ე ვ ა ნ ი

1.

ძეგამს მომხდარმა არნახულმა ვერა-
გობამ მოსკოვის ელჩებს თავგზა აუ-
ბნია — ტატიშჩევიცა და ივანოვიც
საგონებელში ჩაჰყარა. კარგა ხნის იჭ-
ვისა და ჩხრეკა-ძიების მერე ორივე
ელჩი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ
„საქმესა ამას უთავურსა“ შაჰ-აბასის
სიმუხთლის ბეჭედი ესეა და, რომ
ირანის ცბიერმა მბრძანებელმა ტო-
რის ერთი გაქნევით, ლამის იქნა,
მთლიანად გააქარწყლა რუსეთის სა-
მეფო კარის ოცწლიანი მაცადინი. უდაო
იყო — შაჰს აღარ სურდა მოეთმინა
კახეთის საქმეებში არა მხოლოდ მო-
სისხლე ოსმალეთის, არამედ სულთნის
წინააღმდეგ მისი მოკავშირე რუსე-
თის ჩარევაც კი!.. დიახ, ამიერიდან კა-
ხეთი იგივე ირანი უნდა გამხდარიყო.
ხოლო კონსტანტინე — ირანის ლო-
მის ყურმოპირილი მსახური, თუმცა კა-
ხეთის ტახტზე ახლადდადგენილი ხე-
ლმწიფე დაქინებით უარყოფდა ძეგამს
მომხდარ უბედურებაში აბასის მონა-
წილეობას, იგი ყველაფერს მხოლოდ
ფორტუნას აბრალებდა: — ბედისწე-
რა რომ არა, არცა შაჰსა და არცა მე,

მამისა ჩემის ალექსანდრეს და ძმისა
ჩემის გიორგის ეგრე უღვთოდ აღს-
რულება ფიქრდაც არა გვჭონიაო. —
ამტკიცებდა. სიფრთხილისათვის ელ-
ჩებმა ერთხელ კიდევ სცადეს ჯეშვი-
წევნით ზუსტად ამოეცნოთ ამიერიდან
კახეთის ხანად წოდებულ მირზა — კო-
ნსტანტინეს ზრახვანი ჭეშმარიტნი. ამი-
ტომაც ფარად გულუბრყვილობა მოი-
ხმეს, მამისმკვლელ მეფეს კვლავ ქრი-
სტეს რჯულზე მოქცევა და გოდუნო-
ვისადმი ერთგულების ფიცის მიღე-
ბა შესთავაზეს.

— კმ! — აღმოხდა კონსტანტინე
ხანს, — მზის ნათელს ვფიცავ, ფუჭი იმე-
დიაო. იუარა, მერე ჩაფიქრდა, — ამ-
ეამად ჩემი გაქრისტიანება და რუსთ
ხელმწიფის ერთგულებაზე დაფიცება
არ იქნების... ვშიშობ, შაჰს გულს არ
ვატკინო.. ხვალისა კი ხვალემა ჰნა-
ხოს!... თუ ბეტურლინმა იმარჯვა და
შამხალსა სძლია, ეგებ მეც, ალაჰისგან
შეწყალებულმა, შამახიის ფაშა მუხ-
ლებზე დავცე და... — კონსტანტინე
წამით დადუმდა, ელჩნი გულდაგულ
შეათვალიერა, — სანდოდ არ უთქვამთ,
მაგრამ ჭორად კი გამაგონეს, რომ შამ-

ხალის ჭარმა, თქვენგან ცათამდე ამალღებული ბუტურღონის თოფოსანი ლაშქარი და მისი მომხრე კრისტიანი მთიულები ერთთავად ამოკლიტაო.— დასძინა ეშმაკურად.

მარტია უკანასკნელ დღეს იმედგაცრუებულმა რუათ ხელმწიფის ელჩებმა კახეთი მიატოვეს და ბედის საძიებლად ქართლისაკენ დაიძრნენ, თუმცა მოსკოვი იჭიდანაც ძალზე შორა იყო. ირანი კი — ახლოს! ამიტომაც რუათი მფარველობა. ალექსანდრეს მსგავსად, შესაძლოა, გიორგი ქართლის მეფისთვისაც საბედისწერო გამზდარიყო. მაგრამ, მოუხდლავად ამისა, ტატიშჩევმა და ივანოვმა ქართლში გარკვეულ წარმატებას მაინც მიაღწიეს — ბორის ხელმწიფის ვაგისათვის საცოლედ გიორგი მეფის ასული ელენე დაიგულეს, ხოლო ქალისთვის საქმროდ — ვახტანგ მუხრან-ბატონის ვაჟი ქაიხოსრო.

თიბათვია ოთხს ამ მცირე ნადავლით შინისაკენ მიმავალი რუსის ელჩები უკვე არაგვისს აათავესთანაოყვენენ. იქ, მათვე საუბედუროდ კონსტანტინე ხანისაგან კორად გაგონილი ამბავი მწარე სინამდვილედ იქცა — ყუმუხოსმალთა ჭარს ბუტურღონის ლაშქარი მართლაც დაემარცხებინა, ტარკი აედო და მთელს რუსეთში სახელგანთქმული დიდი სარდლისთვის ანდერძიც თერგის პირად აღესრულებინა.

ოსმალეთს ბედი სწყალობდა — არც კონსტანტინეს გაუმართლა შამახის ფაშაზე ხმალდახმალ მისვლამ — ძეგამის ახალმა მბრძანებელმა, შირვანზედ ლაშქრობისას, თან კახელთა რაზმიც იახლა, აქაო და ქვეყანამ ნახოს, რომ ყენის შიშით კახელნიც მე მომერთმინ და მხარჭერაც მათგან დიდზედ-დიდი მაქვსო. თუმცა კახელნი თურმე სხვაგვარად აჯიდნენ... დამესა ერთსა, ეამსა შამახის ალუიასა, უეცარი ჭანუი ჰქნეს, კონსტანტინეს კარავში შეიჭრნენ. მცველთა ზრიალზე

მამის მკვლეულმა თავს უშეცდომოდ უკანა კალთა გაფხრიწა, გარეთ გავარდა და შიშნაკში, ალი-ხან მოკაფეკის ბანაკს შეეფარა. მის ნაცვლად კახნი ორ მძინარ მსახურს გადააწყდნენ, იფიჭრეს; ერთი მათგანი უთუოდ კონსტანტინე იქნებოო და აკაფეს კიდევ. მერმე აიყარნენ და შინისკენ გამოსწიეს. ამბოხებულებს კვალზე გამოკვყენენ. მაგრამ კახელებმა კვლავ იმარჯვეს და მდევარი უკუ აქციეს. მაშინ კონსტანტინე ყენის მაშველ ჭარს აღარ დაელოდა. არდებლის მივიდა, იქაურ ვაჭრებს დიდძალი ფული წარტაცა, ნაალაფართ ლეკთა და სხვა ნაფსკერალთა ლაშქარი შეკრიბა, კახეთისკენ დაძრა, მერმე გზად შაქიდან მობრუნებულ შამპირ ხანიც შეფერთა და განრისხებულ ძეგამს მოადგა...

2.

თერთმეტი ვაჟია ერთბაშად დამეარგავი წოწრეთ-მაჰაი ბნელსა შინა იგდა, ბედისგან კრული და საუყუნოდ სვედალღწილი აწ მხოლოდ სიკვდილს-დანატრულობდა, ეერაც რახანია გაეჭრო, გაეციებინა... არცა სჯამდა და არცა წყურვილის განრიდებას ჰლამობდა... ჭებრისთვისა და სხვა საყოლისთვის ფარების კარი ადრევე გაეღო, ცხენიროხა ველად გაერეკა, ღვთისთვის მიენებებინა.

ეამსა ერთსა, პირქვე უგრძნობლად ჩამზობილს, ჩვენება რამ უცნაური ეწია — წყვილიდსა შინა მუსა-ბეკის სახე გამოკრთა...

მაჰამ თავი ოდნავ აიღო...

— შენ აქ რა გინდა, მუსა-ბეკრად ელტიე თუშთა მხარესა?... რისთვის მომიხვედ, რას მიკად ეთა-ზე ნგლოვარესა? რად დასტრიალებ, ეორანო, ამ ჩენსა არ-მარესა?... რით ვერ-და მიხვდი, გასრულდა — ბნელი ეწია ნათელსა... ო, კაცო უგუნურებე, მშობელს რადა ჰგულჯ კალთებსა? ქვეყანა ღვთისგან შექმნილი,

შენგან რად უნდა წახდესა?
 თუმცა რაც წასახდენია,
 ან ხვალ წახდება, ან დღესა...
 ვაი, რა ისიც ბნელია,
 რასაც ჩვენ ვაძქმევთ ნათელსა!
 ვაი, რა ცრუა საწუთრო,
 დღე-ღამეს ფუჭად ათვესა,
 გვატორებს, ხანაც გვაკონებს,
 კახა ქალივით გვათრევსა!
 ...მაშ, რაღას ელი მესა-მეც,
 მო, დამეარ დამენათვესა;
 მადლი ჰქმენ, შემართე შე წყალსა,
 აწ ბნელი მიჯობს ნათელსა,
 სიკვდილსა ვნატობს, სიციცხლე
 ათასწილ მეფარესა!... —

პაპაი ავლავ ტყავებზე მიწვა, უნე-
 ბოდ ქმნილი პირქვე ჩემხო — სიკვ-
 დილს დაელოდა...

მუსა-ბეკის ლანდი არ შერბეულა...

— რამ წახდებოდა, პაპაი,
 რამ შემოვასწრო ან დღესა?
 შენს მკრთალ ჩირადანს ვით ადრი
 ღვთისგან ბოძებულ ნათელსა?
 კაცი ხარ, ვანა ღმერთი ხარ,
 ფაქრს რად იტვირთებ ამდენსა?
 კრელია წუთისოფელი,
 ხან ნათელს აფენს, ხან — ბნელსა,
 სიციცხლეს აქრობს სიკვდილი,
 სიკვდილს სიციცხლე ათვესა!
 ზვედრია, უნდა გაძღო
 ცრემლს ღვიძლით გადმონადენსა!
 რაც წერამ წეროს, იგივე ექმნათ,
 რაც გვწამდე, იგივე გვწამდესა!
 რა კაცი ზედთან შერცხევისს,
 ღვთის საქმეც მაშინ წახდესა!

ჩვენ თუ ჩვენს ალამს ვერთგულებთ,
 შენც ერთგულე შენს ღმერთსა!...

ამ სიტყვებზე მუსა-ბეკმა პირი იბ-
 რუნა, ჩვენება მისი გაქრა, სიბნელეს
 შეუერთდა...

3.

მემკვიდრე მახლისა და მეფე-სიმამ-
 რის მზაკერული მკვლელობით თავზა-

რდაცემული ქეთევან ^{გველმოქმედი}
 გრემს იდგა — ყიზილბაშთაგან სასიკ-
 ვდილოდ დაქრილ სახლთუხუცესს.
 ომან ჩოლოყაშვილს, კირისუფლობას
 არ აკლებდა, მოახლესავით თავს და-
 სტრიალებდა...

— დასტაქარმა იკვით გამანდო, —
 სწუხდა სნეული, — წყევლმა კონს-
 ტანტინემ მეფისა ჩვენის ალექსანდ-
 რეს და გიორგი უფლისწულის წარ-
 კვეთილი თავები შაჰს გაუგზავნაო,
 მართალია?..

— მართალია, — დაუდატურა დე-
 დოფალმა. — მაგრამ ცხედარნი მათ-
 ნი მაინც ალავერდს დაფლა, შირვან-
 ზე ლაშქრობის წინ, რაკი კახთ-ბატო-
 ნად თავი თვით დაიდგინა, ხალხის
 წყრომასაც განერიდა... საჯაროდ უთ-
 ქვამა: მე ყაენისთვის არაფერი გა-
 მიგზავნია, ვისაც ჩემი არა გჯერათ.
 ნურც ღმერთის გეშინიათ, ეგვე საფ-
 ლავნი! გასთხარეთ და თქვენის თვა-
 ლითა ნახეთო...

— ჰმ! — ამოიგვინა მომაკვდავმა.
 იყუჩეს.

საქანში თეონია შემოვიდა...

— ჯანდიერიშვილი გკითხულობსო.
 — რიდით მოახსენა დედოფალს.

ქეთევანი წამოდგა, სნეულს საბანი
 შეუსწორა...

— აქიმის მოსვლამდე აქ დარჩი, არ-
 სად წახვიდეო! — უბრძანა მოახლეს...

დავით ჯანდიერიშვილი, ვაჩნაძე თა-
 მაზ და ძმაი მისი ბებურ დედოფალს
 მცირე დარბაზში ელოდნენ...

— იკვით ნაგრძნობი ამბავი გამა-
 რთლდა, დედოფალო. — გამოჩენისთა-
 ნავე მიაგება ჯანდიერიშვილმა ქეთე-
 ვანს. — კონსტანტინე ალაზანგალმა
 დადგა ზემო მინდორსა მაკაბლისა, ლა-
 შქარიც დიდზე-დიდი მოჰყარა... ცო-
 ლობასა გთხოვა!... გითვლის: რამეთუ
 ჯერ არს რაჭულისა მაჰმადისა შერთვა
 რძლისა, და აწ მე დავიპყარ კახეთი
 ნებიითა ყაენისა. შემირთავ და იყავ
 კვლავაცა დედოფალი და უკეთუ
 არ ინებო, მე ძალითა ვყო ესე!...

ერქინული
გინული

— რა იღონეთო? — სამთავე ერთად შეათვალე რა ქეთევანმა. მის მზერაში საყვედური და წყრომა იგრძნობოდა...

— დარბაისელთა თათბირი ჰქმნეს, ყაენის რისხვით ქვეყნის წარწყმენდას კვლავაც მშვიდობა არჩიეს, დაყოლა გთხოვეს... — ფრთხილად შეჰბედა ვაჩნაძემ.

სასომიხილი დედოფალი სავარძელში ჩაეშვა...

— საეინცობოდ კაცი მზადა გყავ, გირჩევ ქართლს აფრინო, მეფე გიორგის საშველი სთხოვო. — სანუბეშებლად ესა შეაკონა ჭანდიერიშვილმა.

ქეთევანმა თანაგრძნობა იწვინა...

— სიკვილი უკეთ მიჩნს, ვიდრე ბოროტისა მახლისა ჩემის შეერთებაო. — ამოიოხრა. მერე წამოდგა. — ერს უხმეთ, დარბაისელნი და მღვდელმთავარნი ეხლავ მახლეთო! — ბრძანა.

4.

ტამსა მეორესა პაპაის სხვა, უფრო უცნაური ჩვენება ეწია — წყვდიადში ნანილი გამოკრთა. თავს ყვავილთა ნაცვლად ეკლის გვირგვინი ედგა. ბაგე მისი უტყვი იყო, თვალნი — ცრემლდამშრალნი.

— ხმას რად არ იღებ, ნანილო, რადა ხარ გაჩურებულო? —

უხმოდ შეესიტყვა პაპაი.

ნანილმა თავი დახარა...

— გიოხრა — შეშინის, პაპაი, იმად ვარ გაშტერებული. არ გიოხრა — გული არ დგება ეს ლეთისგან შეჩვენებულო... მოგიველ კარი გამოიღე. მკენ შენს ფრთას შეფარებული წინ შენი ტაბლა დამიდგო, ჩემს წადილს შეფარებული ზედ შენი კერბი დამიდგე, ნალველით შენელებული;

ბელთ მომე შენი ბარძიბე ლეთის რისხვა, შეღერებულო! შეგ შენი ლეინო ჩამისხი, — სისხლ-ცრელი შედედებულო; ქვეშ შენი თეკა დამიგე, ნარ-ეკლით შეჭრელებულო; დამხტრე შენი ნაბადი, ცოდვა-ბრალს შეჭერებულო...

პაპაი:

— ჩამოხსენი, ნანილო, ჩემს სახლ-კარს შეჩვენებულსა! შენ ვით იტვირთებ ჩემს ხვედრსა, ხეთის რისხვით შეჭერებულსა?! ანდა მე როგორ ვამდიდრებ სისხლს ერთხელ შეჩერებულსა?!

ნანილი:

— ნუ გამიწვილებ, პაპაი, წადილს ლეთით შეგონებულსა, ნუ გაიმეტებ ჩემს სიყრმეს, ობლობით შეღონებულსა! ნურც ჩემს უმანკო ვედრებას, მიწით ცას შებოლებულსა. მთლად ნუ ჩაუტრობ მზის ნათელს სიციცხლეს გაძვირებულსა, ნუ მოუღერებ შენს მახვილს, ნალველით დამიძიმებულსა...

(-ჩოქებს)

ამიღე, ფიხად დამაგდე, შენს კერას გაციებულსა, დაპბერე, ქარო ძლიერო, ნადევრდალს დაძინებულსა... მტლედ დავედები შენს ტკივილს, შენს ყოფას გაწვილებულსა, ჩემის ნაწნავით შევკონაც შენს ჯვარს ბოროტოვან ვენებულსა, სიკვილს მოგიკლავ, სიციცხლეს დაგიჩვენე გაციებულსა...

5.

დედოფლის გამოჩენას ერი ალავერდის ეზოში ელოდა.

ზარების ხმაზე ტაძრიდან ჯერ დავით ჭანდიერიშვილი გამოვიდა, მერე მღვდელმთავართა და დარბაისელთაგან ხლებული ქეთევან-დედოფალი.

ზარის ხმა მიწყდა.

ერი მუხლებზე დაეცა.

— მკვლეელი ძმისა და მკვლეელი მამისა, აწ თვითმარტვირა მეფე თქვენი და მახლი ჩემი კონსტანტინე ცოლობასა მთხოვს. — განუცხადა ერს დედოფალმა.

ხალხი შეირხა, აჩოჩკოლდა...

ქეთევანმა ხელი შემართა, სიჩუმე სმოთხოვა...

— გიხმეთ, რამეთუ შემეწიოთ არ ყოფად ამის. — განაგრძო მან. — და თუ ეს არ ინებოთ, უნდა დაგაგდოთ რძალმან თქვენმან თქვენგან უმფარველომან და წარვიდე ამშობლოსა ჩემსა მუხრანსა, მამულსა მამისა ჩემისასა...

დედოფალი დადუმდა. სლავერდის ეზო-მიდამოს სამარისებური სიჩუმე დაეუფლა...

— ვაი, დედასა!... ეს რა ესმა ეურჯეს ჩემსა!... — მეხვიით გაეპარდა სიჩუმეში. პაპაის ხმა იყო, თერთმეტე მომკვდარი პაპაის ბლავილი... წოწრეაჩოი შუბნაკრავ ნადირს ჰგავდა.

აბორგებულიყო, აზვირთებულიყო, აფეთქებულიყო... ჭერ ერთს მიაწყდა. მერე მორეს დაეძგერა. — ვაი, მოსწრებას სოფლისასა!... ვაი, სამარეს თავწარკვეთილის კახთ-ბატონისა!... ვაი, რძალა ჩვენსა, დედოფალსა უქმროს და უძმოს!... ვაი, კახეთსა უკაცოდ ქმნილსა!... ხალხო, რას სჩადით?! რა პასუხს აძლევთ მალლა ღმერთსა და ძირს მეფისა ჩვენის ალექსანდრეს უთაო ცხედარს?... წა. დედოფალო, აწ ამ ხალხთან სიცოცხლე არ ღირს!...

პა, დამყარ და წა... — ამ სიტყვებზე პაპაი ქეთევანთან მიიჭრა, ხანჯალი იძრო, გაუწოდა. მუხლზე დაეცა. — დამყარი და წა... გვეედრები, დამყარი და წა!...

ერი იშვალა...

ალავერდის ეზო-მიდამოს, აქამდე გალაგანგარე მდგარი დიაცნი შემოაწყდნენო...

— ჩვენც წაგვიყვანე, დედოფალო!.. ჩვენც წაგვიყვანე!..

ქალები ქეთევანს შემოეხვივნენ.

— ჩვენც წაგვიყვანე!... ჩვენც წაგვიყვანე!
— ფუ, ჩვენს კაცობას! — ქედრძირს დასცა თამაზ ვაჩნაძემ.

ის ღამე ქეთევან დედოფალმა მხურვალე ლოცვაში გაატარა... მაცხოვრის ხატთან დაჩოქილი წმიდა სანთელივით თრთოდა — მეუფეს ქვეყნის გადარჩენას ევედრებოდა...

გამთუნისას აენაკში ქედით თხემამდე საომრად აღჭურვილი ჯანდერიშვილი შემოვიდა...

— მეფე გიორგიმ ზემო ქართლის ლაშქარი გაახლო! — თქვა და სიხარულით დასძინა: — სპას პაპუნა ამილახორი უწინამძღვრა, კახელთაც გული მოეცათ, ბრძოლის ველს ცოლ-შვილიანად მოდგნენ. ჩვენ წინ შევებათ, ხოლო ჯალაბნი ჩვენნი დედოფალს უკან დავუყენოთ. ან გავწყდეთ, ან გაემარჯვოთო, დაიფიცეს.

ამ ცნობამ ქეთევანს სასოების ცრემლი მოჰგვარა...

— გმადლობ, უფალო, რამეთუ შთაგონე ერსა ჩემსა ბედარულსა ქვევაი ესე ჰეშმარიტო. — აქვითინდა...

6.

ოქტომბრის ოცდამეორე დღეს, მზის ამოსვლისას, როს აღაზნის ველს ნისლი რამ გაუმჭვირვალი კვლავ თავს ეფინა, ქართველებმა საომარი დრო-შა აღმართეს, ქეთევან დედოფალი და ჯალაბანიც თვიანი პირობისამებრ დრო-შის ქვეშ დააყენეს, მერამე ბუკსა ჰკრეს და ლაშქარიც საომრად განალაგეს.

...სამ დღეს იბრძოლეს, სამ ღამეს — მებს მესი სდევდა ჩქარ-ჩქარი, მკლავს მკლავი დახვდა. გულს — გული, ხმალს — ხმალი, ჩაქანს — ჩაქანი; ცა შედრკა, მიწა შეირყა. მთებმა დაჰყარეს ნაშალი, ყორანს ჩამოჰყვა ყორანი — ფრთა ფრთას მიება შე-შავი, ზარბენი: ერთერთს შეჰყარია ლომის და ვეფხის ლაშქარი!

საქართველო

ხოცი დასცივდათ. მონჩხვს-ლა
 შეოჩებათ ქამაო-ავშაოი...
 გათენდა ისე დაღამდა,
 ელვამ დასცივთა აბაოი.
 სიღატამ დაღალა ჩაბმახი,
 მელავეს დაბარა ხანჯაოი;
 ბასომა შეწვეოტა კოაოი,
 სისხლმა შეწვეოტა წაწქაოი...

საწი ყიზილბაში მეომრით ხლებულ
 კონსტანტინე ხანი ცხენს, დაუზოგა-
 ვდ მიავლელებდა — ქართველებს ეც-
 ნოთ, ადევნებოდნენ... მდევარნიც ოთ-
 ხნი იყვნენ: უაბჯრო და უჩაფხუტო
 წოწრეანთი, დავით ჩანდიერიშვილი,
 ვაჩანაე თამაზ და ვაჩანაე ბებუო... ჩა-
 ნდიერიშვილმა კონსტანტინეს ცხენს
 ისარი მარჯვედ მიაწია, უღაყი წაბო-
 რძიკდა, მხედარი ძირა დასცა... მდე-
 ვრები მიუხდნენ და, ვიდრე მხლებელ-
 ნი კონსტანტინესანი საშველად მობ-
 რუნდებოდნენ, მიწაზე დანარცხებულ
 კონსტანტინე ხანს თავს წამოადგნენ...

— ნუ მომკლავთ, დაგრჩომივართო!
 — შეევედრა ძირს დაცემული, მაგ-
 რამ არ დაინდეს, — მამის მკვლელს
 მზის თვალი არ ეგებოსო! — დასძახეს
 და შუბიც სასიკვდილოდ აძგერეს...

ამ ამბის შემხედვარე ყიზილბაში
 მხედრები დაფრთხნენ, თავზარდაცე-
 მულნი იქაურობას სასწრაფოდ ვანე-
 რიდნენ...

პაპა ჩამოკვეითდა, მკვდარს თვა-
 ლნი დაუხუჭა, დაუჩოქა, პირს მოსა-
 ხამს კალთა წააფარა...

— ვაჰ, წერასა ჩემსა უღმერთოსა,
 რომ ძე მეფისა ჩემისა ხელითვე მო-
 ვკლდინეო, — აზლუქუნდა.

დაღამებულიყო...

7

შაჰაბას თავრიზს იდგა, როცა მას
 აღექსანდრე კახთ-ბატონისა და გიო-
 რგო უფლისწულის მკვლელობით „ხე-
 ლდამშვენებული“ შაჰმირ-ხანი და ალი
 ხან მოვაფეკი ეახლნენ...

— ცუდი ამბავი, მეცხრე ცის სა-

დარო! — კარავში შემოსულს
 მიწას განერთხნენ ორთავენი.

აბასი მათკენ ზურგით იჯდა — წერ-
 და... არ შემობრუნებულა, მხოლოდ
 ეგ იყო, რომ კალამი წამით შეაჩერა,
 თვალნი მილულა, მერე ნელ-ნელა წა-
 მოიშართა, თავქვე დამხობილ ამირებს
 მხარზეით გადმოხედა...

— წუხელ სიზმარში მირზა კონსტა-
 ნტინე ჭოჯოხეთის კარამდე მივაცილე...
 მიკვირდა, კისერზე თავი აღარ ედგა?! —
 იღუშალის კიდინჯით ჩაილაპარაკა მან.

— უეჭველ არს სიახლოვე შენგან
 ალაპისა! — აღმოხდა ალი-ხან მოვა-
 ფეკს.

— კმ! — ამოიგმინა შაჰმა და ხელს
 შერჩენილი კალამი, ანუ ფრთა კალ-
 მისა მუჭში მოიქცია — სიმწრით მო-
 სრიალა...

— დავედ-ხანის ქვრივის — ქეთევან
 დედოფლის შეგონებით კახნი აგვიჯა-
 ნუნდენ, მეცხრე ცის სადარო. —
 თხოლოვით განაგებო მოვაფეკმა, —
 აჯანყებულებს ქართლელნიც ამოუდგ-
 ნენ. სიტყვითა და მუქარით რომ ვე-
 რას გახდა, კონსტანტინემ მტრის ძლე-
 ვა მახელით სცადა, ჩვენს ლაშქარს
 თავად წარუძღვა. მოწინავე რაზმი და
 ფრთენიც რომ გააწყო, მეზარბაზნენი
 და მეთოფენიც მარჯვედ დააყენა, ხო-
 ლო თვითონ, ჩვენთან და სხვა ამირე-
 ბთან ერთად, მხედრობას შუა ჩაუ-
 დგა. იერიში ძლიერი ვქენით, მტერი
 შედრკა, უკუიქცა... მაგრამ მალე ის
 მოხდა, რომ გამარჯვების მზემ კონს-
 ტანტინე ხანს თვალი მოჰკვეთა, ნარჩე-
 ვი ჩვენი აღარ შეისმინა, მე, შაჰმირ-
 ხანი და სხვა ამირები ჭიუტად მივე-
 ტოვებ. ხოლო თვითონ ლაშქრის გა-
 მართად მარჯვენა ფრთისკენ მარტო
 გაეშურა, რამეთუ ღოღამსა მისსა ყო-
 რჩილა სულთანს, რომელიც მან მონო-
 ბიდან ამირობამდე სიუხვით აღამალდა,
 კახელებმა სიმარჯვით სძლიეს. სიმამ-
 ცის ტაიჭზე უმეცრად გადამჯდარი კონ-
 სტანტინე ხანი ბრძოლაში ურახმოდ
 შეიქცა. ქართველებმა იცნეს, მიეტევ-
 ნენ, რომელსამე ყურეში მიიმწყვდიეს.

შუბი ჰკრეს. ბედნიერების ცხენიდან, ღიახაც, დამცირობის მიწაზე ჩამოაგდეს და სისხლი მისი ქვიშას შეუერთეს...

ალი-ხან მოვაფეკი დადუმდა.

შაჰი კვლავ უძრავად იდგა.

— გარდა ყოვლისა, მეცხრე ცის სადარო, — ფრთხილად დასძინა შაჰმირხანმა, — ვიდრე ეს ამბები მოხდებოდა, რეგვენმა კახელებმა, ჩვენგან მოკლული ალექსანდრე ხანის ძმის, იესეს ვაჟი ბაგრატ გილანის გზით ფარულად მოსკოვს გაგზავნეს. როგორც შევიტყვეთ, ის თურმე ასტრახანს ჩვენს ელჩსა და რომის პაპის მოციქულს დამგზავრებია... ელჩს მისი მოკლა განუზრახავს, მაგრამ პაპის მოციქულს დაუფარავს და მოსკოვს უვნებლად ჩაუყვანია...

შაჰმა ეს ცნობაც დუმილით მოისმინა. მერე შემობრუნდა, ხელი ხელს დაჰკრა და კარავში შემოსულ მსახურს მწერლის ხმობა უბრძანა:

— ფარატ მირზა მომგვარეო! — ჩაილაპარაკა. თან, აქამდე ძირს განრთხმულ ამირებს წამოდგომა ანიშნა. — სიბრძნითა თქმულა, „მამის მკვლელი ხელმწიფობას ვერა იქმს, თუნდაც რომ ქმნას, ექვს თვეზე მეტს ვერ გაძლებსო“. — დასძინა.

გაკვირვებულმა ამირებმა ერთმანეთს გადახედეს — ვერ მიხვდნენ მბრძანებელის ესრეთ სიმშვიდის მიზეზს.

— ვიცი ამ ამბის შემხედვარე ოსმალნი თამის ტალასა ზედა შესხდებიან, ლაშქარსა თვისსა ჩემზედ დასძრავენ — ფიქრთანად განაგრძო აბასმა, — თან, ან დღეს, ან ხვალ კახნიც თავის ხალხს მახალბევენ, კონსტანტინეს ნაცვლად მირზა-თეიმურაზის გამეფებას მთხოვენ... დაყოლა მმართველს... გამო ამისა და მიზეზთა სხვათა მრავალთა გამოც, ჩემი მახანდარანს წასვლა და თეიმურაზის თან წაყვანა აღარ იქნების...

კარავში შაჰის პირადი მწერალი ფარატ-მირზა შემოვიდა. იგი მთლად ჰაბუკი იყო, ხელთ პაწია ტაბლა, კალამსამელნე და დასაქდომი მცირე მუთაჰა ეპყრა.

შაჰის სურვილით მწერალი ჩვენი გვერდის კალთასთან მოკალათდა, კალთანი მოიმარჯვა...

— გონიერებითა და სათნოებით უფლისა მიერ კეთილშობილო დედოფალი კეთევან! — ხმადაბლა წამოიწყო აბასმა. — ალაჰმა იცის, რომ მაზლი შენი უღირსი კონსტანტინე, კახეთს ჩვენი უაფგუსტოესი ბრძანების წინააღმდეგ მოვიდა და რომ ჩვენ არ ვთანხმდებოდით მის თქვენსა ზედა ბატონობას. ხოლო აწ, როცა ამყემა და დაუღევარმა მაზლმან შენმან საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ცის განგებით მოკლული იქნა, მწადს შუღლზედ ხელი ავიღოთ ანუ ერთმანეთს აწ ზიანს ნუკრას მიგაყენებთ და თუ ერმან შენმაც ინებოს, დასტურითა ჩვენითა და წყალობითა ალაჰისა, კახეთი ძესა შენსა თეიმურაზს ებოძოს. მოკითხვის სურვილითა მოსიყვარულე სათნოებისა შენისა, შენი მარად ერთგული აბას პირველი.

8.

დღესა ერთსა „ბედნიერსა“, ქართველთა გულის მოსაგებად, ურმიის ტბის ნაპირებთან ოსმალთა ასი ათასიან ლაშქარზე გამარჯვებულმა ირანის დიდმა მბრძანებელმა ამირნი თვისნი სახელოვანი და დიდებულნიც სხვანი სამოთხისებურ მეჭლისში ნადიმად იხმო. ზემი მართლაც ღეთაებრივს ჰგავდა...

სამეჭლისოდ მოსილი კეთევან დედოფალი შაჰს გვერდით ესვა!

წამსზეით დარბაზში მირზა-თეიმურაზ შემოიყვანეს.

უფლისწული ტახტთან მივიდა. დიჩოქა, ირანის მბრძანებელს ფეხზედ ემთხვია. შაჰი წამოდგა, უფლისწულიც წამოაყვანა...

— შეილო და დისწულო ჩემო, მე შენთვის ამიერიდან ხანობა მიბოძებია. აწ დედამან შენმან, ვითარცა წესი თქვენებური არს, კახთ-ბატონად თავად გაქურთხოს.. — ბრძანა და თეიმურაზს შუბლზე აყოცა...

ამასობაში, ქართველთა წესისამებრ, იმავ დარბაზს შუა ოქროქსოვილი ხალიჩა განფინეს.

დედოფალმა ძეს თავისას ხელი ჩაჰკიდა — ხალიჩაზე შეაყენა. მერე ჯანდიერი შვილს თვალმარგალიტით პირთამდე სავსე ჯამი ჩამოართვა და მეფედ კურთხევის ნიშნად ძეს თავისას განძი იგი თავზე დააპნია. დედოფლის შემდეგ შამაყ იგივე ჰქმნა — ოქროვერცხლითა და თვალ-მარგალიტით სავსე თაბახი ზე შესწია, დედოფალსა და შაჰს ამირებმა და დანარჩენმა დიდებულებმაც მიბაძეს — თვალმარგალიტი ურიცხვი აწ მეფედ კურთხულ თეიმურაზს თავს კარგა ხანს ზღაპრულ ჩანჩქერივით ეფრქვეოდა...

ირანს დავაყვაცებული და სპარსული ლექსის უბადლოდ მგრძნობი თეიმურაზი აბასს თავისად უჩნდა. თუმც კახთ სამეფოს ჯერ ისევ ქეთევან დედოფალი განაგებდა!

იმავ წელს, გაზაფხულზე, აბას პირველმა ქართლის განმგებლად უეცრად გარდაცვლილი გიორგის ნაცვლად ძე მეფისა თოთხმეტი წლის ლუარსაბი დაადგინა, ხოლო ქართლიდან გამობრუნებული შამახას ციხეს შემოადგა და საომრად თეიმურაზიც ჯარი-თურთ იხმო. უბაჟმა მეფემ დედის რჩევით ავადმყოფობა მოიმიზეზა — შაჰს ქეთევან დედოფალი და ათასკაციანი რაზმი აახლა. აბასმა იწყინა, მაგრამ არ დაიმჩნია... ეს ამბავი 1607 წელს მოხდა. ამავე წელს, ქეთევან დედოფლის სურვილითა და დიდებულთა თანხმობით, თეიმურაზმა ცოლად გურიელის ასული ანა შეირთო, რომლისგანაც ორი ძე — ლევან და ალექსანდრე ეყოლა.

1612 წელს დედოფალი ანა მიიცვალა — დასრულდა თეიმურაზის მეფობის უშფოთველი ხანა!... ამ დროისათვის შაჰს უკვე აღარ აკამყოფილებდა ქართლ-კახეთის ოდენ ხელდებით ყოფნა, აღშფოთებდა მათი რუსეთთან კავშირიც!... ამიტომ გადასწყვიტა საქართველოს საიკითხი, ერთხელ და სა-

მუდამოდ, ირანის სასარგებლოდ. ეჭრა — ბაგრატიონთა საგვარეულო სრულიად მოესრა, ჭვეყანა ამოგდო, კახეთში მუსულმანური მოსახლეობა ჩაესახლებინა და იგი ირანის სახანოდ გადაექცია.

1613 წლის გაზაფხულზე აბას პირველმა თეიმურაზი და ქართლის უბაჟი მეფე ლუარსაბი, ნადირობის საბაბით, მახანდარანს მიიწვია. მეფეები არ ენდნენ შაჰს — არ წავიდნენ!.. მაშინ ირანის მბრძანებელმა შერისხა ისინი და საღვთო ომისთვის საქართველოსკენ დაიძრა...

9.

მეფე თეიმურაზ და ქეთევან დედოფალი ნავახშევეს სასახლის ბაღში იხუნდნენ — საბჭო და სასაუბრო მართლაც რომ მრავალი ჰქონდათ...

— მზაკვრობა აბასისა უსაზღვროზე მეტიც არს, თვალისჩინო ჩემო. — ეუბრებოდა დედოფალი თეიმურაზს. — თვეც არ გასულა, რაც შამაჰ საიდუმლო ფარატი ლუარსაბის ორგულობა გამცნო: „მწიამს ქართლის მეფეს შენი მოკვლა და კახეთის დანარჩუნება სურს და მი. შენ დაასწარ, მოჰკალ და ქართლიც ჯობნებით დაიპყარ, თუ ჩემი შეწევნა დაგეჰიროს, შველად მზადა ვარო“, — გწერდა... მუხრანბატონმა ამ დილით მამცნო, რომ მაგდაგვარი ფარატი თურმე ლუარსაბისთვისაც გაუგზავნია... აწ კი ამას გწერს, — ქეთევანმა უბიდან შაჰის ბექედდასმული უსტარი ამოიღო, გაშალა, ჩაიკითხა: — „მე მივალ ძღვევად ოსმალთა, ამისათვის მომეც ძე შენი მძევლად, რათა არ ემწო მტერსა ჩემსა, ვითარცა ჰყო პაპამან შენმან და გცნა ამით ერთგულება შენი ჩემდამი“.

თეიმურაზს არ ეამა უსტარის არსი — ღრმა ფიქრს მიეცა...

— გირჩევ, შაჰს მძევლად ალექსანდრე აახლო. — ხმადაბლა განაგრძო დედოფალმა, — მეც თან გავყვები... თუ განგირისხდა, რად უფროსი ძე არ

მახლაო, რიდი ჩემი დიდი აქვს. ვეცდები გულსწყრომა მისი განვაქარვო. დადუმდნენ.

ქეთევანი წამოდგა...

— შემაგვიანდა. ძილის წინ ბალღებთან ყოფნა მწადსო. — ჩაილაპარაკა. თეიმურაზმა დედოფალი სასახლის კბემდე მიაცილა...

ტალანში შესულ დედოფალს წინ მანდატურთუხუცესი შემოეგება.

— ვინმე დაღესტნელ დიდებულს შენი ნახვა სურსო. — მოახსენა.

— ვინ დიდებულსო? — გაუკვირდა ქეთევანს.

— სომართლით ვერას გეტყვით. — მოუბოდიშა მანდატურთუხუცესმა.

დედოფლის სენაკში შესვლის წინ მანდატურებმა დაღესტნელ სტუმარს იარალი ჩამოართვეს...

— აქეთ შებრძანდით! — მოკრძალებით ანიშნეს.

სენაკში შესულმა დედოფალს თავი მდაბლად დაუქრა...

— დიდებულებისა შენისა ადრეც მრავალი მსმენია და აწ თავს ლამის ბედნიერად ვრაცხ, რომ ჩემისა თვალთა გნახეო! — უთხრა.

— მუსაბეკ?! — იცნო დედოფალმა.

სტუმარს გაუკვირდა...

— ჩემი შენგან ცნობა, დედოფალო, მხოლოდ მისნობით თუ იქმნების?.. სხვაგვარად ვერ ამიხსნიაო. — ჩაილაპარაკა.

— თუნდაც მისნობით იყოს. ბრძანე რად გარჯილხარ, მტრად ყოფილი სტუმრად ვით მომეკლინეო?! — ახლა ეს ჰკითხა ქეთევანმა.

დედოფლის ხმაში მუსაბეკმა ლმობიერება იგრძნო.

— ეგ მერმის იყოს... რასაც ვიქმ, ნამუთითა ვიქმ... — მე თქვენი სისხლი უხვადა მმართებს, მაგრამ მწადს ვალი სიკეთით დაგიბრუნოთ... აბასმა მე და სხვა ლექთ-ბელადებს შიკრიკნი დაგვიგზავნა. „ოსმალოზე ლაშქრობა საქვეყნოდა ვთქვი, სინამდვილეში კახეთის ამოგდება მსურს. ეახმის მგონებდა მითარეშენი დასძარით, რაც კახელთ შური გულშიგან გქონდეთ, ეხლა ეძიეთო“, შემოგვითვალა...

ქეთევანი ჩაფიქრდა...

— მუსაბეკ, მითხარ, ამ ამბის მოტანისთვის სანაცვლოა რას მთხოვ? — ეჭვით ჩაეკითხა დედოფალი.

— სათხოვარი ვაი, რომ დიდზე დიდი მაქვს, დედოფალო. ეგებ გაგონილიც გქონდეს, ჩემს სიყრმეში ერთი თუშის ტყვე-ქალი შემიყვარდა. ცოლობა ვთხოვე, მაგრამ უარი თქვა. ბოროტებით აღსავსემ. ისე ვქმენ, რომ სატრფოს მოჭრილი თავი სინით მივართვი. საბრალომ მწუხარება ველარ გაუძლო. ცელს ზედ დაეკლა...

— თალაღე! — აღმოხდა ქეთევანს.

— დიახ, თალაღე. — თავი დახარა მუსაბეკმა.

იყუჩეს.

ლეკის მწუხარება უსაზღვრო სჩანდა.

— ეხლა რაი გსურს? — თანაგრძნობით ჰკითხა ქეთევანმა.

— სათხოვარი დიდი მაქვს-მეთქი, გითხარ.. მინდა ეს ცოდვა ჩამომრეცხო, დედოფალო, თქვენს ღმერთს ჩემს ნაცვლად პატიება სთხოვო, ეგებ გისმინოს და წამებაც ჩემი მორჩეს. — მუსაბეკს თვალის უბეები ცრემლით აევავო.

10.

— დედოფალი კახთა ქეთევან, ძე უმრწემესი ხანისა თეიმურაზისა აღექსანდრე და მხლებელი მათი ჯორჯაძე ნოდარ! — განუცხადა ვეება გუმბათოვან კარავში მსხდომ დიდებულ ამირებსა და მათ მბრძანებელ შაჰს სტუმართ-განმრიგებ.

ქეთევან დედოფალი და შვილიშვილი მისი ოთხი წლის აღექსანდრე ტახტის წინ შედგნენ. მხლებელმა მათმა ნოდარ ჯორჯაძემ პატარა უფლისწული აბასის წინ დააჩოქა და თავადაც მუხლმოყრილმა მბრძანებელს თავი მდაბლად დაუქრა...

— ბატონმა თეიმურაზ დედა თვისი დედოფალი ქეთევან და ძე თვისი ალექსანდრე ძღვენითა ვერ საყადონსითა გაახლათო. — რიღით მოახსენა მან ირანის მბრძანებელს.

აბასი წამოდგა. ჯერ ქეთევან დედოფალს მიეახლა, მკერდში ჩაიკრა. მერე პატარა უფლისწული წამოაყენა. შებლზე ეამბოროა და დიდებულ სტუმრებს მოსასვენებლად თავად წარუძღვა. როცა დედოფალი და უფლისწული კარვიდან გააცილა, შემობრუნდა, ნოდარ ჯორჯაძესთან მივიდა, თვალეში ჩაჩერდა...

— გააწი, შენს ბატონს უთხარ, რომ არა ვარ ძიძა და მზრდელი ძისა შენისათჳს. წარმომივილინე ძე შენი უხუცესი, უკეთუ გნებავს ჩემთან ერთობა და მე ვსცე პატივი დედასა შენსა და უაუვიკე.

ჯორჯაძე შეცბა...

11.

გიორგობისთვის მიწურული იდგა. ლექსი ქედნიდან აღმომხდარი პირწყრილი მი ვარე ალახნის ქალას თავს ხმალივით დაჰკაშკაშებდა. გრემის სასახლის საბურავი და ეალესიი გუმბათი ჰირბლს ვერცხლით შეეფერა — სუსხავდა.

ეულის სანთლით შეციალებულ მცირე პალატში სიჩუმე და ბუნებრივი მოლოდინი სუფევდა. ჩაურაზავ კართან, ტაბლაზე სამარხვო ტრაპეზი — ჯამით ზედაშე. პური და თაფლიანი კორკოტი ეწყო. მარტოშენილი თეიმურაზი პალატის კედელს მიყრდნობოდა, თვალმღუღული პაპისა თვისის ალექსანდრეს ააჩიოდან გამოხმობას ლამობდა...

— მო, სულო, გონიერო და ღონიერო, მოდექ ბაგასა ჩემსა წამიერსა, გვედრი და ფიცითა წრფელითა გეაჩები, რამეთუ არა გავნო შენ და არცა სამდურავი შენი ჩემდამი ვითაკილოო! — ჩურჩულებდა.

კარი აპრიალდა, სანთლის ალი შეირხა — პალატში შეილის ხელით გან-

გმირული მეფის აჩრდილუ ხელმწიფე დაღლილი ჩანდა, ნაწამები, ედემს გარე გდებულო... უფრო ჯოჯოხეთს ნათრევსა ჰგავდა, ვიდრე სასუფეველსა შინა მობინადრეს.

— რა გწადა, სულეთს მაინც რად აღარ მომასვენეთო? — უსაყვედურა შვილიშვილს აჩრდილმა ხელმწიფისან.

თეიმურაზმა პაპის წინ დაჩოქება და მისი ამბორი განიზრახა, მაგრამ შერხევამ მისმა ალი სანთლისა შეატოკა — აჩრდილი ააფარფატა. კინალამ გააქრო. თეიმურაზი შედგა, ალიც მალევე დამშვიდდა და სულეთიდან ხმობილ ხელმწიფესაც სახება თვისი თანდათან დაუბრუნდა.

— რა გწადა, რად აღარ მომასვენეთო? — კვლავ საყვედურით ჰკითხა შვილიშვილს.

— სიბრძნისა შენის ნარჩევი მწადას... ბჭობა მწადას... თუ გშინ პური არსობისა მიირთვი. თუ გწყურან ზედაშე შესვი, ოღონდ ნუ წახვალ, უთათბიროდ ნუ განმიტყეებ! — შეევედრა თეიმურაზი.

— არცა შიმშილისა და არცა წყურვილისა მე არ-ლა გამეგების... სიტყვისა მითხარ, წერილად იამბე, რაც ხელმწიფედ დადგინების აქეთ გარდაგდენიო. — ბრძანა აჩრდილმა.

თეიმურაზმა თვალნი კვლავ მილულა — სულეთის საშანს მიუახლოვდა, გონი მოიკრიფა...

— ეამსა იმასა ნეტარსა და აწ გარდასულსა, — წამოიწყო ფრთხილად. — დედამან ჩემმან, ანუ რძალმან შენმან დედოფალმან ქეთევან, ერმან და ბერმან ქვეყნიასამან, აზნაურთაც და დიდებულთაც ქორწინება ჩემი ინებეს. ეპისკოპოსნი და თავადნი გამოარჩივეს, წარგზავნეს გურიელთან და ახეთის სადედოფლოდ ასული სთხოვეს. ეამა გურიელსა და მოგცვა ქალი მზითევითა დიდითა... მაშინ კახეთი, ჯერ ისევ შენგან ეეთილ-ნაგები, მშვილობით მეპყრა... მეუღლე ჩემი, მთავრის ასული ანა, ღვთისმოშიში და გონიერი დიაკი იყო. მოლოცავი, მოსამართლე და გლახაკთა გამკითხავი... აზნა-

ურთა პატივმდებელი, ტანად მშვენიერი, სახით ლამაზი, საქმით სათუთი, არ გამჯავრებელი, ზნე-საქციელით გამოჩინებული, წმიდა საყდართა თუ მონასტერთა მშენებელი... ორი ძე მიშვა, ლევან და ალექსანდრე... მაგრამ არ ინება უფალმან დღეგრძელობა მისი, დასწეულა და მიიცვალა...

თეიმურაზი წამით დადუმდა. ამოიხზრა.

მეფია აჩრდილმა თავი მწუხარებით დახარა — სარკმელთან მიდგა, სიბნელეს მიაჩერდა...

— მერმედ ამისა, — განაგრძო თეიმურაზმა. — შაჰმა კათოლიკე პატრი მახლა. სამძიმრის ბარათი მომარწდინა და სურვილიცა თვისი პატრისავე პირით განმიცხადა. შირვანსა შინა მდგარი აბაი, მეცა და ქართლის მეფე ლუარსაბს, ბანაკად გვიწვევდა. შაჰაბას მაშინ სარწმუნოდ მიჩნდა და წარგედი კლდეც წინაშე მისა შავით მოსილი. პატივით შემეწყინარა, მარადღე მანადიმა, განმძარცვა გლოვა და ღამესა ერთსა საიდუმლოდ გამანდო: „უმრწმესი დაი ლუარსაბისა ცოლად მე მიზის. შეირთე შენცა დაი მისი უფროსი და იქენ ქვისლი ჩემი, ანუ მოყვარე ქართლის ბატონისა, რათა აღარ იყოს შური თქვენს შორის“. რა მესმა ესე, შეგვრწუნდი: „მეფე ლუარსაბ პაპიდის ჩემის ძისწული ვახლავს და სიძეობა მისი მე არ მეგების მეთქი“, შევევედრე. განმირისხდა, რამეთუ სურდა დავემდაბლებინე. ანუ შევერიე რჯულითა და მერმე მაჰმადის მცნებაზეც იოლად მოვექციე. თანაც ეწადა მოეხილნა, თუ მართლა მომცემს ლუარსაბი დაა თვისსა უფროსსა ზორეშანსა, რომელიც არა დაანება მას, არამედ შერთო დაი თვისი უმრწმესი ელენე... რა ღონე იყო?... დავკყევ... პატრიარქთა და ეპისკოპოსთა ბჭობა საჩქარო ჰქმნეს, საქრისტიანოს განძლიერება დაიდანტურეს და დამრთეს ნება შერთვად ნათესავისა ჩემისა...

თეიმურაზი კვლავ დადუმდა.

— მერმე რა მოხდაო? — ნადვლიანად ჰკითხა აჩრდილმა.

— რაღი შაჰმა ეს წადილმე... — აღისრულა, მსტოვარიც თვისი დამალულად მახლა: „ლუარსაბს შენი მოკვლა და კახეთის ტახტის დაჭერა სურსო“... კმ!.. — თეიმურაზის სახეს სიმწრის ღიმილი მოეფინა. — თურმე ლუარსაბსაც იგივე შთააგონა... მაშინ შევიყარენით მეცა და მეფე ლუარსაბიც, ერთურთს გავენდეთ და პირობაც დავდეთ, რათა თანხმობით ვყოფილიყავით, ანუ ვიდრე შეძლება გვექნებოდა, ყოზრბაშისთვის არ მიგვეცა საცხოვრისი ჩვენი. ვერაგობით რომ ვერც რაა ეწია, შაჰმა ჩემზედ და ლუარსაბზედ ლაშქარი დასძრა... თან ჩემი მოლორებაც ინდომა: მე მივალ ბრძოლად ოსმალთა, ამისთვის მომეც მძევლად ძე შენი, რათა არ ემწო მტერსა ჩემსა; ვითარცა ჰყო პაპამან შენმან და ვცნა ამით ერთგულება შენი ჩემდამიო“, შემომითვალა. უცხოდ აღმიჩნდა ნაუბარი აბასისა, უმაღვე ვცან მანკიერება მისი, რამეთუ არის ცბიერ, ხუანჯიან, უნდო და დუმშანი ყოველთა მემკვიდრეთა ჩვენთა. მაშინ გავენდე კახთა და მათ, წინააღმდეგ ნებისა ჩემისა, განმიზრახეს წარკლინება მძევლად ძისა უმრწმესისა ალექსანდრესი. ვქმენ ესა და წარვიტანე დედაცა ჩემი ქეთევან. რათა შევედროდა შეწყალებად შაჰაბაზსა. შევეცი, ვინათგან ვგონებდი პატივისცემას მისგან დედოფლისა. ხოლო, რა იხილა შაჰმან მძევალი ესე, აღარ იკმარა, „არა თუ ვარ ძიძა და მზრდელი ძისა შენისაო! — განმირისხდა, — წარმომივიღინე წული შენი უხუცესი, უკეთუ გნებავს, ვცო პატივი დედოფალსა, ანუ უკუ-ვიქციეო“. შევლონდი, თავი ჩემი იმ ჩიტს ვადარე, მელი რომ მისძალეობოდა, ერთი ბარტყი გადმომიგდო!... მშველელიც არსათ მიჩნდა. მაინც გავკვიქდი, არღა ვლამობდი ძისა მეორის წარვლინებას. აკი, დედოფალმაც მამცნო არ ქნა ამისა... მაგრამ დარბაზი ვადამიღა. „ორგზის იყავ კარზე შაჰისა, რა გაწყინა?.. მოგცა განძი და პატივიც ღიღზე დიდი მოგაგო. მაშ, რად ამოწყვეტ კახეთსა ერთის ყმისათვის,

უკეთეს იცი, რომ ანებს არასა?!" მაშინ უღონოდ შეთენილმან, წარვეალინე უფროსი ძეცა ჩემი ლევან!... მაგრამ ცბიერ მელს ეგეც არ ეყო, აწ ქეშმარიტად ვცან ერთგულება შენით. — ავლავაც მომეძალა, — მო, შენცა, აღგავსებ ნიჭითა და განვუტევებ კახეთს მშვიდობითო".

აჩრდილი სარკმელს მოსცილდა, სამარხვო ტრაპეზთან შედგა... — ამ ტაბლას იქეთ ჩემი გარდმოსვლა არ იქნების, მაარსი მიშლისო. — ჩაილაპარაკა. მერე თავი ამაყად აიღო. — ხელმწიფეთა საიდუმლო ეს გახლავს, თუ ქეშმარიტ გზას განერიდე, საიკრე არ აგცდების... ხოლო, ქეშმარიტება ოდენ ყოფასა შინა არს დაბეჭდილი... იმერეთს გადადი, ლუარსაბიცი თან წარიტანე, ლიხს იქეთ მეფემთავრებთან პირი შექარით, ერთობა ქეშენით. ჰნახეთ, ეგებ დროებით სულთანსაც შეუდგეთ, ყიზილბაშს წინ ოსმალსაც მიაგებეთ... მოსკოვს ელჩნი გაგზავნეთ, რუსთ-ხელმწიფეს ოსმალთ წინააღმდეგ შაჰთან პირობა აქვს, ჩვენი მისგან ხელდებულება შეახსენეთ, მფარველობა სთხოვეთ... ამ საქმისთვის წოწრეანთი მოსძებნე, კუმურდოს მონასტერში ჰნახე, იქაურ ილუმენს ხარიტონს ძმად უდგას...

სარკმილიდან შემოჭრილმა დილის ნიავმა სანთელს ფრთა შეახო, ალი ააფარფატა.

ხელმწიფის ჩვენება გაქრა.

12.

კუმურდოს მონასტრის სანახებში ჯერ ისევ თოვლი იდო. თუმცა, აქაიქ, ხისძირებსა და ადრიანი გაზაფხულის ნათელით შემთბარ უქარო მყუდროებაში, ია-ენძელა და კვარაკვიჩხა ანუ ყოჩივარდა აღმოცენებულყო.

ლამდებოდა.

წოწრეანთს დილით გამოწველილი ძროხის რძე მაშინვე შეეკვეთა და ეზლა. გომში ხელჩაბმალს, სველადან თხუთმეტი დღია მთვარესავით ბადრა, ჯათქათა ყველი ამოჰყავდა.

გომურიდან საყოლის მშენებლობის სმა.

— სუ ეგრე ნუ ზი, შიოლავე, ადუ მი-სდექ-მოსდექი, ხბორებს მაინც პამი-ხედე, მწყურვალსა ჰგვანან... თან სა-ლამისოდ, მაღლი ქეშენ, ჩალა-მარილი მიუყარე. — შეეხმიაანა წოწრეანთი სპარსთაგან დააკურისებულ ქაბუქ ბერს, რომელიც სამზადის კუთხეში მიმჯდარიყო და დარდისაგან ვალენჩე-ბული, იატაკს ჩასჩერებოდა.

— ჰა?! — გამოერკვა ქაბუქი. — მარილი სამყოფი აქეთ, წყალსაც ახ-ლავე მივანჯვდიო. — ჩაილაპარაკა მო-რჩილად და სენაკიდან უნდომლად გავიდა.

ჰაჰაიმ თავი გაიქნია...

— ეჰ, ქვეყნად ცოდო-ბრალს რა გამოლევსო! — ამოიოხრა.

კუმურდოს ეკლესიის წინამძღოლი, ილუმენი ხარიტონ, ბუხართან იდგა, ცეცხლს ეფიცებოდა.

— წუხელის, ქუთაისს მიმავალმა ათაბაგის შიკრიკმა საუბრით შემიქცია. — შეესიტყვა საქმით გართულ ჰაჰაის ილუმენი. — მას აქეთ, რაც ქეთეფანი და მიკი შვილიშვილები აბასს შირაზის პატრონისთვის იმამ ყული ხან უნდილაძისთვის მიუბარებია, თვი-თონ კახეთისაკენ დაძრულა, გრემი აღლია. მერე ალავერდს გადასულს, თორღვას ციხე დაუქცევია, თეიმურაზის ხაზინა და ლალ-მარგალიტით მო-ოქვილი ეპისკოპოსის გვირგვინი ხელ-ში ჩაუგდია, ტაძარში მეციხოვნე ჯარი ჩაუყენებია, თეიმურაზის და ლუარ-საბის შესაპყრობად რაზმები დაუგზავ-ნია.. ყიზილბაშებს ქვეყანა ამოუგ-დიათ, ექვსი ათასამდე ტყვე კახელი არანს გაურეკავთ. ბოლოს ბალ-ვენახე-ბიცი გაუკაფავთ, ხეები ძირ-ფესვიანა მოუთხრიათ და ისიც თავის ქვეყანა-ში წაუღიათ. ამის მერე ქართლს შესე-ვიან, ლუარსაბს და თეიმურაზს ომი უთქვამთ, მაგრამ თავადები არ დაჰყო-ლიან, მეფეებისთვის იმერეთს გადმო-სკლა ურჩევიათ. გიორგი მეფეს ორი-ვე ხელმწიფე დიდი პატივით მიუღია...



შაჰი სურამსა და გორის ციხეში გამაგრებულა. გიორგისთვის აზერბაიჯანის ვეზირი საოუ-ხოჯა უახლებია. მეფეები მოუთხოვია. გიორგის არ უქნია, მალაქია კათალიკოსის და ლევან აბაშიძის პირით შაჰისათვის უარი შეუთვლია. მაშინ შაჰს, ლუარსაბ მეფის გამზრდელი შადიმანი უხმია, იმერეთს გამოუგდია და დაუბარებია: „თეიმურაზს აწი ვერ მივენდობი, ლუარსაბს კი, თუ ჩემთან მოსვლა ინება. დიდძალ განას ეუბოძებო“. „რომ არ წავიდე, კახეთით ქართლსაც ამიოხრებსო“. უფიქრია ლუარსაბს და ხლებია კიდევ. შაჰ-აბასა ნამეტანი გახარებია ეს ამბავი. ცოლისძმა ყარაბაღამდე აულ ნადირობა-ნადირობით უტარებია, იქიდან მახანდარანა გადაუყვანია და მაჰმადის რჯულზე მოქცევა უთხოვია. ლუარსაბს მტკიცე უარი უთქვამს. შაჰი გაცოფებულა, მეფე დაუტყვევებია და დილეგში ჩაუგდია. ეს საქმე რომ მოუშთავრებია, თეიმურაზის მოაკლავად იმერეთს სანდო კაცი შემოუგზავნია, თურმე შეჩვენებული თეიმურაზის საწოლში შეპარულა. ერთ კუთხეში მეფე და ხორეშან დედოფალი წოლილან, მეორეში ორი მოახლე გოგო. შაჰის კაცს ხელმწიფე ვერ გამოუჩრქევია. უფიქრია, ხვალეც ამ თვის არისო და გაბრუნებულა. ძირს ჩამოსვლისას ხმალი კიბისთვის გამოუდგია, ძაღლს ყეფა აუტეხია, მსახურები წამოკცნილან და მკვლელები ხელდახელ შეუპყრიათ...

სამზადში ჰაბუჯი ბერი შიოლა შემოვიდა.

— მეფის კაცი გვეახლა, მამაო, ხარიტონის და ჰაჰაის ნახვა მწადსო. — უთხრა მან ილუმენს.

13.

მონასტრის ქვემოთ, სოფლის თავს, საცა წოწრეანთს ჯარგვალი აეგო და შიგ, შამხალთან ომში ძმებთან ერთად განგმირული, ბეჩაეი ანდარეზის პირმშო. პაწია პაპუკა და რძალი ნანილი ჩაესახლებინა. დედაშვილური სა-

თნობა სუფევდა. პაპუკა ბუღიყო — მეშვიდე გაზაფხულს ეგებებოდა. მამასა ჰგავდა, მამასავეთ მკვლარცხლი და თამამი იზრდებოდა. რძალსა და შვილიშვილს. ბუღად შემდგარი წოწრეანთი ზოტუნეას არ აკლებდა — მზეცა და მთვარეც იმათზე ამოსდიოდა.

ნანილი კერასთან იჯდა, პაპუკასთვის საჩოხე მატყულს ჩეჩავდა. ბიჭუნა საძილედ გამზადებულყო, ლოგინში ჩათბუნებული დედას მოსვენებას არ აძლევდა...

— ანდარეზ-მამაჩემი და ბიძაჩემები რო ცოცხლები ყოფილიყვნენ, მე სო მეთორმეტე ვიქნებოდიო? — ტიტინებდა.

- იქნებოდიო. — უამებდა დედა.
- მეცამეტე ვინ იქნებოდა?
- ბერდიას შვილი.
- მეთოთხმეტე?
- გიგოლესო.
- მეთხუთმეტე?
- დევდარისა.
- მეთექვსმეტე ივანეი, მეჩვიდმეტე მანგიასი, მეთვრამეტე მთვრალისა, მეცხრამეტე უთურისა, მეოცე ბაჩუსი, მეოცდაერთე ხუნჩალესი, მეოცდაორე ნაყუდასი... ყველას თითო შვილი ეყოლებოდათ, დედი?... — თითო რადა?... — მაწ?

— კმარა-ლა, ბაღლო, დაიძინე! — შეუწერა დედა.

— ყველა მამა რო თერთმეტ-თერთმეტი შვილი ჰყოლოდათ, სუ რამდენნი ვიქნებოდიოთ, დედი? — არ ცხრებოდა ბიჭი.

— თერთმეტნი და კიდევ თერთმეტ-ჯერ თერთმეტი.

— აუჰ!.. ეგ რამდენია, დედი? ძაღლმა დაიყეფა, მაგრამ მალევე გაილურსა.

— პაპუკავ, პაი პაპუკავ! — მოისმა კარს იქედან.

წოწრეანთის ხმა იყო. ბიჭი წამოვარდა, კარისკენ გაქანდა, თუმცა ნანილმა არ დაანება — კვლავ ლოგინში ჩააგდო. ხოლო ურდუ-

ლი კარს თვითონაც მოუთმენლად შეხსნა.

ჯარგვალში წოწრებანი და ჰაბუკი ბერი შიოლა შემოვიდნენ.

შვილიშვილმა პაპას ტვირთის მოცილება არ ადროვა — კისერზე ჩამოეკიდა.

— დამაცა. აცო!... სული მაინც მომბრუნებინე, არ გამგუდოო... — მიესიყვარულა პაპუკას წოწრებანი. მერე ხურჯინი ჩამოიღო, კერასთან მიდგმულ ჯოჯოხზე ჩამოჭდა და ბაღლიც მუხლებზე შეიჩინა.

— რასა იტ, შეშა და საზრდელი ხომ არ შემოგაეკლათო? — ჰკითხა რძალს.

ნანილმა მადლიერად შეჰღიმა...

— ხშირ-ხშირად ნულა ირჭები, მეტიცა გვაქვსო. — უპასუხა.

შიოლა ბერმა კალათი და ზურგს მოგდებულ ტომარა ჯარგვალის კუთხეში მიაწყო. თვითონაც ჩქვე დაჩა.

ნანილმა ტაბლა გადაწმინდა, ვანშის თადარიგს შეუდგა...

— რა უცხოდ დგებარ, ცეცხლურან მობრძანდო. — შეეპატნა შიოლას.

ჰაბუკმა ბერმა მადლი უთქმელად წოხსუნა.

— მო, შიოლავე, მო, აქ დაქექ! — უცხრა პაპიამაც.

ჰაბუკი ბერი დაქვეა. წოწრებანი გვერდით მიუჭდა.

— საგანშობოდ არა გვცალიან, შვილო. მამა ხარტონაა და მე მეფე გიორგი თავისთან გვიზმობს... აკი, ბატონი თეიმურაზიც იმასთანა ბრძანდება... თუ შეგგვიანდით, დარდი ნურაფრისა გეგმებათ. შიოლა აქა გყავთ, პატრონობას არ მოგაკლებთ. — სეუღანარევი აღერსით მიუბრუნდა წოწრებანი რძალს.

ნანილს არაფრად ეგანწივა პაპის ნუბარი. ნირწამბდარმა ხელეები ძირს დაუშვა, საწოლის პიკედზე მოსავეხლებლივით ჩამოჭდა.

14.

ფარსის ბეგლარბეგმა იმამ ყული ხან ონიდილამემ თეიმურაზის დედა და

ორივე ვაჟი დიდის პატივით შეიკრუნა დედოფალსა და მის ამაღლას. საცხოვრებლად, მამამისის ნაკონი მცირე სასახლე დაუთმო, სალარო გაუხსნა სასახლის ბარაზე. საყდრის აგების ნებაც უბოძა და ხელისნებიც კახეთიდან თავისი ხარჯით ჩამოუყვანა.

შირაზში ვარდი შეკოკრილიყო. იმამ ყული ხან უნდილამე, ქეთევან დედოფალი და მხლებელნი მისნი — ბაზილიანთა ორდენის წევრნი ანუ აღმოსავლეთის წესის ბერი სახელად მოსე, გიორგი ხუცესი და მხევალთა თეოდოსი. ხუროთმოძღვრებთან ერთად სასახლის ბაღში სეირნობდნენ — საყდრის გასაგებ ადგილს ირჩევდნენ. უფლისწულებიც იქვე იყვნენ. ლაღობდნენ. ლეკანი ცხრა წლია სრულდებოდა. აღექანდრე — შვიდის.

— ღმერთმანი დედოფლისა სკრის, ეს ბორცვი მეც სხვებზე მეტად მელამაზებოა! — ეღბრებოდა ხუროთმოძღვრე იმამ ყული ხანს.

— ეგ იყოსო, — არ დაობდა უნდილამე.

ქეთევანი და გიორგი ხუცესი, სხვებს კარგა მანძილით ჩამორჩენოდნენ...

— თეიმურაზის მაცადინით, რაკი ღიზვადღამა მეფე-მთავრები ერთ პირობაზე დადგნენ დასულთანის თავისკენ გადაიბირეს. აბასმა სტამბულს მოციქული აფრინა: „ზოგი ურწმუნო გურჯისტანელი, ოდითგანვე ჩემი გვარის ქვეშევრდომნი და მოხარკენი რომ იყვნენ, მიჯანყდნენ, ისლამის დროშის სიმბოლოსთვის შეამბოზეთა დასაყველად ლაშქარი დაემარ, საღვთო ომის ბედნიერებას ვეწიე!... ქრისტიანთა ბევრი ტაძარი და საბლოცველო ნიშგითად ვაქციე“. — შეუთვალა ელჩის პირით აბასმა სულთანს. თან ალავერდელი ეპისკოპოსის ხუთას ერავულ თემნად ღირებულ გვირგვინიც მიართვა... სულთანმა საჩუქარს ხელი უკრა. შაჰის ელჩი დაატყვევა და თავი მოჰკვეთა, ხოლო, დიდი ვეზირი ოქუზ მეჰმედ ფაშა ირანზე დასძრა. რა ეს შეიტყო მემან შენმან მეფემან თეიმურაზ, კახელებსაც უმაღ აცნობა. კახნი ამბობდ-



ნენ, ალავერდს მდგარ ყიზილბაშ მეციხოვნეებს, ვითარც მლოცველი ისე მიეხლნენ. მეციხოვნეთა იცნეს კაჟეთის მმართველები ჭორჭაძე და ჭანდაერი. კარნი განახნეს. მაშინ „მლოცველებმა“ ხელი იარაღს იყრეს, ყიზილბაშებს მუსარი გაავლეს... მერმე იმერეთს კაცი აფრინეს, თეიმურაზს ყოველივე წვრილად ამცნეს, ისიც მყის ამხედრდა და იმერეთიდან გადმოსული, მამაცებს სათავეში ჩაუდგა...

გიორგი ხუცესსა და ქეთევანს იმამ ყული ხანი მიუახლოვდა.

კარია მოძღვარმა საუბარი შესწყვიტა.

— შენმა სასაყდრედ შერჩეულმა ადგილმა, ჩემი დასჯაბნაო. — ღიმილით უთხრა უნდილაძემ დედოფალს.

15.

მოსკოვისკენ მიმავალ ქართველ მეფე-მთავართა საიდუმლო ელჩებს. კუ მტრდოვლ ილუმენს ხარიტონსა და პაპაის, დარიალის ბეობაში ქარბუქი წამოეწიათ.

გრიგალმა მთებიდან წამოყრილი ნამქერი კლდოვან იწროებში ჩამოიტანა. უცრად აეარდნილმა ბულმა მგზავრებს თვალაწიერი წარტაცა, სავალი დაუბურა.

— ვიაროთ, თუ გერგეთს დაებრუნდეთო? — ჰკითხა მეგზურმა მოხვევმ ხარიტონს.

ილუმენმა ღუმლილი არჩია, პასუხი პაპაის დაანება.

— ვიაროთ! — არ უყოყმანია წოწრენათს.

იარეს.

ავის მოსურნეთა, თუნდაც უბრალო შემხედურთა თვალსაქცევადაც, პაპაისა და კუმტრდოვლ ილუმენს ბერია სამოაელო მწყემსური ჭუბა-ახალუხით შეცვალათ ისე, რომ თვით მეგზურმაც კი არ იცოდა მათი ნამდვილი ვინაობა.

ავდარმა იმძლავრა. თეთრმა ქარტ-

ხილმა ცხენოსნები თავ-ქვე გაიყარა ზურანში გააუჩინარა.

კარგახნის დაღამებული იყო, როცა ხიფათგამოვლილი მგზავრები ბესთაუთის სამამძილე სადგომა მიუახლოვდნენ. ხუნებულ სადგომი ქვის მაღალი ყორით შემოსაზღვრულ, საკმაოდ ვოცელსა და უნიათოდ ნაგებ თავლასასტუმროს წარმოადგენდა. შენობა ფიქალითა და გაურანდავი ფიცრებით იყო შეკოწიწებული, მძიმე ურდულით გამაგრებულ კიშკარს გარედან მზაკვრობის ამრიდებული ნალი ეკრა. მგზავრებმა ცხენები შეაყენეს...

— ეპეი, ზამათუ! გამაიხ, თუ კიდე ცოცხლებ დარჩით! — შეეხმინა მეგზური მოხვევ მასპინძელს.

სადგომის პატრონი ოსი ზამათა ბესაუთი და მისი ბიჭები, სტუმრებს ჩირაღდნებით გამოეგებნენ.

ბესთაუთმა მოხვევ იცნო...

— ჰაი, ილასა, ილასა... კარგია რო ამ რიხებიან ქარ-ღამეში მშვიდობით მოხვდით. — საყვედურნარევი ხუმრობით შეესიტყვა იგი მოხვევ მეგზურს.

— ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგაკლათ. — ჩაილაპარაკა ხარიტონმა.

ჩამოქვეითდნენ.

— ჩვენ კი მშვიდობით მოველთ, მაგრამ ეხლა შენ იც, ჭერი შენ ას, ეორი კეთილი სტუმარი დილაძე კარგა მომისვენე, ბესლანს მისდიან, ყონაყისთვის წამალი მიაქვთ. — ცხენი კიშკარში შეიყვანა ილამ.

მწყემსები იქნებიან. აქაურ კაცს საძოვარზე ეძმობოდნენ — შეპლიმა ბესთაუთმა ხარიტონსა და პაპაის. თან, სადაურნი ხართო? — ჰკითხა.

— ერწოელნი გახლავართო. — უპასუხა წოწრენათმა.

— მენა, ზამათო, ცისკარზევე უკან გაებრუნდები. ეგენი კი, როგორცა ვთქვით, იგრე მიმიხედე. — კვლავ შეაგონა მასპინძელს ილამ.

ბესთაუთმა მეგზურს თანხმობა უთხრა. ჩირაღდანი იხმარა, ხარიტონსა და

წორ განათს გამოჩეული ბინისაკენ წა-
რულდა.

— აქ ვინმე რუსი მონადირე დგა,
ჯიხვზე მავალი ამინდმა შეაფერხა...
საბა რა ღონეა, სამთავე ერთად იქნე-
ბითო. — მობოლიშებით გააფრთხილა
ბესთაუთმა სტუმრები.

— ეგ რა ძნელიაო. — ჩაილაპარაკა
ალემენმა.

სადგომის კართან, ზამათას და „ერ-
წოელ მწყემსებს“ წყლიანი თუნგით
„ხელდამშვენებულ“ ვინმე შეძლებუ-
ლი სპარსელი შემოეყარათ. საღამისო
საქმისთვის ანაზღად წამომდგარს ჰგა-
ვდა, საბანი პერანგზევე მოეხვია. —
მუცელმა თუ შეარწუნაო. — გაიფიქ-
რა ჰაპანი და თუნგმომარჯვებულს გვე-
რდი მორიდებით უქცია.

— სუ ცოტაც დაახანე, ალა ისმილ...
ნუ გამიწყრები, ჩირაღდანსაც ეხლავ
მოგინათებო. — უთანაგრძნო ბესთაუ-
თმა მუცლისგან გვემილს. ძნელი მი-
სახვედრი იყო ქილიკით ჰკადრა თუ
მლიქვნელობით.

ხელთუნიანი ახალმოსულთ თვალი
ბეჭითად გააყოლა. ბესთაუთისათვის
ყურადღება სულ არ მიუქცევია.

ზამათას ბიჭებმა ცხენები ბაგაზე და-
ყუენეს, წინ ქერიც დაუყარეს, მერი
მოხევე ილას შეცხელებული ხაბიზგი-
ნი და ერთხაზადი არაყი მიართვეს. აი-
ვდაც გვერდით მიუსხდნენ...

— თქვენი ღობილი ფატიმაი რასა
იქს? — ვითომ სხვათაშორის ეკითხა
ილამ და ხაბიზგინს კიდე მოაკლა.

— ფატიმასა შენ რაღა გეკითხებინს.
აქ იმ გზობაზედაც გითხარ, რუსმა
დანიშნა, საშობაოდ ქორწილი აქვთ-
ო? — მიუგო ძმათა შორის უმარწ-
ნესდა.

— ეგ ხო ხუმრობითა ვთქვიო. —
არაყს ზედ ლუქმა დააყოლა ილამ. —
აბა. აქველ ქალს რუსი რად შეირთავს,
ისიც უპატრონოს, უქირისუფლოს,
უმამოსა და უდედოსა?

— თავს ნუ იტყუებ, ილა... შეირ-
თავს. როგორ არ შეირთავს... ან უპა-

ტრონო რაღად იქნება, როგორცაა...
აქა ვყევართ. ბიძისა ჩვენის ქალია, უც-
ხო ხო არა?!

— მაშ, არა ტყუით? — დაღონდა
ილა.

— არა, ჩემმა მზემ! — გულწრფე-
ლად უთხრა უფროსმა ძმამ და სასმი-
სიც ხელმეორედ შეუღესო...

— შესვი, სირჩააო! — მიეძალა.

რუსმა მონადირემ „ერწოელ მწყემ-
სებს“ თავი ვახშობიხას გააცნო...

— მამაჩემი მეთოფე იყო. ქართველე-
ბისა სწამდა. — მამაცი, გონიერი და
თრძეული ხალხიო. — მეტყოდა. კა-
ხეთს, ჭერ კიდევ თეიმურაზის ჰაპის,
ალექსანდრეს მეფობის დროს ყოფი-
ლა, რუსინს ხლებია, გვარად დანი-
ლოვს. მერე ყუმუხებთან ბრძოლაში
მიძიმედ დაქრილა, აქაურ ქრისტიანებს
შეუფარებიათ, მოუჩინებიათ, მაგრამ
დაკოკლებულს ჯარში სამსახურისთვის
თავი დაუნებებია, კახაჩკა შეურთავს
და აქვე, თერგისპირად დასახლებულა.
გავრილა ერჭვა საცოდავს, მეც გავრი-
ლა მქვიან, გავრილა სევეროვი...

— დედა თუ ცოცხალი გყავსო? —
ჰკითხა ხარტონმა.

— არაო. — თავი გაიქნია გავრილამ,
— არც კი მახსოვსო. — დასძინა სევე-
ლიანად.

იყურეს.

გავრილა სევეროვი ყმაწვილი კაცი
იყო, ასე ოცი წლისა თუ იქნებოდა,
ნეტისა არა. კარგა აღნაგი ბილინების
გმირს ჩამოჰგავდა. რბილი თმა და
ჭროლა თვალები ჰქონდა, საუბრისას
ეთილად ილიმებოდა.

სამთა სუფრას ბესთაუთის ძმის
ასული ობოლი ფატიმათი ემსახურებო-
და. ქალიშვილი მონდომებული და ხა-
ლისიანი ჩანდა, აშკარა იყო, ამ საქმეს
მას არავინ ავალებდა, თავად ცდილო-
ბდა, მოცადურობდა, ფარულად ვაე-
რილას ეფლორცებოდა, თავს აწო-
ნებდა... ბესთაუთმა ისიც კი უთხრა:

— კმარა, ფატიმათ, ბიძა გენაცვი-
ლოს, საქმრო ვის არა ჰყოლია... წადი,
დაიძინე, უკვე გვიანაა!

— ვიყო, რა მიშავს, აქ მირჩევნია... აღარც სტუმრები დამძრახავენო. — შეეხვეწა ბესთაუთს მშისასული.

ბესთაუთმა ხელი ღიმილით ჩაიქნია, სტუმრებს მიუჯდა.

— აქ, თერგის-ქალაქს მიმავალი ერთი აპარსელი სოვდაგარო დგა, აღა-ის-მილი. წელან რო მუცელი ჰგვემდა, აი, იაა... თქვენი ვინაობა მკითხა, რაც ვლთხო არ დამოჭერა, რის საოქალნი?!... მე ეგენი სტამბულს ელჩებად მინახავსო.

იღუმენს არ ეამა მასპინძლის ნაუბარი.

პაპაიც შეცბა.

გავრილა და მისი საცოლე ფატიმათი, ეუთხეში მიჰქდარი სატრფოს იარაღს რომ მალულად ეფერებოდა, „მწყემსებს“ მიაჩერდნენ.

წოწრეანთი გონს პირველი მოეგო, ჩაიციანა...

— ე, მაგ სოვდაგარს უთხარ, სტამბულისა რა მცოდნია, ცნობით კი იმ მწყემსებმაკ კარგა გიცნეს, მაგრამ შენი მუცლისა მოერიდათ და ზედმეტად აღარ შეგაყოვნეს-თქო.

ზამათამ გადაიხარხარა.

წოწრეანთი იღუმენს მიუბრუნდა...

— ეგ ის სოვდაგარი არ არი, კაცო, იალბოზე რო მატყლი იაფად მიეყიდეთ, ყაურმა რო არა სკამა, ამ გზებზე მგელი იცის, მკვინია, ჰირიდან ცხვრის სუნი ამომივიაო...

ყველას გაეციანა.

— მგელმა გამახსენა, ნეტა თუ მართალია, შაჰმა ექვსასი გარეჯელი ბერი ლიტონიის დროს ხმლებით ააჩეხინაო? — ჰკითხა გავრილამ „მწყემსებს“.

— მართალია, — მწუხარედ დაუდასტურა იღუმენმა. — ეჰ, ჩემდაო! — ამოიოხრა მერე და ფიქრიანად განაგრძო: — ესდენი რისხვა კახეთს ჯერ არ მოსწევია... ბერნი რაღაა, როცა ეს სამი შავი წელიწადია, ჰვეყანა მთავარ სულსა ჰლევს!... ასე ათასი მეომარი მტერს ზედ შეაწყდა. ორი ანდენი ყიზილბაშებმა ირანს წაასხეს... ძუ-

ძუთა ბალნი აღარ იტვირნებენ, იტვირნებენ ში ჩაჰყარეს...

— კმარა-ლა, დალოცვილო, დაგვათენდა, ძილად მიტყვევა ხამს. — შეაწყვეტინა წოწრეანთმა ცრემლმომობულ ხაბიტონს. მერე გავრილას მიუბრუნდა: — ამაღამ თოვლს ვარბად დაადებს, ცხენები ველარ ივლიან... სადმე სასყიდლით მარხილს თუ ვიშოვნითო? — ჰკითხა.

— სამი მარტო მე მიდგაო. — ანუ გეშა მონადირემ.

შუალამე გადასული იყო, როცა გავრილამ ფატიმათი საწოლ ოთახამდე მიაცილა, მკერდში მაგრად ჩაიკრა, ტუჩი ტუჩს მხურვალედ შეაწყება...

ქალმა თავი ძლივს დაიხსნა...

— ბიცოლამ ბრძანა კორწილამდე კოცნა დიდი ცოდვიაო! — გაიბუტა.

გავრილას გაელიმა, მერე ჩაფიქრდა...

— უური დამიგდე, ფატიმათ. ია სოვდაგარი არა ტყუის, ეგ ორნი მართლაც ხელმწიფის კაცები ჩანან. თუ თერგის-ქალაქს მშვიდობით ჩააღწიეს, მერე მოსკოვსაც, ღვთის წესლობით, იოლად ჩაგლენ... ოღონდ მაგათი აქ დარჩენა არ შეიძლება, სიფრთხილე ჰმართებო... ვედი, სოფელში ჩავიყვან, ჩემს სახლში დავაყენებ, ზეგამდე მარხილსაც გავუმართავ და მადლიანი ფულით ეგებ ჩვენი კორწილიც დავაქტარო...

გადაუღებლად თოვდა.

უთენია ზეწამომდგარმა ბესთაუთმა სპარსელ სოვდაგარს და მის მხლებლებს საგზალი გაუმზადა. ზურჯინი სატვირთე ფაშატს გადაჰკიდა, სადგომში შებრუნდა და გასამრჩელოს მოლოდინში კართან აიტუზა.

— ცხენები მზად გახლავითო. — შეახსენა ალა ისმაილს.

— ეს ვერცხლი ვერცხლად იყოს, სკაბე ამრეშუმი კიდევ ფეშქაშადო. — გაუღიმა სოვდაგარმა და ტაბლაზე გადაფენილ ამრეშუმის საკაბეს ზედ ათიადე მოჭრილი ვერცხლიც მოაპანა.

ბესთაუთმა სოვდაგარს ხელები დაუკოცნა...

— ღმერთმა ხეირი არ მოგაკლოსო! — უკან აედევნა.

ისმაილი და მისი მხლებლები ცხენებზე შესხდნენ, ღია ქიშკარი გაიარეს და სოფლიაკენ დაეშვნენ.

თოვდა.

ზამათ ბესთაუთის ძმის ასული შუა ოთახში იდგა, საკაბეს იზომებდა. ბიძაშვილები, ბიცოლა და თვით ბესთაუთიც ქალიშვილია ბედნიერებით ტკბებოდნენ.

— ყველაზე კარგნი ქვეყნად თქვენ მუყევართო! — ცრემლს ძლივს იკავებდა ფატიმა.

ზამათას ცოლმა ედელს მიკიდული დაირა ჩამოიღო.

ბესთაუთმა „ბუზიკა“ ააწრობინა.

ბიჭებმა ტაში დაკრეს და ტანთ აბრეშუმის საკაბე მოხვეული ფატიმათი წრეში ცეკვით ჩამოატარეს.

ბედნიერება უსახლვრო იყო.

შელამებულზე ბესთაუთის სამაძილე სადგომს თავით თხენამდე შეიარაღებული ოციოდე მუსულმანი მხედარი მიუახლოვდა...

ქიშკარი წელეწეს, სახლის პატრონი საწოლიდან ზე წამოავდეს...

— წუხელ ლან ვინა გუაჯაო! — შეუწყრნენ.

— სოვდაგარი და ორი სარქალი იყვნენო. — უბასუხა ბესთაუთმა.

— ებლა სად არიანო? — არ შეეშვნენ.

— სოვდაგარი უთენია წაბრძანდა, სარქლები კი ქურდ-ბაცაკანი აღმოჩნდნენ, გათენებამდე გამეპარნენო. — იცრუა ბესთაუთმა.

არ ენდნენ — მათრახები წაუშანეს.

— ებლა სად არიან-თქო, ამას გეკითხებით!

— ღმერთს ვფიცავ, მაგისი მართლა არა ვიციო, — შესტირა ბესთაუთმა.

კვლავ წაუშინეს.

ცემა-ტყეპით რომ გული იჭერეს, — ხალოჩა გაგვიფინე და საქმელთან კრ-

თად რახიც მოგვართვონ! — თბრძა-
ნეს.

შიშნაკამი და მათრახებით აწიწმატებული სახლის პატრონი გარეთ გაძუნებულდა. მიწნარე ცოლ-შვილი წამოაყარა, ფატიმათს რაღაც უჩუბრულა, მერე ცოლს მიუბრუნდა...

— რაცა გვაქვს, ყველაფერი სტუმრებს მიმირთვითო! — შეევედრა.

დაფეთებული ქალი გაფაციცდა — საუტუნაოს ეცა.

ფატიმათმა ტანთ სასწრაფოდ ჩაიცვა, ქულაჯაც მალევე მოიგდო და სადგომიდან თავლისაკენ გაქანდა. წამიც და ცხენა მოვლებული, თოვლიან სიბნელეში გაუჩინარდა.

გავრილამ სტუმრები გააღვიძა.

— გათენებას ველარ დაუუცდით, ებლავე წააკლა სჯობსო. — უჩიოა.

— რა მოხდაო? — ელდა ეცა ნამძინარევე იღუმენს.

ბესთაუთმა სიტყვა მომაწვდინა, მუსულმან ქისტებს ქართველ ელჩებზე თავდასხმა და მათი გატაცება სურათო. — შემატუბინა.

აფორიაქდნენ...

პაპი გავრილას გაპყვა, მარხილების გაწუბონაში შეეხიდა.

16.

გამთენიისას, თოვლით გადალესილ ჯერ უვალ ტრამალზე, ორი მარხილი მიჭროდა. მეორე პირველს ნავალში ჩადგომოდა, განსხვავებულ ავალს არ აჩენდა. წინა მარხილში მონადირე გაავრილა იჭდა, მომდევნოში ხარიტონი და პაპი. ბორცვს რომ გადასცდნენ, ცხენები შეაყენეს. უთოვლო ფერდობი გამორბენეს, უკანა მარხილიდან გამოხსნილი ცხენები დაუთოვარ მიწაზე ატარეს, მოშორებით დააყენეს, მერე მარხილიც აიღეს და ზეშეწეული, ცხენებამდე ხელით ატარეს. კვლავ გამართეს...

ხარიტონი და პაპი მარხილში ჩასცდნენ...

დაიძრნენ...

— ღვთით გველოთო! — გააყოლა გავრილამ.

თენდებოდა.

მონადირე თავის მარხილს დაუბრუნდა. ცხენებს მათრახი გამეტებით გადაჰკრა და მდევრისათვის პირშესამლე-ლად გზა უვალზე განაგრძო.

ხავილევს გამოყოლილი ქისტების რაზმი, ბორცვს დაუეჭვებლად გადაცდა, სიმალით იარა და მარხილის კვალს თურგიაპირა ტყეში შეჰყვა.

ამასობაში გავრილას ხე მოეჭრა, სხეპავდა — სტამბს ტოტებს გამალე-ბით აცლიდა — ცულს მარჯვდ ხმარობდა... შეშისთვის გამზადებული მარხილიც იქვე ეყენა.

— ენ ხარ? — ჰკითხა ქისტების წინამძღოლმა.

— გავრილა ვარ, გვარად სევეროვი. — მიუგო „ტყისმჭრელმა“.

სახტად დარჩენილმა მდევარმა უკან გაბრუნება დააპირა.

გავრილამაც თავის „საქმე“ უდარდელად განაგრძო, ცული აიღო, მოჭრილ ხეს კარგა მოზრდილი ტოტი გააცა-ლა...

ქისტების წინამძღოლი წამით შეჩერდა, ტყისმჭრელს აღმაცერად გამო-ზედა, კარგა ხანს უყურა, ეტყობოდა — ყველაფერს ერთბაშად მიხედა — სიბრაზით სახე დაემანჭა, მშვილდი მოი-ღო, გამეტებულად მოზიდული ისარი გავრილას ბეჭებს შუა გაუტარა.

გავრილამ მოიხედა, თავის ლამაზი, მომლიმარი თვალები მკვლელს დამცი-ნავად შეანათა და მოსხებილ ტოტებს შორის უსულოდ ჩაიკეცა.

17.

ათასგვარი ტანჯვა-ზიფათის მერე, ლერგის-ქალაქსა, ასტრახანსა, ყაზანსა და ნიჟნიზე ვავლით, მოსკოვს მშვი-დობით ჩასულმა ივერთა ელჩმა, ღვთის-მშობლის მიძინების სახელობაზე ნა-გებ კუმურდოს მონასტრის ილუმენმა ხარიტონმა და მხლებელმა მისმა პაპა-

იმ, რუსეთის სამეფო კარს, კახთ-ბატონის უსტარის გარდა, ვიორ-გი იმერთა მეფისა და მამია გურიელის წერალებიც გადასცეს. მეფენიცა და გურაის მთავარიც, მოსკოველ ხელმწი-ფეს, მიხეილ თევდორეს ძე რომანოვს, მფარველობასა და გადაუღებელ და-ს-მარტვას სთხოვდნენ.

1621 წლის გაზაფხულზე, მოსკოვს ჩამოსულ ირანის ელჩს, ბულატ-ბეგს, რუსეთის მეფემ, მიხეილ თევდორეს ძემ სიტყვა ქართლ-კახეთის აზრებზე ჩამოუჯდო: „თეიმურაზი დამნაშავეც რომ ყოფილიყო, შაჰს ეს ამბავი ჭერ ჩემთვის უნდა ეცნობებინაო“ — უსა-ყვედურა და თან, თეიმურაზის პაპის, ალექსანდრე კახთ-ბატონის სიგელიც მოიშველია. მაშინ ბულატ-ბეგმა, მო-სალოდნელ დავას, დროებით უკან და-ხევა არჩია, გაუგებრობის ნიშნად მხრები აიჩეჩა და რწმენაც ვითარე-ბის შესაფერი გამოსთქვა: „რადგან ასეა, შენი უდიდებულესობის სიყუარ-ღულით, შაჰი ივერთა ქვეყნებს აწ, ალბათ, აღარ დალაშქრავსო“ — განაც-ხადა.

ხარიტონის გამოსტუმრების მერე მოსკოვის სამეფო კარი ირანს გასაგზა-ვნი ელჩების მომზადებას შეუდგა.

ინაგე წლის ზაფხულის მიწურულს, რუს-ხელმწიფის ელჩები, ვასკა კო-რობინი და ალტაშკა კუვშინოვი, შაჰ-მა ირანის პატივითა და მოკრძალებით მაილო — ტანტიდან წამომდგარი მო-სულთ ცბიერი სიხარულით მიეკება. მარტვზე ხელი მეგობრულად ადო და ნუგბარით გაწყობილ მაგიდასთან თავ-მღაბლად მიიწვია.

— ჩემი მალალი შმა, ჩრდილო ქვე-ყნების მბრძანებელი, მეფეთა მეფე მი-ქაელო ხომ ჭანმრთელად ბრძანდებო? — პირველად ეს ჰკითხა სტუმრებს.

ელჩებმა თავი შედარებით ცივად და-იკიბრეს...

— მეფემ და დიდმა მთავარმა სრუ-ლიად რუსეთისა მიხაილ თევდორეს

ძემ და მამამან მისმან პატრიარქმან ფილარეტ სიახლოვითა დიდითა მოგითხეს და შენი ხანგრძლივი სიცოცხლე ისურვეს... მაგრამ ამასთან, შეშფოთებით გვინდა გაუწყოთ, რომ თეიმურაზის ელჩმა, კუმურდოელმა იღუმენმა ხარიტონმა, მეფესა და დიდ მთავარს სრულიად რუსეთისა ზრახვანი შენი ამგვარად განუმარტა: „ირანს მბრძანებელს ქართველთა ქვეყნის მოგდება. ბაგრატიონთა დინასტიის მოსპობა და ქართლ-კახეთში ქრისტიანულ საარწმუნოების ფესვიანად აღმოფხვრა სურსო!“. მართალია, მეფემ და დიდმა მთავარმა ეს ცნობა გაზვიადებულად მიიჩნია, მაგრამ საჭიროდ ჩათვალა მაინც შეგაგონოს, რომ ამიერიდან ივერთა მტრობაზე ხელი აიღო: კახეთი კვლავ დიდი ხელმწიფის მიერ ხელდებულ ალექსანდრე მეფის შვილიშვილს თეიმურაზს დაუბრუნო და თეიმურაზის დედა ანუ შვილებიც თეიმურაზისა ალექსანდრე და ლევან ტყვეობიდან დაუყოვნებლივ გაათავისუფლო...

შაჰმა ყასიდად გადაიხარხარა. ხელები ცისკენ ალაპყრო, ალაპს ახედდა...

— უკვლევ არს ზრახვანი შენისო?! — აღავლინა გაოცებულმა. მერე კვლავ ელჩებს მიუბრუნდა, ბაგეზე სიმწრის ღიმილი გადაიყრა. თავი მწუხარედ გაღიქნია, — ეპ, კაცთა ვერაგობას საზღვარი არა ჰქონიაო! — ამოიოხრა და: „ამა სოფლისა სიმუხთლით გულნატკენმა“ დანანებით განაგრძო: — ვაი, რომ ქვეყნად ტყუილცა და ჭეშმარიტებაც თანაბრად ფასობს... თეიმურაზმა დედაცა და ორი ძეც თვისი მძევლებად მომცა, რათა ოსმალოს, ანუ ჩვენს მტერს არ მიმბრობოდა, მაგრამ იყრუა!... დედაცა და შვილებიც გულცივად განუტევა, სულთანს შეუდგა!...

შაჰი დადუმდა. მიხვდა — მრისხანება დაუფლებოდა, ბადაგი მოსევა, ულვაში არათითხე წამოვებულ ოსმალისთვის დანებდა, ჩაფიქრდა...

— არა, თუ ჩემს ძმას, მეფესა და დიდ მთავარს მიჭაელს ოსმალთ წინაა-

ღმდეგ ივერიის მიწა დასტორდა, წინ რად დავეუდგები!... განშორდეს სტამბულს თეიმურაზ და ალაპს ვფიცავ. არა თუ კახეთს, არამედ ჩემს სამეფოსაც რუსთ ხელმწიფის ფერხითი განვაფენს!...

შ.პი კვლავ დადუმდა, თავდახრილი ელჩები ფარულად შეათვალიერა. იკრძნო, რომ მისმა ნაუბარმა მსკენელთ სიმტკიცე შეურყია. არ დაახანა...

— ეგეც რომ არა, — განაგრძო მან, — განა მე, ჩემი მაღალი ძმის, ჩრდილო ქვეყნების დიდი მეფის, მიჭაელის ერთგულებისა და ჩემი მისდამი ცისქვეშეთში ჭერ არ ნახული სიყვარულის ნიშნად, ცოტა ვიღონე? ეს ხანია, რაც თეიმურაზის დედადყოფილის, ხოლო აწ ჩემი განუყრელი დისა და ტახტისა ჩემის მოზიარის ქეთევან დედოფლის რჩევითა და შეგონებით, სტამბულის სულთანს მის მიერვე დატყვევებულ ოთხმოცდაშვიდ რუს ჯარისკაცში, ათასზე მეტი ჩემგან ალყა-ქმნილი მემამოხე ჭელაღი და ხუთიათას ოქროდ ღირებული მათი ბელადი მოვეცი!...

რუსი ელჩები შაჰის მიერ ტყვე ჯარისკაცთა დახსნაზე უფრო ქეთევან დედოფლის დად და ირანის ტახტის თანამოზიარედ ხსენებამ გააოცა.

შაჰმა განაგრძო...

— გარდა ამისა, თქვენს აქ ჩამოსვლამდე, სულთნისგან დახსნილ ტყვე რუსებთან ერთად, ჩემი მაღალი ძმის მიჭაელის და მამისა მისის დიდი ფილარეტის საამებლად, ეხლახან მოსკოვს წარგზავნილ ჩემს ელჩს, ქრისტიანთა მეუფის იეშუა წინასწარმეტყველის კვართიც გავატანე...

— როგორ თუ კვართი?! — ყურებს არ დაუჭერა კორობინმა.

ოსტაშეკა კუვშინოვმა შაჰს გაკვარგებით შეხედა.

აბასს გაეღიმა...

— დიახ, კვართი. — გაიმეორა მან და დასტურისათვის მშვიდად დაუმატა: — სწორედ ის კვართი, რომელიც თქვენს ქრისტეს, ჭვარზე გაკრულს, ტანს უფარავდა.

ელჩებმა ერთმანეთს გადახედეს, ჩა-



ნდა ვერ ირწმუნეს შაპის ნაუბარი.

— თეიმურაზის დედის ქეთევამდედოფლის ხილვა და მასთან საუბარი თუ შეიძლება? — ფრთხილად იკითხა აბასის გულწრფელობასა და ქრისტეს სამოალის არსებობაში შეეკვებულმა ვასკა კორობინმა.

— ჩემს დას, დიდ დედოფალს აქ მობრძანებას ვერ ვკადრებ. მაგ საქმისათვის შირაზს გამგზავრება დაგკირდებათ. — ფარისევლურის გულწრფელობით მიუგო შაპმა.

18.

ქრისტეს კვართის ამბავმა რუაეთის სატახტო ქალაქში დიდი გამოცოცხლება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ხელმწიფის მამამ პატრიარქმა ფილარეტმა პირადი საკრებულოს მდივანი ივანგრამიტონი იხმო, რათა დაედგინა თუ რამდენად დასაჯერებელი უნდა ყოფილიყო ცნობა უწმიდესი რელიქვიის შესახებ, რომელიც შაპმა თითქოს კახეთის ქალაქ ზეგამში „მოიძია“ და, რომელიც მის საგანგებო რწმუნებულს დღე-ღღეზე მოსკოვს უნდა ჩამოაგვინებინა. საკრებულოს მდივანმა ამ საქმის მცოდნედ, ოდესღაც მცხეთასა და იერუსალიმს ნამყოფი, მაცხოვრის ახალი მონასტრის მეკუქნავე ბერი იანივე დაიგუღა.

აი, რა უამბო მეკუქნავე ბერმა საკრებულოს მდივანს:

„ოდეს პილატე პონტოელმა მეუფე ჩვენი უცოდველი იესო ქრისტე ჩვარსა ზე აცვა, მსხნელა ჩვენსას თურმე წმიდა ლეთიამშობლის ხელით ნაქსოვი, ფართე და ქედით თხემამდობის დაშვებული, ლავკარდისფერი ქიტონი ემოსა. მაგრამ არ ვიცი, აბრეშუმისა იყო იგი, სელისა თუ მატელისა. ოღონდ მთლიანი კი ყოფილა — უსახელოო. უნემსური, მოუქონველი... და მერე, როცა მაცხოვარი ჩვარი ააგან გარდამოიხსნა, ლეგიონერნი მიესივნენ, განძარცვეს იგი, განაწიშველეს და სამოსელი მისი ყოველი — ქიტონი, კვართი, ანუ ღრუბელიც — ძმრით ნაქლენ-

თი მომაკვდავის ბაგეხებულს სმანნიცა მსკოლაენი მისნი, დიანაწილეს... ქიტონი თურმე ვინმე ქართველ მეომარს ერგო. და, როცა იგი ისევ სახლში დაბრუნდა, ახლობლებს უხმო და რაც იხილა, ყოველივე წვრილად უამბო. ისმენდა ამას დაიც შიპი, დაიცი ფრიად გონიერი ანუ რწმენისა კეშმარტიცა ფიქრით მცნობელი. და შეეკედრა ძმასა, თვისსა სამოსელი უფლისა, ხოლო დედ-მამას ესე უთხრა: — როცა მოვედები, ტანთ ეს ქიტონი ჩამაცვით და კუბოში ისე ჩამაწვინეთო. ასული იგი მალე მიიცვალა. ახლობლებმა ანდერძი აღუსრულეს — ქრისტეს ქიტონით შემოსეს და სამარეს ისე მიიბარეს. ეამაა რომელსამე დიაცის იმის საფლავზე ზე რამ უჩვეულო აღმოცენდა — მაღალი, რტონაყარი. ხალხმა შენიშნა, რომ მართლმორწმუნე დიაცის საფლავზე ამოსულ ხეს ღვთაებრივი მირონი სდიოდა — სააწაულმოქმედი, სნეულთა და დავრდომილთა განმკურნელი... და მერე, როცა ივერთა ტომმა ქრისტიანობა მიიღო, ხოლო ეს ფრიად აეთილე საქმე ქერ კიდევ დიდი კონსტანტინეს კეისრობის ეამს მოხდა. ხალხი იმ ზიდან გადმონადენი მირონით ინათლებოდა. ამიტომ ხეცა იმასა ზედა ტაძარი ააგეს და ადგილი იგი მერმე ქართველ მეფეთა საძვალედ აქციეს. ივერთ მხარეში ყოფნისას ის ტაძარი მე თავად მოვიჩახულე, მაგრამ მირონი გამჭრალეყო. ამის მიზეზად ხალხი ურჩულოთაგან წმიდა ტაძრის ხელყოფას იტყოდა, რამეთუ სვიმონ ქართლის მეფის ხელმწიფობის დროს, შაპ-აბასის პაპას, ტაძარი იგი თავლად უქცევია... ეს ქიტონისა გითხარ... კვართისა კი რა მოგახსენო?... გამოგონია, თითქოს კვართი უფლისა ჩვენისა, კახეთის უმთავრეს ქალაქს, ზეგამს ინახებაო. მაგრამ ზეგამში მე არ ვყოფილვარ და არც მაცხოვრის სახელობაზე აგებული კვართის მტვირთველ ეკლესია მინახავს. ლურსმნებისა და ღრუბლისა კი მართალი გითხრა, არავისგან და არცა როდის არაფერი მსმენია“.

მეექვანევე ბერის ნაამბობი მღვიან-
მა გრამიტონმა პატრიარქს გადასცა,
პატრიარქმა — მეფეს, ხოლო მეფემ
შაჰისაგან. მონაძღვენი სახსოვარი უფ-
ლისა სიხარულით მიიღო და თავის უწ-
მინდეს მამა ფილარეტ ნიციტას ეს
დიდის ამბით გადაულოცა.

აქამა საწადელს მიიღწია — თეი-
მურაზის გამოისობით მოძალებული
რუსთ-ხელმწიფე ღროებით დააშოშმი-
ნა და განზრახულის აღსრულებასაც
დაუყოვნებლივ შეუდგა...

1622 წელს აუნძული პორმუზი მი-
ითვისა, მერმე ოზბეგები დასცა, მომ-
დევნო წლის ბოლოს ბაღდადი დაარ-
ბია. 1624 წლის გაზაფხულზე ერაყი
და თურქისტანის ნაწილიც დაიკავა და
რაკი სიმტიაცი იგრძნო, ისევ გურჯის-
ტანის საკითხს მიუბრუნდა — მიზნად
კახელების სრული მოსპობა და ქართ-
ლელთა ირანს გადასახლება დაისახა—
ბაგრატიონებით დაიწყო — ქართლის
მეფე ლუარსაბი გულაბის ციხეში
შვილდის საბლით მოაშობინა. ჯერი
თეიმურაზის ვაჟებსა და ქეთევან დე-
დოფალზე მიდგა.

19.

საპატიო ჩეთე-ლაშქრით ხლებული
რუსთ-ხელმწიფის ელჩები, ქეთევან
დედოფლის სახილველად, ისპაჰანადან
შირაზს ჩამოვიდნენ...

შირაზის ბეგლარბეგი, ნაქართველა-
რი იმამ ყული ხან უნდილაძე, მობრძა-
ნებლის მიერ შაჰ-სევნობამდე ამაღლე-
ბულ უცხოელ სტუმრებს ქალაქის კა-
რიბჭეთთან მიეგება, ძვირფასი ხალი-
ჭებითა და ათასფერადი აბრეშუმით
მორთულ-მოლამაზებული ქუჩაბანდე-
ბი გამოჩინებით ჩამოატარა და სასახ-
ლესთან მისულთ. ალაყაფიდან ვიდ-
რე შენობის ზღუდემდის, გზა ვარდ-
ყვავილით მოუფიანდახა.

უნდილაძის სახელგანთქმული მა-
მია, ირანის დიდი ყულარალასის ყო-
ფილი სასახლე, რომელიც იმჟამად ქე-

თევან-დედოფალსა და მამაშვილებს
ყრა. ზღაპრულობით თვით შაჰისასაც
არ ჩამოუვარდებოდა.

რუსთ-ხელმწიფის ელჩებს დედოფა-
ლი სასტუმრო დარბაზში ელოდა. ბა-
ზილიანთა ორდენის წევრი ანუ აღმო-
სავლური წესის ბერი მოსე-ბასილი და
გიორგი ხუცესიც თანა ჰყავდა. იდგნენ,
ააუბრობდნენ...

თაღებთან მოახლე თეონია გამოკრ-
თა...

— მოდიანო! — თქვა და უძალვე გა-
უჩინარდა.

სტუმარ-მასპინძლობამ და ქვეყნის
აე-კარგზე სჯა-ბაასმა გვიანობამდე გა-
სტანა.

— თეიმურაზის სულთანთან თანხ-
მობა, არა თუ მხოლოდ შაჰს, არამედ
მის უდიდებულესობას მიხედავ თვედო-
რეს ძესაც შეუწყნარებლად მიაჩნი-
აო. — წუწუნებდა ექვსინოვი.

— მაშ, სხვა რა გზა აქვს? — შეა-
წყვეტინა ქეთევანმა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— გზის მეტი, რაა, დედოფალო? —
ამოიხვნეშა უნდილაძემ და ქეთევანს
რომ საწყენად არ დარჩენოდა, ნათქ-
ვამა ლიმილიც მაშინვე დაატანა. — თუ-
ნდაც ზავი და შაჰის ერთგულება... რა
ვი, რას აწყენს?... ან შენ რა გაწყენა?..
არცა რჯულს გტაცებს და არც ხელმ-
წიფებას...

— მე ვით წარმტაცებს, როს ერ-
თიცა და მეორეცა ჯერ ისევ თეიმუ-
რაზს აბარია?! — გაეცინა დედო-
ფალს.

— ფიცისა გწამდეს, უპირობისა
გეშინოდესო, — გონიერთ უთქვამთ.
მიწის მობრძავი სომეხ-ქართველნი,
რომელნიც შაჰის სურვილისამებრ ფე-
რეიდანსა და ბაზთიართა ახლოს დასახ-
ლდნენ, ისლამის რჯულზე განა ძალით
არ მიატყევა? — შეესიტყვა უნდილა-
ძის მოსე-ბასილი.

— კეშმარიტად რომ ძალითა
ჰქმნეს! — დაუდასტურა გიორგი ხუ-
ცესმაც.

— ძალით რად იყო? — გაუკვირდა

ნაქართველარს. — ქისლამის ნათელს უმრავლესობა მორჩილებით შეუდგა...

— მორჩილებითო, კარგადა ბრძანე. თუ ძალადობა არ იქნებოდა, მორჩილებას რაღა წარმოქმნიდა? — არ შეეპუა ბერო.

— ემარა-ლა, მაგისა ბევრი არა გამეგება. რა, მაგრამ ერთს გეტყვი, წარმომავლობით მეც ქართველი ვარ და საქართველოს მომავალი ირანს გადაღმა არცა სად მიჩანს...

— ქართველი რადა, იმამ ყული ხან?... შირაზის ბეგლარბეგი ბრძანდები, ნამდვილი ყოილობაში! — შეეხუმრა ქეთევანი. მის ნაუბარში უნდლიაქემ სიყვარულთან ერთად მწარე სიმართლეს იგრძნო.

დედოფალი დაფიქრდა. მის სათნო სახეს უნებლიედ სევდა რამ უქურნებელი მოეფინა...

— თუ რუსთხელმწიფემ საქართველოს მფარველობა აღარ ინება, არცა სული ივერთა. არცა გონება და არცა ენა მერმისში აღარ წარმოჩინდების... თეიმურაზი შაჰს არ დაჰყვება, მგელი და ცხვარი ერთად ვერ მოსძოვს, ვერცა ანთარი ფოცხვერისებრ დაიჩაველებს და ვერცა თევზი ჩიტვით იჯრენს. ვითარცა მთასა ზედა ნაქუოი წყალი ზღვად მიისწრადის, ისევე ურიც ჩემი, წარსულიდან აწმყოსაკენ მიედინების... და ვაი, წყალსა — მდინარესა, რომელიცა ზღვას ვერ მიწვდება ანუ დაშრება მხურვალესა ქვიშასა ზედა, ანაც მძლავრისა მდინარისაგან გზად შთანინთქმება. მე ერი ჩემი ამგვარად არ მიჩნს!... ეს არც ერსა აწადს. ამადაც იღწვის გამეტებით, იბრძვის და შეილსაც მეომრად ზრდის, ხატადაც ის ჰყავს, ვინც ერისთვის თავი გასწირა. დედოფალი ვარ და ძარღვიც ყოველი ერისა ჩემისა გულს ჩემსას ერწყმის. ამადაცა მწამს, რომ სული ივერთა მყარი არს, უტეხი, მოუღრეკელი...

დედოფალი დადუმდა. მისმა ნაუბარმა მსმენელნი შესძრა.

უნდლიაქემ თავი ჩაჰკინდრა. კარგა ხანს აუჩქეს.

— ქრისტეს კვართისა რეცხვით ბოლოს ეს ჰკითხა ოსტაშკა კუეზინოვმა ქეთევანს.

დედოფალს პასუხად არაფერი უთქვამს. სახეზე ხელები აიფარა — მწარედ აქვითინდა.

ელჩებმა ერთმანეთს გადახედეს. ყველასთვის ყველაფერი ნათელი იყო.

20.

გაზაფხულის ხშირმა წვიმებმა, როგორც იქნა, გული იჭერეს — ტყე-ველი მწვანედ ააბიბინეს და ერთ მშვენიერ საღამოს, გამოდარების ნიშნად, ცის კიდზე ვეება მთვარეც აღმოაცუნეს.

ქეთევან დედოფალი საწერ მაგიდას გვიანობამდე შემორჩა. ბუხარი მინავლდა, სანთელი ჩამოიღვინთა. დამეულმა ნესტმა და სიმყუდროვემ, უნდლიათის მამისეული სასახლე რახანია ძილად განაწყო. თვლემდა საქსოვთან მიმგდარი თეონიაც.

დედოფალი სიგრილემ შეაწუხა. წაწოდგა, მიმქრალ ცეცხლს ნაპობი შეაშველა...

ჩქამზე თეონიას ძილი გაუერთა, ზე წამოიჭრა...

— მე ვიქმო! — არ დაანება ბუხარი დედოფალს.

— დაგვთენებიაო. — ჩაილაპარაკა ქეთევანმა.

სარკმელთან ცხენთა ფლოქვების შორეულმა თქარუნმა მოატანა. ხმა იგი თანდთან მოახლოვდა, ალაყაფთან მიწყდა.

— ეგრე გვიან, ნეტა, ვინ იქნებო? — უამურად იკითხა დედოფალმა.

მოახლემ მხრები აიჩეჩა.

ალი თანდათან გათამამდა, შელონებულმა ბუხარმა სული მოითქვა.

თეონია საქსოვთან მიტოვებულ შალს დაწვდა, მხრებზე მოისხა — ამბის გასაგებად გაუშურა.

ქეთევანი მაგიდას მიუბრუნდა. ნაწერს დახედა...

„თვალის ჩინო ჩემო, ძენი შენი ლე-

ვან და ალექსანდრე, ეს ხანია შაჰმა მიზანდარანს გაიწვია, არ ვიცი — სანადიროდ, არ ვიცი — რად?!... მართალია, ნადირთკვლა ჭერ ფრიად ნადრევად მიჩნს, მაგრამ უნდოდადემ მანუგემა: მბრძანებელი მაზანდარანის ქალაქ არშაფში საზაფხულოდ დარჩენას აპირებს, მეც იქ ვიქნები, უფლისწულებს ჩემს გვერდით ვიყოლიებო. სხვა რა გაუწყო?... რუსთ-ხელმწიფის ელჩებისა უკვე გითხარ და კვლავაც იმასვე ვიმეორებ, დიდად მიმხვედრნი და სანდონი სჩანან, თუ ღმერთმა ინება, ვგონებ, შენგან დაწყებული საქმე, სურვილისა შენისამებრ, ბედნიერად დასრულდეს...”

ფლოკეების თქარუნი განმეორდა.

ოთახში გაფითრებული თეონია შემოვიდა...

— მუფთის ბრძანებით მოსე-ბასილი და გიორგი ხუცეი ბაჰადურებმა თან წაიყვანესო. — თქვა.

დედოფალს ელდა ეცა.

21.

შაჰს ხელში ვარდი ეყურა, ვარდი — გვირგვინი შირაზისა!... დასცქეროდა. ისე დასცქეროდა ვითამ პირველად ხილული რამ საგანი ყოფილიყო.

იმამ ყული ხან უნდოდადემ გვერდით დიდის პატივით ესვა.

— ვიცი, შენი მრისხანება თეიმურაზის რუსთ ხელმწიფესთან ლაქუცმაც გააღვივა, მზის ანარეკლო. — ფრთხილად ეუბრებოდა შირაზის ხანი.

— ნებითა შენითა და ალაჰის დასტურითა ორთავ ძე თეიმურაზისა, ლევანიცა და ალექსანდრეც, წუხელ ღამ დაასაჭურისეს... ყმაწვილებმა ვერ გაუძღეს დასტაქრის დანას, უმცროსი იქვე მიიკვალა, ხოლო უფროსი, ამბობენ, გონს გადავიდაო...

შაჰმა ვარდს უყნოსა.

— ყური დამიგდე შირაზის ხანო, — ღიმილნარევი მწუხარებით წარმოსთქვა მან. — არ დაგავიწყდეს, რომ შენ, ირანის დიდი ყულარაღისის, სახელგან-

თქმული ალავერდი-ხანის მშვენიერ ბარ. მაშამან შენმა ირანის ტახტზე ჩემი დადგინებისათვის უებარი ღვაწლი გასწია... გამო ამისა და ერთგულები-სა შენისა გამოც ფარსის ბეგლარბეგობა შენ მოგეც; თუმც სამბრძანებლო ესე მეგვიდრეობით არ გადიცემის, ეხლა, ჩემს შემდეგ, მთელს ირანში პირველი კაცი შენა ხარ... სიმდიდრითა და გულუხვობით დუნია გიცნობს... მწიადს ერთი გკითხო, ან შენ, ან მამასა შენსა მაშადის რჯულით გაპატიოსნებამ ცუდი რა მოგაგოთ?

— შენი წყალობისა და სამოთხის ბინადართა შესაშური ბედნიერების გარდა სხვა არაფერი, ღვთის ანარეკლო. — მადლობით მიუგო ნაქართველარმა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

აბასმა კვლავ ვარდს უყნოსა...

— მითხარ, ქეთევან დედოფალი რასა იქსო? — იკითხა ნაღვლიანად.

— შირაზსა შინა ზის, ცის სადარო, წყალობითა შენითა არცა თუ ტყვეობისაგან დიდად შეზღუდული. სამლოცველოც საკუთარი აქვს, საეკლესიო ჭურჭლითა და ხატებით შემკობილი. მცირე რამ ეკვდარიც ალაშენა, დღეცა და ღამეც ლოცვადა დგას, მოსაყდრენიც მრავლადა ჰყვანან, მათ შორის მღვდელიცა ორი, ერთი ბაზილიანთა ორდენის წევრი, სახელად მოსე, ხოლო მეორე გიორგი...

— ვიცი. — შეაწყვეტინა შაჰმა.

უნდოდადემ დადუმდა, ავის მოლოდინმა სიფრთხილე და მოთმინება უჩინა.

აბასი წამოდგა, იმამ ყული ხანს ზურგი შეაქცია, ბუხართან შეუყვნდა. ნაღვერდალს ჩააქერდა...

— აი, რა! თუ ქეთევან დედოფალი მაშადის რჯულის მიღებაზე რგგორმე დაითანხმე, ნულარას აწყენ, თუ არა... — შაჰმა სათქმელი აღარ დაასრულა, ვარდი ღადარში ჩააგდო. უმზორა როგორ ჩაიწვა, როგორ ჩახრაკა ყვეელი.

შაჰთან ერთად ზეწამომდგარი იმამ ყული ხანი გაფითრდა, თავი ძირს დახარა, მერე, თითქოს გონს მოეგოო, ცუ-

1. მუფთი — მუსულმანთა ღვთისმეტყველი, შირაზის მხედელი, შირაზის მოსამართლე.

ცხლთან გარინდებით მდგარ ირანის მბრძანებელს ჯიქურ მიეჭრა. მუხლი მოუყარა...

— ნუ, ღვთის ანარეკლო.. ბერი დედაკაცი ვახლავს, აწ რჯულსა თვისას ეგ არ დააგდებს... ან კი, რას აქნევ?... დაეხსენ. შენთვის უღირს არს მისი წამებით მოკვდინება...

აბასი შემობრუნდა, უნდილაძეს მხარზე ხელი სდო, წამოაყენა...

— დედოფლის ჰეშმარტ რჯულზე მოქცევას დაბეჯითებით გავალებო. — უბრძანა, — საამისო მიზეზიც მრავალი მაქვს... დღესა ერფსა დედასა შენსა ვკითხე, ქრისტიანე თუ ხარ-მეთქი?... ვარო! მიპასუხა; გავიკვირე; რად გიკვირსო? მეადრა. თუ თეიმურაზის დედა ქრისტიანეა, მე რას მიკვებო?!... ესეც რომ არა, დღეს მთელი საქრისტიანო ქეთევანს შესცქერს, თუ გონს მოეგო, ქართლიცა და კახეთიც გონს მოეგება...

— თუ არა? — შიშით შეჰბედა უნდილაძემ ირანის ვერაგ მბრძანებელა.

— მაშინ ისიცა და ერიცა მისი უგუნურთა ტანჯვით დაშვრება!

უნდილაძეს აღარაფერი უთქვამს. ირწმუნა შაჰის შეუვალობა...

22.

შაჰივან ავ საქმეზე დამოძღვრილი ინამ ყული ხან უნდილაძე მაზანდარანიდან ისპაჰანს ჩავიდა — შინ წასასვლელად გამზადებულ რუსთ ხელმწიფის ელჩებს ფარული პაემანი დაუოქვა.

ელჩები დანიშნულ ადგილზე ერთმა ქაშიკმა ანუ სასახლის მცველმა მიიყვანა. ადგილი იგი უდაბური იყო, უკაცრიელი.

ჩამოქვეითდნენ.

უნდილაძემ ქაშიკი განირიდა.

— დედოფლის თანწყევანას თუ ითავებთო? — დაუხვერავად ჰკითხა პაემანზე მოსულთ.

კორობინმა და კუეშინოვმა შეკითხვა არ იჩითირეს, მაგრამ არც თანხმობაზე აჩქარდნენ...

— ქართველი უფლისწულნი ვინ არიან? — კითხვითვე უქანასუხეს.

— რაც ჰკორად გაგეგონოთ, სიმართლედ მიიღეთო. — მიუგო უნდილაძემ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

კორობინმა კუეშინოვს გახედა. ამხანაგის დუმილი თანხმობად მიითვალა — ვითავებთო. — ჩაილაპარაკა.

უნდილაძემ უბიდან მცირე გრავნილი ამოიღო...

— ამ ფარატს შაჰის ბეჭედი არაა... ვერც იქ, ვერცა შირაზში და კარცა სხვაგან წინ ვერაფერ დაგიდგებათ... თუ დედოფალი, განგების ძალით, როგორმე დაიყოლიეთ, კვლავ ისპაჰანს მოხვალთ. დანარჩენზე მეტმედ ვიზრუნოთ.. ნუ დაივიწყებთ, რომ ამ საქმეა ჯალათის სუნი სდის!...

კუეშინოვმა გრავნილი გასინჯა, კორობინს მიისცა.

— ელჩი ხელშეუხებიაო. — გაახსენა უნდილაძეს.

— შაჰისთვის არა! — მშრალად მიუგო ფარსის მმართველმა და ვიდრე უზანგში ფეხს შედგამდა, მოშორებით მდგარ ქეშიკს უხმო. ელჩების წაყვანა ანიშნა.

23.

გიორგი ხუცესის სასახლეში მობრუნებამ ბევრი ცრემლი და მწუხარება გამოიწვია.

ეს ამბავი ადრე დილით მოხდა.

— რად სტირი, თეონია? — თავზე ხელი გადაუხედა ციკურის ლოცვიდან მობრუნებულმა დედოფალმა კუთხეში ააცოდავად მიგდებულ მოახლე გოგოს.

თეონიამ ჰკითხის უმატა.

— რად სტირი-მეთქი? — გვერდით მიუჯდა დედოფალი, დაუყვავა, მიუაღერსა... — აკი, განდობილ დარდს გული იოლად იტანსო, ამბობდი.

მოახლე გოგომ თავი არ დაანება, ვაქცა, საკუქნაოს შეეფარა.

ქეთევანი შედრა, შეეკვდა, გული უცრად შეეკუმშა...

— ავის მეტს რას უნდა მოველოდეთ! — აღმოხდა... ადგა, ნება მოიხმო, ძაღლონე მოიკრიფა, სამოახლოს ვერ წავიდა...

იქაც არაეინ დახვდა, შიშის ბადეში გახვეულს. იმედი ერთბაშად გადაუწყდა. გულმა რეჩხი უყო, იაზრა: თავს არიდებდნენ, განგებ გასცლოდნენ!.. გამობრუნდა, ბნელ ტალანში გიორგი ხუცესს გადააწყდა...

— გიორგი ხარო? — ჰკითხა.

— თავად არ ვიცი, ვინა ვარ, დედოფალო. — მოესმა პასუხად.

ხუცესს ბარგი აეკრა, რაც ებადა, ყველაფერი ერთად მოეხვია, მიდიოდა...

— სად მიხვალ, ღვთისნიერო?!... ათქვი, რაა ჩვენს თავს! — წინ გადაუდგა დედოფალი.

ხუცესმა გვერდი აუქცია.

ქეთევანს ავის მომავლეებელი თრთოლვა მრისხანებად გადაქცა.

— სად მიხვალ-მეთქი! — უკვილა ხუცესს.

გიორგიმ ბარგი ძირს ჩამოსდო, ზედვე დაეშვა...

— გამათათრესო. — ჩაილულღუცა.

უცარი სიჩუმე ჩამოვარდა.

ტალანი თანდათან შეივსო — ჯერ ჯარეშნი გამოჩნდნენ, მერე მცველნი და მოახლენიც...

— მოსე-ბასილი რალა იქნა? — კვლავ ჰკითხა დედოფალმა.

— არ გათათრდა და მოჰკლეს...

— უფლისწულები?

— არ ვიცი, დედოფალო. — იცრუა ხუცესმა.

— უფლისწულები-მეთქი!

— არ ვიცი, დედოფალო.

— იცი!

— არ ვიცი, დედოფალო.

— იცი...

ქეთევანს გული შეუღონდა, ჩაიკეცა...

24.

კარგა ხნის შეღამებული იყო, როცა უნდილაძის მამისეულ სასახლეს, ექვსცხენიანი ძვირფასი ეტლი მიუახლოვდა... ეტლიდან, სპარსულ სამოსელს შეფარებული, ოსტაშეა კუვშინოვი და ვასკა კორობინი გადმოვიდნენ — ალყაფს მიაშურეს...

— სდექ! — გადაეღობნენ მცველნი.

კუვშინოვმა შაჰის ბეჭდიანი ფარატი გაშალა. წინამდგომნი შეცბნენ, გზამისცეს, უსიტყვოდ გაატარეს.

მოულოდნელ სტუმრებს სასახლის ბჭესთან ხმაურზე დადარაჯებული მხევალი — თეონია შემოეგება. რუსთხელმწიფის ელჩები რომ იცნო, გული საგულეს დაუბრუნდა.

— დედოფლის ნახვა გვსურს. — უთხრა კორობინმა.

— დედოფალი მგლოვიარედ გახლავთ, ბატონო... დღევ და დამეც ხატებს ეჩურჩულება, არც რასმე წაიხმსებს და წყალსაც მხოლოდ ლოკვისგან დამშრალ ბაგეთა გასაღღვობად თუ მოიხმარსო. — როგორც მახლობლებს ისე შესჩივლა ელჩებს თეონიამ, მერე, — მობრძანდითო! — შეიპატიეთა და, სანთელმომარჯვებულო, სტუმრებს ბნელ ტალანში შეუძღვა.

სამეჯლისო დარბაზში მსახურებმა ჭალები აანთეს. მოსულთ სავარძლები შესთავაზეს...

— დედოფალიც ეხლავ გეახლებათო. — აუწყეს.

მცირე ხნის მერე, თალ-ქვეშ, თალხით მოსილი ქეთევანი გამოჩნდა. ზვიადი სახე ჰქონდა დედოფალს — სულეირ სიმტიციესთან შერწყმული უსამანო მწუხარება და სათნოება. მის ისედაც დიდებულ იერს, კიდევ უფრო მეტ დიდებულებას ჰმატებდა.

კუვშინოვი და კორობინი წამოდგნენ, ჭედი მოიდრიკეს.

— სრულიად რუსეთის უმაღლესი კარის სახელით, ჩვენ — ელჩნი დი-

დის ხელმწიფისანი, თავს მოწინააღმდეგეობით ვსრით იმ განუზომელი მწუხარების წინაშე. რომელიც მუხთალმა ბედისწერამ შენ და ძეს შენსას, მეფე თეიმურაზს მოგგკერძათო. — განაცხადა ოსტაშკა კუეშინოვმა.

— უფალმა სიკეთით გადაგიხადოთო. — მიუგო დედოფალმა. მერე სტუმრებს დაბრძანება სთხოვა, სპარსულად შემოსილი რუსი ელჩები ერთხელ კიდევ შეათვალიერა, თავადაც დაჯდა — ტახტს დედოფლურად დაეუფლა. — ნეტა, ჩემამდე როგორ მოაღწიეთო? — გაკვირვებით იკითხა და სევდიანად დაუმატა, — აჟი, ჩემს ბინას, აწ, თვით შარიათის უხუნაესი მოსამართლე, ანუ მისი გულადი ბაჰადურნი დარაჯობენო.

ელჩებმა მიმოიხედეს — ხომ არავინ გვიყურადებდნენ, შეამოწმეს...

— უფლისწულთა უბედობის ამბავი, იმამ ყული ხან უნდილაძემ საიდუმლოდ გაგვანდო. ბეკდიანი ფარატიც მანვე გაგვიხერხა, რათა ჩვენი გულწრფელი სამსახური შემოგთავაზოთ და შაჰისაგან დაფარულად რუსეთს თან წაგიყვანოთ. — თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა ოსტაშკა კუეშინოვმა.

— დღეს, მოსკოვს გარდა, დედოფალი, შენთვის ამ ქვეყნად ყველა ადგილი მიუთაფარად მიგვაჩნია. — დასძინა კორობინმა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— მადლობის მეტი სხვა რა მეთქმის! — ჩაფიქრდა ქეთევანი, — მაგრამ სიცოცხლე ჩემი აწ მხოლოდ სიკვდილში თუ გაგარძელდების... ერო მე მიშურს!... დღეს ან ხვალ შაჰი რჩულის გამოცვლას მომთხოვს... ჩემი ომი ეს იქნება!... ამ ომში გაქცევა არ ხამს, ქვეყანა უმტკიცობას დამწირებს!..

დედოფალი წამოდგა. ელჩები მიხედნენ, რომ მისი ნათუბარი მყარი, შეუვარი იყო.

ეტლი დაიძრა — სიბნელეში გაუჩინარდა.

სადღაც მამალმა შეუღამებდა...
ვლა...

25.

— დმერთო ძლიერო! მამო ჩვენი და ძეო და სულო წმიდაო და დამბადებელო დამბადებლისაო ქალწულო მარიამ, განამტკიცე არსება მხევალისა შენისა ქეთევანისა და ნუ შემირყვე ფუძესა რწმენისასა, რამეთუ შენ გვსავ და ერიცა ჩემი სახელისა შენისად იღწვის!.. მოეც ძალი ერსა ჩემსა, უფალო!.. მომეც ძალი მეც და ნუ განმირიდებ ნათელსა შენმიერსა, რამეთუ დედოფალი ვარ და თვალი ერისა ჩემისა მე მიშურს... — ბუტბუტებდა ეკვდერთან მუხლმოყრილი ქეთევან დედოფალი.

საყდარში იმამ ყული ხან უნდილაძე შემოვიდა, დედოფალს კრძალვით მიეახლა, გვერდით დაუდგა.

— და თუ ვუმტყუნე ერსა ჩემსა ანუ სიყვარულსა ჩემსა შენდამი, მაშინ შთაინთქას ასო ჩემი ყოველი გეინიასა შინა ჯოჯოხეთისასა, აწ მხოლოდ ამას გვედრი, უფალო!... — დაასრულა ლოცვა ქეთევანმა.

— ქეთევანი — ფრთხილად შეახსენა თავი უნდილაძემ.

დედოფალი წამოდგა, ფარსის მბრძანებელს აედელთან მიდგმულ მერხზე მიანიშნა. იქ დაბრძანდიო, უსიტყვოდ აგრძნობინა, დასვა, თვითონაც გვერდით მიუჯდა. — რა გსურსო? — კითხა.

— მესამე თვეა, რაც ტანჯვას ჩემსას სამანი ველარ ვუპოვე, ვითა ვაოდრო-მეთქი, ამას ვფიქრობდი. — თავი ჩაჰქინდრა უნდილაძემ.

— თქვი, ნუ გეშინის... რა უკადრელი ეგეთი არის, რომ აქობამდის მე არ მეწვნიოს? — წააქეზა ქეთევანმა.

ნაქართველარი მუხლებში ჩაუვარდა...

— შაპის ბრძანებით გამაჰმადიანება გევალება, ქეთევან! ენით მაინც თქვი თანხმობა და რჯული შენი შენს გულში დაიმარხე... რა წაგიხდება?!... ხალხის თვალში თავი ისე დიკირე, ვითომ ირწმუნე მაჰმადისა, ფარულად კი კვლავ შენს ღმერთს ემსახურე, ვინძლო მეც ვიხსნა თავი ცოდვისაგან, რომელიც შენგან მომელის...

— შენ, ჩემო ძმაო და ძეო ჩემო. — ღირსით დაუყვავა ქეთევანმა შირაზის ბეგლარბეგს. — რად იტანჯები?... მოდი, პირდაპირა ვთქვათ... მე შეფის ასული, მეფის ცოლი და მეფის დედა ვარ... ჩემი ქმრის მერე მეც თავად მიმეფინა... მაგრამ იცოდე, წარმავალი და ამოა სოფლის დიდება... ხელმწიფე შენი თუნდაც ყველა სულდგმულს ეუფლოს და მთელი თვისი სამფლობელო მერე მე მომცეს, ერს არ უარეყოფ, ღვთის სიყვარულს არ ვუღალატებ!... აჲ, რაიც გსურდეთ, ისე ჰქმენით...

— ერი რა შუაშია, დედოფალო?! — შეცბა ნაქართველარი.

— ქრისტე და ერი ჩემთვის ერთია! ქეთევანი წამოდგა. უნდოდა მიხვდა, რომ „ამბავი ესე“ დასრულებული იყო.

26.

ცეცხლი დედოფლის საწამებლად შირაზის უმთავრეს მოედანზე ააგზავნეს. მთელი შირაზი მოედანს მოსწყდომოდა, მოსეირნეთა შორის უცხოელნიც მრავლად ერივნენ — ვენეციელები, ხატაელები, ფრანგნი, არაბნი...

ქეთევანი და მხევალნი მისნი კოცონთან დააყენეს. ჭაკვი, შანთები და დამლარგოლები გაახურეს...

— უარყავ ქრისტე და აღიარე ღმერთი ქეშმარიტი! — შთასძახა ქეთევანს შარიათის მსაჯულმა.

მოედანს სამარისებური სიჩუმე დაეუფლა.

თეონია ატირდა. დედოფალს მუხებზე მოეხვია...

— ნუცა ჩვენ და ნუცა თავსა ნუ გასწირავთ! — შეევედრა.

სხვა მხეველებმაც მუხლი მოიყარეს...

— უარყავ ქრისტე და აღიარე ღმერთი ქეშმარიტი! — კვლავ შთასძახა მსაჯულმა ქეთევანს. ქალათმა გავარვარებული დამლა მოიმარჯვა.

ქეთევანმა თავი ამაყად აიღო, მხევალთ მიუბრუნდა...

— თუ ქრისტესათვის წამება გიპირთ, აქ მაინც დარჩით, დამემოწმეთ. — უთხრა.

— ჭერ გააშიშვლეთო! — მიუბრუნდა მსაჯული დამლამომარჯვებულ ქალათს.

მცხიცივნენ...

— ნუ მყოფთ სრულიად შიშველ, რადგან თქვენც ნაშობნი ხართ დედასა და არა ჭერ არს მამაკაცთაგან ქვრეტა შიშველთა დედათა! — შეახსენა დედოფალმა მსაჯულს.

კაზის ზედა-ტანი შემოახიეს. შეეშვინენ...

— უარყავ ქრისტე!

ქალათმა გავარვარებული დამლა მოიმარჯვა.

ნოედანს სამარისებური სიჩუმე დაეუფლა.

— უარყავ!

— არა.

წელზე მხურვალი ჭაკვი მოახვიეს...

— უარყავ!

— არა.

მაშინ მოიღეს ნაკვერჩხალი ცეცხლისაი და ლურსმანი მწველნი, და განფინეს ქვეშე დედოფლისა...

— უარყავ ქრისტე და აღიარე ღმერთი ქეშმარიტი!

ქეთევანს თვალწინ ალავერდი წარმოუდგა. გაახსენდა, როგორ აწვდიდა სანჯალს თერთმეტი ვაჟის დამკარგვი წოწრეთ-პაპაი...

— დამკარი და წა, დედოფალო, და-
მკარი და წა!...

— არა!

გეთევანი ნაკვერჩხლებზე დასცა.

— უარყავ!

ალავერდის ეზოში გალავან გარე
მდგარ ქალები შემოცვივდნენ...

— ნუ მიგვატოვებ, დედოფალო!...
მუხლებზე წამოაჩოქეა, მოიტანეს
ქეცხე ელვარე და თავსა ზედა წამო-
ამბეს დედოფალა...

— უარყავ! — ჩასჩიჩინებდა მისი
ლი შარიათისა. მაგრამ ხმა მისი მხო-
ლოდ ქვეყანასა ზედა ისმოდა, სული
დედოფლისა კი უამე ცად იყო.

სექტემბრის მეცამეტე დღე მიი-
იწურა.

ვარდის დამზრალ ფურცლებს ქარი
შირაზის ქუჩებში დაატარებდა.

და იდგა წელი ათას ექვსას ოცდა-
ოთხი.

პირველი წიგნის დასასრული

მზია ჩხატიაძე

ქმობის სიმღერა

„რაც მტრობას დაუნგრევია,
სიყვარულს უშენებია“.

როგორ გაგიმეტებ!
როგორ შეგელევი!
გულმა გული იცნო,
გული მოგეთვისა.
დადის სიყვარული
აღმაშენებელი,
ბრუნავს ჩემს ყანაში
თვალი მოკეთისა.
მხარი საიმედო,
ძმავ, მეგობარო,
ბევრჯერ მომაშველე,
ბევრჯერ დამიყრდენი,
ერთი კერა გვანთებს,
ერთი მტერ-მოყვარე
და ცას ეხლებიან
ჩვენი კარიბჭენი.
ერთად გაგვივლია,
სიმწრით გაგვივლია,
დამწვარი ქალაქი,
ნათესი, ნახნავი,
ჩემი ტკივილია,
შენი ტკივილია
ათასი სამოთხე
უცნობი საფლავი,

რა გზებს და გზაწერილებს,
რა ქარ-ცეცხლს გამოვცდით,
ჰა, ხემ სიკეთისა
ნაყოფიც მოისხა,
გუგუნებს, გრიალებს
ეს წელი სამოცი,
სიმღერა სამართლის
და ჩვენი ძმობისა....
ერთად შეგვიტყვია,
ერთად შეგვიგნია:
ვთესათ შრომის მადლი,
სხვისი არ ვინდომოთ,
ერთი ფუძე გვაქვს და
ერთი რელიგია:
„ძმობა და სიმართლე,
ფიქრი სამშვიდობო!“
მე ვერ შეგელევი,
შენ ვერ შემეღევი,
გულმა გული იცნო,
მშურად მიეთვისა,
დადის სიყვარული
აღმაშენებელი,
დადის ჩვენი მიწაზე
შუქად სიკეთისა.

სამშვიდობოდ თქმული

ერთი მზე გვათბობს,
ერთი პლანეტა,
ერთი იმედით გვზრდიან დედები,
ნუ მომიხდები სამტროდ კარებთან.

მიმეგობრე და მტლად დაგედები.
რაკი ერთგვარად გვეძულს დავიყვარებთ,
შური და მტრობა არ გვეკადრება,
ცხრა ზღვას გამოღმა მეც გავიხარებ,

თუ ცხრა ზღვას იქით გაგეხარდებდა.
 კაცი ხარ,
 იმა ხარ,
 ზეცამ ინება
 და შენი ცრემლი ჩემსაა ჩამოჰგავს,
 შენ ცხრა მთას იქით თუ გეტკინება,
 მე დავიკვნიეებ ცხრა მთის გამოღმა.
 შენ ზარდებ ბაღში შენი მზის ნერგი,
 მე ჩემსაა დავრგავ,

შენსაა რას უშლის,
 ასე ვიხაროთ მზით და სიკეთით
 შენ — შენა მხარეში,
 მე — ჩემს მამულში.
 კაცი კაციათვის უცხო არ გახლავთ,
 მე ვარდებს გიწვდი,
 ქვაა არ გიღვრებ,
 და ყველა ჰანგზე უფრო ხმამალა
 დღეს სამშვიდობოა ვამბობ სიმღერებს

მოჰქონდათ ჩიტებს ოქროს ნისკარტით
 შენი სურვილი გზების ხმაურში.
 ვინ იცის,
 იქნებ კი არ მიყვარდი,
 თავს დავეძებდი იმ სიყვარულში.
 ეამივამ, როცა მარტო ვრჩებოდით
 და ერთმანეთის ხილვით ვთვრებოდით,
 ვინ იცის, იქნებ კი არ გეტრფოდი,
 ჩემს მარტოობას ვემალეობდი!
 ამას იყო ალბათ ყოველი,
 ვერ შევხსენ ზეცის ლურჯი კარები,
 სულის სიმშვიდის ვერსად მხოვენილი
 აღარც შენს გზაზე მოვეჩქარები.
 ვინ იცის, იქნებ კიდევ მიხმობდი
 და მარტოობაც უღვთოდ მიძიმეა,
 მაგრამ არა ხარ შენ ღონ კიბოტი
 მე კი ბედშვიდი ვარ დღულკინეა.

იქნება

იქნებ იმას,
 დარდი ვინაც არ იცის,
 წუთისოფლის არც რა ესმის სრულიად,
 უზრუნველად ავლილი თუ ჩავლილი
 გზა, ეგების, სულაც დაკარგულია.
 იქნებ იმად,
 შენ რომ ცეცხლი გეკიდა
 ღირდა სწორედ ამა ქვეყნად ცხოვრება
 და ოღითგან —
 მიწიდან თუ ზეციდან
 კაცის ფასი ტანჯვით განიზომება.

მოდო, ჩამოვსხდეთ!

დღე უკეთესი
 არასოდეს არ მინატრია.
 შეხედე, ზეცას რამოდენა მზე ახატია!
 რა ღრუბლის ქულებს მოუხატავთ,
 ხედავ, ტატნობი?
 აი, ნაცნობიც,
 ვის ღიმილსაც გუშინ ვნატრობდი!
 გესმია სიმღერა,
 მოყოლილი ნატვრად ყრმობიდან?
 იმ ჩიტუნიაშ წამოიწყო,
 აქ რომ მოფრინდა.
 მოდი, ჩამოვსხდეთ,
 მოვუხსნინოთ...
 ცოტაც მოიკა
 და ოცნებებიც გავიხსენოთ საღამოსა.
 ის შეღამება,
 იმ ნიკორა ხარის ბლავილი,
 ლობეზე თეთრად გადმოშლილი
 ხვართქლის ყვავილი,
 ცისფერ ტაძარზე ამოზრდილი ლურჯი
 ქონგური,
 ტკბილი ნიავი —
 აწყობილი ბეოლის ჩონგური...
 ის სიყვარული —
 მოყოლილი ნატვრად ყრმობიდან
 სულ ამიღბადა,
 იმისთანა დღე გამოვიდა!

აპთანდრილ ბალდავაძე

პინამ თქვა თუშთა დაღევა...

მოთხრობა

აგერ მეოთხე დღეა, ალვანიდან თუშეთში მიმავალი ქალი ნაურვალ ქურანზე იჯდა, ფრთხილად, ალვირის მოზიდვით მიჰყავდა და წინ ძროხებსა და ხბორებს მიერეკებოდა. შშიერი, ფეხ-ფერცხალ ტალახში ამოთხუპნული საქონელი გზადაგზა ეიეოს შეეკეცოდა, ცხენი კიდევ, დროიდან დროზე, ფათალოს ფოთოლსა და შიმალის ნეკერს წაატანდა პირს.

ჭოდიანი, ჩორაბი ზეკარი ბულანჩოს მთის წვერსა და შავიკლდის შუა რისვაი-ვაგლაბით გამოეცლოთ; საცხვრე ხორბი, ფიცრისჭალა და ზოდარკო გაელიათ, ჭანჭახოვნის ქალიანს ჩაყოლოდნენ, ჩაღმის ალაზნის ფშანები და სამხევის ფონი მშვიდობით გაეტოპათ და ურციეხს მიმდგარიყვნენ.

ხელმარცხნივ, პირშითში, თოვლი ამდნარიყო, მარჯვნივ, ჩრდილნარებში კი, ალაგ-ალაგ თეთრ საფარს ლეღმა დაკვეროდა და მიწა-წინადაგი შავად აეჭრელა.

ქალმხედარს უნაგირზე გადაკიდებულ ხურჯინის თვლებში, აქეთ-იქით, ტყუბი, შავტუხა, წარბა ბიჭები ჩაესხა და ლიმილითა და სალაციკო სიტყვებით ხან ერთს დაეხმინებოდა და ხან მეორეს...

დღედა-შვილთ აი უკვე მეოთხე დღეა არც ცხელი სახვრებით დაუთუთქავთ ენა-პირი, არც თბილი გორდილა ჩას-

ვლიათ გულ-მუცელში და არც ფუძეფულა საგებელში ჩაუცურებიით ასო-ტანი.

ბავშვებს თუშური ქუდები ეხურათ, ერთს დედის ერთ კოწოლ-კულულში ჩაეცლო ხელები, მეორეს — მეორე კოწოლ-კულულში... თვალები ხან აუფოფინდებოდათ და აელურტულდებოდნენ, ხან — მიუმკვრალდებოდათ და ბილღვიბილს მისცემდნენ თავს.

დღენათელი ადგილ მუხლზე მოკრალი თოვლის რღვევით, ადგილ-კოპიტის ტეხვით მიდიოდნენ, შემგლისფერებისას კი დადგებოდნენ და ცის თაღის ქვეშ, ქარის ქიჟში, ერთმანეთს ჩაწმანხულნი ანდა ნესტიან ჰეხში შეყუყულ-შეკრუნჩხულნი ათევენენ ლამეს.

ძროხებს წელი, ზურგი და ფერცხლები ჩულით პჭონდათ დათბუნებული, კისერზე ეყვანი ეკიდათ და ზოლო-ზოლო და ელარუნ-ელარუნით მიდიოდნენ.

ჭანკგაცილი ქალმხედარს ქარდაყრულ სახეზე ამება ეფინა და სული სიხარულით ევსებოდა: კიდევ ერთი მუჭარა, კიდევ ერთი გამანძილება, კიდევ ერთი დაშრომა და ომალოში, მამა-პაპათა ნაფუძარზე აივაკებენ... ამასთან, ვინ იცის, ხევ-ხევ და ჭედ-ჭედ, მთის ფერღზე ჭვაკაცების ირგვლივ — გარშემო თეთრად შეფენილ ცხვარში მდგომი მუხლადი მამაც დაანახოს პირშოვებს... ატეხენ ბიჭები ყვირ-ხივილს, მოწყვეტით დაეშვება თავქვე ბესარო,

ახლობა გულლიად გაიკითხავს. მამაი-
 ლა მალხაზებს ხურჯინის თვლებიდან
 ამოახაზა და ორივეს ერთად ჩაიკრავს
 გამლოლ მკერდში... იქნება ელვაშის
 წიწვნა, ყელია ლიტინი, ეუკაშპი, ხარ-
 ხარი... ჩაერვა დედა-დაიცი, ჭაუისკენ
 მოტხმობს აკეტებულ მამა-შვილთ და
 მათაბის ტარით გადახრილ მზეზე მია-
 ხედება. მაგრამ ვინ მიაქცევს ყურად-
 ლება? მერე, ბესარო გულს რომ მოი-
 ჭრებს, დედა-წულთ ბილიკზე შეაყე-
 ნება და ცხენ-ბროხას ხელს აუქნევს...

და, ამაღამ ამოვირბენო, დაადევ-
 ნება...

ბუბა ბავშვებს დახედავს, დროს მო-
 იხელთება, უკან შებრუნდება და ჰაე-
 როვან ამბორს გაუგზავნის რახანია უნა-
 ხავ მეთლღეს...

— დედა! დედა! — აქეთ-იქიდან ამოს-
 იახება და ამოაქცერდნენ პირშოობი.

დედას აღმური აუვარდა: სულში ხომ
 არ ჩამხედეს ამ ჭინკებმა და ჩემს ცდუ-
 ნებას ხომ არ ჩამხედნენო...

— რა მოხდა? რა მოგელანდათ? —
 შეეკითხა და აღწილ ღაწვებზე ხელის
 გულს აისვა.

— აგე! აგე! — ერთხმად უპასუხეს
 და წინ თითი გაიშვირეს.

ქალმხედარმა იქით, მთის ფერღზე,
 მწვანე წიწვნარს შეჰკიდა თვალი, შემ-
 დგ ბევისკენ მიბრუნდა და სვიაში გახ-
 ლართულ, გაშიშვლებულ, შავ არყნარს
 დაავლო მზერა.

— აი! აი! — სიცილი დააყარეს ბალ-
 ლებმა მიუხვედრელ დედას და ხურჯი-
 ნის თვლებიდან წამოიწიეს.

ბუბამ აღვირი მოჭახა, საფერზე მო-
 თოკა და მთის ძირს მონუსხული მიიჩე-
 რდა.

იქ კი, ვინ იცის, ჭიუხის შიბიდან თუ
 სალი კლდის წვეროკინიდან როდის მოს-
 ხლეთილი ვეება გოხი დაგორებულიყო
 და ნახევარი ცალბილიკი მიეტაცა. მის
 გადაგორებას არავინ ცდილა, — აბა,
 რომელი ძეხორციელი შეჰხედავდა შე-
 კიდებას?! — ამვლეღ-ჩამვლეღს იკან-
 ელო ხევისკენ მიეცეცა და ისედაც ხი-

ფათიან-ფათერაკიანი ჭარკეჭვამლეღ
 წვის ხიდად თუ ეშმაკისა და კუდიანის
 სავალად გადაუქცეცია.

მხარ-თეძოზე წამოწოლილიყო ჯმე-
 ხი, მკვრივი, მრტული გოხი, არც სადმე
 ბზარი უჩანდა და არც სადმე მიგლესი-
 ლი მიწროვანი მიწა...

და ამ გოხზე, წელქვევით ახვერდე-
 ბული ხვიფლი და რუხი ჯანგარო რომ
 მოსდებოდა, მალლა, მოტიტკლებულ
 ზედაპირზე, ფიჭვის ხე აღმოცენებლი-
 ყო და გახარებულიყო.

სანთელივით იდგა გოხზე მწვანე ხე,
 კვარის-ხე, ოკის ხე.

იდგა და ხასხასებდა.

იდგა და ლალობდა.

სად ჰქონდა ფესვები ჩაფლული? რით
 იკვებებოდა? რა აცოცხლებდა?

იდგა ტინზე მარტო ხე, ხე — საოც-
 რება, ხე — გამოცანა...

— დედა! — პასუხს ითხოვდა ცნო-
 ბისწადილწაკიდებული წარბა თვალები
 ხურჯინის ამ უბეში.

— დედა! — პასუხს ითხოვდა ცნობის-
 წადილწაკიდებული წარბა თვალები
 ხურჯინის იმ უბეში.

— ნუ ოცდებით, ნუ გიკვირთ ჩემო
 მალხაზებო... ეს სიცოცხლეა ასე შეუ-
 ვალი, ასე ჭიუტი, ასე ჭიქი... საოცარია
 სიცოცხლე, — თქვა და აღვირი მიუშვა
 ცხენს — აი, ბუნება აიღებს და რაიმე
 უსულოს სიცოცხლეს მიანიჭებს, სულს
 ჩაჰბერავს... და ატყდება ერთი შფოთ-
 ვა, ერთი ლელვა, ერთი ფუთფუთი, —
 არიქა სულდგმა ნაცარტუტად არ მიქცი-
 ონო, არიქა არ მომისწრაფონო, არიქა
 არ წამგვარონო... რა იყო? რა უსაშვე-
 ლო დატრიალდა? რა ქვეყანა გადაბრუ-
 ნდა? სანამ არსს მოგმადლიდნენ, სანამ
 სულთქმის, სმის, ჭამის, სიამის, საღმო-
 ბისა და სიძულვილ-სიყვარულის გრძნო-
 ბას ჩაგინერგავდნენ, მანამდე ხომ უგ-
 რძნობი და უტყვი იყავი და ერთხელაც
 ხომ, ახში — აკი სიცოცხლეს მზირად
 და მდევრად სიკვდილი მიუჩინა გამჩენ-
 მა?! — ისევ ისევ იმ უსულდგმულ სა-
 განად გადაიქცევი... მაგრამ არა! სიცოც-

ხლე ჩამბარესო? სიცოცხლე მარგუნესო? სიცოცხლის მეურვედ მყვესო? წელებზე ფეხს იდგამ, ოთხ ტყავში ძვრები, კბილებით ექიდები და სანამ ძალგის, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ხელიდან არ უშვებ ამ სიცოცხლეს, ადამიანი ხარ შენ, ცხოველი ხარ, ზე ხარ თუ ბალახი...

აეა ჩემო გვრიტებო, კარგად დაიხსომეთ: რახან სიცოცხლე ხელთ გიპყრიათ მოვალენი ხართ თვალის ჩინივით გაუფრთხილდეთ მას, უბატრონოთ, თავზე შემოველოთ და, რაც შეიძლება, დიდ ხანს, დიდ ხანს აარიდოთ სიკვდილი...

სიცოცხლე ხომ მაზა ბუნებისა, საწაღი და სანუკვარი...

— აბა, გონთ იყავ, ღმერთმა დაგიფაროს, ქვაში ამოსულო ხეო სიცოცხლიავე, გონიერო ხეო... — ჩაილაპარაკა დუდაქალმა და აღვირი აატყავუნა. საქონელი ეციოს მიიბალახებდა, ცხენი ვიდოდა და ნუკერს კვნეტდა, ბაღლებს რული მორეოდათ და ჩაეყვინათ.

ქალმხედარი მოგონებებმა გაიტყუა...

...ოფოფობა — ხალხური გართობა, დღესასწაული — მხოლოდ ბუბას სოფელში, დანოში, ტარდებოდა, დიდმარხვია წინა კვირას, ყველიერს, თებერვლია თვეში, ბუნების გამოღვიძების დროს... ამ სანახაობის სამზერლად საიდან არ მოაწყდებოდა ხოლმე ჩოხა-ახალუხით მორთული და თოფ-იარაღში ჩამსხდარი დოგა-დოგა ყმაწვილკაცობა: ეს ჩაღმიდანაო, ეს პირიქითიდანაო, ეს ჭანჭახოვნიდანაო, ეს გომეწერიდანაო, ეს ივანაურთიდანაო, ეს წოვათიდანაო...

სოფლის საქმარშვილოდ მოყრილი ქალიშვილები ერთ ოჯახში შეგროვდებოდნენ, აძლენ ლამაზმანში ორ ყაჩაღანას შეარჩევდნენ, ოფოფებად გააწესებდნენ და დაიწყებდნენ კისკასების კაშმას: დედაკაცის საღიაო ჩოხას საყელოს გაუნასკვნიდნენ, ტანზე ამოაცვამდნენ, ხელებს შიგ მოუყოლიებდნენ,

ყელმალალ ჩითებით ამოსხმულ ფეხებს სახელოებში გააყოფინებდნენ, ხიროს ხესთან სამზერლებს ამოუტრიდნენ, ჩოხის ბოლოს, თავზე, ტომარასავით მოუქმეუნიდნენ და ბაწრით მოუტრავდნენ...

წინა დღით, სოფლის შერჩეულ ადგილს, საჯარზე, ორმოს გატრიდნენ, წყალს დააგუბებდნენ, შიგ თიხამიწასა და ნაცარს ჩაპყრიდნენ, აურეცდნენ, აზელდნენ, აალაფებდნენ...

ორმოს ირგვლივ, საჯდომად, სათარებს, ჩიკებსა და მეხებს შემოუტრიგებდნენ.

ზამთარი, მართალია, წელგატეხილი იყო, მაგრამ სიცივე ჭერ კიდეც ყოყოჩად იდგა და ძალუმად ეკბინებოდა... ძალუმად ეკბინებოდა, თუმცა ვინ აგდებდა რამედ? გასათხოვარი არ ებუებოდა და მთხოვარი...

საჯარზე მასპინძელ-მასტუმართა ტევა აღარ იყო...

იდგნენ თუ, ისხდნენ თუ, ვიდოდნენ თუ, თრთოდნენ, ითოშებოდნენ, იყინებოდნენ და... ფეხს არ იცვლიდნენ...

ამ დროს რამდენიმე ქალწულის თანხლებით გამოჩნდებოდნენ ერთ-ერთ ხევიდან ბლაჭუნით მომავალი ოფოფები...

ავარდებოდა სიცილ-ლინცილი, კრეკა-ლრეკა, ხარხარ-ხითხითი...

ზოგი მუცელზე იტაცებდა ხელს, ზოგი — მკერდზე...

ვის რა წამოსცდებოდა და ვის — რა...

ოფოფები კი თვალხუჭვით იმახსოვრებდნენ ამ მოციწარ-მოხარხარე ჭაბუკებს და ყურმახვილად კრეფდნენ მათ წამოძახილებს.

გადაცმული ყაჩაღანები ტბორეში შეტოპავდნენ, შუა წუმპეში შეჩერდებოდნენ, შელაპარაკდებოდნენ, შეკინკლავდებოდნენ და ერთმანეთს ერთ ამბავს დაუთუვდნენ... ამას მოპყვებოდა შეხლა-შემოხლა, ძიძგლაობა, კენწლაობა...

ხან რომელი გაიშოტებოდა ტლაპო-ში და ხან — რომელი...

ამოითხუზნებოდნენ, ამოითხვრებოდნენ, ამოილაფებოდნენ.

მერე, დრო-ხანი რომ გავიდოდა და მოიქანცებოდნენ, წუმპის წურწურით გუბიდან ამოვიდოდნენ და მოზიზზიმე ყმაწვილებს დაეროდნენ: ვის ეკვროდნენ, ვის ეხვეოდნენ, ვის კალთაში უსხდებოდნენ... ოფოფები მეტადრე მათ ეტანებოდნენ ვინც მეტად ფოცდებოდა და მეტს იცინოდა...

ბოლოს, მიმწუხრზე, როცა მოსიერიებს მუცელზე კანი არ შერჩებოდათ, სიერი დამთავრდებოდა, მოსიერიენი დაიშლებოდნენ, ოფოფებს ცალკე უცვლიდნენ ტან-ფეხს და ყველურით, ცხელი კოტორითა და წამოდუღებული არყით უმაპინძლდებოდნენ და მასტუმარ ყმაწვილებს — ცალკე.

და აი იმ წელიწადს, დანოში, ოფოფობაზე, ერთ-ერთი ოფოფა ბუბა გახლდათ.

„მორთულ-მოკაზმული“ ტბორისკენ რომ მიბლაქუნობდა, როგორღაც ჩივზე ცალკე მჯდომი, უცხო, დაუოკებელი, ხარხარს ატანილი, ყინჩი ყრმა მოხვდა თვალში.

„დაიცა, დაიცა, შეგანანებ მაგ კბილების კრეჭას თუ დანოელი ქალი ვყოფილვარ!“ — გუნებაში დაემუქრა ბუბა და წუმპეში შეტოვა.

და აი ტბორედან ამოლუფხული ამოვიდა, პირველად იმ ყინჩ ყმაწვილს მიაშურა, ეტაკა, ეგლისა, ეძიძგლავა და კალთაში ჩაუგორდა.

კალთაში ჩაუგორდა და ჭაბუკმა ისე მოუჭირა ლაჭები, რომ კინალამ კივილი დააწყებინა.

— ბუბავ, ჩემო ბუბავ! — უჩურჩულებდა.

— შენ საიდან იცი ჩემი სახელი? — იმცხეთა ქალმა.

— ვიცი, ბუბა, ვიცი... ჩემმა დეიდა-შვილმა, თეამ, შენმა დაქალმა, ახლახან რომ მოგაცილა ტბორამდე, ყურები გამოიჭედა შენი ქება-დიდებათ: იცოდე,

ბესარო, უკეთეს სადიაცოს გეტყვინებ ხავ და ვერსად იპოვნის... მეც ავდექი და ომალოდან ბარე ათი ვერსი გამოვიარე და გეახელი...

რამდენჯერმე გაულაწუნა ბუბამ ბესაროს და ხელიდან გაუსხლტა.

ხალხი ერთმანეთს აწყდებოდა და ხორხოცობდა...

რა იცოდნენ...

ნამეტურ დანოელებმა რა იცოდნენ, თორემ რა მაცდური და სათაელი გააცინებდათ...

თავად ბუბამ ხელები კი მოიჭავა ცემა-ტყეპით, მაგრამ გულგრილი ვერ დარჩა წარბა, შავტუბა ჭაბუკის მიმართ...

აქედან მოყოლებული ათი თვე ღვიოდა დანოელ ქალას გულში ომალოელი ყრმის ხატი...

და მეოცნებე ქალიშვილის თვალწინ ათჯერ გაივსო და ათჯერ დაცხრა მთვარე დანოს ცის თავანზე...

...ბუბას მამამ, ადათ-წესზე, ექვსი საოსზე ჭედილა დაარჩია, ცოლ-შვილს საზამთროდ დაუტოვა, გუდა-ნაბადი აიკრა, ბარგი-ბარხანა საფერხესა და სახე-დარს აჰკიდა, ფარას თავს დაუარა, დაუტია, დაურიალა და სათუშო ცალბილიკით შირაქისაკენ გალალა... სახლელშია შობადღეს, 25 დეკემბერს, დათვმა რომ გვერდი იცვალა ბუნაგში, ბეროს საოსხეები დაახოცინა, ხორცი დააბინავა, შიგნეული გულდაგულ დარეცხა, წვრილად დაკება, ერთიმეორეზე დაახვია, გეჯაში ჩაამარილა, ხუთი დღის შემდეგ ამოიღო, ტერზე შუაყეცხლის მალა, ჩამოკიდა, გაახმო და ხინკლის საგულედ დაამზადა.

ქველი წელი მიღუღიო, მინავლებულიყო და მთელი სათუშეთი ახალი წლის შესახვედრად ემზადებოდა... გიზგიზებდა შუაყეცხლი, ახვევდნენ ხინკალს, აცხოვდნენ ხმადს, საჯალბო ქვაბში იხარშებოდა გორდილა, შამფურებზე აგებდნენ ქულამას, კოდში ქაფ-ქაფებდა ალუდი, ტკში ტოკავდა პირ-ჭაჭვიანი არაყი... სიბის კედელს აკვროდა ბუბას მრწემი ძმა, აჭა-იჭა მოსაცე-

ლელ კბილებს აჩენდა, ხინკალს ღმურ-
ძლიდა, ნიკაპზე განასკველ ცხიმს სახე-
ლოთი იხოცავდა, იღმიჭებოდა და ქი-
ლოკაობდა: მე და ბერდედამო, კვერ-
ხინკლები ვახვიეთ, ვახვიეთ, მერე ვა-
დულეთ, ვადულეთ, მერე ერთი კვერი
ქვავს ამოვარიდეთ, ვკმიჭეთ, ვკმიჭეთ,
ნაკმუქს ჩავაფრინდით, აგერ აქამდე
ძლივს მოვათრიეთ და ვაი-უნის ძახილით
ამ კედელს მივაყუდეთო...

ბერდედამ, კერიასთან რომ ჩამუხლუ-
ლიყო, თვალბზე მკლავი აეფარა და
მწვადებს აშიშხინებდა, პირისახიდან
ღიმილი გადაიყარა, განგებ მოიღრუბ-
ლა, შვილიშვილს შამფური მოუქნია და
დაუტატანა: ჰაიტ, შე მამაძაღლო, რა
ენაგარეცხილი ბაღლი შენა ხარ, მეტი
არაა ჩემი მაწყევარი, შენგან შინაურა
კაცის გარდა სხვა არა გამოვიდეს რაო...

ბაღლია ხითხითით შამფური აირი-
და, გარეთ გავარდა და დაღვრემილ დას,
ბუბას, შეეფთა.

ბუბას საფიქრალი სწვევოდა და დარ-
დი დარეოდა: ხვალ, ახალ წელს, ბედის
კვერობაა და ვინ იცის რას დააბედებს
პრანტალა ყვავი...

პურტკებილობით, ბუზიკის წელვით,
ლხინ-შექცევითა და ქეიფ-ზეიმით მიე-
გებნენ ახალ წელს...

მეორე დღეს, დილით, გასათხოვარი,
ლაღანა გოგონები, თითო კვერს აიღებ-
დნენ, მომკრო ჭამებზე დადებდნენ და
სოფლის საჩინო ადგილას, ვაკობზე, გა-
მოეფრინებოდნენ... ამ ვაკობის ჩაყოლე-
ბით, დაფერდებანზე, ყვავების შესაყარი
და ასაფრენ-დასაფრენი იყო. ამ ალაგზე
თოვლს გადახვეტავდნენ, კვერიან ჭა-
მებმა ჩამოარიგებდნენ, თავად უქანვე
გამოსწევდნენ, ჩაყუტდებოდნენ და
სულს განაბავდნენ... სულს განაბაკდნენ
და ელოდნენ ყარტლიან ყვავებს... და
ყვავებიც არ დააყოვნებდნენ... ცას გა-
ანაეებდნენ, მოყვავყვავებოდნენ, წრეს
დაარტყამდნენ, დაფრინდებოდნენ,
ფრთებს დაიბერტყავდნენ, ყვითელ ნის-
ვარტს შავ გულმკერდზე გაიწმენდნენ,
მოიხედ-მოიხედავდნენ, თითო კვერს

დაეპატრონებოდნენ, წამოიშ...
და ზოგი საითკენ აიღებდა გეზს და ზო-
გი — საითკენ... და საითაც ფრინველი
ბედის კვერს გაიტაცებდა, კვერის პა-
ტრონ საღიაცოს ბედიც იქით ებედებო-
და და საბედოც იქ ელოდა...

და, აბა, საფიქრალა რა დაუღვედა
ბუბას? საით გაფრინდებოდა მჩხვანა
ყვავი, საით გააქროლებდა და სად და-
აიღებოდა მისი ბედის კვერს?

პოდა, უჩუმრად აიღო კვერი, ჭამზე
დადო, გარეთ გაიტანა და ყვავების შე-
საყარზე შეაპარა... შეაპარა, განზე გად-
გა და ლოდინში გაილია... გაიფშოკა, გა-
ფრინდა, გაშეშდა, სიცივე ძვალ-რბილ-
ში გაუჭდა... ბოლოს, ყველაფერი რომ
ჩვეულებრივად წაიმართა და ყვავმა მი-
სი კვერიც აიტაცა და გირევისაკენ გა-
აქანა, სული ყელში მოებჭინა და გადა-
იქცა...

ის ღამე, და ბევრი მომდევნოც, თე-
თრად თენებში და ბორგვაში გაატა-
რა.

რამდენიმე დღე რომ გაიკრიფა, რო-
გორც იქნა, ომალოში ხმა ააწვდინა ბე-
საროს: დავიღუპეთ, დანოში აფრენილ-
მა ყვავმა, ასე და ასე, ომალოსაკენ არც
კი გამოიხედა და გირევისაკენ გაფრინ-
დაო...

— მთავარი, ჩემო ბუბა, შენ ჩემზე
ჭიგარი არ აიყარო, თორემ ყვავი ვინ
ოხერი მიგდია, ყვავს იეთ დღეს დავა-
ყრი, მაქედან ტრაპიზონს დავანახებ...
ახალ ახალ წელს კიდევ გაახვიე ბედის
კვერი, ყვავების შესაყარზე მიიტანე და
არხენინდ იყავიო... — იმავე პირით შე-
მოუთვალა ბესარომ.

მოღერებული, სასიძოდ მოყრილი
ვატი იყო ბესარო. იმ წელიწადს ნაბნდი
და კავი უნდა აელო, ცხვარს გაყოლოდა
და ახალი წლისათვის შირაქის ველზე
მოეხადა ბარჯალა ქელი... იქ უნდა და-
ელოცა ბინა, ფარები, თევ, ნაწიღარი.
ცხვარი, მეცხვარე, მამული, ღამაზიანი
თუშეთი, ბედი და საბედო... ხო, ცხვარი
უნდა გაედევნა, მაგრამ არა უშავს რა,
ერთი წელი უიმისოდაც იოლად გავა



ყვს ჩეხვა და ბე-მასალის ანდისყოისთ დაკურება და დატაცება... მერე და მერე. თავა რომ გაუფიდათ, აქაოდა მინც უპატრონოაო, მთელი თუშეთის, დასაბამიდან ჩვენი მამა-პაპათა სისხლით, ხორციით და ოფლით გაპოხიერებული მიწა-წყლის, მიერთებაც და მისაკუთრებაც კი მოიწადინეს...

...ქალი თამამად იჯდა ქურანზე... დავიწყებას მივცემა უკან მიტოვებული საცხენე ბილიკი, გატეხილი ღამეები და გაწამებული დღეები... ორ პირმშოს მიჰგვრის და უზადო საქონელს ატლალავს ქმარს და უსაზღვროდ გაახარებს ხელკომბლიან ვაჟეკას.

აადაცაა ააღწევს ომალოში და მოასვენება გაწამებულ ბავშვებსა და გათანგულ სულსა და სხეულს...

...წინ შხარშხარი მოისმა.

ფიქრის ძაფი გაუწყდა ბუბას...

წინ შხარშხარი მოისმა, ჩამოშლილი ხეინჭი, ხოხი და სიპი სეუბსეუბით წამოვიდა, ბილიკზე დაენარცხა, რამდენადმე დაცხრა და რომელმა იქვე შეიკავა თავი, რომელი კიდევ ხრამში ჩაშვავდა.

ჯერ ხბორები შეტოკდნენ და მობრუნდნენ, მერე ძროხებმა აჩვენეს გავა ხიფათს, შემდეგ ქურანსაც გაუტყდა იხტიბარი.

და ატყდა ეცენების ყურისწამლები ძღარუნი და ფონედ დაკიდებული, მოკონწილავ ავეანდების გულისგამაწვრილებელი ძგარამტერი.

— დაგლიოს შავმა წყალმა! — მიაწყველა ბუბამ ხეინჭი, ხოხი თუ სიპი, შეილებს გადაეფოფრა, ცხენს ქუსლი ჰკრა ფერცხალში და ფათერაყს გაერიდა.

აქეთ აბანოს ზეკარისაკენ იბრუნეს პირი...

ჩქარობდნენ, ჩქარობდნენ...

გზა რომ კარგა განვლეს, მალა, საცალფეხო ბილიკის გარდიგარდმო გაწოლილ ჭიუხში ზვავის ნაფურის ჩუხჩუხი მოესმა ბუბას... ქვევით ჩამოიშხირა და ზაფრა აეშალა დედაქალას: მთელ ჩამოყოლებზე სიშშრალე იყო.

ნოტიოს ნატამალიც არ ჩაფრთხილდა ფერდის წილში გროვდებოდა წყალი, ტბორდებოდა, მიწა-ნიადაგი იფლინებოდა, ფუფუფებოდა, იცვარებოდა, სადაც იყო ტყვიასავით დამძიმდებოდა, გამოიღვრებოდა და მეწყერი ჩამოწვებოდა. ხოლო ჩამოწოლილი მეწყერი რას მოიმოქმედებდა, რას მოიქცევდა ქვეშ, რა ცოდვა-მადლს დაატრიალებდა, მალა ღმერთმა იცოდა და დაბლა მაცილმა...

ბაგაბუგი აუვარდა დედის გულს... ოფლი დაეპურა დატეტილ, შეკმუნხილ შუბლზე...

და გრიალმა და ღრიალმა გააყრუა იქაურობა...

მთებმა მხრები შეიბერტყა, მეწყერი ჩამოწვა, დედამიწა შეატორტმანა და ნისლის, ორთქლის თუ შეხფის კოწოლკორიანტელი დააყენა... ჯერ მცირედ, ეიწრო ღარად წამოვიდა, მერე იხველა, მარაოსებრ გაიშალა, დამრეცი ჩამოყვლიფა, ჩამოშვავდა და ზოგან ხე ჩამოიყოლია, ზოგან — ღიჯი, ზოგან — დეკა, ზოგან — ტალახში ახელილი ქვა და ღორღი.

ახლა პირველად ცხენმა დაიჭიხინა და შედრკა, მერე ძროხები აზმუვდნენ და შეტრიალდნენ, ბოლოს ხბორები აბლავდნენ, კუდი აპირიხეს და გაკურცლეს.

— მეხი კი დაგეცეს! — აღმოხდა დედას და, ცხენზე მჯდომარეს, მუხლები მოეკვეთა.

ისევ თავქვე ჩაეკიდნენ სავალს... შხარშხარი შემწყვდარიყო, აქა-იქ ხეინჭი, ხოხი და სიპი იხვედებოდა კვალზე, ხოლო ხილულის დღამა დგაფუნი და თქაფუნი ისმოდა.

ალაზანი მოვარდნილიყო...

როგორც იქნა მეწყერი ჩამოთავდა, გაცოცდა, გაიშალა და ვეებერთელა ადგილს მოედო... მოედო და ქვეშ მოიყოლია ბუსნო, ბილიკი, რუ... შეკვეცა თვალსაწიერი, ცხვირწინ დააყენა ცისკიდური...

ხუროთმოძღვრების თვლებში წრიალებდნენ და ძრწოდნენ ბავშვები.

უკან დასახევე გზა მოკრილი იყო. შველა წინ უნდა ეძიათ.

და ქალმხედარმა გული მოიკა, ძალღონე შეიკრიბა, თავი შეიკოპა, კოპები შეიკრა, შვილები საქოჩრეზე ხელის გადასმით გაამხნევა, ცხენს გაუჭავრდა, საქონელს დაუტია და გაირეკა.

წინ-წინ მიიწეოდნენ...

ირგვლივ გორიანი მთები შემოჭარულიყო, ქაჩალ თხემზე თეთრად მოქათქათე თოვლის თავსაბურთით შემკული და ფერდებზე წრიულად, დაქნილი ბილიკებით დასერილი.

თვალშეუდგამ ქიუხებსა და ბრმა ხეებს შუა გველივით გაკლაკინილიყო მიბრეცილი-მობრეცილი, ყაყატოსავით ვიწრო, მშისავი და მზარავი საცალფეხო ბილიკი.

წინ ურციების ურჩი, უხიაგი, უტეხი ფონი იყო გასატოპი.

ბილიკის წარბაზე ალაგ-ალაგ მიმჭრალი, მიბუტული, მოშიშინე ცეცხლი ბოლავდა, — წინმავალთ ღამე უთევიათ, ადრეულად აბარგებულან და, ეტყობოდა, ურციები მშვიდობით გაეგლოთ.

მხოვანი დღე იწურებოდა, მთა-ბარს ფერი შეკლოდა და აფორიაქებული ქალმხედარი შეძახილითა და ხელ-ფეხის ქნევით ამურებდა საფერხესა და საქონელს.

ურციების ღრანტე ალაზანს ყელში უპარდა, წელში სწყვეტდა და გაშმაგებული და გამძვინვარებული მდინარის გრილი და დგრილი გაღმა-გამოღმა ხეებს აყრუებდა.

ღვარტყაფს, ფშატალას, ღანქერსა და ლეშტერს ერთად შეეყარათ თავი და ღვარცოფად შერწყმულიყვნენ... და ალაზნის წიაღში რომელს ჩხნდე ჩამოუთრევი, რომელს — ჩხმეტი, რომელს — ხეინჭი, რომელს — ხოხი, რომელს — გოხი, რომელს — თოში, რომელს — ფუნა, რომელს — დრემლა, რომელს — შხორე, რომელს — წანწანა და რომელს — ცალიბილიკი...

ალაზანი სუსტ ქანებში იმსუქნებოდა ხალვათად მიეღინებოდა, ნაპირს მიადევდა, გლვქდა და შლიდა... ტინიან ვიწროებში კი ყალუზე დგებოდა, იფაფრებოდა, კირწი-კორწზე გადადიოდა და ცოფმორეული და აჭაფქაფებული გრუხუნით, დგაფუნითა და დგანდგარით მიქუხდა.

და წინარეც კარგს არაფერს უქაღდა მგზავრებს...

ფონში, სიგრძე რომ გრძელი ჰქონდა და ვანი განიერი, ალაზანი იშლებოდა, რამდენადმე წელდებოდა და თხელდებოდა.

მიეღინებოდა და ჰაერს შხუილით მიპობდა.

მწკრივად, წალიკად, კინწმორწყვეტილი მიადგნენ წყალს.

დაბოღმიღმა ქალმხედარმა, მარჩხობის ძებნაში, მშრალი ტუჩების ლოკვითა და გახეთქამდე მისული თავის ქნევით, რამდენჯერმე აუარ-ჩაუარა ნაპირს.

კოწოლ-კუბულებში ჩაჭიდებული, დაშიშული ბავშვები დედას ხან მარჯვნივ ჩაუგრებდნენ კისერს და ხან — მარცხნივ.

საქონელს ფეხები მიედგა და წინ წაწევას არ აპირებდა.

დრო ჩვეულად ჩქარობდა... მანათობელი მზე არ იხედებოდა, კვევით, მთების მიღმა ჩაცურებულები და უძალღონო, უღიშლამო სხივებს ახლა მალა, წელფერზე აფრქვევდა.

ბუბამ უნაგირზე გადაკიდებული ხუროთმოძღვრების საიმედოება მოსინჯა, შიშატანილი ბიჭები გაამხნევა, საქონელს დასტყვილა, მათრახი მოუქნია, დაშალა და მარჩხ წყალს მიაცენა.

ერთმა დოლა, ხელზე ვაზრდიღმა, თვინიერმა ძროხამ, თავი უკან მოაბრუნა, დაყოვნდა და პატრონის დაყვავებას რომ ვერ ეღიროსა, კისერი გაიმართა და მდინარეში გაუტია...

დოლამ გაუტიაო? დანარჩენებიც დაიძრნენ და პირველს გაჰყვნენ.

წყალი ვერ მუხლამდე მისწვდა სა-

საქართველოში
შეესტეხიყიყიყიყი

და გაქრა ყოველი...

და დარჩა მარტო მდინარე, იყო მარტო წყალი, ისმოდა მხოლოდ ტალღების დგაფენი.

პაერი აღარ ეყო, საკინდე მოიღლიტა, წინა მოხვდა ხელში, მოიგლიჯა და მიწა დაანარცხა.

— აბაინე: — წამოიძახა, სახე ჩამოიხოცა, მდინარეს მივიარდა.

— აბაინე: — ბარაყევიდან ზორცი ამოიგლიჯა და წყალში მოიქნია.

— აბაინე! აბაინე! აბაინე! — აქეთიქით, ერთმანეთს გადასძახეს ცოდვებით გაუნაძღარა ბევრბმა.

— შეიღებო, გონაყ შეიყედლა სიცოცხლე, მე კი სიკვდილი ვერ აგაცილებთ! — ჯების ქალთები აიკალთავა და ფონში შეტოპა...

წყრომით შეხვდა ფრთონვარე წყალი... წააბარბაყა, წააქცია, ამოაბრუნა, მოიზურგა და ნაფოტოვით წაატეკტეცა...

ფონს ჩააცილა, მოჭკრიალე ჩვერს ჩაახვია და ლოდების ბათქაბუთქი, ხერგების ხეთქება და თოშის ჩხრიალი მიაკოლა...

გამჩენმა გეკანონოს ალაზანი...

...მიმწუხრა ომალსაყენ მიმჭროლაყენმა ბესარომ, ურციების ფონის გღნა, თავიარ დიაციის აღვირჩაყრილი, უნაგირჩაბრუნებელი, აყანკალბებული ქუტრანი დინახა, შიშ-ელდა ეცა, შუბლზე ხელები იცა, გზა იქცია, ჩამოქვეითდა, ალაზანი მიუბრუნდა და თავქვე, ნაპირ-ნაპირ, უფალ სავალს დაადგა... ჭანჭანოვნის ალაზანი ჩათავა, გომეწირის ალაზანს დაეინგზავრა, ქუშმელაურთას ჩათუარა, მამულღია, ონალოს, უყანაკენელად შექვიდა მზერა, ორწყელიდან პირიქითის ალაზანს დაუყვა, აგურთის ბოლოდან დიდოეთში ჩამდინარე ალაზანს ჩაპყვა და ამის წიაღ, გათათრებულ ალაზანს, ანდიყოისუს, კასპიის ზღვამდე ჩასღია...

უკან ამობრუნებელი ბესარო არავის უნახავა...

და მრავალ ოჯახს, ამ ბილიყზე დაქცეულთ, კიდევ ერთი, აბალგაზრდა, სი-

ცოცხლით საყე ოჯახი შეესტეხიყიყიყი ამბობენ: ყოველ გაზაფხულს, როგორც კი თოვლა ლელმა დაპყრავს, ახუკლდებთან ბევები და ადგაფუნდებთან მდინარეები, წელღია, თმგაშლილი, ძაიებში ჩამჯდარი ქალი გამოჩნდება ურციების ფონთან და გოდებთს და ქვეთქვითით უვედრება მეცხეარეებს: „სად ლაც აქ დარბიან ჩემი მალხაზებო... ღმერთი გიშველით, თვალმხიერად იყავით, მალღები არ დაედვენონ, ყეჟა და ღრენა არ დაუწყონ და არ დაიშინონო“

* * *

1981 წლის 11 ივლისს ომალში ხალხს გვერდა ვერ შეუკლადით.

ჭურა-ჭურა ავტომანქანები დასრიალებდნენ აღმა-დაღმა.

მწვანედ ხასხაებდა ამბიინეღელი ტყე, მთა, მდელი...

ესი ბორბალი მალღი იყო და მრგვალი.

პაერი — კამეამა, კამეამა...

უჭღდნენ გოროზი პთები, ბრმა ბევები, უფაყერო უფსარულები, ატეხილი მდინარეები, ჭანგაროგადაურღლი საგანგაშო ციხეებო, მომზღვლელღი, ფათალომოღებღლი სადგომები...

ბუბასა და ბესაროს სიბით ნაშენ-ნახური, ნახევრად ჩამონგრეული სახლის აურღული აივნის ხავსმოყიდებულ ბოშს მიყრდნობოდა პიჯაკის ამარა, უქუდო, უჰალატუხო, საყინეგახსნილი რესპუბლიკის თავაკაცი... იდგა, იღიმებოდა, ხარობდა და ომალში საავტომობილო გზის ამოყვანას, თუშეთის მეცხოველეობის საბჭოთა მეტრნეობის ჩამოყალიბებასა და ომალს სასოფლო საბჭოს შექმნას ულოცავდა სვებედნიერ, წინაპართა ნასახლარებზე ამობრუნებულ, ამ მითია და იმ ბარის ბატონ-პატრონ თუშებს...

ხანდაზან, ხევიდან, ქარი მოყარდებოდა და მეჭორწიღეთა მომაბიღს მოიტანდა:

„კინამ თქვა თუშთა ღაღღეყა,

ნაპირმოტეხა ესისა“...

მჭირს უცნაური აღერგია:
ამინდს ვერ ვიტან ნალექიანს;
კბილებით მიჭირავს სული და ნერვი და
ორპირს და ფარისევებს ვერ ვიტან.
მეგობრის მოლაღატეს ვერ ვიტან,
მოლაღატის მეგობარს ვერ ვიტან,
მეშვიდეთა და მერვეთა
პირველობასაც ვერ ვიტან.
მილიონერ მეზობელს,
მილიარდერ ბიძაშვილს,
პონორარებს სალაროში,
ოქროებს მიწაში,
ოცკარატიან ბრილიანტს,
სამსართულიან აგარაკს,

აუტანელ სიცხეს,
გაუტანელ ამხანაგს,
გაქცევას სუფრის ველიდან
და ბავშვის ტირილს ვერ ვიტან.
ლამაზ მსახიობს ვერ ვიტან,
ვერ ვიტან იუბილართა ელიტას,
და ალტაცებას მაშინდელს,
როცა გუგუნებს რევიუ...
აღურგოლოგი მამშვიდებს,
თანდათან მოერევიო, —
და თუ ვერ მოერევიო,
თანდათან შეეჩვევიო.

ედავება სტიქიის სიმკაცრეს და
კაბალას
და თუ გაიმეტებენ,
უფრო დაიმუხტება,
შეხე სიჭსტის კაპელას:
ბზარებიც კი უხდება!

— თავო ჩემო, მილიონებს უნდა დაეპატრონო,
კაცი უნდა გააღმერთო, ქალი გაამადონო!
— ბატონო?

— ვარსკვლავების წიგნი უნდა გადააკაბადონო,
სიტყვა გულში ჩაიკვირო, სულში ჩაიბეტონო!
— ბატონო?

— გითქვამს, ჩემმა თოლიგმამც უნდა იფარფატონო,
ნაპირსა და ნაპირს შორის ხიდი უნდა გადონო!
— ბატონო?

— ისიც გითქვამს, სამშაბათიც მისამშაბათონო,
ოღონდ აკრობატებივით წაიკრობატონო!
— ბატონო?

— წრე შეკრან და ოკეანე გადაგუმბათონო,
დაიბუღონ, დაიბუღონ და კვლავ დაიბადონო!
— ბატონო?

— უბატონოდ ხმას ვინ გაგეცმს, ცა გაქვს საიადონო!
— ბატონო-ბატონო-ბატონო?

— თვითონ ბატონო!

ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობდა რობერტინო რობოტი,
ისე მოგეპყრობოდა,

როგორც მოეპყრობოდი.

ნაყლს ვერ მოუტეზნიდა ენა უბოროტესი,
თავი ისე ეჭირა,

როგორც თავის პროტეზი.

მაცივარში ინახავდა,

ლუქს ადებდა გარედან,

ორასოცზე მუშაობდა,

შაგნიტს არ იკარებდა.

ჭართებს აღარ კადრულობდა,

ეწინოდა თანგების,

გულის გატეხვისა და სულის გაეშმაკების.

ვერ გამოიტყუებდი მოთმინების ციხიდან,
ოქროს ეკრპის წინაშე რკინის მუხლს არ იხრიდა.

იდგა ამწვევერცბლილი,

როგორც რთული რეზუსი,

ვინვისაგან იცავდა ანტიფრიზის რეზუსი.

ნერვებს ამებარებებდა:

ფრთხილად იბარბაცეთო.

ჭიბით დაატარებდა არაყსა და აცეტონს.

ერთხელ ცრემლი გამოუჩნდა და იმ ცრემლზე იანგლეს:
არც ვაყის და არც რობოტის —

ცრემლი იყო ნიანგის.

გიევარს ზამთრის ბალები

და მზიანი სამზეო.

ხშირად მეტრებახტები:

აეო და ასეო...

ისევ შენას არ იშლო,

ისევ მოხალისეობ,

რიხიყ მოგდგამს ქარიშხლის:

ასეო და ისეო...

ცდილობ,

პანტომიმაზე

მეტად გაგვალამაზო:

ამასო და იმასო...

იმასო და ამასო...

მე კი

მიამართებმა

გამახსენეს კომპასი

და ჩემი შემართება

ამასიმასობაში.

მიევარს ლუდი!

მომწონს ლუდის გიეები!

ხინკალზე და ლუდზე გეპატიეებით.

მაჭრის ლილინს,

შამპანურის სალუტებს,

მირჩენია სახინკლე და სალუდე.

არ დაეძება

სასახლეა და დარბაზებს,

არაყსა და ლეინოს შორის ბარბაცებს.

ხელში აჭყავს —

ფრიცხვი და ულვევი —

და გამოჭყავს ფრთხილად ნაბახურევი, —

როგორც ბავშვი

ცეცხლმოდებულ სახლიდან,

თავს გვაწონებს ზოგჯერ წარმოსახვითაც.

თავს იწონებს

ხშირად მენინახეთი,

აღლ სხვა იყო სტიპენდიით ნაყიდი.

აღლ სხვა არის

ხინკალთან და ტარანთან,

ქაფის ხარჯზე კათხა დაპატარავდა.

მიევარს ლუდი!

მიევარს ლუდის ლოთები!

ცივი მიევარს, —

ზაფხულს დაველოდები...

შენ გიცხოვრია კარების ორივე მხარეს,

კარებმა

ორად გაგიყო ცხოვრება

და შიშო ვერ გეკარება.

ხან თვალი გითამაშდება,

ხან მუხლი გიკანკალებდა,
 ხან გული გაგულისებდა. —
 როცა იდექი კარებთან.
 ვინ მოიგონა კარები? —
 ძნელია დათარიღება.
 ზოგს ალებ,
 ზოგჯერ გილებენ,
 ხანდახან თვითონ ილება.
 გაილება და
 ეთება და .
 ეთების გზადაკარგულებს,
 რა საჭიროა ზარები?!
 შენც ვინმე მოგიკაქუნებს.
 ამოვარდება გრიგალი,
 სახელურა არ დაგანებებს
 და ცხვირწინ მოგიჯახუნებს
 კარს, კარებსა და კარებებს.

პირამიდაში სძინავეს ფარაონს,
 გარეთ პალმების უხმობს მარაო,
 მაგრამ არ მოსწონს სააშკარაო, —
 მუმიამ უკეთ დამიფარაო...
 — რამდენ წელიწადს გაილება მუმიო?
 — ასი ათასი — მინიმუმია!

დანომრილი სტროფები: აწონილი ვნება და
 გაშიფრული გენები უცხო პიროვნებათა;
 გაზომილი სევდები,
 წაკითხული წამები,
 გაანგარიშებული მეფობა და წამება;
 დამარცხებული,
 დათვლილი,
 ზუსტად დაზუსტებული —
 სურვილების ცხრილი და ტკივილების ტაბულა...
 მომწონხარ და,
 იცოდე,
 მანამ მომეწონები,
 ვიდრე დაგინომრავენ სტროფებს პროფესორები.

ყველა უყვარს ბახუთი, ესპანელს თუ დანიელს,
 როცა გოთხრა — დალოე. —

ადექი და დალოე!

ყურადღებით უსმინე ამ ლელეს და იმ ლელეს,
 როცა გეტყვი — იმღერე. —

ადექი და იმღერე!

ნუ იქნები ნურა-დროს ლხინის წინააღმდეგი,
 და თუ გოთხრა — ადექი. —

ადექი და ადექი!

გოგოლმა „მკვდარი სულების“ მეორე წიგნი დაწვა,
 ალავერდს გადმოუვიდა და დაგვეთხოვა და დაწვა...
 მე სიტყვით მეოცნებე ვარ.

მე სიტყვით თამადაც ვარ,

ვიცი ძალიან ანელია წონაწირობის დაცვა,
 ანელია წიგნის დაწერა.

უფრო ანელია დაწვა.

მაგრამ ჯერ უნდა დაწერო და მერე უნდა დაწვა.

— — —

ლალი გრამატიკა

დაუმთავრებელი მოთხრობა

მოთხრობა

მორჩა, ამოიწურა სამსახურის საათები, ეს ერთი დღეც გადაგორდა.

წავა ახლა სახლში, ცოტა დაასვენებს გონებას, ვან-გოგის „მზესუმზირების“ ყურებაში მოითქვამს სულს, მოიკრებს მთელი დღია ნაფლანგ ენერჯიას დამკვლავ შრომას შეუდგება, ოღონდ ნებაყოფლობით და ამდენად ასატანს.

არ ხდება განა, რომ ადამიანი ისე ცხოვრობა, თითქოს სატანამ დაწყველა უსაშინლესი, შემზარავი წყველით? ვაი-ვაიში რას შეეღოს მაშინ? ვაი-ვაით რა გამოვა? არაფერი. იცოდა, ყველაფერი იცოდა.

რამდენი უნდა იჯახიროს, რა განუზომლად უნდა დაიხარჯოს, რამდენჯერ უნდა დაიფლითოს სული და გული, რომ მოიღწიოს წარმატებას, რამ ფასოვანი შექმნას.

რა საშინლად ცივი შენობაა, მადლობა ღმერთსა. გაზაფხულდა ტყევე, საგრძნობლად დათბა. ეს დერეფანი ყოველთვის ღრმა აკლდამაში შესააყვლელ ყრუ და ბნელ ტალანს აგონებს, სამყოფელს, სადაც შეხვედრი მოზეიმე ცხედარი და საიდანაც გზა აღარასიათაა, რადგან მტყუერი არ ნიშნავს მარადისობას და არც უასრულოდ დუმილი ცვლის სიმშვიდეს. მაინც რითი შეიძლება სიმშვიდის მოსაიდგვა, ვინ აღმოაჩენს მის ტოლფას საუნჯევე... იქნებ... მაგრამ ეს „იქნებ“ მისთვის არაა ჩვეულებრივი, უწყინარ საუნჯარში გამოსარევი სიტყვა.

ან აზრიდან აზრზე მშვიდობიანად გადასასვლელი საფეხური, არამედ დამუხტული, ლამის მისტიურობამდე მისული ეკვია, უთქმელ აღსარებასავეით რომ უღრღნია გულს და წინ უძღვის საშინლად ადამიანურ, იმპულსურ აზრს: ნიჭი არ მყოფნის და ტყუილად ვეწამებო. „ნიჭშიც“ იგი მარტო საკუთარ უნარს როდი გულისხმობდა, არამედ უნართა კავშირს საგნების, ადამიანების, მოვლენებისადმი, მისეულ დამოკიდებულებას ყველაფრის მიმართ, რაც გარს ერტყა.

მართლაც შესაძლებელი რომ ყოფილიყო კითხვებზე პასუხის გაცემა... ინტერვიუებმა საიდან მოიგონა ასეთი რთული კითხვა: როდის იზადება მწერალი? და მან ბოლომდე მოისმინა თუ არა ეს ჭირვეული ფრაზა, პირველი, რაც გაიფიქრა, ის იყო, რომ ამ ლამაზ ეურნალისტ ქალიშვილს ჩემი გარდაცვალება დროზე ადრე სურს იხილოსო.

რაც გინდა მოეგონა, როგორ ლამაზადაც არ უნდა გაეწყო საგანგებოდ შერჩეული სიტყვები აზროვნების სიბრტყეზე, ვერასგზით იტყოდა იმ ჭეშმარიტ და ერთადერთ სიმართლეს, რომელიც მისთვის არ არსებობდა, ხოლო არ არსებობდა იმიტომ, რომ იგი იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც ლიტერატურაში — სიტყვის მაგიაზე დაფუძნებულ სამყაროში — ადამიანის ყელზე ყოფის სასტიკი ხელით შებმული ყულ-

ვის გამოხსნის როლს ხედავდა. ვინ როდის მიდის ამ დაკენამდე, ვის როდის ატყვევება ძნელად სათქმელთან კიდილი? მაშინ ხომ არა, თმენის საზღვართან მისული გული დუმილის ჭეზბირებს რომ ანგრევა და სულის ვულკანური ამოფრქვევაც სახეზეა: ღმერთო, რამ შემაყვარა! ვის შეუძლია გაიგოს, რამდენი წვეთი ცრემლით აიკინდა, რამდენი სიტყვა დადუმდა და დაინაცრა, რომ ეს წუხილი გაჩენილიყო, რამდენჯერ ითქვა: მიყვარს! რამდენჯერ, პოი რამდენჯერ! მერედა განა იმიათეია, რომ ბოლოს შენივე სურვილს წინ აღდგომოდი ამ ხმალივით ცივი და ბაარი პროტესტით — ღმერთო, რამ შემაყვარა.

ეს არაა ძლიერის წინაშე მუხლმოყრილი ლოცვა, არც სულმოკლე ვნებათა დასაცხრომი კრულვა, არამედ გულწრფელი ცდაა იმ გზის მისაგნებლად, რომელზე ავლილი ბევრი უნახავთ, ჩამოვლილი კი იშვიათად. იშვიათობა გადარჩენას არ გამოირიცხავს, და ვისაც მშვიდობით დაბრუნება უწერია!..

არა, არ უნდა დათრგუნოს აყლდამის სიკაცემ. მადლობა ღმერთს, გაზაფხულდა. მალე გავა ამ შენობიდან, ყოველი მომავალი წელით. ერთიმეორის მიყოლებით უჩუმრად რომ მოედინება დროის უსაართლო გზაზე. მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ აქაურობას შოაცილოს და შინ მიიყვანოს. იგი უნდა დაემორჩილოს ყოველგვარ აუცილებლობას: უნდა გადაურჩეს კიბე-კიბე შემხედურ ზოგ-ზოგათა გელოან მზერას, უნივერსალის წინ, გზისასაქცევთან არიალებულ ხალხის ტალღას, გადასასვლელი გვირაბის პარაპეტთან ჩაყუნცული მათხოვრის მავედრებელ მზერას, საკომიაროს ეიტრინიდან აბრკვეიალებულ ანტიკვართულ ნივთთა ხიბლა, მშენებარე მეტროს სადგურის კომპრესორთა გიგურ ბატუს, ლამაზმანთა მაგნეტოზმა, საკუთარი სახლია კიბეთა საქცევებზე გულდაგულ ნაყარ პაპიროსის ფერფლსა და ნამწვავებს, აიენიდან დანახულ გაღმითა გორაზე, დასაუღეთით ცერად მდგარ

საცხოვრებელი კორპუსების, ^{ნაქცევული} ^{განმარტებული} ში ცეცხლად ჩამდგარ საღამოხანის მზეს, რამდენ, რამდენ რამეს უნდა გადაურჩეს!

ჯერ კი აქ არის, მესამე სართულზე, დილის მერე, სამსახურის საათების დამთავრების მომლოდინეს, ფეხი არ მოუცვლია შენობიდან. დაბლა სართულზე ფოიეს მოპირდაპირე ოთახში უნდა შეველო ახლა, ქალი ჰყავდა მოსანახულელები. ხეირიანად არც იცნობდა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ქალს ეს-ესაა ეურნალში გამოქვეყნებული მისი მოთხრობა წაეკითხა და როგორ უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს, ფაქტი ის იყო, რომ დერეფანში შემთხვევით შეხვედრიასაა შესთავაზა, თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ჩამოიარეთ და ვისაუბროთო. მით აზრი აინტერესებდა თუ არა, ამაზე არც უფიქრია, ოღონდ მამაკაცური ღირსება ავალეზდა, ხლებოდა ქალს, გარკვეული დრო გაეტარებინა მის გვერდით, თუმც არაფერს განსაკუთრებულა არ მოელოდა შეხვედრისაგან.

ამ აყლდამასავით ბნელ დერეფანში ჰყავდა გაცნობილი. ქალმა მაშინ მოულოდნელად შეაჩერა და ერთ-ერთ თანამშრომელზე ჰკითხა რაღაც. აღმოჩნდა, რომ შეკითხვა გაცნობის საბაბი იყო, რადგან ქალმა თავისი ქალური ბუნების გამო ეერ დამაღლა ის აღფრთოვანება, მასზე რომ სმენია შორიდან: მართალი და გონიერი ადამიანიო, კარგ მოთხრობებს წერსო, ჰოდა, სურვილი გასჩენია, მისთვის წაეკითხვებინა ფრანს ელენის რამდენიმე პატარა მოთხრობის თარგმანი, თუ, რა თქმა უნდა, ამით არ შეაწუხებდა და დროს არ წაართმევდა. სიამოვნებით წაეკითხავო, დაჰპირდა და შეასრულა კიდევ ერთი მოთხრობა არტურ რემპოზე იყო. განსაკუთრებით შეუქო ქალს მისი თარგმანი, თან ეკვი არ ეპარებოდა, თარგმანის ეფექტს ორიგინალის მკაცრი ფსიქოლოგიური ქარგა უწყობდა ხელს.

მაშინაც იმ ოთახში ისაუბრეს, სადაც ახლა უნდა ჩაველო. მერე ქალმა სხვა, სათარგმნელად შეგულეებული იგივე

ავტორის რამდენიმე მოთხოვნის სიტყვით უნდა იმ მიზნით. ღირდა თუ არა რომელიმე თარგმანს. და იგი მიხვდა. მთარგმნელი უფადადებდა ნაწარმოებში გადმოცემულ ამბავზე ამბავილებდა. რისთვისაც იგი უმალვე მკითხველთა იმ კატეგორიას მიაკუთვნა, ვინც მწერლის სულის პულსაკოას კი არ აუტრადება, მის მანუეტება აკურდება. როგორც ხაოსხის საკინებთ აქვს წებბეული, ანდა მალტუხზე ოქროს ქანისთავის დაბნევა ხომ არ დაეწეებია. რის იხამ, მკითხველთა კატეგორიას იკვე მოკალგეარია. როგორც მწერალთა. აქ განაჯა არ შეიძლება. არც განუჯა. პოოქით, თანაგრანობითაც კი განეწუო, მისდაში, რადგან ქალი სიტყვებს ენებდა მასალაში, ელენი კი სულ სხვა რეგისტრზე ღლინებდა და ამპლუიდან აგდებდა მთარგმნელს, აეჭვებდა, მოკლედ, აბამბულებდა. ადამიანს მუშაობა ეწედა, თარგმნის ეინს აეტანა იგი, „მომგებნიანი“ სიტყვებისათვის კი ვერა და ვერ მიეგნო საბრალოს.

ქალი მარტო დახვდა ოთახში, ფანჯარასთან იდგა, უკაცრიელ ზიდს გასცქეროდა. როცა იგი მობრუნდა, ახალგაზრდა მწერალმა გააფიქრა: ვარგი ექვნი, რომ შემოვიარე ამ მარტოაულთან, მის სურვილს დავემორჩილე, რითაც ქალის მოწვევნილ ცხოვრებას იქნებ სიყეთისა და თანაგრანობის ხანმოკლე ნათელი მაინც მოეფინოსო. გაბედა და იფიქრა, ამ ვიზიტით სიამოვნებას მოკვერდა ქალი, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ უველანი უდაბნოს ეგავართ და მიუხედავად იმისა, მგზავრის ნათებური ოაზისად ვერ გეპტევის, მაინც მოუთმენლად ველით ქარავანს.

ქალი უცნაურად დაიბნა. სახე წამოენთო, ძლივს მოახერხა ეთქვა, მობრძანდითო. და მანაც უველაფერ ამაში თავისი განაფიქრის კიდევ ერთხელ გამართლება დაინახა. თან პატრემოყვარობასაც ვერ უღალატა და, ცოდვა გამ-

ხელილი ჯობს. გულის შემტყუნებულ ტრეით აუელტრტულდა იმედი — ალბათ მართლა მოაწონაო ჩემი მოახრობები. მოაწრო, თავით ფეხამდე ერთი თვალის შევლებით ჩაათვალეო ქალი, რომელიც თავის სამღწაო მაგიდას მიუჯდა და მერე წარმოუდგენელ მზოუნველობა გამოიჩინა:

— იქნებ აქეთ ჯობდეს დაბრძანდეთ, სარკმლიდან უბეოავს, არ გაცივდეთ.

გულიანად გაეცნა: არა, დაბერვისა არ მეწინია, პირიქით...

— პო, რა ვიცი. — სათქმელს თავი ვერ მოაბა ქალმა, თან შოკოლადის ფილია ნატები გადმოუდო. — იქნებ გესიამოვნოთ.

ახლალა მიხვდა, ქალი ფანჯარასთან თურმე შოკოლადს შეეცკოდა.

მერე ქალმა თქვა:

— ძლივს დათბა, როგორც იქნა, გველირია...

მუდამ იკვე აღიზიანებდა ორ მოსაუბრეს შორის ამინდის პრობლემებზე მსჯელობა, სათქმელის უქონლობის გამო მილიონჯერ განმეორებული ერთი და იგივე ფრაზების ტექნა. როგორც ოთახში მფრინავი ბუზი. მუშაობისას ფიქრის უნარს რომ უსპობდა. მაინც რისი მომასწავებელი უნდა უოფილიყო ეს ტრაფარეტული. არაფრისმთქმელი შესავალი? ის ზომ შთაბეჭდილების გასაზიარებლად მოიწვიეს. ცოტა არ იყოს, გაუფუჭდა ხასიათი, იქნებ ჯობდა, აქვე შეეწავიკა ვიზიტი და თავის გზას გასდგომოდა. არც ქალი დაეტანჯა და არც საკუთარი თავი. უველაფერი უსიტუვოდ იყო თითქმის ნათქვამი, დადებით ემოციას ამხელა შესავალი რაში ქირდებოდა.

მაინც მოთმინებით იქდა, შეჭამა ფილა შოკოლადი, ჩაიგემრიელა პირი, თან ქალია მექანიკურ მოძრაობებს ადევნებდა თვალს. იგი მარცხენა ხელის არათითზე წამოცმულ ვარდისფერ, წვრილ-წვრილ საფირონის ბალჩიან ბეჭედს იმავე ხელის ცერათითი აწვალებდა. ამინდზე სიტყვის ჩამოგდებამ, როგორც ჩანს, ვერ უშველა მის

საფიქრალს. ნეტავ თვალები ყოველთვის ასე ამომჭდარი ჰქონდა, თუ ზედმეტად მოძალადეული ფიქრის ბრალი იყო? კედელზე აკრულ რაღაც სიურრეალისტურ ნახატს მიაშტერდა მწერალი. გაახანდა რამდენიმე საათის წინ მოსმენილი დიალოგი, ორი თანამშრომელი მანდილოანის საუბრისას რომ მოისმინა თავის სამუშაო ოთახში.

— იცი, რა დამართნიათ მერცხლებს? გზად ტაიფუნში მოყვნიენ თურმე და ძალიან ბევრი დახოცილა, — თქვა ერთმა.

— როგორ, მამ ჩვენ რა გვეშველება, უმერცხლებოდ უნდა ვიყოთ? — სრული სერიოზულობით იკითხა მეორემ.

ამის გახანებაზე თავი ვერ შეიკავა, ცეტმა ღიმილმა გაურბინა თვლებში, სწორედ ამ დროს შეხედა მრავალმნიშვნელოვნად, ჭიუტად მდუმარ ქალს, „რა მოსაწყენი ვინმეა, ჯოჯოხეთურად მოსაწყენი“, მერე კი ასე უთხრა: ზედმიწევნით მყუდროა თქვენი ოთახი, აქ დაუსრულებლად შეიძლება ფიქრი.

— დიახ, — თქვა ქალმა, — იქნებ მართლაც ასეა, მაგრამ რაზეც არ უნდა გადავიტანოთ საუბარი, ორთავე ხომ ერთი და იგივეზე ვფიქრობთ, ანუ ვფიქრობთ ერთმანეთის ფიქრზე, სათქმელს კი გაუტრბით. ამჯერად მე შეკუთვნის სიტყვა. თქვენ გსურთ მოისმინოთ ჩემი აზრი მოთხრობის შესახებ, ასე არაა?

— რა ვიცი... — შეცბუნდა. — ჰო, რასაკვირველია. მაგრამ რაც შეეხება სურვილს, ეგ მხოლოდ თქვენი აზრებია... ეს ბოლო ფრაზა მხოლოდ გაიფიქრა, მამაკაცურმა სულგრძელობამ უფლება არ მისცა, პირში მიეხალა სათქმელი.

— კეთილი, ვისაუბროთ, — დაიწყო ქალმა, — ოღონდ წინასწარ უნდა შევთანხმდეთ, რომ არ მოგეფერებით, ამიტომ იძულებული ვარ, გისაყვედუროთ, დიახ, გისაყვედუროთ, სხვა სიტყვა ვერც მომიძებნია. ზედმეტად იხარჯებით წერისას. გაღიზიანებამდე ზედმი-

ტად. მაინც როგორ ახერხებთ ასე უტრიალოთ სათქმელს, რა ნერვები გიძლებთ, კატა რომ თავგს ეპარება, დაახლოებით ისე; მე კი არ მყოფნის მოთმინება, არ შემიძლია, თუ წყალში შევიდვიარ, ნელ-ნელა ხომ ვერ დავსველები, ნაწილ-ნაწილ, ერთბაშად უნდა შევეტოპო.

— ორივე ფეხი ერთდროულად ჩადგათ არა?

— რატომ, — როლში შეიჭრა იგი, — თუმცა, დიახ, ერთბაშად უნდა გადავეშვა. არ მინდა შესამზადებელი სიტუაცია, ნიაღვარივით უნდა მოდიოდეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, არ ვამბობ ფოლკნერივით-მეთქი, მაგრამ ერთბაშად მთავარი მაინტერესებს. თქვენ კი მეორეხარისხოვანსაც იმდენ მნიშვნელობას ანიჭებთ, იმდენ საღებავს ხარჯავთ, რომ...

— თქვენი აზრით, მეორეხარისხოვანი მთავარს არ ემსახურება?

— არა, — თქვა ქალმა, — სულაც არა.

— ან რა მიგაჩნიათ მთავრად? — წერტილივით დაისვა უცებ კითხვა, ისე წარიმართა დიალოგი, რომ ამაზე პასუხის გაცემა ჩათვლებოდა გადამწყვეტ მომენტად. ისროლა და ნიშანში დააჩინა კიდეც.

— მე მაგას ვერ აგისხნით, ხომ არ შემიძლია, მოსწავლის საკონტროლო თემასავით გავარჩიო თქვენი ნაწარმოები. ყველაფერი ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, მაგრამ... თუმც არ ღირს ამდენი ლაპარაკი.

ახლა მონანიე გრიმასა მიიღო ქალმა, აქ მისი სქესისათვის დამახასიათებელმა ინტუიციამ იჩინა თავი, უდავოდ შეხვედრის დასასრულზე ზრუნავდა, როცა თქვა:

— ძალიან ცუდად ვიქცევი ხომ?

— რატომ?

— ხომ გამინაწყენდებით, ვინ იცის, რას ფიქრობთ ახლა ჩემზე... უნდა გამოგიტყდეთ, მეც ვწერ ლექსებს, ისე, ჩემთვის, არ ვაქვეყნებ, არც არასდროს გამოვაქვეყნებ. არ შემიძლია, ვინმემ

თავისი აზრი გამოთქვას, ამის უპირატესობას არავის მივცემ, არ დავუშვებ, ჭიჭგონ ჩემი ნაფიქრი და შექმნილი, არავითარ შემთხვევაში.

გაშტერებული შესცქეროდა და უსიტყვოდ ამბობდა: წარმოუდგენელია! თქვენ ლექსებს წერთ? ნუთუ!..

ქალი კი განაგრძობდა, ნამდვილი ჩხუბის ექსტაზში შესული განაგრძობდა თავის სათქმელს, ხელებს იქნევდა, თვალებს კარკლავდა, ყველა პირობას ქმნიდა, რომ მისთვის ვეღარ ესმინათ.

ლამია თავბედი დაეწყველა! რამ მოიყვანა, საქმე შემოელია თუ რა? არ ჩვეანია უფლება ჰქონდა და არ გამოიყვანა. საშინლად აუტანელი ეჩვენა ამ ქალს თვალთ დანახული სამყარო, ამიტომ აულ სხვაგან გადართო გონება. ერთი ნაცნობი გაიხსენა. შეხვდებოდნენ ერთმანეთს, მოიკითხავდნენ, იტყვოდნენ ამ მთიასა, იმ მთისას, დამშვიდობებია ხანა კი ნაცნობი დაამბედა: ჩემს ნათლულთან შეხვდებით! და მომავალი შეხვედრით წინასწარ ნასიამოვნები გაილომებდა.

— ვეცლები ვილაყაში, — გაიფიქრებდა გაოცებული და რამდენადმე შეურაცხყოფილი. — ან მე მაგიყებს, ან თავს ისულულებს. ორში ერთია, აბა ვინ ნათლული, რა ნათლული.

მერე კი ისე შეეჩვია შეხვედრის ორიგინალურ დასაარტულს, ერთი სული ჰქონდა, როდის დადგებოდა გამომშვიდობების წუთი, რომ კვლავ მოესმინა ის ამოუხანელი, მაგრამ მიჩვეული ნივთივით გათავისებული — ჩემს ნათლულთან შეხვდებით!

ამჯერად ბოლო შეხვედრა ახსენდებოდა. თვალწინ ედგა ილიაში საქალაქდემოკრძილი ნაცნობი. იგი კიბერნეტიკოსი იყო პროფესიით და ამტიცებდა, რომ დაპროგრამებულ მანქანაზე შეარტლებული „ჯოკონდას ღიმილი“ ორიგინალს არაფრით ჩამოუყარდებოდა. იმდენი ასეთი ღიმილის დაგროვება შეეგვილია, რომ სამყაროში მეორე მზე აღნთოსო. ესაა ბატონო ჩვენი კიბერნე-

ტიკა, შემოქმედი ხატების მსახურები რად რომ უცქერითო. დამშვიდობებისას კი ის აკვირებული — ჩემს ნათლულთან შეხვდებით! — არ უთქვამს, ისე მიბრუნდა წასასვლელად.

ალბათ დააზუსტა ჩემი ვინაობა, — გაიფიქრა მამინ, კიბერნეტიკოსს მკლავში წაეტანა და ჰკითხა: შენს ნათლულთან არ შეხვდებით?

ის კი ნათლულის ხსენებაზე შეცბა, წამით ჩაფიქრდა, მერე თავი გააქნია და გულნაკლულმა თქვა: აღარ ვნახულობ. იცი რა გააყეთა? ჩემს დაუკითხავად გათხოვდა, თანაც ვის წაჰყვია, აღარ იტყვი? ოპერეტის მახიობს. აბა, ქალის ჰეუა თხამ შექვამა! მე ჩემს სიდედრს ვეძახდი ოპერეტის თეატრს, იცი თუ არა!

აღრე უნდოდა, რომ ყველაფერ ამაზე დაეწერა, კიბერნეტიკოსს შესანიშნავ პროტოტიპად თვლიდა, მაგრამ მან თვით გააყეთა ისეთი ფინალი, უკეთესს მწერალიც ვერ ინატრებდა, ამიტომ ვეღარ შეჰბედა მხატვრული ხერხებით, შიშობდა, წმინდა ნატურალიზმი გამომივა და ამდენად ნაკლებ საინტერესო.

ოღონდ ეს კია, არასასიამოვნო გარემოცვაში აღმოჩენილი, გუნების გამოსაკეთებლად საგანგებოდ გაიხსენებდა ხოლმე კიბერნეტიკოსს. მულატივით ჩაბურღული თმა ჰქონდა, ზედა ბაგეზე თვალშისაცემი ნაიარევი კი იმას ადასტურებდა, რომ კურდღლის ტუჩიანი დაბადებულისყო. მთელი სიცოცხლე მათემატიკით იტენა ტვინი და ახლა დახე, ჯოკონდას ღიმილით უნდა ჩვენი პლანეტა დაფერფლოს. ჰევიანი! მოდი და ბრავოს ძახილით ნუ დაასაჩუქრებ.

ქალი თურმე კვლავ ლაპარაკობს, აჭარხლებულ სახეზე ეტყობა, პაუზაც არ გაუეტებია. აბა წუთით, მხოლოდ წუთით მიაპყარ ყური:

— რასაც ვყარავ, რაზეც უარს ვამბობ, მისგან მისხალიც არაფერი მინდა. საკუთარი ქმრისგანაც არ დავიტოვე სახსოვარი, აი, ჯვრისწერის რგოლიც მოვიძვრე.



აჲ! საყმარისია!

ისევ დაიხშო სმენა და ღია ნაკრის-ფერ კედელზე ქალია პორტრეტის მს-ტრატულად წარმოდგენა აცადა. ვე-ლაფერი ძალზე მარტივად... მოქმე-დებს რეინკარბული ლოკი... — არული თავიუფლებათა, გინდ ვაგე, გინდ არა-შეკითხვა დასაწვებია, შეკითხვაზე შე-იძლება გუპასუხონ. აად მივიდა ფიქრ-თა თამაშით? ერთი დაუშთარებელი მოთხრობია გაგრძელებათან. აქ შე-კითხვა იყო საჯარო, მოთხრობა სწო-რედ იქ ჰქონდა შეწყვეტილი, როცა ჰან-სიონატის საადილოში ავახმწოდ გვერდიგვერდ მსხდარი შორეული ცუ-რეთა ყოფილი კაპიტნიაა და მღვდლის დიალოგი უნდა გაიმართოს. მღვდელი ბივშტექსა შეეჭკეკა, თან დროდადრო, უკან მირიანებელი, ეშმაკულ მზე-რას შეავლება ხოლმე ვახშმობით გარ-თულ მანდილოანება.

აშკარად ხედავა მათ, თავის მივიწ-ყებულ გმირებს, მღვდლარედ დატოვებუ-ლებს, უპატრონო მიყვალბებულბეკით ღვთის ანბარა დარჩენილთ. ახლავე ამოადგმეინება ენა, ახლავე გააცოც-ხლება, ცოტაც, ცოტაც და აი გაგრე-ლებაც; შორეული ცურვის ყოფილი კაპიტანი უცებ შეუთამამდება მღვდელს, ანგლობის ხასიათზე დგება.

— მამათ, — ეუბნება, — ჰოკერი თუ გოთამაშია?

მღვდელი, რააკვირველია, არ ელო-დება მკაცვა შეკითხვაა, წამიერად შე-ყოუნდება, ფიქრობს ვთქვა თუ არაო, მერე ისეთი აშარტული კინით პასუ-ხობს: კი, ოხრად!.. რომ სუფრის დანა-რჩენ წვერებს ხარხარი აღტუდებათ.

აჲ, მიაგნო, აწი წინ წაუა საქმე, იცის ამის შემდეგ რაც მოხდება, სათაურიც არ უნდა იყოს ცუდად შერჩეული, დას-რულდება! მოთხრობა დასრულდება!

ისევ ქალის ხმამ გამოარკვია:
— მართლაც, ვინ იცის, რას ფიქ-რობთ ახლა ჩემზე, — შედარებით ჩამ-ცხარალი, საკუთარი თავის უენაყოფი-ლო ამბობდა ვე, ოადგან მწერლის სა-

ხეზე ოდნავი შეშფოთება
ვერ ამჩნევდა, ერთბაშად, ამოეცნობ, შეუღწევ საიდუმლოდ გამოეცხადა მი-სი ამწვიდე. — აალიან მაინტერესებს, რას ფიქრობთ.

— ვფიქრობ, რომ თქვენ შესანიშნა-ვი მოსაუბრე ხართ, არაჩვეულებრივი მოთხრობელი, აინტერესოდ მიამბეთ ად-რე ელენისა მოთხრობათა სიუჟეტები, განა ეს ცოტაა ნიშნავს?

— რაა ბრანებთ, ხუმრობის ვარე-შე?..

— რა თქმა უნდა.

— წარმოიდგინეთ, უკვე მოცხვენია, ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ ნამდვი-ლად მოცხვენია, და კიდევ იცით რა? ამ რამდენიმე წუთისა წინ, როცა მე ჩემს მწუხარე თავგადასავალს გიამბობ-დით...

— მწუხარე თავგადასავალს?

— დიახ, აქმეც ეგაა სწორედ, მე-გონა მისმენდით, თანაც მაკვირებდა, რომ ნაცვლად თანაგრინობია...

— თანაგრინობია?

— დიახ, თქვენ ზომ მწერალი ხართ და ალბათ არაფერი გიკვირთ.

მწვიდად გაილიმა, შეეცოდა ქალი, ეცადა აღარ გაეფიქრა, რა მოსაბზრე-ბელი ვინმეაო, მანაც გაშტერებულმა უცკირა ერთხანს, მერე კი გაოცებით თქვა: იავე, იავე იგივე... არც ვიცი, როგორ ვთქვა, რა სახელი დავარქვა... თითქოს მიამენთ, სინამდვილეში კი გა-ნოთიშული, საკუთარ თავთან დარჩენი-ლი, საიდუმლოაავეთ გაუმხელ ზედნი-ერებას ეზიარებით, დიახ, ასე იყო წე-ღანაც, თქვენ თანამოსაუბრის სრული იგნორირება გვებრებათ, მხოლოდ სა-კუთარ თავთან ხართ და ამით ენაყოფი-ლდებით, რა ხდება? ვერასოდეს ამოვ-ხანი, როგორც არ უნდა ვეცადო.

— მღვდლის ბრალია ყველაფერი, — გაეცინა მწერალს.

— მღვდლის?

— ჰო, ნათამაშები ჰქონდა ჰოკერი.

— ?

ალექსანდრე აუჰინი

ზღაპარი მეფის მკვდარი ასულისა და შვიდი დევეგირისა

ეთხოვება ცოლს ხელმწიფე,
 უბნობა გზები შორეული,
 დედოფალი მართო რჩება,
 თვალზე სრემლებშიორეული,
 ფანჯარასთან ჩამოჯდება
 დარღისაგან მოცელილი
 და ფანჯრიდან დღე და ღამე
 ველს გასცქერის მოწყენილი.
 ველზე მხოლოდ მოქრის ქარი,
 მოაქვს თეთრი სევდა თოვლის.
 იავე არ ჩანს მეგობარი,
 არ დაუცხრა ენება ლტოლვის.
 დღეს აღამებს, ღამეს ათევს,
 ქმრის ლოდინში გადის ცხრა თვე,
 და მწვენიერ შობა ღამეს
 ღმერთმა უძღვნა მას აუთლი,
 დოლით მეფე შორი გზიდან
 შინ დაბრუნდა დაქანცული.
 ღმერთო, რამდენ ხანს ელოდა
 მხურვალე და წრფელი გულით!
 დედოფალმა შეხედა და
 აღტაცება იგრინო სრული,
 მღელვარებას ვერ გაუძლო,
 განუტევა უმალ სული.

მეფე გლოვობს. უდედოფლოდ
 ერთი წელი დაპყო უმინდად.
 მაგრამ მეფეც ცოდვილია
 და წლის თავზე დაქორწინდა.
 მოიყვანა ქვეყნის თვალი,
 ნაღდზე ნაღდი დედოფალი:
 რა ტანადი, რა თვალადი,
 რა კვალთუცო და ქვეყანი!

თუმცა ცოტა უცნაური,
 ამაყი და ეკვიანი.
 მზითვად მოჰყვა ერთი სარკე,
 სარკე მართლაც არაკია,
 თქვენ უბრალო არ გეგონოთ,
 იგი მოლაპარაკეა!
 ჩვენს დედოფალს სიხარული
 მხოლოდ მის წინ ეუფლებია.
 გულს გადუხანის სიყვარულით,
 თავმომწონედ ეუბნება:
 „სარკე, ჩემო თვალის ჩინო,
 ჩემი მსგავსი სხვა სად არის,
 თეთრი, ლოყებდაბრაწული,
 მზის და მთვარის დასადარი?“
 სარკე ეტყვის: „დედოფალო,
 შენი მსგავსი არსად არის,
 თეთრი, ლოყებდაბრაწული,
 მზის და მთვარის დასადარი!“
 დედოფალსაც სხვა რა უნდა,
 იცინის და თვალებს ნაბავს,
 ციბრუტივით სულ ტრიალებს,
 აფრიალებს ფარჩის კაბას.
 და სარკის წინ სიარულით,
 მიმოხრითა და იერით
 თავა იწონებს მხიარული,
 ამაყი და ბედნიერი.

ბოლო ამ დროს სასახლეში
 პაწაწინა უფლის გოგო
 შეუძინებლად იზრდებოდა,
 როგორც ტყვრის ჩრდილში სოკო.
 იზრდებოდა, მწვენიდებოდა,
 მზეს და მთვარეს ედრებოდა.

და, ჰა, მეფის დარბაზები
 აჭორწინოდ იწყებნ ზეიმს.
 მოდია სიძე ღირსეული
 ეფლისწული ელისეი.
 მაჭანკალიც დატრიალდა,
 მზითევა ითელის მეფის ლოცვით:
 შვიდო ვაჭართ ქალაქია,
 ცხენ-კოწევი — აპორნოცი.

„ეფე-ქალება გაღმართავთ
 მზიარული ტან-ფანდღერი.
 ეგ მთავალმდე დედოფალი,
 მორთული და გაბადრული,
 მაინც სარკეა ეკითხება:
 „ჩემი მსგავსი სხვა აად არის,
 თეთრი, ლოყებდაბრაწული,
 მზია და მთვარის დასადარი?“
 ხმაა იდაბლება თითქოს განგებ,
 უპაუხებს ჩემად სარკე:

„ლამაზი ხარ, მაგრამ ყველას
 მაინც მეფის სჯობს ასული.
 მიაი მსგავსი არსად არის,
 თეთრი, ლოყებდაბრაწული,
 მზია და მთვარის დასადარი“.

გაგეიდება დედოფალი,
 დაეცემა ორთავ თვალი.
 სარკეა მუჭებს უბაგუნებს,
 რიახვით ფეხებს უბაკუნებს:
 „ოჰ, შე შუშავ კუჭყიანო,
 როგორ ბედავ თავხედობას,
 იმ გომბიოს ამჯობინებ

ქვეყნის თვალსა და დედოფალს?
 მეფის ქალი, როგორც ფიფქი
 თეთრი როა, რატომ გიკვირს,
 ქმრის ლოდინში მისი დედა
 სულ თოვლიან გზას უმზერდა.
 მე ვჯობივარ მაინც, სარკევ,
 ასე ტურფა, ასე კარგი,
 მშვენიერი, თეთრი, ნაზი
 მე ერთი ვარ ქვეყანაზე“.

სარკე ახლაც ეტყვის პასუხს:
 „არ სჯობიხარ მეფის ასულს,
 მისი მსგავსი არსად არის,
 მზის და მთვარის დასადარი“.
 დედოფალმა რა ჰქნას ახლა,
 როცა აღრჩობს შავი შერი?
 უმაღ უხმო და მოახლოე

მეიახლა შარიშურით.
 რისთვის უხმო, ნეტავ რა სურს,
 რას უმზადებს მეფის ასულს?
 სურს, დაადოს ტყეში უქმად,
 დამშეული მგლების ლუქმად.

განჩხლებულ დედაეაცსა
 ვერ შეპბედავა ქაჯიც სიტყვას.
 და შეეტუნა ფარეშა უხმოდ
 მეფია ქალი ტყეში მიპყავს.
 ტყეა არ უჩანს დასასარული
 და ფათერაქს გრძნობს ასული.
 შეევედრა: „ქალო, მითხარ,
 ვინ დამადო ცოდვა-ბრალი?
 ნუ გამწირავ, გაგახსენებ,
 როს გავხდები დედოფალი“.
 იმ მოახლეს მეფის ქალი
 თურმე ნაზად ჰყვარებია,
 არც მოკლა და არც შებორკა,
 ზედაც არ გაპყარებია.
 „ღმერთი შენთან იყოს მუდამ!“ —
 ეს უთხრა და შინ დაბრუნდა.
 „რაო? — ჰკითხა დედოფალმა, —
 რა დღეშია მეფის ქალი?“
 და მოახლემ მოახსენა:
 „შევბორკე და შეეკარ ძალით.
 ტყეში ოხრად მიგდებული
 აღმათ უკვე ძიძგნეს მგლებმა.
 ნატანჯი და ნაწვალები
 აწ სიკვდილით იგრძნობს შვებას“.

ხმა დაირბა უეცარი:
 დაიკარგა მეფის ქალი!
 მეფე წუხს და საგონებელს
 მისაცემია შესაბრალო.
 ელისეი ლოცვით უფალს
 ევედრება, შეათხოვს შველას,
 ცხენს კაზმავს და მიდის ტურფა
 საპატარძლოს საძებნელად.

ამ დროს ტურფა პატარძალი
 აღმა-დაღმა, ნება-ნება,
 უგზო-უკვლო ხეტიალით
 ტყეში ერთ კოშკს მიადგება.
 და დარაჯი უცხო სახლის
 კარიბჭიდან უყეფს ძალი.
 მაგრამ უცებ ლაქუა-ლაქუა

წამეტუნებს და ფეხქვეშ წვება,
თითქოს სტუმარს სასურველსა,
შემოდის, — ეხვეწება.
მეფის ქალიც შედის უმაღ,
კარმიდამოს ხედავს მდუმარს.
აიარა კიბე სახლის,
კვლავ მორჩილად მისდევს ძაღლი.
კარს სიფრთხილით ხელი ახლოს,
აჭრიალდა სახლის კარი,
წინ დარბაზი გადშალა
ფერად-ფერად სიზმრის დარი.
სკამებმა და მერხებმა ტრელი
ფარდაგები აფენია,
მუხის დიდი მაგიდა დგას.
იქვე ხატი ასვენია.
შორენეციის ღუმელია,
ზედ ლოგინიც მოჩანს თბილი.
აქ ნამდვილად ცხოვრობს ხალხი
კეთილი და ამოდ ზრდილი.
მეფის ქალი, თუმცა ირგვლივ
ძებორკიელს ვერვის ხედავს,
სახლს ალაგებს, ასუფთავებს,
მტვერსა წმენდს და ნაგავს ხვეტავს.
ღუმელს ცეცხლი შეუკეთა,
და დაუნთო ხატი სანთელი,
მერე ღუმლის თავზე დაწვა.
უძილოა წუხანდელი.

სადილობის დგება ეამი,
ნაბიჭების იამის ჩქამი.
გამოვლილ გზას ბოლი ასდის, —
მოდის შეიდი გოლიათი
ლალი და მკერდგაღელილი,
მძლე და უღუკაშაგრეხილი.
უფროსმა თქვა: „ეს რა ხდება,
ცხადია თუ მელანდება?!”
ჩვენი კოშკი რატომ არის
ასე ასუფთა და ლამაზი?
ვილაც კეთილისმოყოფელმა
დაგვილაგა ეს დარბაზიც.
ვინ ხარ? მოდი, მოგვეჩვენე.
დავაფასოთ შენი ღვაწლი.
ნამდველ ბიძად მიგიღებდით
ძმები, თუ ხარ ბერკიაცო,
თუ ვაკე ხარ, ჩვენი გული
როგორც ლეილ მას მოგენდობა.
თუ ქალი ხარ ხანდაზმული.

გაგვიწიე ჩვენ დედობა. ბიზაზიონთქა
და თუ ტურფა ხარ აულო,
მაშინ გვმართებს შენი აზობა.

და ღუმლიდან ჩამობრძანდა
დიდებული მეფის ქალი.
კოშკის მფლობელთ მიესალმა,
დაუბარა თავი კრძალვით.
უკითხავად გესტუმრეთო,
გავალეო სახლის კარი. —
ბოდისა უხდის, თან სახეზე
ეკიდება ცეცხლის ალი.
დააკირდნენ კარგად ძმები,
მეტყველებით, ქცევით, კდმით
იცნეს მეფის აულო და
დატრიალდნენ მააბინძლები.
მოაქვეთ ღვინო, ტებილეული,
გაუხშირეს საუბარი.
ღვეზელს გემო გაუხინჯა,
ღვინოზე კი თქვა უარი:
არ მინდაო, გზამ დამალა,
მჭირდებოა მოსვენება.
და მორჩილად დევგმირებმა
აასრულეს მისი ნება.
კოშკში, ზემოთ მიუჩინეს
ნათელი და წყნარი ბინა.
იხიც ჩაწვა რბილ საწოლში
და იმწამსვე ჩაიბინა.

ციმციმ, ციმციმ დღე დღეს
მისდევს.

მაგრამ ტურფა, ეშხიანი
მეფის ქალი კვლავაც ძმებთან
ტყეში ცხოვრობა, ტყეში არის.
ძმები დილით ადგებიან,
ერთად გაემართებიან
სალალობოდ, სანადიროდ,
სათამამოდ, სანადიმოდ.
დახოცავენ ზოგჯერ იხვებს,
დაანთებენ ცეცხლსაც იქვე.
თუ შემოხვდათ, სარაცინებს
იპარს არვინ დააცილებს.
თუ წააწყდნენ სადმე თათარს,
შვიდი ერთად ხმალს შემართავს.
ამ დროს ტურფა მეფის ქალი
მარტოდმარტო კოშკში რჩება,
სახლს ალაგებს, ღვეზელს აცხობს,

მეხს არასდროს ეტრჩება.
 ეპარობიან მებოც რიდი
 და დღეები აუ მიდის.

მეხს ასული შეუყვარდათ,
 საუბარიც ჰყადრეს ფრთხილი,
 შემოლაგდნენ მის ოთახში
 ერთხელ, ისიც ადრე დილით.
 წინ წამოდგა უფროსი ძმა,
 უთხრა: „გემართებს დაფიქრება.
 ჩვენ შეიდივეს გოყვარებას და
 მოგვარიგე, რა იქნება.
 შეიდივე ძმა გულით გეტრფით,
 აირჩიე საქმროდ ერთი.
 დანარჩენი ძმად იგულე,
 შეგეწევა აგრემც ღმერთი.
 რად დახარე დაბლა თავი?
 რად გვარიდებ მზერას ნეტავ?
 იქნებ საქმროდ ჩვენგან არვინ
 არ მოგწონს და თქმას ვერ ბედავ?“

„ძმებო, ძმებო, ეაყაყებო. —
 ეუბნება მათ ასული. —
 დამიჭერეთ, არ გატყუებთ.
 არ ვარ ასე თავგასული.
 რა ექნა, სხვისი საკოლე ვარ,
 უნდა ვითხრათ ჩემი დარდი:
 მამაცები, ჭკვიანები,
 თქვენ შეიდივე შემოყვარდით,
 მაგრამ იგი, ვინც ჩემია,
 მე უსათვისაყ მიცემს გული,
 მთელ ქვეყანას მიჩვენია —
 ელისეი, უფლისწული“.
 ძმებმა ცოტა დაახანეს,
 მერე ეფა მოიფხანეს.
 „გვაპატიე ის, რაც ვითხარ,
 ნუ ჩავვითვლი ცოდვად ვითხვას“.
 —
 თქვა უფროსმა, მორიდებით
 ძმებს მიუგებს მეფის ქალიც:
 „მეც რომ ასე ვიპასუხეთ,
 სულ არ არის ჩემი ბრალი“.
 გოლიად ძმებს თუქა გული
 მძიმე ნისლით შეებურათ,
 შეგობრებად დარჩნენ შარც,
 კვლავ ცხოვრობენ ძველებურად.

ხოლო ავი დედოფალი
 ვერ ივიწეებს მეფის ასულს.

სარკეს ისევ ემდურის და
 გაგონება მისი არ სურს.
 სულ გვერდს უვლის დაბოლმილი,
 მაგრამ ველარ გაძლო დიდხანს,
 მიეახლა და ღიმილით
 ძველებურად ისევ ჰკითხა:
 „გამარჯობა, სარკე! მითხარ,
 ჩემი მსგავსი სხვა სად არის,
 თეთრი, ლოყებდაბრაწული,
 შხის და მთვარის დასადარი?“
 სარკე ეტყვის: „ქვეყნის თვალთ,
 ლამაზი ხარ, დედოფალო.
 მაგრამ სადღაც უღრან ტყეში
 მეფის ქალი მშვენიერი
 მშვიდად ცხოვრობს შვიდ ძმასთან და
 ის გჯობია შენ იერით“.
 დედოფალი პირისფარეს
 თავს დაატყდა ერთობ რისხვად:
 „ოჰ, შე შავო, ვით გაბედე
 მოტყუება დედოფლისა!“
 და მოახლეც უცებ წახდა,
 წერილად დაფქვა, რაც გარდახდა.
 მაგრამ ავი დედოფალი
 უტრს არ უგდებს უკვე პასუხს.
 ჩამობრჩობით ემუქრება,
 თუ არ მოსპობს მეფის ასულს.

ერთხელ, როცა მეფის ქალი,
 ფანჯარასთან მარტო მჯდარი,
 აფხა რთავდა და ძმება ელოდა,
 შემოესმა მას ქვემოდან
 გაავებულ ძალსა ეფა
 და ეზოში გაღიხება:
 დამონძილი მონაზონი
 შინ შემოსვლას ვერა ბედავს.
 შიშის შავი ფერი დაჰკრავს,
 იგერიებს ჯობით ნაგაზს.
 მეფის ქალმა გადასძახა:
 „ბები, ბები, მაგ ძალს ახლავ
 მოგაშორებ! ცოტა კიდევ
 მოითმინე, არ შეშინდე!“
 დაიკვნესა დედაბერმა:
 „შვილო, ისევ ავად ვარ
 და ნაგაზმა თითქმის ცოცხლად
 შემქამა და გამათავა“.
 მეფის ქალი წამოდგება,
 პურს აიღებს, გადის გარეთ.

მაგრამ ძალი გადუდგება.
 უყვება, სტუმარს არ აკარებს.
 დედაბერიც შეხება თუ წადგამს,
 იალღა აივზე ემტყება.
 მეფის ქალი იტყვის ანაგაზს
 შეტავ დღეს რა ემთხება?
 ამა, პური! — და მონაზონს.
 გადაუდგო პური მარჯვენად,
 დედაბერი პუოს ჩაბოღუტავს,
 დაულოცავს მადლს და გამზენს:
 — ღმერთო შენთან რაგონ მელდამ,
 ჰა, მიიღე მაგეოკო! —
 და ეაროლა ოქროს ვაშლი
 წვნიანი და სახიერო.
 ნააროლი რომ დაეკოთა,
 იალღი უცებ შეხტა ღრენით,
 მეფის ქალმა დააღწრო და
 წაატანა იმ ვაშლს ხელი.
 „პურისათვის გმადლობ, შვილო,
 ვინძლო აღარ ვიშინებო.
 მოწყვენას რომ იგონებ, მაშინ
 მორთმეული ქამე ვაშლი“. —
 ესა თქვა და თითქოს იმ წამს
 დედაბერი ჩანთქა მიწამ.
 ნაგაზი კი მეფის ასულს
 უტრიალებს, ვერ შორდება,
 შეაკიცინებს თულებში და
 უმთის, თითქოს ეცოდება.
 თითქოს შესთხოვს: გადააგდე!
 მაგრამ მეფის ქალმა თავზე
 გადაუსვა ხელი ნაგაზს,
 მოფერებით უთხრა ასე:
 „უურქედანავ, ჩემო უურშავ,
 დამწვედდი და იწექ უურჩად“. —
 შინ შევიდა მეფის ქალი,
 მიიხტრა სწრაფად კარი.
 იავე დაჭდა ფანჯარასთან,
 მიუბრუნდა თავის ქარას,
 ძმებს ელოდა და ლოდინში
 გააკქეროდა გზას და შარას.
 მაგრამ ვაშლი იზიდავდა,
 უნებურად თვალს სტაცებდა:
 ვაშლი იყო და რა ვაშლი! —
 ვერ მაღავედა აღტაცებას:
 ოქრო, წითელღაწვიანი,
 გამჭვირვალე და წვნიანი,
 ძმების მოსვლას დაეუცდით,

მაგრამ როგორ გინდა გამჭვირვალე
 და ოქროსფერ ნაყოფს მიწვედა
 ჩვენი ტურფა საპატარძლო.
 გაუსინჯა გემო ხელად, —
 ვიხილოთ ხილი ხილად.
 მაგრამ უცებ ბრუ დაესხა,
 მზე ჩაუჭრა ორთავ თვალში,
 მოესხიპა ხელები და
 დაუვარდა დაბლა ვაშლი.
 აღარ სუნთქავს, ღმერთო ჩემო,
 ასე უცებ რამ გათანგა?
 ხატების წინ, მერხზე თავი
 დაუვარდა და გათავდა.

ამ დროს ძმებმა სხვა მხარეში
 უახტუურად ითარეშეს.
 საზღისაკენ წამოსულებს
 წინ ყმულით შეხვდათ ძალღი,
 შინ გარბოდა, აქარებდა
 ლაღობით და ბრძოლით დაღლილით.
 „ჩვენ თავს ცუდი ამბავია!“ —
 გაიფიქრეს და ცხენები
 უცებ ადგილს მოწყვიტეს და
 მიგრიალდნენ შინ ჰენებით.
 ძმების გმინვამ შესაბრა ზეცა,
 ძალი ღრენით იმ ვაშლს ეცა,
 ბრაზით დაღრღნა, იქვე მოკვდა,
 არ დასცალდა ერთი წამიც.
 მიხვდნენ ძმები: ვაშლი იგი
 მოწამლული იყო შხამით.
 ძმები მკვდარი ასულის წინ
 მწუხარებით ხრიან თავებს.
 ლოცვით ტახტზე დაასვენეს,
 სხვა სამოათი უცხოდ რთავენ.
 და ასული ხელმწიფისა
 სიღამაშით კვლავაც ბრწყინავს,
 თითქოს ბილის ფრთა ახურავს,
 თითქოს წამით ჩაეძინა.
 ცოცხალს ისე ჰგავდა იმ დღეს.
 „ნუ დაემარბავთ“, — გადაწვეიტეს.
 სამი დღე და ღამე იწევა,
 როცა აღარ გაიღვიძა,
 ძმებმა წესი აუტგეს და
 ცხრა მინდორი გადასერეს,
 ცხედრიანი ბროლის ყუბო
 ტიტველ მთისკენ წაასვენეს.
 ბროლის ყუბო შუა ღამით

განარიდეს ეამს და სოფელს.
 ექვს ბოძს ჯაჭვით ჩამოჰკიდეს,
 თან მესერით შემოღობეს.
 თავდახრილნი დგანან იმები.
 „ბოროტების შენ ხარ მსხვერპლი, —
 განისვენე, — თქვა უფროსმა, —
 აწი რალა გეშველება,
 სული ზეცამ დაიმკვიდრა,
 ხოლო მიწამ — ეგ შშვენება.
 ქვეყნად არეინ არ ინდომე
 აილამაზით ნაყურთხევემა.
 შორით მიჯნურს მოელოდი,
 გახდი ეტბოს საყურთრება“.

იმ დღეს ავი დედოფალი
 სიამისგან უკვე მთვრალი
 სარკეს ჩუმად ეკითხება:
 „ჩემი მსგავსი სხვა სად არის,
 თეთრი, ლოყებდაბრაწული,
 მზის და მთვარის დასადარი?“
 სარკეც ეტყვის: „დედოფალო,
 შენი მსგავსი არსად არის,
 თეთრი ლოყებდაბრაწული,
 მზის და მთვარის დასადარი“.

უფლისწულმა დედაბიწა
 კიდით კიდე მოიარა,
 ვერ მოაგნო მეფის ასულს,
 გული დაიმგლოვიარა.
 ეკითხება ყველას. არსად
 არაფერი არ იციან.
 ერთმა თვალწინ თუ დასცინა,
 სხვამ ზურგს უკან ჩაიცინა.
 მიწაზე რომ ვერსად ნახა,
 მზეს მიმართა თხოვნით ახლა:
 „მზეო, მზეო, ცხრათვალაო,
 მაღლა ცაში ცხოვრობ მარად,
 ცხრავე თვალით ჩამოგვექარი,
 ყველას გეხედავ მთად და ბარად.
 მხოლოდ ერთი წუთი დათმე,
 რადგან შენგან ველი პასუხს.
 იქნებ თვალი მოჰქარ სადმე
 ჩემს საცოლეს მეფის ასულს?
 მზე მიუგებს, — „სინათლეო,
 არ მომიკრავს არსად თვალი,
 არ მინახავს მეფის ქალი
 არც ცოცხალი და არც მკვდარი.“

მინც ჰკითხე ღამის დარაჯნი
 ჩემს მეზობელ კეთილ მთვარეს,
 იქნებ სადმე ნახა ღამით,
 როცა მიწას უთვალთვალებს“.

გულმოკლული უფლისწული
 ელოდება ღამის მოსვლას.
 აჰა, მთვარეც! და ვედრება
 ალავლინა, როგორც ლოცვა:
 „მთვარევე, მთვარევე, ოქროს რქაო,
 გამაგონე შენი ხმაო.
 ბნელი ღამით იბადები,
 თვალნათელი იბადრები.
 შენი ყოფნით დამტკბარები
 შეგხარიან ვარსკვლავები.
 მხოლოდ ერთი წუთი დათმე,
 რადგან შენგან ველი პასუხს.
 იქნებ თვალი მოჰქარ სადმე
 ჩემ საცოლეს მეფის ასულს?“
 „ძმეო მისიავ, — ეტყვის მთვარე, —
 მოვლე ბევრზე ბევრი მხარე,
 არ მინახავს მეფის ქალი,
 არ მომიკრავს არსად თვალი.
 საგუშაგოდ გამოვდივარ,
 როცა დგება ჩემი რიგი.
 ალბათ აქ რომ ჩაიარა,
 მე ვიყავი მთების იქით“.
 მოერია ჭაბუკს სევდა,
 უკვე საშველს ვერსად ხედავს.
 შეაჩერებს ბადრი მთვარე:
 „ნუ შეგიპყრობს სევდა მწარე,
 წა, იჩქარე, ნახე ქარი,
 უთხარ შენი საწუხარი.
 იქნებ იცის, იქნებ შეხვდა
 ადამე ტურფა მეფის ქალი“.

უფლისწული მიიჩქარის,
 გზად შეხვდება შმაგი ქარი.
 „ქარო, ქარო, ბობოქარო,
 ერეკები ღრუბელს ციდან,
 ზღვებს აღელვებ, ატორტმანებ,
 დანავარდობ ლალი მინდვრად.
 ღმერთის გარდა მძლეს, ეონიანს.
 ქვეყნად არვის გეშინია.
 მხოლოდ ერთი წუთი დათმე,
 რადგან შენგან ველი პასუხს.
 იქნებ თვალი მოჰქარ სადმე

ჩემს საცოლეს მეფის ასულს? —
 „მოიცადე, — ეტყვის ქარი,
 მძლეთამძლე და ბობოქარი, —
 იმ მდინარეს როგორც გახვალ,
 მოტიტვლებულ ერთ მთას ნახავ.
 მთაში ბნელი ქვაბულია,
 შიგ ექვს ბოშზე გაბმულია
 მოქანავე ბროლის კუმბო:
 ირგვლივ არ ჩანს არვის კვალი,
 ხოლო ბროლის იმ კუმბოში
 ააყენია მეფის ქალი“.

ქარი სწრაფად მოწყდა ადგილს
 სივრცის გადასალახავად.
 აქვითინდა უფლისწული,
 მიღის სატრფოს სანახავად:
 მიღის, მიღის, წინ მაღალი
 და ტიტველი მთაა, ხედავს.
 მთაში გამოქვაბულია
 პირქუთში და ბნელი მეტად.
 შიგ შევიდა, დაინახა
 სიბნელეში კუმბო ბრწყინავს,
 კუმბოში კი მეფის ასულს
 მარადიულ ძილით სძინავს.
 დაბარბაცდა, ზედ დაეცა,
 ბროლის კუმბო მთლად დაღეწა.
 თითქოს უცებ მიწა იძრა,
 მეფის ასულს გაედვიძა.
 თვალი ისე გაახილა,
 თითქოს ძილით ინებოვრა.
 და წარმოსთქვა ნაზი ოხვრით:
 „ეს რამდენი მძინებია!“

წამოდგა და უფლისწულმა
 მასთან ერთად გაიხარა,
 აიყვანა მეფის ქალი,
 სიბნელიდან გაიყვანა.
 შინ მშვიდობით ბრუნდებიან,
 რადგან ღმერთი მოწყალეა.
 ხმა დაირბა სამეფოში:
 მეფის ქალი ცოცხალია!

ამ დროს ავი დედოფალი
 უსაქმურად მარტო მჯდარი
 მიეხალა თავის საარკეს,
 გაუმართა საუბარი:
 „ჩემი მსგავსი სხვა სად არის,
 მზის და მთვარის დასადარი?“
 გააგონებს სარკე პასუხს:
 „არ სჯობიზარ მეფის ასულს,
 მისი მსგავსი არსად არის,
 მზის და მთვარის დასადარი!“
 აუთრთოლდა უცებ ბაგე,
 დაანარცხა დაბლა სარკე,
 გამოალო სწრაფად კარი,
 დაინახა მეფის ქალი,
 იქვე გული გაუსკდა და
 მოკვდა ავი დედოფალი.
 მოახდენი მოხდა ასე,
 მიაბარეს მიწას მკვდარი.
 უფლისწულმა მეფის ქალზე
 დაიწერა იმ დღეს ჭვარი.
 და მზიარულ ასეთ ჭორწილს
 ქვეყნად ვერკინ გაიხსენებს.
 მეც იქ გახლდით, იმდენი ვსვი,
 რომ... უღვაშიც დავისველე.

თარგმანი არჩილ სულაბაძისა



რეპორტაჟი სარკინიგზო მაგისტრალიდან

თეთრი წყაროსაკენ მიმავალმა უკვე ვიცოდი, რომ მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მაგისტრალის სიგრძე 160 კილომეტრს უდრის, მისი უმალესი ნერტილი — თაფარა-კანი ზღვის დონიდან 216მ მეტრზე მდებარეობს; მაგისტრალი იწყება კუშისი-მარნეულის სადგურების გადასარბენიდან, სადაც ახალი სადგური—მარაბდა შენდება. გაივლის თეთრი წყაროს, წაღვის, ბოგდანიოვის რაიონებს და ჩადის ახალქალაქში. ამ მომაცემებს წინა დღით გავეცანი მშენებარე მაგისტრალის პროექტის მთავარ ინჟინერთან, პატივემეუღლე გიორგი ჯაბთან, მის ხალვათ სახელოსნოში. აქვე ვესაუბრე პროექტის შემქმნელი ჯგუფის წევრებს, ჩავინერე მათი ნაამბობი და კარგა სამი საათი ვათვალიერე სქემები, დიაგრამები, სამუშაო ნახაზები, ესკიზები, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც უხვად არის სახელოსნოში გამოფენილი და რასაც მაგისტრალის პროექტი აქვია.

ამრიგად, ვიცოდი, ძალიან მცირე, უნდა გამეტო მეტი, გავცნობოდი მშენებლებს, ათობით და ასობით ხასიათს. ჩვენდგომოდი მათ განცდებს, სურვილებს, მისწრაფებებს, სიზარულსა და გამარჯვებებს. მიზანი არც თუ მცირე მქონდა, მაგრამ ჭინჭული დღე ჩემს მგზავრობას რომ დაეძვება, კარგა არაფერს მიქადდა. რაც უფრო მალა მიინეუდა გზა, ბურუსი და ნისლი უფრო და უფრო სქელდებოდა. გზად კიდე ჩვენი ქვეყნის აებუდი წარსულზე უამრავი ფიქრები ამეყვიატა — კრწანისი, დედგორი, მარაბდა... ურჯულად და ქრისტიანი მოძალადე და ყაზაღი, ბოროტის ძლიერებით აღზევებულნი და შურით აღნიღნი... ვის არ შეენთხია ქართული სისხლი ამ ადგილებში დედასამშობო-

ლს ღირსებისა და თავისუფლებისათვის, ვის...

კოდაში, გზის გასაყართან, ახალგაზრდა დამემგზავრა. სურვილს მიზანი ბაფებსო, ნათქვამია. რკინიგზის მშენებლებთან შეხვედრა მსურდა და თეთრი წყაროსაკენ მიმავალ მგზავრებში მაგისტრალის მშენებლებს დავუბედი. არ გამომართლდა, ახალგაზრდა, არქეოლოგი აღმოჩნდა.

რკინიგზის მშენებლებთან შეხვედრა უფრო მესიამოვნებოდა-მუთქი, სიტყვიერ დამცდა ფიქრი.

- ჩვენ ახლო ვართ მაგ საქმესთან. — თქვა ახალგაზრდამ.
- რაგორ? — გავიკვირე.
- არქეოლოგები და მშენებლები მეგობრები არიან...

და ახალგაზრდა ცოდნითა და გატაცებით მოყვა არქეოლოგიურ მონაპოვართა შესახებ. მაგისტრალის 46-ე კილომეტრზე მთელი სოფელი ვნახეთო, თქვა, მშენებლობის შტაბი რაისაბჭოს შენობაშია, მესამე სართულზეო, მიმასწავლა და მომავალი შეხვედრის სურვილით გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. იქ ახლა ელმირა ისაგულოვას თუ ნახავთ მხოლოდო, მომამბა.

შტაბი ერთ მოზრდილ ოთახშია მოთავსებული. აქაც იგივე დიაგრამების, პროექტების, ესკიზების სიმრავლეა. საბჭედ მანქანასთან გოგონა იჯდა და რალაც ქალაღებს ჩაჰყურებდა. ეს გახლდათ ელმირა ისაგულოვა. მივესალმე და სტუმრობის მიზეზი გავაცანი.

— ჩვენთან, დადგენილი წესით, უფროსები აქ ხალამოს შვიდიდან ათამდე არიან ხოლმე, ასე რომ თუ მათი ნახვა აუცილებელია, თორმეტი საათისათვის სადგურ თეთრ წყა-

როში შეხვედრით მშენებლობის შტაბის უფროსს ნოდარ წითლანაძეს. — თქვა ელმირამ.

— კი მაგრამ ასე გვიან იწყებთ მუშაობას?

— რატომ გვიან. სამუშაო დღე მარამადაში იწყება დილის ცხრის ნახევარზე, უფროსებიც იქ არიან და მშენებლებიც.

— კეთილი, ახლა თქვენს შესაფხვრს, რამ გადაგანვეტიანთ აქ მუშაობა?

— ეს პერსპექტივა ამბავია. ახალი ნაგებობები უფროსი შენობებისგან განსხვავდება, აქ უამრავი სპეციალისტი სფირდებათ. მუშა-ახალგაზრდობიდან უკვე ცხრამეტი კაცი ჩაირიცხა პოლიტექნიკური ინსტიტუტის აატრანსპორტო ფაკულტეტზე. ახლა ორმოცდაათმა მშენებელმა შეიტანა საბუთები ამავე ინსტიტუტში მოსამზადებელზე, მათ შორის მეც, მიიღია რკინიგზის ექსპლუატაციის ინჟინერი გავხდე.

შოგვიანებით, როცა მშენებელ ახალგაზრდებთან მომიხდა საუბარი. დაერწმუნდი, რომ ელმირა გამონაკლისი არ გახლავთ, ვისთვისაც რკინიგზის მშენებლობა მომავლის სული და გული, შვენებულნი ცხოვრების აზრი და მიზანია, თუმცა ამის შესახებ შემდეგ... ახლა ორიოდე სიტყვით სადგურ თეთრი წყაროს მშენებლობას შევეხოთ.

მომავალი სადგური ორიოდე კილომეტრითაა დაშორებული რაიონულ ცენტრს. იგი დაცემულ ველზეა განლაგებული და სასიამოვნო მოთმობილებას ახდენს მინახველზე. ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, ამას მათქმეონებს პროექტი, ამ პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია სადგურის შენობის ელექტრო-საკონტაქტო ქსელისა და სხვა დამხმარე ნაგებობათა, სპორტული მოედნების, ბაგა-ბაღების, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა. ამჯერად კი თვალწინ გადაგვეშალა სამშენებლო ტექნიკა, განრელები, რელსები. სატიკროთ და საცხოვრებელი სხვადასხვა დიამეტრის ლითონისა და ბეტონის მილები, რკინა-ბეტონის კონსტრუქციები. შენაღებულზე, მოსაფაღტბული მოედნის ირგვლივ ახალგაზრდა მშენებლების საველე ვაგონები გამორჩეულად მიგანიშნებთ ბინადართა გემოვნებას. თვალს იზიდავს ნი-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ახლა მოსამირკეთებელი და სანტექნიკური სამუშაოები მიმდინარეობს, დასრულების პროცესშია სადგურის შენობა.

თითქმის ვერავის ნახავ ისეთს, გამოვლავარაკო. მუშაობენ თავ-თავიანთ უბნებზე, მიჩენილ ადგილებზე. ჩვეულებრივ საქმიანობაში გართულთ ვერც კი შეხედავ რაიმე კითხვის მიცემას. ერთ-ერთ ლიანდაგზე რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით დატვირთულ

ვაგონებთან სამი კაცი მიმოიხილავდა მსჯელობდნენ და აზუსტებდნენ. მიუხაბლოვდი მათ. ერთ-ერთი შავგვრცინი, ჯნუხი, მკერცი ალნაგონის კაცი შერედა ჩემს დანახავზე.

ვის ეძებთო, მკითხა.

— მშენებლობის უფროსს.

— მე გახლავართ, რაშინა საეწე?

შევატავე ეჭვარებოდა, მოკლედ გავაცანი ჩემი მისვლის მიზანი.

— ბელ დილის ცხრის ნახევრიდან ცხრამდე სადგურ მარამადაში ვივნიებით. ივედამ ნატარებლით წამოვალთ თეთრი წყაროთავე. ეისაუბროთ გზაში, თან ჩვენს ნაბუშეარასაც ნახავთ, შევთანხმდით?..

ასე გავიცანი ნოდარ წითლანაძე, თუკი გაცნობა ეთქმის აუთ შეხვედრა.

ნათელი იყო, აქ შესვენების დასვენებდე ვერავის მოვიხელთებდი სასაუბროდ. ისევე გზაზე გამოვდი და მომავლის სურათი წარმოვიდგინე. — აქ უნდა აშენდეს სამი, თითოეული ნი-ბინიანი სახლი, ესე იგი, სულ მცირე, 180 ოჯახი დაბინავდება. 1990 წლისათვის სახლების რაოდენობა ერთი სამადა გაიზრდება, გამრავლება ოჯახებიც და გაზრდება პატარა დაბა. შეერთდება რაიონული ცენტრი და სადგური. აუვადება მიდაჭო. მუხლს გაიმარებს პატარა ქალაქი. აიგება სკოლები, თვალმალხაზი გოგო-ბიჭები გადაფურცლავენ „დედა ენას“. — შემდეგ...

— რედაქციიდან თქვენ ხართ? — შემომესმა.

— დიახ. — მივუგე.

ჩემს წინ შემოკიდებული ჭალარა კაცი იდგა, წლან ვაგონთან რომ ბჭობდნენ, ერთ-ერთი იმათგანი.

— ელადიმერ ფეოდორივი გახლავართ ტრესტ „საქრანსშენი“-ს მექანიზებული კოლონის უფროსი სამუშაოთა მმარმობელი გეჟირს ერთ საკითხში, მითხრეს, იქნებ რედაქციის ჩარევამ უშველოსო.

იმ დღეს რკინიგზის მშენებლებს საწარმოო გაერთიანება „საქრამადენელის“ მარნეულის ქარხნიდან მიუღიათ 16 ვაგონი წვრილფრთხილი ქვა-ლოლი; მშენებელთა გულსინჯრომას კი ისწვეს, რომ ზოგჯერ ვაგონები შესაბამისად არ იტვირთება და დანაკლისი თითოეულ შემოზიდვაზე 240 კუბურ მეტრ ღორღს შეადგენს.

— ხშირად შემოაქვთ ნაკლები ვაგონები?

— ამ ქარხნიდან უკვე მორედ, წყალთა მურნეობის სამინისტროს მარნეულის კარნიერიდან შემოზიდულზე კი ათობით აქტი გაქვს შედგენილი.

ათობით აქტი ათასობით კუბურ მეტრ მე-

ტად საერთო გზის საშენებელ მთაბალს უდარის. შევინებტად ხომ არ გადაუფიქროთ თავს მიმსოფებლებს?

მერე და აქტებს არაინი ურადებებს არ აქვდა?

— არავითარს, მიუხედავად იმისა დეპუტატის დაკისნარით მათ შედგენაზე, საბალხო კონტროლის წარმომადგენლებს. არავითარ რეკორდას არ ახდენენ. ცალმხრივია თქვენი აქტებიო. ადგილებზე მოვიწყვიტოთ რომ გადასტყირთვამდე შეემონებინათ ვაგონები, მაგრამ არ გამოცხადდნენ.

გამოდის რომ ვიღაც-ვიღაცები გულგრილნი რჩებიან რესპუბლიკაში ამ უდიდესი მნიშვნელობის მქონე სასიცოცხლო არტერიის მშენებლობის მიმართ, რომელიც თითქმის უროვნული სიამაყის საქმედ მიუჩნევიან მშენებლებს.

ჩემსა და ლეოფოროვთან საუბარში „საქარაზადნეული“-ს გენერალურმა დირექტორმა ალექსანდრე დათუაშვილმა გულმოდგინედ სინანული გამოთქვა მომხდარის მიმართ.

— ეს რა მოგესვლია, ხალხო! — მიმართა მან კაბინეტში შეყრებილ თანამშრომლებს.

ურმა სიტყვა „მოკვსელი“ დაიჭირა ერთბაშად. მოგვახლიაო, მავანი ხელმძღვანელი-საგან განსხვავებით, ხელქვეითებს რომ შეამსრულებენ ხოლმე ხელს, პატრულებული აღუქსანდრე თავადაც ინანილებდა პასუხისმგებლობის სიმთიმუს. ეს საქმის ვარგ დასაწყისად მივიჩნიეთ, თუმცა ეფექტის მოხდენის მიზნით თუ სხვა რამ მოსახრებით, უცბად კოლექტივის დამსახურებაზე დაიწყო მსჯელობა და უამრავი გარდასავალი დრომისა და ვინ-პედის მფლობელ კოლექტივად წარმოადგინა „საქარაზადნეული“.

— მშვიდობაში მოგახმაროთ, — აღნიშნა ჩაურთო ლეოფოროვმა, — კვლავც მრავალი დროის მოპოვებას გისურვებთ, მაგრამ ჩვენ ნერიდორიული დორლი გვჭირდება ამგამადა, აი, ის კუბეტრები, რომელიც თქვენმა კოლექტივმა დაგვაქო.

!!!
კაბინეტში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. — ნაყოფად ადგილზე, ვნახოთ, შევთანხმდეთ ერთხელ და სამუდამოდ. — მფლობარობის განმუხტვის მიზნით ვთქვი.

ალექსანდრე დათუაშვილმა მოიწონა წინადადება. მიხვდით, იგი ღრმად იყო დარწმუნებული რომ დანაკლისი უმნიშვნელო იქნებოდა.

ადგილზე 9 ვაგონს ჩაუტანართ დაუტლელს. წარმომადგენლებმა ვაგონები შეამონწყა. 15-15 კუბური მეტრი აკლდა ნორმას თითოეულ ვაგონში.

— შეერკვიეთ და ედ არის. — გულფიცხად მიმართავდა დათუაშვილი თაყვისანებს. — წარხლიც არ გვაქატიერა ეს...

მშენებლებს კი დანაკლისის შესახებ არაფერი აღუთქვა.

— ახლა კი ასე ლაპარაკობენ, მაგრამ დღევანდელ მხილებას ძვირად ათავისცავენ. — გადმოიღილაპარაკა ლეოფოროვმა.

ერთი პირობა გადავწყვიტე გადახეცა ბატონი ალექსანდრესათვის ლეოფოროვის ნათქვამი, ამით ერთგვარად სინდისზე შეეადგებოდი, მაგრამ მყისვე გადავიფიქრე, გენერალური დირექტორი მალალი პასუხისმგებლობის მქონე და პრინციპული ხელმძღვანელი ჩანდა და ამგვარი სიტყვებით გულს უატკენდით მხოლოდ. უდავოდ სასიამოვნოა, როცა ხელმძღვანელი ასე ოპერატიულად და გულსტკივილით მოგვიდება საქმეს. თუმცა აქ რომ მოიქცნენ წყალთა მფურნეობის სამინისტროს მუდარევის კარიერის მსუვეურები, ორჯერ მივაკითხეთ. ადგილზე არ აღმოჩნდნენ. დაუზარეთ — თქვენს მიერ გაგზავნილი ტვირთნაკლული ვაგონები გვიდგას, მობრძანდით და ენახოთ-თქო. თავი არ შეუწყუხებიათ. იქნებ სამინისტრომ იხრუნოს იმ 43 აქტის მომავალზე, რომელიც ამ კარიერის უგერგილო მუშაობის უაქტებზეა შედგენილი.

მეორე დღეს დღითი, როგორც გეკონდა დათქმული, მარაბდის მშენებარე სადგურში შევებედი ნოდარ ნითლანაძეს. დამინახა თუ არა სახე ღიმილმა გაუნათა.

— ჭეშმარიტად საქმის კაცო ყოფილა აღუქსანდრე დათუაშვილი. წუხელ დამითვე გოზილეთ და დანაკლისი. თან მგონი, დამეგობრდით კიდევ. ანო, მითხრა, ყოველი უმნიშვნელო შეფერხება გვაყნობეთო, ხელისფლაკოდებულებმა ვითანამშრომლოთ, ამ დიდებულ საქმეს დიდი გულით უნდა მივუდგეთო.

ჩემთვის მნიშვნელოვანი ის კი არ იყო, დათუაშვილმა სიტყვა რომ არ გატეხა და მისი კოლექტივი თავს აღარ შეიკრებინდა მომავალში, ნოდარ ნითლანაძე დაინახე სხვა კუთხით, გულღია და ხალისიანი და არა ენაძვირი, კუშტი, როგორც იგი გუშინ მეტყენა თეთრი წყაროს სადგურში.

— ერთი ათი წუთი მომიტომინეთ მითითებებს მივცემ ხალხს. თუ გნებავთ წინა თბობავალზე ადით და დამელოდეთ. — მითხრა ნოდარმა.

მოვეყვი სამ თბობავალჩამბული მუშა მატარებლის თვალღერებას. ღია ბაქანზე იგივე მიღები, რკინაბეტონის კონსტრუქციები, განძელები და ამგვარი სამშენებლო მასალა ეწყო.

მეორე ღიანდაგზე ელექტრომატარებელი ჩამოდგა და მარაბდის სადგური აივსო მშენებლებით. გაისმა მრავალენოვანი გადაძახილი, სიცილი, ჩიჩქოლი.

ვრასგზით ვერ წარმომეადგინა, როგორ მოახერხებდა მშენებლობის უფროსი ათ წუთში ამდენი ხალხისათვის მითითების მიცე-

მას, თუმცა სულ მალე ყველაფერი ნათელი გახდა. ეს ზღვა ხალხი უცხად დაიქსაქსა, დანანილდა. ზოგი სადგურის მშენებლობის ხარაზობზე გამოჩნდა, სხვები რკინიგზის ღია-ნდაგების განაწირობა ელექტრო-ხაზების გამართვას მოყვნი, ზოგი თეთრი წყაროსაკენ მიმავალ მატარებლის ღია ბაქანზე მოთავსდა. მუშა-მატარებლის წინა თბომავლიდან ნოდარ ნითლანძე იქნედა ხელს.

ის იყო, ავედი თბომავალზე და მატარებელიც დაიძრა.

მშენებლობის უფროსი დაზებრებულებით ასახელებს ციფრებს აშენებულ ხიდეებზე, გზა-გამტარებზე, ახალდაგებული ღიანდაგების კილომეტრებზე.

ორი წლის განმავლობაში გზის მშენებლებმა დააგეს 47 კმ. მთავარი და მ.კმ. შიდასასადგურო რკინიგზის ხაზი. დაამონტაჟეს 42 ღიანდაგების გადასაყვანი ისარი. ამ სამუშაოების პარალელურად მოუხდათ 74 მცირე და დიდი ნაგებობის აშენება. მათ შორის 3 დიდი ხიდის და 4 გზაგამტარისა. მანქანებით, ასაფეთქებელი საშუალებით, თუ ხელით დამუშავებულია 2 მილიონი კუბური მეტრი მიწა, ქვა, კლდე საერთო ჯამში კი გვეგვის ზეითი შესრულებულია 8 მილიონი მანეთის ღირებულების სამუშაოები.

მუშა მატარებელი დროადირო ჩერდება, გადმოვიან მშენებლები, იცლება სამშენებლო ტექნიკა თუ მასალები და აი იმ ერთი შედეგით ჩვეულებრივ საქმიანობაში იგრძნობა რაღაც დიდი, ღამაზი, მიწიანველი ვფიქრობ, ეს არის რომანტიკა. შეთანხმებით მოქმედი ადამიანების ძალა, ნიაღვარივით რომ წაღვეს ნებისმიერ დაბრკოლებას.

— მაგისტრალს აშენებს „ამიერკავკასტრანსშენის“ სამმართველო და საბჭოთა კავშირის მოვალე ქალაქიდან ჩამოსული სამშენებლო კოლექტივების წარმომადგენლები, სულ 16 ორგანიზაცია. — განაგრძობს ნოდარი, — სხვათა შორის ხვალ საღამოს შვიდზე თათბირი გაეჭეს დანიშნული, ყველნი იქ იქნებიან, ტრენტის მმართველს ამირან საგანდოდებაც გაიცნობთ.

მოვედნებს წინ გავუსწრებ, მეორე დღეს უამინდობის გამო მაღალ მთებში ჩაერჩით ბედენის ახლოს და თათბირზე ვერ მოხვდით.

დაუბრუნდეთ ისევ გზასა და მშენებლებს. მშენებარე რკინიგზა რომ საქართველოს ისტორიის ყველაზე ძველ ადგილებში გადის, ეს ჩვენ კი არა, კივიდიან, ხარკოვიდან, კრანოდარიდან, ველიკოე ლუკიდან და სხვა ქალაქებიდან ჩამოსულმა მშენებლებმავე კარგად იციან. თვით სადგურების სახელები — მარაბდა და ცხრა ძმა, ნადარბანვე, რამდენს გვეუბნება წარსულის უთანანბრო ბრძოლებზე, გამარჯვებაზე, ღალატზე, ძლევაზე. აქვეა დიდგორი, სამშვილდე, თაყარაყანი

კივიის „ტრანსშენის“ მეთაურმა ვლადიმერ ნეჩიპორენკომ მითხრა.

— როცა ამ ადგილებში დავევიარ, ასე მგონია დავით აღმაშენებელსა და დიდებულ თამარის მებრძოლებს ვხედავ. როგორღაც წარმოსახვაში მეტად შესახებად ცოცხლებიან კონსტანტინე გამსახურდიას გმირები. ალბათ თვეწითის, ქართველებისათვის უფრო ძვირფასი და მრავლისშემცველია აქაურობა.

სწორედ რომ, ისეთი თავდადებითა და შემართებით მუშაობა წარმოუდგენელია წარსულის პატივისცემისა და მომავლის რწმენის გარეშე. მწერლურ მაღალფარდოვანებაში რომ არ ჩამოგვართვას, თვით მშენებლებს წარმოგიდგინთ თავთავიანთი აზრებითა და მისწრაფებებით.

შესვენებისას მუშათა სასადილოს წინ ვიდექი მშენებლობის შტაბის უფროსის მოადგილე რევაზ ლომთაძესა და უფროს სრუშაოთა მწარმოებელ ფრიდონ არაბულთან ერთად.

— იმ სამასი არაგველიდგან ერთ-ერთის ნაშვირი გახლავართ, — ხუმრობდა ფრიდონი, — ხმლით რომ იცავდნენ საქართველოს დიდებას. მე ფოლანგის რეცხებს ვაგებ, ამით ერთგვარად ვაგრძელებ ჩემი წინაპრების მამულიშვილურ საქმიანობას.

რევაზმა ქაბუკების უგუფისკენ მიმხედა, ბიჭები შზის გულზე გამოსულიყვნენ და ცხარედ კამათობდნენ.

— ალბათ გუშინდელი ფეხბურთის მატჩის გამო აქეთ ბჭობა.

— გამორიცხული არ უნდა იყოს — თქვა რევაზმა, — მაგრამ ჩვენ ბიჭებს ახლა მგონი სხვა სატკივარი ანუხებთ, შემოდგომასა და ზამთარს აქ კუდეტი გადაბმული აქეთ, ამით კიდევ — სამუშაო ტანსაცმელი არ ყოფნით. დღეს დილით კომკავშირულ მშენებელთა თავკაცთან პეტრე ქოჩიაიძესთან გვეკონდა საუბარი ამ საკითხზე. ვფიქრობ, რაიმეს მოვიფიქრებთ, ერთობ ენერგიული აგალგაზრდაა პეტრე.

მიუვახლოედით ბიჭებს. რეზოს გუშანი არ გამართლდა. ბჭობის მიზეზი ერთი ღამაზი ლეგენდა გამოდგა სოფელ სამლერეთზე. ის ლეგენდა თეთრი წყაროს აღმასკომის თავმჯდომარის მიხედვით დალაქიშვილისაგან გაეგონათ ღიანდაგის დაგებაზე მომუშავე ბიჭებს. იგი სოფლის სახელის წარმოშობას ეხება.

აი, ეს ლეგენდაც:

დაძრულა შამ-აბასი თავისი მხედრობით საქართველოს ასაკლებად. ურიცხვი ღამტარი შემოდგომია ქვეყანას თრიალეთით. ქვას ქვაზე არ ტოვებდა გზად მიმავალი. დიდი ბრძოლის წინ თარეშის უფლებას აძლევდა ღამტარს. სოფელში მოხუცი კაცი ცხოვრობდა თურმე და იმ კაცს სამი უმშენიერესი ასული ჰყოლია. მზეთუნახავებს სიმლერის საოცა-

რი ნიტი პქონიათ და მტრის გამოჩენაზე მამას უბრძანებია, ფანდურები გაეშარათ. გააკვირვებიათ ქალიშვილებს მამის ახირება, რაღა დროს ფანდური და სიმღერა არისო. მოხუცს კი უთქვამს, შაპაბასს ბრძოლის წინ ქალმა თუ გადაუჭრა გზა, ავისმომასწავებლად მიიჩნეეს და ბრძოლაზე ხელს აიღებსო. ვინდლო თქვენმა სიმღერამ დაიხსნას ჩვენი სამშობლო.

გამოგებებიან ქალიშვილები მტრის ჯარს ფანდურის ნყრალითა და სიმღერით. დაბნეულან შაპის მცველები. იყოფნენ მძვინვარე მთავარსარდლის ცრუმორწმუნეობის ამბავი და სიმღერით მოჯადოებულთ ვეღარ გაერკვიათ. როგორ მოქცეულიყვნენ თავად მძვინვარე შაპს კი შეუგებებია ცხენი, მხლებელთათვის ნიშანი მიუცია. მომღერლება ხელი არ შეუშალოთო და მუსიკით ტკბობას მისცემია. სიმღერა რომ დასრულდა. შაპაბასს უკან გაბრუნების ბრძანება გაუცია, ამჯერად ხელს ვიღებ ლაშქრობაზეო. სოფელსაც სამღერეთი დარქმევია ამ ამბის გამო.

ბიჭები კი ვერ შეთანხმებულყვნენ შაპაბასი კი არა, ალა-მანხად ხანი იყო ის მოტყუებული მომხდურისო. ზოგი თემურ ლენგს იჩემებდა, ზოგიც — მურვან ურუს და თავთავიანთ ვერსიებს ამტკიცებდნენ.

— როგორ შრომობთ და ცხოვრობთ, ბიჭებო?

— ხალხიანად. — მოკლედ მოგვიგო საშუალო ტანის მკვირცხლთვალებიანმა ქაბუკმა.

— დიდი ხანია აქეთა ხართ?

— წელიწადია უკვე, მეტიც, კომკავშირული საგზურით მოვედით აქ, ამ ზაფხულს კი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავირიცხეთ ტრანსპორტის უქსპლატაციის ფაკულტეტზე.

— საიდან მოხვედით?

— გიორგი თეთრამე, თემურ არეშოვი, ბიძინა დემეტრიაშვილი და მე მცხეთიდან ვართ. — თქვენი გვარი?

— გიორგი გრიგოლია გახლავართ. ფრიდონ ყაველაშვილი, ხეია ჯაველაშვილი, გოგი მახანაშვილი, გულივერ დავითილიანი და ვარლამ ყურაშვილი ბოლნისელები ვართ. ავთო და თემურ ბეგანიძეები — აჭარიდან ჩამოვიდნენ; გურამ მიჩხიაშვილი — თბილისელია, შალვა ოსიპოვი — შილდელი; ზურაბ ჯოხაძე — ბოსტანას მკვიდრია; ზურაბ ქურდაძე — ხარაგაულისა; ავთო ტარიელაშვილი — სურამელია; გია ტოროშელიძე — ცხინვალელი; დავით გუნცაძე — ზესტაფონიდან ჩამოვიდა. არმაზ ვიგაური — თეთრი წყაროდან.

— მაშ, წარმატებით გველოთ!

— გმადლობთ.

— ხომ ასეთი პირტიტელები არიან, მაგრამ ერთი მაგათ მუშაობას შეხედეთ, ტოლს არაფერში უდებენ გამოცდილ მშენებლებს. —

ბიჭებს რომ დავეცილდით, შემდეგ ვნახოთა და დრო არაბულმა.

ფრიდონის სიტყვების ქვეშაობაში მომდევნო დღეებში დავერწმუნეთ. ბიჭები მართლაც სანიშნოები არიან და არა მარტო შრომისა და სწავლაში. უბრალოდ, ადამიანური ქცევით, ზრდილობითა და კეთილშობილებით არიან ისინი სამაგალითონი. ჰკადე კადეც მიმდევრები. ენეი ახალმოსულები არიან, ნი-მდე მათსავით პირტიტელო, მაგრამ სიბნელეთა მძლეული ახალგაზრდა.

ბეჯენის მთაში ამფუთქებლება გავცვიანთ. ამ რთული და სახიფათო პროფესიის ადამიანებზე დიდად არის დამოკიდებული რკინიგზის მშენებლობის ტემპი. ისინი პირველი არიან მომავალი რკინიგზის მაგისტრალის საძირკვლის ჩაყრამი.

— ზუსტიტელების ქანები გვხვდება, — ამბობს გელა ლანჩავა, ხანდახან შემუშავებული დოზით ჩაბეჭდილი ასაფუთქებელი მასალა მოსალოდნელის ნახევარ ეფექტსაც ვერ გვაძლევს.

დიდი ოსტატობით კი მუშაობენ, არავითარი მიდამოს გამაყრუებელი ბათქი, არავითარი ცაში ატყორცნილი ლოდები და ნამსხვრევები. ბურღავს კლდოვან ქანებს სპეციალური აგურგატი, შემდეგ რამდენიმე ღრმა ტრალი რომ დამზადდება ჩატენიან შიგ ასაფუთქებელ ნივთიერებას. სხვა ყველაფერი, როგორც იტყვიან, ტექნიკის ამბავია; — ამ განმარტებას აფუთქების სამუშაოთა უფროსი ვახტანგ გასიევი გაძღვეს.

და მართლაც მისცეს ნიშანი. ჩვენს წინ მდებარე კლდოვანი ბორცვი შეძახავდა, ატორტმანდა და ყრუ გრუხუნით დადრკა.

უფროსმა სამუშაოთა მმარმოებელმა არჩილ ქარქაშიძემ მებუღდოზრეებს მოუბმო, ანი მათია ბურთი და მოედანო, სამიოდე საათში იქ სადაც ბორცვი იდგა, სალიანდაგო ქრილი გაიმართა. ამ საქმის სული და გული ორი უშანგი გახლავთ: თხელიძე და მეტივიშვილი. მათ სამართლიანად მოუპოვებიათ ვირტუოზი მებუღდოზრის სახელი. ყოველ შემთხვევაში, მე ჯერ არ შემიხვედრია ეს მძღვერი მანქანა მათსავით მორჩილად ემართოს ვინმეს. მებუღდოზრეთა ოსტატობით ჩემი აღტაცება ვალიყო მახარობლიშვილს გაუუზიარე. მდინარე ჭიჭიყავზე მშენებარე ბიდისკენ რომ მივედიოდით მისი „ვეფხვით“ (ასე ეძახის ვალიყო თავის სატვირთოს). ვალიყოს გამოკდილებას ნამდვილად უნდა ენდო, ოცდაათი წელია მშენებლებთან ტრიალებს. მისთვის უგზოობა და უამინდობა არაფერი დაბრკოლებაა. აქო და ადიდა მებუღდოზრეები, სხევიც ბევრი დაასახელა მონიანეები: მებეტონეები ალაღინ ალიხანოვი, ნუგზარ მჭებელიძე, ნიკო მეგრელიშვილი; დურგალი აღ-



ბერტ ბლუაშვილი; ელექტრომემოულებლები ოთარ ქიტიაშვილი და ნაილ ქაშანოვი.

— ყველა მუშა რომ ჩამოთვალა იმ მშენებლების მრავალეროვანი კოლექტივიდან, ნარკვევს კი არა, წიგნს დაწერ. — ამბობს სიცლით. — თანაც, აგერ, მოვედით უკვე ჭიჭიკავაზე.

გინდავთ მკინარე ჭიჭიკავაზე აღმართული ხიდი? — ეფიქრობ, არ გინდავთ, არც ალტეოსა და გეთაზე გადებული ნიდეობი ცენტრით დაშტებარხართ. აი, ლამაზიაო, რომ იტყვიან, ეს არის სწორედ; ადგილობრივ გარემოს ანუ მოხდენილად შერწყმულ ამ მდგრად ნაგებობებს დაფუსფუსებენ ინჟინრები ბორის ტილვარია, გიორგი მამრიკიშვილი, მებეტონები — გაიოზ არჩაძე, ფიოდორ ლაბანოვი, მემონტაჟები — ზალიკო ჯეირანაშვილი, მაჟრი გულაშვილი. მუამნე — ფიოდორ კოხავეცი და სხვები.

უკვე მეოთხე დღეა გამოადარების მოლოდინში ვართ. ნოფარ ნიოლანაძის წინადადებაა, შევეუბნერებით დავათვალეროთ მომავალი მაგისტრალი. თუმცა ამინდი ჭირვეულობს, მფოდადრო ისეთი ბურუსი და ნისლი ჩამონება, მანქანების მოძრაობასაც აფერხებს.

შტაბში ნუგზარ მგელაძე მოვიდა. ეს ის ახალგაზრდა გახლავთ, პირველ დღეს რომ დამემგზავრა, არქეოლოგი. ტახტის წყაროში ნასვლა შემოგეთავაზა, ჩვენები იქ არიანო, გეთობრა.

— ტახტის წყარო მეთერთმეტე-მეცამეტე საუკუნის დასახლებული პუნქტია, იგი ნადარბაზეუთანაა დაკავშირებული — გეთობრა ნუგზარმა.

მანქანა მწვანით შებოსილ მთებში მიიკვლევს გზას. თითქმის ყველგან ისმის კლდეებს შეჭრილებული ბუდეფორების ღრქიალი, გადაძახილები. რკინიგზის მშენებლობა თითო და ორ კილომეტრთან მონაკვეთებადაა დაყოფილი. ერთგან გეოდეზისტებს ნეაწყდით, ზურბბ ტურფაძის ხელმძღვანელობით ხელახლა აგეგმარებდნენ გზის მონაკვეთს.

— ნამოსახლარის აღმოჩენამ ტრასის გადაადგილების აუცილებლობა წარმოშვა. — განმარტა ნოფარ ნიოლანაძემ, — მშენებლები წმინდათა წმინდა საქმედ მიიჩნევენ ერის ისტორიის ძეგლთა დაცვას.

ნადარბაზეუს ჩაუვართ, მეგრამ აღარ გაეჩრდით, აქეთობისთვის გადავდეთ მისი მონახულება, ისეთი პირი უჩანდა, ბურუსი გადაკრიფებოდა დაბრუნებამდე.

მივალწიეთ ტახტის წყაროს. აქ გავეცანით არქეოლოგიური ექსპედიციის ნევერებს. ექსპედიციის ხელმძღვანელმა ბედი შატბერაშვილმა შემდეგი ცნობები მოგვანოვა:

— სამხრეთ საქართველოს სიძველეთა შესწავლა ამ ოცდაათოფე წლის წინ დაიწყო აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის თაოსნობით

თა და ხელმძღვანელობით შექმნილი მემორიალური ექსპედიციამ. მნიშვნელოვანი კვლევა-ძიებას აქ აწარმოებდნენ ცნობილი არქეოლოგები გ. ლომთათიძე, ი. გრძელიშვილი, გ. გობეჯიშვილი, რომელთა სახელებთანაც არაერთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა დაკავშირებული. სამხრეთ საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიება ახალი ძალით გაიწვია მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, რკინიგზის ხაზმა უნდა გადაკვეთოს ქვემო ქართლია. თრიალეთისა და ჯავახეთის მანუბი. ისტორიული ძეგლებით მდიდარ ამ ქართულ პროვინციებში მოსალოდნელი იყო არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენაც. სწორედ მშენებლობის ზონაში მოხვედრილი ძეგლების მიკვლევა და შესწავლა დაეკისრა საგანგებოდ შექმნილ მარაბდა-ახალქალაქის არქეოლოგიურ ექსპედიციას. ჩვენმა სადაზურეო ჯგუფმა საგანგებოდ შეისწავლა მშენებლობის 160 კილომეტრთან ტრასა და რამდენიმე ათეული აქამდე უცნობი ძეგლი აღნუსხა. ამ ძეგლების ერთი ნაწილის შესწავლა უკვე დაწყებულია არქეოლოგიური სამუშაოების თანამიმდევრობაში შესწავლთა გრაფიკისა და ტექნიკის შესაბამისად იგეგმება. ამჟამად ზუთ უბანზე ვმუშაობთ: სოფელ მარაბდის მახლობლად რკინიგზის სადგურ „ცხრა მზისთან“ ესწავლობთ გვიან ბრინჯაო — ადრე რკინის ხანის ნასახლარს, აგრეთვე ანტიკური ხანის სამაროვანს. რკინიგზის ხაზის 45 კილომეტრზე მიმდინარეობს ფეოდალური ხანის წყალსადენის სისტემის შესწავლა. 46, 47 კილომეტრებზე მდებარეობს ნასოფლარი „ტახტის წყარო“, რომელიც შუა საუკუნეების ნასოფლართა შორის ერთი ყველაზე მასშტაბური, უკეთ შემონახული ძეგლია (ნასოფლარის ფართობი დაახლოებით 7 ჰექტარია). ამ პერიოდის ნამოსახლარები ნაკლებად არის შესწავლილი და არ ვიცნობთ იმ ცხოვრებას, რომელიც აპირობებდა რუსთაველის დროის საქართველოს ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სიძლიერეს. ნასოფლარის შესწავლა წარმოდგენას მოგვცემს განვითარებული შუასაუკუნეების ქართულ სოფელზე, მის მფურნეობაზე, დაგეგმარებაზე. გლეხის კარმიდამოზე და სხვ. რკინიგზის ხაზის 49 და 52 კილომეტრებზე ითხრება ე. წ. „ბედეური კულტურის“ გორასამარხები (კორლანები). დიდია ამ ძეგლების მნიშვნელობა ქართული არქეოლოგიისათვის. ისინი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან III და II ათასწლეულების კავასისისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის კარგი სადაზურეო საკითხების კვლევისათვის. აღნიშნული გორასამარხები გამორჩევიან მდიდარი და ნატიფი ინვენტარით. აქ ადრე აღმოჩენი-



ლი ოქრომჭედლობის ნიმუშები თამამად უტოლდებიან ძველი სამყაროს ცნობილ ხელოვნების ძეგლებს. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ უორდენტობიდან მომდინარე მასალამ, დამახასიათებელი თავისთავადი ნიმუშების გამო თავის დროზე მოგვცა საშუალება გამოგვეთქვა მოსაზრება, ახალი, მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი არქეოლოგიური კულტურის — „ბედენის კულტურის“ გამოყოფის შესახებ. ვფიქრობ ახალი აღმოჩენები დამატებით საბუთებს მოგვცემს ჩვენი მოსაზრების გასამაგრებლად. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა შესწავლას. არქეოლოგიური კვლევა ძიების დაფინანსებას. ამის ნათელი დადასტურებაა საქართველოში ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური კვლევა-ძიება ახალმშენებლობათა ზონებში. ჩვენი ექსპედიციაც მონაწილეობდა შექსიმალურად გამოავლინოს და შეისწავლოს მომავალი რკინიგზის ხაზის მიდამოებში მდებარე ისტორიული ძეგლები, გადართინოს ისინი დაზიანებასა და დაღუპვებს...

ნაოფლარის დათვალიერებისას რატომღაც ყველანისდუმდნენ, აღარც მე მქონდა რაიმის თქმის სურვილი, სახეზედაც სედა აღბეჭდოდათ. იქნებ სწორედ ვერ ავხსენი სხვების განწყობა, მაგრამ გარდასულ დროთა უტყუმა ნარჩენებმა რაღაცნაირად იმოქმედა ჩემზე. უხმოდ გავედით მდუღარზე, სადაც მანქანა გველოდებოდა აქ დავეშვიდობეთ არქეოლოგებს და ნადარბაზევისაკენ დავეშვიტით.

— ე, რა ცხვირპირი ჩამოგტირით, ხალხო! — სიცილით თქვა ნოდარ ნითლანძემ, — სიცოცხლის წარმადობამ შეგაჭმუნვათ, მგონი, ფიქრობთ, საით წასულა ის ხალხი, ეს ქვა და ლოდი რომ უხიდავსო? არსად, ჩემო კარკაბო, აქა ვარ იმათ შთამომავალნი, აქი ჩვენს წინაპარს უთქვამს, კიდევაც დაიზრდებიანო.

არაუის არაფერი უთქვამს, მგონი სწორედ ჩაძვალის ნოდარის ნათქვამი.

უშვენიერესი ადგილია ნადარბაზევი. მწვანედ მოხასხასე ვაკეს შემადლებულიდან გადმოპურებს თამარის სასახლედ ნოდებული ქვიციკის შენობა, რომლის აღმოსავლეთ კედელზე გულარზენად შემომგდარიყო არწივი. სასახლის ქვემოთ მდებარე დიდი ქალა შუაზე გაუკეთია რკინიგზის მაგისტრალს. ჯერჯერობით აქ ბუღდოზერები ხმაურობენ, შემდეგ კი...

— აი იქ, — ხელს რკინიგზის მომავალი ხაზისკენ იშვერს რევაზ ლომთაძე, — ბუღდოზერების მიერ წრე რომ არის შემოვლებული სადგური აშენდება.

- სადგური თუ ასაქცევი?
- სადგური.

— ახლო-მახლო სოფელი არ გყავს გურნი?..

— რკინიგზის უმთავრესი დანიშნულებაა ამაში მდგომარეობს, ხალხი უნდა შემოიყვანოს ამ მდიდარ ადგილებში. ვითომ როგორ, შედეგებს თუ მოსწონდათ აქაურობა სააგარაკოდ, ჩვენს ბავშვებს აწყენს? შთის გრილი ჰავა და ანკარა წყალი მიიხედეთ იქით, განა ურიგო იქნება იქ პიონერთა პანაჯების აშენება? არა და რკინიგზა ხომ იმიტომ შენდება, შთის გულში მიძინებული სიმდიდრე ჩადგეს ადამიანის სამსახურში. აქ პატარა დაბაე რომ გაშენდეს, სამუშაო ყველასათვის მოიძებნება.

დაიბ, სწორედ რომ ასეა. ორი დღის წინ საქართველოს კომპარტიის მეთორი წყაროს რაიკომის პირველ მდივან ჯუმბერ ბედუკაძესთან მქონდა საუბარი. რაიკომის მდივანმა რკინიგზას რაიონის სამრეწველო ზრდის არტირია უწოდა.

— აქაურობა დაიქსელება ქვის დასამუშავებელი კარიერებით, მწყობარში ჩადგება ქარხნები, უთო ათად გაიზრდება რაიონის სამრეწველო პოტენციალი. — გვითხრა ჯუმბერ ბედუკაძემ.

ბაზალტი, მოსაპირკეთებელი ტუფი, ყვითელი ქვა — ეს მხარე, ხომ მართლაც აურაცხელი სიმდიდრეს მალავს მთათა სიღრმეში.

შველმებურნი 300-400 მეტრის სიმაღლეზე მიფრინავს. ჩინებული ხილვადაობაა. სარკმლიდან ხელისგულივით მოჩანს ერთმანეთზე მიჯრდილი მთები. განსაკუთრებულად ლამაზია სამშვილდის ციხე, უნიკალური საინჟინრო ნაგებობა სამი მხრეგ მიუვალი კლდეებით დაცული, უტყუარი მემატინანე წინაპარა ვარამისა.

სარკინიგზო მაგისტრალი სიმაღლეს იღებს. თუ სადგურ მარაბდიდან თეთრი წყარომდე 37 კილომეტრ გზაზე სიმაღლის მატება 500 მეტრს უდრის, თეთრი წყაროდან ბედენამდე ამდენივე მანძილზე 700 მეტრს წარმოადგენს, ხოლო ნალკიდან თაფარაენამდე 40 კილომეტრ მანძილზე კი 1 000 მეტრია სხვაობა. ბედენისა და ნალკის მონაკვეთზე ფართო ფრონტი გაუშლიათ მშენებლობა, იგება ხიდები, გზაგამტარები, მზადდება რკინიგზის დასაგები მინაყრილები.

დაფრენას ქარი უშლის ხელს.

— აქ იგივე ამიერკავკასიის „ტრანსშენის“ №243, 349, 332 და 692 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ხალხი მუშაობს, აი იქ კი „მთავარხიდეშენის“ № 39 ხიდმშენებელთა რაზმის ნაწილია, იქთ ნალკის მისადგომებთან „სამხრეთმშენმექანიზაციის“ მექანიზბული კოლონები. საქმე კარგად მიუდით. ასათი — ასთხუთმეტი პროცენტით სრულდება მშენება.

მე ქარაფებს ჩაეცქერი, სად უფლიათ დამ-

პროექტებლებს, გეოდეზისტებს, გეოლოგებს. გონების თვალთ ვხედავ მათ. პროექტის მთავარი ინჟინრის გიორგი ჯაშის სიტყვები მახსენდება — რკინიგზის მშენებლობის პირველი სიძინელები ასე თუ ისე ჩვენს კოლექტივს ხედა ნილადო. ზურაბ პატარაიას, ვალერიან უგრეხელიძეს, გივი ქველიძეს, მურთაზ გაბუნიას, ანზორ სანდლერს, ნოფარ ბაღვაძეს, გულაფ აბესაძეს, გიზო ტყემალაძეს, ექტორ ბრეგვაძეს, მურაფ პირველს, დემსარ დემეტრაშვილს, ლერი მიქაბერიძესა და მათ ამხანაგებს მეტროპოლიტი კი არა, გოჯობით აქვთ აქაურები შესწავლილი, გადამოწმებული, გაზომილ ანონილი.

— მინც როგორ დადიოდნენ ამ ციყაბობებზე? — ვერ ვფარავ გაკვირებას.

— ეის შესახებ ამბობთ?

— დამპროექტებლებზე.

— იმათთვის გაუვალი ადგილი არ არსებობა. სამაგიეროდ უკეთეს პროექტს ვერც ინატირებდა მშენებელი, საიუველირიო სიზუსტითაა ყველაფერი მოცემული, იშვიათად თუ გვიხდება კორექტირება. ეს მათი დიდი გამარჯვებაა.

— დამპროექტებლებსა და მშენებლებს შორის დამოკიდებულება ყოველთვის ნინაალმდეგობითი ხასიათისაა, თქვენთან გამონაკლისი მომხდარა.

— დიახ, საბედნიერო გამონაკლისია.

— ერთი ხუთასი მეტრი სიმაღლე კიდევ რომ ყოფილიყო, ეს ჩვენი „პებულა“ ვეღარ ავიდოდა. — ამბობს მფრინავი, — ამათი ტერი სამი ათასი მეტრია, ორიათას ხუთასზე კი ვიმყოფებით უკვე.

თაფარავანზე ვიყავით. დიდებული ხედია. აი, იქ კი გუფდება სურვილი, ცხრა მთას იქით ეგზოტიკის მაქებართ გადასახო — შეიცან მამული შენი! განა რა სიღამაზე შედრება აქაურობას, მარტო ბოგდანიოვის რაიონი მზის ნათების ხანგრძლიობის მხრივ პირველ ადგილზეა დასახლებულ პუნქტებს შორის კავშირში. აქ საშუალოდ 7 საათს ანათებს მზე დღე-ღამეში. ახლა არქიტექტურული სიძველეები, ბუნებრივი იშვიათობანი... თავი რომ დავანებოთ ეკონომიკურ, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ეფექტს. ყოველივე ამას ხილვისა და შეცნობის საშუალებას უზნის რკინიგზა ადამიანებს.

«ცრემლით ნაქოვი» სიცოცხლის სიყვარული

ტარიელ კანტურია მძიმებული სულის ზე-
ლოვანია. ამიტომაც მის მიმართ მწერა უო-
ველთვის გამაზვიებულა. ტ. კანტურიას პო-
ეზიის ქვეშაირი დახასიათება მომავლის საქ-
მეა. აქედანაც მისი შემოქმედების მხოლოდ
ზოგიერთ ასპექტზე გვხვრს უწრადღების შე-
ჩერება.

ტარიელ კანტურია უპირველესად ლირიკო-
სია. თავის პოემებსა და ესსეებშიაც კი ლი-
რიკოსად რჩება. შეიძლება ითქვას, რომ ტ.
კანტურიას მთელი შემოქმედება შინაგანი
მღელვარების წინააღმდეგ აღბეჭდილი და „აქ სუ-
ბიექტი ის ცენტრია, რომლის გარშემო ბრუ-
ნავს მთელი სამყარო“ (ე. ლუკა). ამ აზრითაც
ტ. კანტურია ქვეშაირი ლირიკოსია, რაც
პირველ უოველისა იმას წინააღმდეგ, რომ იგი თავის
მიმართებს. დამოკიდებულებას მოვლენებისა-
დმი შემთხვევებისადმი, ქცევისადმი, გრძნობა-
თა ემოციურ ნიადაგზე შლის. რაკი ლირიკულ
თხზულებასში სუბიექტურა მომენტია გაბატონე-
ბული. ფაქტია, რომ აქ ავტორის პოზიციაც
ცხადად არის გამოკვეთილი, რაც განაზღვრავს
მის უშუალოებას, გულწრფელობას და აქედან
გამომდინარე ემოციათა სიმძაფრებას.

ტ. კანტურიას კიდევ ერთი ღირსება ისიცაა,
რომ თავისი გრძნობების გამოხატავად ნაირ-
ნაირ ხერხს მიმართავს და ერთი ფანტის ფარ-
გლებში უჩვეულო შინაგან მრავალფეროვ-
ნებას აღწევს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქა-
რთულ პოეზიაში აღბათ არც ერთ პოეტს არ
ხუავს ლექსის იმდენი აღრისატი, რამდენიც ტ.
კანტურიას. მაგრამ ეს მიძღვნილი ხასიათის
ქმნილებები კი არაა, არამედ ისეთი ლექსებია,
როცა განწუხებულობათა თანამონაწილედ გა-

მოდის პაროცნება. აღნიშნული გარემოება უფ-
რო მეტ ლირიკულ დაძაბულობას ანიჭებს ამ
ნაწარმოებებს.

ტ. კანტურიას შესწევს უნარი ურთიერთ-
ისაგან ძალზე განსხვავებული მანერითა და
სტილით მიაწოდოს მკითხველს თავისი ნა-
ფიქრი.

ემერსონი წერს: „პოეტმა იცის, რომ ის
მხოლოდ მაშინ ღაპარაკობს სწორად, როცა
რამდენადმე უცნაურს იტყვის“. ტარიელ კან-
ტურიას განსხვავებული მანერით შექმნილ ნა-
წარმოებებს ამ „გაოცების ეფექტისაგან“ სწრა-
ფვა აერთიანებთ. სანიშნოდ ავიღოთ ლექსი
„დავით აღმაშენებელი“ (სპირიტის ფიქრი):

მოდო მეფე, დიდ წარსულში
გადაკეთოთ გრძელი რაქი:
შენ აქ მოდი, მე იქ წაუღ...
ღრო კი, მბრძანებულო... ღრო კი
საუფენე იყოს ჩვენი —
ჩემთვის ჩემი, შენთვის შენი.
ღამიჯერ, შენ აქ, მე იქ —
ერთნაირად შევიშლებით!...
შენ აქ — კრივი და კრიკეტი,
წყალბურთი და ბიატლონი,
და წუწუნე გარდასულზე:
„ღრონი, ჩემო კარგო, ღრონი...“
მე — კრილობა... მე — ისრები
შაპის და ბარქიაროკის,
და მარალი სინაბული:
რატომ გავაკეთეთ რაქი.

სინამდვილის სულ სხვა ხედვაა წარმოდგენი-
ლი „თფილსელი დიდუპარის სიმღერაში“.

ვარ ვაჭრებში პირველი,
ჩემი საქმე წინ არის,
დილით მტრადი გავყვიდო,
საღამოზე შენ არს...

სმენდა სექტემბრის ზმებო, ^{საქართველოში}
— მზე კი თვალებში მაღვრის ^{საქართველოში}
სანაპიროზე ქალი და ქარი
ვლიაც ქარებზე მასლაათობენ.

არცა პოეტი თვითვე გამოკვეთს ლექსის
მიზანდასახულობას და უწოდებს „ირონიულს“.
ეს უკვე იმითვეთვე ღრმა ფიქრის მაუწყებე-
ლია და გარემოსადმი დამოკიდებულების გარ-
კვეთულ თვალსაზრისზე მიუთითებს:

დაირღვა ძველის — ძველის — ძველი
უღამაზესი პარპონია
უკველ მებუთე წამაყავში
დღეს დედაყავის პარპონია
ანუ მებუთე აკვი უველია —
პირწავარდნილი ლაჩარია!
უნდა ამასაც შეერგოდე!
რას იზამ, მებტი რა ჩარას...
(„ირონიული“)

სხვაგვარი განწყობილება მოცემული ამ
სტრიქონებში:

ისეუ ბარდნის, ბარდნის, ბარდნის,
მე ვიკონებ ირმა ბარტლეს,
ჩიტის გული ჰქონდა ირმას,
უფრო სწორად — ჩიტის ბარტლეს.

ეს ლექსები ერთმანეთისაგან დაშორებულ
დროით მონაკვეთებშია დაწერილი და შეიძ-
ლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ პოეტური
ხედვის მიხედვით გამოკლებილი მკვეთრი სხვა-
ობა საყვებით კანონზომიერია, მაგრამ იგივე
პროცესი შეიმჩნევა უთანასწოვლად გამოკვეთე-
ბული ასალი ლექსების ციკლშიც („ლიტ. სა-
ქაროველი“, 1982, № 11). ეს გარემოცა კი ტ.
კანტურიას პოეტური ბუნების შინაგანი მრავ-
ალფეროვნების მაუწყებელია, მისი შემოქმე-
დებითი ფანტაზიის მრავალმხრივობის დას-
ტურია.

ცხადია, ამ მაღალი მიზნის მიხედვითად ავ-
ტორს, მშობლიური ლიტერატურული ტრადი-
ციების ღრმა გათავისებასთან ერთად, ასალი
დროის ლიტერატურულ ცნობრებასთან საკუ-
თარი სულიერი ენერჯიის ერთგვარი „ტრანს-
პლანტაცია“ სჭირდებოდა. ტ. კანტურიას
სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა ქართული ლი-
ტერატურის უმაღლეს მონაპოვართა სათანადო
სიღრმისეული გააზრების პერიოდს ემთხვევა.
პოეტი იმ სულესკვეთების გამოშვებელია, რო-
მელსაც ქართულ სინამდვილეში უველაზე სრუ-
ლყოფილად გალაკტიონ ტაბიძე ამდევანებდა. —
ტ. კანტურიასთვის ასოციაციური მანერათ
განცელების გადმოცემა სუბიექტურ ბუნებრივია.
მაგალითისათვის ავიღოთ შემდეგი სტროფები
ლექსიდან — „შემოდგომა“:

ზედიზედ იცვლის ღრუბელი კაბებს.
ნიაგი ჰყვება ნივის ამბებს.
...ლაშქრმა მერე, და ბადრი მთვარე
დასაძინებელს არიგებს ამბებს...

აზრობრივი, ლოგოკური შესაბამისობა ამ
სტროფთა შორის დარღვეულია, მაგრამ, განც-
დის თვალსაზრისით, აქ უველაფერი ადამიანურ-
რი იმ დროსაა, ადვილად აღიქმება შემოღვრ-
მასთან დაკავშირებული ასოციაციების სილა-
მაცე.

ტარიელ კანტურიას ნაწარმოებთა უმეტესო-
ბა შინაგანი სევდით არის განსსუვალული. აღ-
ტაციების და სიზარულის მომწინდე თავისი
არსით სევდაზე აღმოცენებული და მითვე უნ-
და იუბა გაწონასწორებული — აი, ესაა ამო-
სავალი თვალსაზრისი ტ. კანტურიას მხატვრუ-
ლი ხედვისა, ამასთან, განსაკუთრებით აღსანიშ-
ნავია ის, რომ ტ. კანტურიას ლექსებში გა-
მოკლებილი სევდა კეთილშობილი, უბოროტო,
რადაც გამორჩეული სინაზიითა და კდემით მო-
სილი სევდაა. პოეტი მათრად განიცდის ლი-
დებული აყავის „საიდუმლო ბარათის“ გახსე-
ნებას, დავით აღმაშენებელთან გასაუბრებას
(„დიდი წარსულში გრძელი როკი“), ფიქრს
იზახე, თუ „საით მიფრინავს ამდენი უვავი“.
ესა უსასრულო და უსაშველად სათუთ გრძლო-
ბათა, მოგონებათა სამუარო, რომელიც ნადველ-
ნარეე სიტკობს აღმრავს მკითხველის სულში...
უველაზე მკათიოდ შიანც სევდის სიღრმე და
ძალია პოეტისა იმ ლექსებში გამოკლინდა, რო-
მელშიც სიკვდილის თემას ეძღვნება. ამ თემას
პირობითად ჩვენ საფლავის მოტეხაც შეიძლება
ვეწოდოთ, რადგან სწორედ საფლავთან არის
უველაზე მათრად დაკავშირებული მარადი-
სობასთან შეერთებული ადამიანის ხედვრი.

ჩვენს ლიტერატურაში გრავოლ ორბელიანი
და ნიკოლოზ ბარათაშვილი იყვნენ ის პოე-
ტები, რომელთაც მათრად ჰქონდათ გამომუ-
შავებული დიდებულ წინაპართა თუყვანისცე-
მის კულტურა...

შემდეგ აკვი, ვეფა და გალაკტიონი არიან ის
პოეტები, რომლებიც წინაპართა ხსოვნის სი-
დაადის ცნობიერებას ამკვიდრებენ მკითხველის
სულში.

ჩვენს პირობებში ტარიელ კანტურიას აღმო-
აჩნდა განსაკუთრებულად მოუღლებელი ენერჯია,
რომ გარკვეული პოეტური სისტემის დონეზე



აუფანა წინაპართა ზსოვნისადმი დანტრესე-
ბა. მას, როგორც შიარლოვს, აქვს სახსენით
გამოკეთილი სურვილი, რომ გაიყონობროს
და სხვასაც გაუსიგარქვანოს სიკედლის ეს
მეფური სიამაყე და საფლავის დიდებულება,
აი, რას წერს ამის შესახებ თვით ტარეველ ქან-
ტურია: „არაფერია დაკარგულ საფლავზე საბ-
რად, მაღალგადვილ და უპატრონო სამა-
რეზე საყოფიერი. ქართველი აკისბოვის უქი-
რისფერო საფლავი უველანზე დიდი თანამო-
ბის საგანია. „ქირისფულს მხოლოდ ცრემლი
შეინისო“, გვსწავლის აკაკი. თავად იგი უდი-
დესი ქირისფულია ამ დაკარგული საფლავე-
ბის; ვგონებ, ასე ცხადად არც ერთ ქართველ
პოეტს არ შეთაფრებავს გვირგვინისათვის ფიქ-
რიც იმაზე, რომ „დაშინის სიცოცხლე საფ-
ლავით არ იწეება, საფლავით თავდება იგი!“...
ახლა ვნახოთ, როგორ აისხა ტ. ქანტურის
პოეტურ სამუაროში საფლავის კუდტი, რომე-
ლიც ერთ-ერთი საშუალება იმისათვის, რომ
აღამიანმა გაიყონობროს სიკედლის-სიკო-
ცხლის ფასი და შინიშენელობა. პოეტის მძი-
ებელი გონება დღენიადგ ისეა მომართული,
რომ „უნდა უველაფერის გაიგოს ფასი, მარტო
სიკედლის შეცნობა რად ღირს“ („ბავშვი,
გასროლა, სინანული“).

ტ. ქანტურია კარგად იცის სიცოცხლის ფა-
სი. ამიტომ ასე ბევრს წერს სიკედლისა და
საფლავზე. მაგრამ, პოეტის თქმით, რადგან
„დრო გაქრალია სამარესათ“ და რაკი ადამი-
ანს „სულ დაღმართ. დაღმართ... სულ ზიფათ-
სიფათ“ უწევს ამქვეყნად სულა და „წემოთ
და ქვემოთ უველანს სიკედლია“, ამიტომ
ღირს ისეთ აღსასრულზე ფიქრი. რომ ადამი-
ანის სახელმა საფლავიდან სანთელივით გა-
მოსართოს. დიდებულად წერს პოეტი: „რა
შუაშია ფოსფორის შუქი: საფლავი დამით
წოვიერთი ანათებს მხოლოდ, თუ სიცოცხლე-
ში არ აგრკლე სხივი და სხივი, საშუალოდ
დარჩები ბნელში: საფლავი ღამით — წოვიერს.
თი ანათებს მხოლოდ! შე რომ მკითხავდნენ,
დად რუკებზე, დად ქალაქებთან, დიდი საფ-
ლავი უნდა აღნიშნონ, რადგან საფლავი წო-
ვიერთი ანათებს მხოლოდ!“ („ორნი“).

ტ. ქანტურის პოეტურ წარმოდგენაში განსა-
კუთრებულ ხიზს იძენს საფლავის თავუანისცე-
მა იმტომაც, რომ ესაა საშობლო ქვეყნის მიწა.
წუღთან აღამიანის ფიზიკური და სულიერი
კავშირის წმინდა საბუთი. როგორც ცნობილია,
არსებობს საშობლოსადმი სიყვარულის ბოლო-
კიდობა და ზნეობრივი გრძნობა. თავდაპირველი,
ცხადია, გარემოსადმი, მიწისადმი ფიზიკურ-ბიო-
ლოგიური სიყვარულია. განვითარების მაღალ
საფეხურზე კი ფიზიკური სიყვარულის გრძნო-
ბას ენაცვლება სულიერი-ზნეობრივი, არათუ
აღამიანს. სიადისაც ქონია მამა-პაპათა საფ-
ლავისაკენ ღრმულას გრძნობა და პოეტის
მოხიბულია ბუნების ამ განსაღი შევილის

ბუნებრივი და შესანიშნავი თებებში, სიკედლის
რულის ეას მიკითხოს წინაპართა საფლავს.
არის რადეც დიადი სიადუმლო ამ ნაბიჭო,
რაც შეიძლება არ იტაცებდეს აღამიანს... „მი-
დის სიადო და მარტოდ მარტო კვდება სპი-
ლოების სასაფლაოზე. იქ, მამა-პაპათა საფლავ-
ში ქაქათებს სიადოს ბრჭყვიალა ეწევი. ღა-
მაზია სპილოების სასაფლაოც, რადგან ძლიერია
სპილოების ქოჯი და, წმინდაა მათი სიადუ-
ლო-სასაფლაო“.

ტ. ქანტურის პოეტური წარმოსახვა ვანსა-
კუთრებულ სიმაღლეს მაინც მაშინ აღწევს,
როცა იგი „წუნარი სიკედლის ცივი სურვი-
ლით“ ანთებულ სიადოს გვირგვინს:

და ერთი, უფრო თეთრი და სუსტი,
მაგრამ ამაყი, როგორც სიკედლი,
„მიწედა სასაფლაოსკენ,
სადაც ბროლივით ელაყდა ძვალი,
ძვალი წინაპრის, მაშის თუ დღვის.
(„მირავი სპილოების სასაფლაო“).

არაფერია მოულოდნელი იმაში, როცა „ე-
მოკრძალებით იხსენიებს ტ. ქანტურია წინა-
პრებს:

მიწაზე, გაელს მეწინა —
არ შეგეწუხო სხეულები!
ცაში ფრენისაც მეწინა —
არ შევაწუხო თქვენი სულები!
მალე — მიწაშიც თქვენთან ვიქნები
და ცაშიც — თქვენთან მივიღულები,
ასე ელაყვით ბოლოს ერთმანეთს
მიწაზე... ცაში დაკარგულები,
(„წინაპრები“)

ტ. ქანტურია გამორჩეული კედებით მიმარ-
თავს ისეთ დიდ პიროვნებებს, როგორცაა
დავით აღმაშენებელი, ცოტან დადიანი, სულ-
ხან-საბა ორბელიანი... მოცემულ ვითარებაში
მათი საფლავები მკითხველისათვის ახალ გრძნო-
ბათა და განწყობილებათა აღძვრის წყაროა.
ასეთია, მაგ., სულხან-საბა ორბელიანის მიმარ-
თვა დავით აღმაშენებლისადმი:

გეყოფა ძილი, განჯღრეც, ვაღვიძებ
გეყოფა ძილი, ადგ, გაგვიძებ!

ტ. ქანტურია პიროვნული ღირსების გრძნო-
ბითა და საკუთარი ძაღების თვითგანცდით
აღვსილი გვამცნობს:

ამ ლოდებივით — დიდი ცხოვრებაც
ჩაქარგულია ყვეთელ ზალაში.
მეც შენი ერთ მეციხოვნე ვარ,
კაცმა არ იცის, როგორ ვაღაჯრი...
მე ვწუხვარ შენზე, ვწუხვარ და ვფიქრობ
შურისგებაზე და ვადახდაზე.

მგავსი სოციალური ხასიათის მოტავი აქ-
ტურად ერთვის ტ. ჭანტურიას პატრიოტული
პოეზიის მმარხა და ცოცხალ ნაკადს, მგავს
გვებდება, აგრეთვე, წინაპართა ხსოვნისადმი
პოეტის დამოკიდებულების გამოწხატებული უა-
ღრესად ინტიმური ხასიათის ღექსებიც. ამ
შემთხვევაში პოეტს ანტიერესტის არა იმდენად
გრძნობათა წარმოშობის ნიდავა, არამედ
უშუალოდ ამ გრძნობის ინდივიდუალური სიმ-
წვევი, მისი შინაგანი მრავალფეროვნება. ასეთ
მომენტში უფაქიზესმა და სათუთმა განცდამ
შეიძლება ისეთი ძალა შეიძინოს, რომ გამო-
არღვიოს საფლავის სიმძიმე და მტკივნეული
სინაზით ათორიაქოს მკითხველის სულს.
შეუძლებელია აუღიდეებლად წაიკითხოს კაცმა
შემდეგი სტრაქონები: *

როგორც კი მოვა ნოემბრის წვიმა
და ვფიქვლ ზვინებს ნისლი დამალავს,
მამონეე მამის საფლავზე მივალ
და ვნახავ — ქვეყნის ნაყოფდამარად.

ვერ დავავეს გვიმრის ფესვებმა
ცემენტი, ღორღი, თხა და სილა,
აწვიმს და გული დარდით მეცვება
მათ გამო, ვისაც ლოდებქვეშ სწინავთ...

წვეთავს და თითქოს კისტრში ჩამდის
წვეთები ცოვი და ემერიკი,
ავზილუ ფეხით სიკვდილის ლანდი
და საყვედური მესმის მამერი.

სველდება გვირა, სველდება ბარდი,
სველდება ბზის და წვეერჩხლის ტოტი,
და მესმის: „შვილო, ქო, ახლა წიდი,
და შერე... ერთხელ... ოდესმე... მოდო...

გარდაცვლილი მშობლის წარმოსახვას ერთ-
გვარად ავსებს და მის პორტრეტს მთელის
სიმბაფრით აცოცხლებს შემდეგი სტრაქონები
სხვა ღექსიდან:

ო, როგორ უნდა გადიდებულ სტრატის
მიმისას
გადმოვიდეს შავი ჩარჩოდან,
გაისწოროს ვერთხბალიში,
მტკიანმალავებქვეშ ამოდებულ,
დაანთის ცეცხლო ცალი ხელოთ,
დააღვას ჩაი.
ამოიტანოს თონიდან პური,
და მხოლოდ შემდეგ გამაღვიძოს.

ტ. ჭანტურიას პოეტური ხილვა-ფანტაზია
განსაკუთრებულ სიმადღეს აღწევს, როცა იგი
უღროოდ გარდაცვლილ მკირაწლოვან გოგო-
ნას იხსენებს:

„ათი წლის წინათ აქ მგავსი სოციალური
ტვიის ბექთან და ეკლარის ქვასთან,
გოგოს ღროდადრო ეღვიძება და
ერთი სურვილი აბორგებს მხოლოდ,
როგორმე დედას ააწვდინოს სუსტი
დახლი:
— დედა დედაყონა, უკვე გავიზარდე-
დიდი, დიდი-დიდი გოგო გავიზარდე!
რომ მპირდებოდო, ისე გავიზარდე!“

პოეტის ფანტაზია ადამიანის სევდიან ფიქ-
რთა ყველაზე ფარულ შრეებში აჭრება დე-
დისადმი მიძღვნილ ღექსშიც:

გარტ ქარბუტი არხედა ქადრებს,
მინებზე ზამთარს ბატავდა — რთვილი,
დედა წვებოდა ყველაზე ადრე,
რომ მე ლოგინი მქონოდა თბილი...
...და მოკვდა იგი, გამრქე და შემძლე,
მას დარდად წაჰყვა ფიქრები ჩემზე,
არა, აღარ ზის ის საჩუჩელთან,
ათვის დედის გულს, თოვლივით სუფთას,
ის ადრე მოკვდა, ვინ იცის, ჩემთვის,
ცივი სამარის გათბობაც სურდა...
(„ზამთარი“).

ყველა შემთხვევაში ტ. ჭანტურია ჭქნის
საფლავის ხილვის პოეტური იღუწიას და
თითქოს ქვეყნელიდან ეხატებება შეილთა-
შვალსაც კი:

ოდესმე, ერთხელ ჩემს საფლავზე ამოხვალ
თუ კი —
მშინარე თვალებს მოადგები ვით
მამაფრი შუკი.

აი, სწორედ ასეთი ხასიათის ღექსებზე აქვს
ნათქვამი ცნობილ რუს პოეტს ივანე ივანო-
ვიჩის: „ტარიელ ჭანტურია ნათივი, თით-
ქოსდა ნაზი მოკვდენა, მგავს არხებობს წმე-
ნდა ძალა სინაზისა, რომლითაც ასე ძლიერ
არის გამსჭვალული მისი ღექსები“.

ტ. ჭანტურია წმინდა სანთელივით ანთებულ
საფლავთა მებოტება და არა საზოგადოდ
საფლავში მოქცეული უოველი სხეულისა. არა-
ფერია იმაზე საცოდავი და შესაჩვენებელი,
ვიდრე ზნეობრივად მდარე და საცოცხლეში
სულით მონა ადამიანის საფლავია.

არც კი რცხენია:
გრანტის პლოტის
ქვეშ ასვენია
ცხედარი ფლიდის!

ახე რომ, წინაპართა ხსოვნა ტ. ჭანტურიას
პოეტური წარმოდგენაში ააზრანებს ისტო-
რიას, აღრმავებს პატრიოტულ შეგნებას, ცხო-
ვრების ავ-კარგზე აფიქრებს, მომავლის წინა-

შე პასუხისმგებლობის ვრცობის აღვივებს და საზოგადოდ ზნეობრივად აწონასწორებს ადამიანის არსებობას ამქვეყნად.

თუ სწორია აზრი, რომლის მიხედვით, ერის სულის უპირველესი ისტორიკოსები პოეტებიან (ვიკო). მაშინ სავსებით გასაგები უნდა იყოს ის დიდი ამოცანა, რაც უკველი დროისა და უკველი ხალხის შვსანათა წინაშე დგას: აუწყონ მომავალ თაობებს თვისება და ღირსება იმ ხალხისა, რომლის წინააღმდეგ თვითონ არიან გამოსულნი. ეს კი იბნეს თავს გამოსახვის შრავად ასპექტში, რომელთაგან პატრიოტული სულიანკვეთების გამოსახატვად ერთ-ერთ ეფექტურ ზღას საკუთრივ ქვეყნის ისტორიისადმი პოეტის მიმართების, მისი განცდა-გააზრების ჩვენება წარმოადგენს.

ტ. ჭანტურია ამავე დროს საქართველოს ისტორიის ღრმა ცოდნას ავლენს; მას საფუძვლიანად აქვს გააზრებული და განცდილი ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით წარსულიდან გამოწვეული სახეების, ვითარებებისა და ფაქტების მნიშვნელობა. პოეტის წარმომსახველობითი უნარით მიღწეულია ის, რომ ისტორიის სურნელი, რითაც ტ. ჭანტურია პოეზია გაედენითი, აქტურ ზეგავლენას ახდენს ჩვენი უკველდღიური სულიერი ცხოვრების მიმდინარეობაზე.

როგორც ცნობილია, ისტორიული გარემოს, ან ისტორიული პიროვნების ჩვენებისას მწერალი მეტ-ნაკლებად დადასტურებული კონკრეტული ფაქტების საზღვრებშია მოქცეული. ცხადია, პოეტურ აღმართვას ასეთ შემთხვევაში ერთგვარად ზღუდავს თვით ისტორიული მასალა.

ტ. ჭანტურიას კარგად აქვს დანახული ჩვენი ისტორია, მაგრამ მისი როგორც ზედოვანის, თავისებურება ისაა, რომ იგი უფრო ხშირად წარმოსახვის ძალით თხზავს ახალ ეპიზოდებს, რომლებიც თავიანთი თვისებებით შეესაბამება ისტორიულად არსებულ ვითარებას და სრულიადაც არ ღალატობს ისტორიულ სიმართლეს. უფრო სწორია იქნება თუ ვიტყვი, რომ მის პოეზიაში თანამედროვეობის თვალსაზრისით პოეტურად გააზრებული ისტორია წარმოდგენილი. ტ. ჭანტურია, ვითარცა ხელოვანი, ყველა შემთხვევაში აინტერესებს საკუთრივ ისტორიის საზრისი. ამის კვალობაზე ისტორიული წარსული იმდენად იმერობს მის უფრადღებებს, რამდენადაც იგი თანამედროვეობის სულს პასუხობს და ახასიათებს.

საგანგებოდ აღსანიშნავი მაინც ისაა, რომ ტ. ჭანტურია ჩვენი ისტორიიდან ტრაგიკულ სიტუაციებსა და ვითარებებზე აჩერებს უფრადღებებს, ან თვით აძლევს ამგვარ გააზრებას მის მიერ წარმოსახულ მასალას. ასეთია, მაგალითად, შესანიშნავი ლექსი „ქართველითა ქართველისა დამთრგუნველი“. შემთხვევით

არ წარმოადგენს ეს ლექსი პოეტურ ზეგავლენას თქმას სახელოვანი ქართველი ისტორიკოსის ნიკო ბერძენიშვილის ატორიულზე. ამ შემთხვევაში საქართველოს ისტორიის განვითარების დიდი უნარით შემკული ცნობილი მოაზროვნე-ისტორიკოსის თხზულებებიდან მიღებული შთაბეჭდილება ასაზრდოებს ტარიელ ჭანტურიას პოეტურ განწყობილებას. ქართველი ხალხის ისტორიის ტრაგიკული წარსულიდან პოეტს „სწავას სახშილი“. თუ რატომ არის „ქართველითა ქართველისა დამთრგუნველი“, რატომ არის, რომ „დღეს, ვინ იცის, რამდენ ღამარს, რამდენ გარეწარს ხამული იცნობს წამებულის წმინდა სახელით“ ჩვენი ისტორიის ხილრმეში შევჩრთ პოეტს, ქართველითა ტრაგიკული ბედის გამო, აოცებს კიდევ „უხოვრება ჩვენი — გადარჩენის დიდი ღეგენდა!“ გულდათუთქული პოეტი არა-ჩვეულებრივად მძაფრი წარმომსახველობითი ფანტაზიით აცოცხლებს რეალურ ვითარებას, როცა „აზვანები“, ხანოები და გულჩვეულები — ერთმანეთს ელტყდნენ საქართველოს დიდი შთაბეჭდილი და ღრუბლებდნენ დამსობილი მათი დედები გულმოკლელები, მოკლელები და შეშლილები!

ტ. ჭანტურიასათვის ისტორია ფერფლწყარული ქარნიკა რაღაა, იგი ადამიანის შთამოგონებელი ცუბილია და პოეტის წარსულის მჭერტედი კი არა, თითქმის თანამონაწილე ისტორიული ქარტყილებისა. ტ. ჭანტურია წარსულიდან გამოშობილი „ბრძენი გიორგის“, „გმირი როსტომის“, „ღომი აღი ბეის“ სახელთა გახსენებაც მხოლოდ იმითაა სპირდება, კვლავ გამოაცხადოს და კიდევ და კიდევ შეახსენოს თანამემამულეთ, რომ „ქართველითა ქართველისა დამთრგუნველები — ხარობდნენ მტრები ჩვენ დღემდე გვაქვს მათი ვალები!“ ისტორიის ცოდნა მხოლოდ ცოდნისათვის კი არაა საჭირო, არამედ იმისათვის, რომ ამ ცოდნის წყალობით ადამიანმა განიმტკიცოს თავისი ადვილი გარემოში, დააფაქროს იგი ხიცოცხლის საზრისზე და ყველაფერზე, რაც ერის მომავალს ენება. ტ. ჭანტურია ლექსში „სტრები — საქართველო“ ნაირნაირი ახორციელებს აცოცხლებს და გვიხატავს ქართველი კაცის ხასიათში დაფარულ ტყივას.

შენს კრწანისებს ვენაცვალე ჩემს დამლუმულ სტრებსს! ხან მატარებ, ხან მაიციებ საბეღგანთქმულ მტრებზე... ...სულელივით მალაქლაქებ დამილილ მონასტრებზე!..

ტ. ჭანტურია თავისი ქვეყნის წარსულის მჭერტელების პოეზიაში არასოდეს რჩება. ის ამ წარსულის ტრაგედიას აქტორი განმე-

დელია და გარდასულ უმედურებათა დღევან-
დელი კირისუფალი:

როგორ გავპრა — გვიმს გულში
როგორ ჩავახლო,
თორემ შიგ შენ დაგინახავს,
ჩემო წავახეთო!

გოდებს პოეტი და თითქოს მომავალს აბა-
რებს ანგარიშს:

მეკითხები, რატომ დღემდე
ვერ ავიღე სისხლი!
ვერ ვეშველე ბოლო ძელტევებს —
ჩხვლეტებს სტენოკარდულს!
ბოლო ბუღბუღების სტევენას
ანე წიწარედ ქართულს...
...რისკ-ფაქტორი — ტაო ჩემი
რისკ-ფაქტორი — ბანა!
ერთი იშემისათვის
ვერ იქმარებს განა!

ტ. ჰანტურისათვის უცხოა საბოლოო უმი-
დობა. მწიკრე სინამდვილედ, თუნდაც ტრა-
გედული წარსულის სინამდვილედ მისთვის ჰე-
შმარიტად ღირებული ოპტიმიზმის წყაროა.
მას შესწევს ძალა საერთო თავში მწარე
უმიედობის პირობებშივე აღმოაჩინოს რწმენა,
უოველგვარი ავადმყოფური სტრესი. ნაღველი
დათრგუნოს და მომავლისაკენ თვალმბიპერო.
ბილმა იღოცოს:

ალარც „კორდაიმინს“ დავლევ,
ალარც „ინოზიფის“...
საღმე იაფ რესტორანში
დავლევ ლენოს იაფს,
და კვლავ შეგვამ სადღეგრძელოს
არსებრიოზულს:
— გაუმარჯოს საქართველოს,
დიდ ბიჭვებზე ორსულს!

აქ, ტ. ჰანტურისათვის ისტორია განცდას
ხარისხით აწმუოს უთანაბრდება. ამიტომაც
ტრაგედული წარსულის გახსენება მისთვის
პატრიოტულ გრძნობათა საყრდენად იქცევა
ხოლმე. ორი დროითი მოცემულობა — წარ-
სული და აწმუო — ერთ მთლიანობად განა-
ცდება პოეტის შიერ და საფუძვლად ედება
ტრაგედონარე ფიქრს მომავალზე. ერთიანო-
ბა აზრისა და გრძნობისა ანუ ჰეშმარიტი
პათოსი არის ის დედა-ძარღვი, რაც ტრაგი-
კული იერით შეფერილ პატრიოტულ განცდებს
ახლავს და ტ. ჰანტურის ამ ტიპის ჰმნილებ-
ებში გამოვლენილ განწყობილებებს ერთგვარ
სისტემურ ხასიათს სძენს. მაგრამ ეს განც-
დები ხმაშაღდა გასაცხადებელი კი არა, თუ
შეიძლება ასე ითქვას, ლოკითა და ჩურჩუ-
ლით სათქმელი განცდებია. როგორც ცნობი-

ლია, „უოველნარ პათოსში განცდა გამოვლენი-
ლია გრძნობა უნდა საზრდოობდეს ტანჯვით,
ხოლო სული — თავისუფლებით. თუკი პათე-
ტიკურში უარყოფილია სევდა, იგი კარგავს
ესთეტიკურ ძალას“ (ფრ. შილერი, „პათეტი-
კურის შესახებ“ ტ. IV, გვ. 292, 108, რუს.
გამოც.), ისტორიული წარსულის ასახვისას
ტ. ჰანტურია აღწევს ისეთ ემოციურ სიმაღ-
ლებს, როცა აზრი და გრძნობა გაწონასწორე-
ბულია, ამიტომაც სული თავისუფლდება და
მკობხველასათვის გადაშდებია აქ გამოვლენ-
ილ განცდათა უველა ნიუანსი.

ტ. ჰანტურისამ კარგად იცის, რომ ხანდახან
აღაშინის სული მხოლოდ ჩუმი გოდება კი
არა, შიწოდება და შემოძახებაც სჭირდება.
სათქმელის ხმაშაღდა თქმას აქვს თავისი
მევერმეტყველებითი გავლენის ძალა. ასეთ
შემთხვევაში ამაღლებულ განცდას ამაღლებულ
მეტყველებით ტონს უხდავებს პოეტი და
თვითვე განსაზღვრავს ამგვარი ლექსის ბუნე-
ბას, როცა მას „პათეტიკურს“ უწოდებს. პა-
თეტიკურს იმდენად, რამდენადაც იგი მოქა-
ლქეობრივი გრძნობის საწარმოობას გულის-
ხმობს. აქ ხმაშაღდა გაცხადება იმ შენაგანი
შწაობისა, რითაც მოკუღია ქართულის გული-
ეს ჩვენს ლიტერატურაში ცნობილი გზაა და
მოუბუზრებელიც, რადგან არ ბერდება პატრი-
ოტული გრძნობის ის ნერვი, რომელიც მევერ-
მეტყველური ზრწენვალებით ქერ კოდვ
გრივოლ ორბელიანმა დაამკვიდრა ჩვენში,
და თანამედროვე პოეტთა მხატვრულ აზ-
როვნებაში (მ. მაჭავარიანი, შ. წიწინაიძე, შ.
ლემანიძე და სხვ.) ასე მკვიდრად რომ გაიღვა
ფენვი. ტ. ჰანტურის ლექსი — „გმირება“
პატრიოტული მევერმეტყველების ერთ-ერთი
შესანიშნავი ნიმუშია:

სალამი, სალამს:
ხერთვისს და რუსთავს,
რუსთავს და არშაზს,
არშაზს და ჰეკონდიდს!
ჩვენ ბევრვერ ვიშვით
და ბევრჯერ მოვევლით,
და როცა მოვევლით
უოველთვის ვეცხონდიო...
სალამი, სალამს:
აქ არის უველა!
აქ არის უველა!

შეხედვე: ეოტნეც
მოვარდა ჩოროთი!
— საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
ბიჭებო, სწორდით!

ამ ხასიათის ლექსებში ტ. ჭანტუიას პოეტური შექვეყნებულობისთვის და მახასიათებელია ამაღლებული გრძობის აფექტურობა. რაც პოეტური გავლენა ხდის.

სამშობლოს სიუყვარულის გრძობა განსაკუთრებული სიმძაფრით ნოსტალგიურად აღმართის პარონებში იჩენს თავს. ტ. ჭანტუიას ამართის ზეგარის ჭკონი ადამიანთა ხულის მოძრაობაზე აინტერესებს; ამიტომაც პოეტი დაკარგვის ობიექტად იჩენს განხევებულ ვითარებაში მოქცეული ორი სხვადასხვა ტიპის ქართველი ადამიანის ცხოვრებას და ზინდური ძე-შეცოხილის თემაზე საკუთარი პოეტური ფანტაზიით თხზავს სინამდვილესთან ახლოს მდგომ ქართველი კაცის ტრაგიკულ ისტორიას — ცნობილი ჯორჯ ბალანჩინისა და იმ უბრალო მიწის მუშა გურული გლეხკაცისა, რომელიც საარსებო საშუალებათა ძიებაში ჩაიყვანა ამერიკაში. ერთი თავისი ქართველი ცეცხლოვანი ტემპერამენტის გამოხატული ცეცხლი აქურობს უცხოეთს. მეორე — იმ „წაწვალა კრიმინალური“, რომელიც ალტაცებაში მოჰყავს ცნობილი სტრავინსკი. ყველაფერი ეს, დიდი მხატვრული, ადამიანური სიმართლით აქვს წარმოსახული პოეტი. როგორც ცნობილია, „პოეტური სიმართლის რაობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მოცემული მოვლენა, საგანი და სხვა, ნამდვილად მოხდა ან არსებობს, არამედ იმაში, რომ თავისი შინაგანი არსებობის შესაძლებლობებით ის შეიძლება მომხდარიყო ან უოფიციო. ძე და ამრიგად, ქმნილების ესტეტური ძალა განიწმინდება უკვე წარმოსახვის შესაძლებლობებით“ (ფ. შილერი, დახაზ წერაობა, ტ. IV, გვ. 292).

ბალანჩინისადმი მიმართულ ძმის საუვედურობი: „დედა დედა — ეს სულ ერთია, ცოცხალი გყდის, თუ დამარბული“, მის სეველიან აღსარებასა თუ გურული გლეხის ცრემლნარკვე კრიმინალური, — ადამიანის გატანულ ბუნებას გამოხასავს პოეტი და ამიტომაც დედია მათი ვადენის ძალა მკითხველზე.

სახარებიდან წამდვარებული ლუკას სიტყვა: „მე ესე ჩემი მომკლადარ იყო და განცოცხლდა“ — ბრწინავადე ბნის იმ განწყო-ბილების ლიტმოტიკის, რითაც დასაბამიან დღემდე არის ავსებული უცხო მხარეში გადახვეწილი შვილის მოხადენე მამის გული. მოლოდინის უსაზღვრობა შეიძლება ეწოდოს იმ გრძობას, რითაც გამსჭვალულია პოეტური ფანტაზიით შექმნილი, ეგზომ ნაცნობი და სათუთი მამა-შვილის შეხვედრის სცენა:

გამორბის ჩემი მოხუცი მამა,
დაკოფეთ ლეღვი დაკალით ხარ!
ცრემლი ნაკობთან ესკენება მამას!
...კანკალებს ჩემი საბრალო მამა.

— დააცხეთ პური! მოხადენე შენი
ქვითინებს ჩემი ჭლარა მამა...

იცოდეს ლმერთმა, განმორებაზეც
უფრო ძნელია ეს დაბრუნება.

ტ. ჭანტუიას წარმოსახვაში ემიგრანტი ქართველის მოკლილი სული უკველთვის მონათების წყურვილით არის აღსილი:

მართლა დაღლილხარ, ჩემო გვეტოო,
წარბგანეხილო თეთრო ბებერო,
გამაღე ზეღავი, რომ ჩაგებუტო,
გადაგებვიო და მოგვეტოო...

ჩემს არ ყოფნაში საფლავის ლოდებს
მომამტებია რამდენი ლოდო...

ქვა თურმე კაცის მავიურ გოდებს
და ჩვენზე უფრო ქვა უძლებს ლოდინს!

„ორი სამშობლო რად უნდა ორ ძმას“ — პოეტისაგან დასმული ეს წყევლა-კრულვანი კითხვა ისახება მკითხველს ცნობიერებაში და მრავლისმჭიმელ ზოგადობის დონეზე გაიანარება „ძე შეცოხილის“ ფინალში, როცა დედამიწის დაშორიწორებულ ნახევარსფეროებში მცხოვრები ქართველი ძმების ზედის ასეთ ნიარ, სადღესო ინტერპრეტაციას გვაძლევს პოეტი:

და დედამიწის ორი ნახევარსფერო
ჭკავს ორ მოყვარულ ძმას —
საფრთხის გამო
მორიგეობით რომ იძინებენ...

მაგრამ ერთია კოსმოპოლიტი ადამიანის სულში მზრუტავი გრძობა სამშობლოს სიუყვარულისა, კაცისა, რომელსაც სულიერი შევლა რომ სჭირდება. მაშინ ახსენდება „ფუძე და ფესვი“, სხვაგვარია გაჭირებისაგან ცოცხებული, გურული „ჩოხა დაღვრული ბივის“ სიუყვარული მშობლიური კუთხისადმი. წყევლადა იღვრება ასეთი კაცის ისტერიული შეძახილი: „ჩემი ცოდეა მისცემია, ჩემი ცოდეა — კოდუმბს, კოდუმბს“. ვის არ დასწავს გულს ალაღმართალი ქართველი გლეხის ნათელი სურვილი, როგორმე უშველოს დაქცევაზე მიხულ ოჯახს და ამ გაჭირების დასაძლევად თვით ამერიკასაც კი ეწვიოს. მაგრამ კაცს, რომელსაც „აღარაფერი ახადია“, გარდა—„კურანის და წაწვალა კრიმინალისა“, იმედგადაწურულს სხვა არ დარჩენია, დაეურდოს ქართველი ხალხის ზეგარდმო მადლს — სიჩაუქესა და სიმღერის ნიჭს, მისთვისაც ასე გულუხვად რომ უწყალობებია არსთა გამარაგებ...

ტ. ჭანტუიას ღრმადია შეჭრილი ქართველი ადამიანის ფსიქოლოგიური სამყაროში. როცა „გულს ჭაჭრი აწვევა“, „მოთელი ამერიკის ზედა“, „გული შექმულია ხავსით“ და „მიჩიგა-

ნას დიდი ავია" ნოსტალიგარებუდა, მაღლი
კაცის ცრემლით ივსება, ამ ქვეყანაზე სინა-
რულისტების უკვე ადგილი აღარ რჩება.

საერთოდ, ტ. ქანტუჩიას პოეზიაში ძალზე
ღრმა და მრავალფეროვანია პატრიოტული
გრძნობის გამოვლინების ფორმები. შეიძლე-
ბა ვადაუჭარბებლად ითქვას, რომ ეს თვისება
მისი შემოქმედებისათვის ერთობ ნიშანდობ-
ლივი მოვლენია. ოღონდაც ხან პირდაპირა
სახით ვლინდება ის და ხან კიდევ სხვა
გრძნობათა შენაკადია. ამ გრძნობით დატვირ-
თული პოეტი ღელავს და თრთის, როცა აა-
ობათა შორის აღმართულ ქების შეჭურვებს
და ჩვენი დროის ზოგიერთ ისეთ მტკიცწეულ
სფეროს ეხება, როგორც ქართული სულიის
გადარჩენას იმედად ამოებულნი ეროვნული
სიმღერისა თუ ადგილის შენახვის აუცილებ-
ლობაა:

გულში მცესტე კაცტა
ვინაზე ჩენი ბიჭის:

ხმები კონტულულსი
და შორეულ ფიჭის.
მოვუსმინე „ბანგლადეშს“
და ბენგალურ ენას,
მაგრამ, ვერ ვუსმინე
უკვდავ „შენ ხარ ენახს“...

სხვა შემთხვევაშიც პოეტი არაერთგვარს შე-
ახსენებს მკითხველს: „უხედავ ხმები მიმწედაჩა,
შშობელ ეო, შეოსი“... რაც, მისი აზრით, ერის
ენერჯიის დაძრტვის სიმპტომაა. ამ საფუძვე-
ლზე არის ამოზრდილი ტ. ქანტუჩიას პოე-
ზიაში ეროვნული ნაკლის მამხილებელი, გაჭრ-
კვეთილი მორალისტური ტენდენციის შემცვე-
ლი ლექსები. რომლებშიც მკაფიოდ ჩანს პო-
ეტოს სატირულ-იუმორისტულად, ირონიულად
და სახუმაროდ მომართული მკვირცხლი გო-
ნების გამოწათება. მაგრამ ეს საყოთხის მინიც
სხვა ასპექტია და მომავალში საგანგებო დაჯ-
ვარების საგნად უნდა იქცეს...

კან
ფენ
კან
კან
კან

ილია ჭავჭავაძე—სწავლული იურისტი და სამართლის თეორეტიკოსი

გადაუარებელად შეიძლება ითქვას, რომ რუს-თურქული შეზღუდვა ქართული ლიტერატურის კლასიკოსებთან ილია ჭავჭავაძის მკაცრული კრიტიკული-სტრუქტურული ნაზრები ყველაზე მეტად ეხება მეცნიერულ საფუძვლებს და ხშირ შემთხვევაში, მიზნად ისახავს მეცნიერების საფუძვლად საკითხების გადაჭრას. ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებები ცხადყოფენ, რომ მათი ავტორი შეხანისწავად იცნობს წარსული საუკუნეების, და განსაკუთრებით XVIII-XIX საუკუნეთა მეცნიერულ აზრს. კერძოდ, ი. ჭავჭავაძის თეორიული მსჯელობების მეცნიერულობაზე ნათელ წარმოდგენას გადალევს მის თხზულებებში მოთხრობული და გამოყენებული მოაზრებების (ჩ. დარვინი, დ. ლებოკი, ც. ლომბროზო, დ. მაკენზი, ა. შოპენჰაუერი, კ. ბიუხერი, კ. მარქსი, ე. ბერნშტაინი, ჯ. სტიუარტ მილი, ე. სანსონდი, ლ. მორგანი, მ. სენსერი, ე. ტალიკრი, ჩ. იერიწგი, გ. ვებერი, ჯ. ბრაუერი და ა. შ.) ნაშრომები. როცა ი. ჭავჭავაძის შემოკრძელების ამ თავისებურებებზე ვლამარკობთ, მხედველობაში გვაქვს არა მარტო მხატვრული შეხედულებების მეცნიერულობა, არამედ, ისიც, რომ ი. ჭავჭავაძე გვევლინება მოწინავე მოაზროვნედ მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ამ მხრივ საგანგებოდ გვინდა შევხებით ი. ჭავჭავაძის, თავისი დროის გამოჩენილ სწავლულ იურისტსა და სამართლის თეორეტიკოსს, რომელიც მეცნიერულ ლიტერატურაში უმთავრესად ცნობილია, როგორც მშობლიურ პრაქტიკაში იურისტი. სხვადასხვა დროს მის მიერ დაწერილი იურადიული და ფილოსოფიურ-პოლიტიკური თხზულებებიდან ი. ჭავჭავაძე მოსხამს, როგორც იურადიულ მეცნიერებას ღრმად დაუფლებული მოაზროვნე, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა XIX საუკუნის სამართლის თეორიის შრავალი საფუძვლად საკითხის გადაჭრაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ სწორ განხორციელებაში.

ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძე იურადიულ მეცნიერებას დაუფლდა პეტერბურგის უნივერსიტეტში იმ დროისათვის გამოჩენილ სწავლულ იურისტულ ფილოსოფიის მიმდევარად. იურადიული მეცნიერების აქტუალური საკითხების გადაწყვეტას მიუძღვნა ი. ჭავჭავაძემ, სამართლებრივი და ფილოსოფიურ-პოლიტიკური ტრაქტატები „ცხოვრება და კანონი“, „კანონის მოხელეობა არქანში“, „გლეხთა მამულების ვალში გაყოფა“, „სოფლის მმართველობის რეფორმის საკითხი“, „წოდებათა თანასწორობა“, „სამართალი და ზედება“, „უკანონოდ შობილთა უფლება“, „საზოგადოებრივი ცხოვრების წესები და მისი ეკონომიური მიზეზები“ და სხვ. ზემოაღნიშნული ნაშრომები წარმოდგენას გვაძლევს ი. ჭავჭავაძეზე, როგორც სწავლულ იურისტზე, რომლის შეხედულებები სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და ფილოსოფიის საკითხებზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ მადამუხალიფიკური იურადიული მსჯელობისა და სამართლებრივი მეცნიერების შეხანისწავი ცოდნით, სამართლის ნორმაში გადმოცემული კანონმდებლის ნების ზედმიწევნით ზუსტი გაცხობა და საზოგადოებრივი რეალიზაციისა და სამართლის ეფექტური მისადაგება-შეუარებლის უზადო სტატუსით. ამტრად ძირითადად გვინდა შევხერდეთ ი. ჭავჭავაძის იურადიულ თხზულებებზე „სანიტარო დებულების 168 მუხლი და მისი შეფარდება თბილისის საკრებო სასამართლოს მიერ“, რომელშიც ავტორის პირადი და გადაწყვეტილი იურადიული საკითხები მეცნიერულ ლიტერატურაში ნაქლებად და არასრულადაა ცნობილი.

ოცდათვრამეტი წლის ი. ჭავჭავაძის მიერ რუსულად გამოქვეყნებული საქმის მოცულობის შემოაღნიშნული თხზულება (ქართულად არა თარგმნილი და იგი მისი ნაწარმოებების არცერთ

1 ი. Чавчавадзе, 168 статья нотариального положения и применение ее Тифлиским окружным судом (газ. «Кавказ», 1875 г. №№ 55, 56, 57).

კრებულში არ შესულა) მიძღვნილია სამოტივო დებულებების 188 მუხლისა და სასამართლოს მიერ მიხი შეფარდებისადმი. სათაურის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნაშრომში ლაპარაკი უნდა იყოს სამართლის მხოლოდ ერთი ნორმის საფუძველზე თბილისის საოკრუციო სასამართლოს მიერ მიხილის ტიტულაციის ჩინოვნიკების მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტული შემთხვევის კანონმდებლის ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტაზე. ხინამდელიც კი ი. ჭავჭავაძის აქ დასმული და გადაწყვეტილი აქვს იურიდიული მეცნიერების ურთულესი პრობლემები: საზოგადოებრივი ცხოვრებაზე სამართლის შემოქმედება და მისი ფორმები, საკუთრების სამართლის ადგილი მოქმედი სამართლის სისტემაში, სამართლის რეალიზაცია და მისი ფორმები, სამართლის ნორმის ახსნა-განმარტება და მისი სახეები და ა. შ. ნაშრომი გვაოცებს ავტორის იურიდიული აზროვნების ლოგიკური ძალით, კანონის სწორი განმარტებების უტუჟარი აღმოთი და სამართლის მეცნიერების ძნელად მისახვედრი და გამოსაუცნებელი დებულებებისა და ინსტიტუტების კვალითაც იყოს ცოდნით. მოკლედ შევეხებით სამართლის თეორიის პრობლემებზე ი. ჭავჭავაძის მიერ აქ ჩამოყალიბებულ მხოლოდ ზოგიერთ ძირითად მოსაზრებას:

1. სამართლის საზოგადოებრივი ცხოვრებაზე შემოქმედება და მისი ფორმები. საზოგადოებრივი ცხოვრებაზე შემოქმედებას ახდენს მრავალი სოციალური მოვლენა, რომლებიც თავიანთი ბუნებით მნიშვნელოვანად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგრამ ყველა ეს მოვლენა მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ურთიერთობებში გარკვეული წესრიგის დამყარებას, მათ შორისაა საქონლის მინარსის განსაზღვრება, ამ ურთიერთობების მხარეთა უფლება-მოვალეობების გარკვევა. იმ მოვლენებიდან, რომლებიც შემოქმედებენ საზოგადოებრივი ცხოვრებაზე, ი. ჭავჭავაძის საგანგებოდ გამოყოფილი და შესწავლილი აქვს მხატვრული შეხედულებები და, საერთოდ, იდეები, სამართალი და ზნეობა, ადამი და ჩვევა. სხვადასხვა სუბიექტების მიერ ამ მოვლენებში მრავალნიანი ფორმით ჩამოყალიბებულია განსაზღვრული მინარსის მოსაზრებები, რომლებითაც უნდა შეფარდდეს, როგორც ადამიანთა ურთიერთობა, ასევე გარემოსთან მათი დამოკიდებულება. კერძოდ, სამართლის ნორმებს ადგენს სახელმწიფო და მათი შესრულება უზრუნველყოფილია მისივე კომპეტენტური ორგანოების მიერ; მხატვრულ შეხედულებებს აუღიბებენ მწერალი და ადამიანთა მიერ საზოგადოებაში მათ შესრულებას განაპირობებს ამ შეხედულებათა დამატრებლობა და სარგებლიანობა. ადამიანი საზოგადოებაში იქ-

მნება სტიქიურად და მათში გადმოსულია მისი წესების დარღვევისათვის იძულებითი ღონისძიებები გამოიყენება საზოგადოებრივი აზრის ძალის მიხედვით და ა. შ.

საზოგადოებრივი ცხოვრებაში ყველა სოციალურ მოვლენას დაკისრებული აქვს განსაზღვრული ფუნქცია, მაგრამ, მინარსისა და მოქმედების მოთხოვნათა თავისებურებების, ისინი შეიძლება არსებითად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართალი მოითხოვს, რომ ქურდი, რომელიც ითვინებს სხვის ქონებას, დაშინავე და უნდა დაისაჯოს. სხვა სოციალურ მოვლენაში, კერძოდ, მხატვრულ შემოქმედებებში შეიძლება შევხვდეთ სახელმწიფოს მიერ სამართლის ნორმაში ოფიციალურად დადგენილი მოთხოვნისაგან განსხვავებული მოსაზრება. თავის ნაწარმოებში „სარჩობელზე“ ი. ჭავჭავაძე მოუთხოვს, რომ იმ ქურდზე უფრო დიდი დამსაჯვე, რომელიც ითვინებს სხვის ქონებას, ის საზოგადოებას, რომელიც ცხოვრების პირობებს იხეიითა, რომ ადამიანი იძულებულია ქურდობით იცხოვროს. ცხადია, ერთი შეხედვით, სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართლის ნორმის მინარსისა და ი. ჭავჭავაძის მიერ ჩამოყალიბებულ მხატვრულ შეხედულებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა, მაგრამ, მოუხედავად იმის, ერთი და მეორე აქტიური შემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრებაზე, იწვევს მის შემდგომ პროგრესს. სახელმწიფო, კანონი სწის უშუალოდ ქურდს მისი გამოსწორებისა და აღზრდის მიზნით და ამავე ღირს იგი შეიძლება ზოგად პრეუმიტიას იმის თიხაზე, რომ სხვებმა არ იქურდონ. რაც შეეხება ი. ჭავჭავაძის შემოადინებულ მხატვრულ შეხედულებას, იგი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთადებას ამხეილებს სხვა შეხედ მნიშვნელოვან ჭეშანურ მხარეზე, კერძოდ, იმაზე, რომ საზოგადოება უნდა ზრუნავდეს მოქალაქეებზე და სახელმწიფო ხელისუფლება ცხოვრების ისეთ პირობებს ქმნიდეს, რომ ადამიანმა არ იქურდოს.

სახელმწიფოსა და მწერლის მიერ კანონსა და მხატვრულ შეხედულებებში გადმოცემული მოთხოვნების საზოგადოებრივი ცხოვრებაში განხორციელების ფორმები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. როგორც უემოთ აღვიწერთ, კანონის საზოგადოებრივი ცხოვრებაში განხორციელება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს იძულებითი ძალით, მწერლის შეხედულებების საზოგადოებრივი ცხოვრებაში განხორციელება სრულებითაც არაა დაკავშირებული იძულებასთან. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს მხატვრული შეხედულებები კანონზე ნაკლებად შემოქმედებდეს საზოგადოებრივი ცხოვრებაზე. მხატვრული შეხედულებები კანონზე უფრო ეფექტურ ზეგავლენას ახდენს. მაგალითად, ის, რაც დასავლეთ ევროპაში მოქმედებული რაინდობის ინსტიტუტის აღმოსაფხვრელად ვერ გა-

აქეთა კანონმა, წარმატებით შეასრულა სერვანტისაჲ მიერ „დონ კიხოტში“ მხატვრული შეხედულების სახით ჩამოყალიბებულმა მოთხოვნებმა.

ა. ჭავჭავაძე დრამად ერკვევა კანონსა და მხატვრულ შეხედულებებში ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედების მექანიზმი, მიუთითებს საზოგადოებრივ ცხოვრების პროგრესული განვითარებისათვის მათი ერთობლივი ზეგავლენის მნიშვნელობას და გვაძლევს თითოეული მათგანის ფუნქციონალური დანიშნულების შეცნობრულ განსაზღვრას. მისი მტკიცებით, კაცობრიობის ისტორიაში არსებული ყველა ცივილიზებული საზოგადოება ეშუარება საკუთრებას, „რომელზეც მოქმედი კანონების აზრით ეყრდნობა საზოგადოებრივი წესრიგისა და ეკონომიკური კეთილდღეობის საფუძვლები“.1 საკუთრების თაობაზე წარმოშობილი ურთედვარა დედაქტი შეიძლება აღმოჩნდეს მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოება იზრუნებს ცხოვრების ისეთი პირობების შექმნისათვის, რომ მოქალაქე (სუბიექტი) აძლევდეს არ იქნება ჩაიდანის დანაშაული. როცა ა. ჭავჭავაძე საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სხვადასხვა სოციალური მოვლენების ზემოქმედებაზე ლაპარაკობს, მას მხედველობაში აქვს საკუთრება და მისი ფორმები, იგი მიუთითებს, რომ საკუთრების უშუაურესი ობიექტია მიწა და მასთან დაკავშირებული მოვლენები, ამიტომაც „მიწათმოქმედებასა და მიწისმფლობელობისათვის, სახალხო ეკონომიკური კეთილდღეობის წინსვლის გზაზე ამ ძლიერა ეკონომიკური ძალისათვის“.2 ზრუნვა მთელი საზოგადოების საქმეა.

საზოგადოების არსებობის უშუაურესი საფუძვლიდან, კერძოდ, საკუთრებიდან წარმოშობილი ურთედვარობები მხოლოდ მაშინ შეიძლება აყოს მტკიცედ, როცა კანონითა განსაზღვრული მისი მონაწილეების უფლება-მოვალეობები საკუთრების ძირითადი ელემენტების, საკუთრების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის თაობაზე, ყველა საზოგადოებაში კანონმდებლის მიერ დადგენილ სამართლის ნორმებში ნათლავა განსაზღვრული საკუთრების იურიდიული რტებაა. ა. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ სამართლის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედების მექანიზმი სამართლის ნორმის შეფარდების უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოები კარგად უნდა გაერკვნენ „თუ კანონი ნებადართულ და მოწონებულ რა პირობების არსებობისაჲ შეუძლია უძრავი საკუთრების მფლობელს განკარგოს იგი, როგორც ვაცვლისა და საკრედიტო მიმოქცევის საგანი, ანუ, სხვა სიტყვებით

რომ ვიქვავთ, მფლობელს რა პირობებში შეუძლია გამოავლინოს თავისი კუთვნილი განკარგვის უფლება, საკუთრების სამართლის ეს არსებითი ნაწილი, კანონიერა საშუალებებით თავისი უძრავი ქონების განსხვისების ან მასზე უფლებების შეზღუდვის სურვილის დროს“.

ა. ჭავჭავაძის მტკიცებით, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე კანონის ზემოქმედება ხდება სამართლის რეალიზაციისას, რომლის ძირითადი ფორმა არის სამართლის ნორმის შეფარდება.

2. სამართლის ნორმის შეფარდება, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სამართლის ზემოქმედების უშუაურესი ფორმა, კანონის რეალიზაციის პროცესში სამართლის სუბიექტები ზოგჯერ ახრულებენ ნორმის დადგენილ ქცევას წესებს, ზოგჯერ აყენებენ სამართლის ნორმებს თავიანთი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ხშირ შემთხვევაში კი კანონის შეფარდების უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოებს სამართლის ნორმას უფარდებენ საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ შემთხვევებში. სამართლის ნორმის შეფარდება როგორც პროცესია, რომლის დროსაც დაშვებული შეცდომა შეიძლება სახედისწერო აღმოჩნდეს. ა. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ თბილისის საოკრუგო სასამართლომ, მართალია, სწორად დაადგინა კონკრეტული ფაქტის იურიდიული ნიშნები, კერძოდ, მართებულად განსაზღვრა, რომ მის მიერ განსაზღვრულად მიღებული საქმე ექვემდებარება სამართლებრივ რეგულარებას და, ამასთან ერთად, მან მოქმედი სამართლის სიტემიდან შესძლო შესაფარდებლად საპირო ნორმის შერჩევა, მაგრამ სასამართლომ ვერ გაიყო კანონმდებლობის საერთო სული, რომელიც მართლმსაქმების განხორციელების სახელმძღვანელო იურიდიული საწყისია და, გარდა ამისა, შესაფარდებლად შეარჩეული ნორმის შინაარსი ვერ დაადგინა განსაზღვრული ფაქტის თაობაზე სხვა კერძო კანონებთან კავშირში. ამიტომაც სასამართლოს მიერ გამოტარული გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგოა და იგი „სამართლებული არ არის არც კანონმდებლობის საერთო სულით, როგორც სახელმძღვანელო იურიდიული საწყისითა და არც კერძო კანონებით, რომლებიც დადგენილია ამ საგნის მიმართ“.

თბილისის საოკრუგო სასამართლომ შეცდომით შეუფარდა სანოტარო დებულების 188 მუხლი საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ შემთხვევას. ა. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ ვერ გაიყო რა საკუთრების მფლობელს რა პირობებში შეუძლია გამოავლინოს თავისი კუთვნილი განკარგვის უფლება კანონიერა საშუალებებით თავისი ქონების განსხვისება.

1 И. Чавчавадзе, 168 статья нотариального положения и применение ее Тбилиским окружным судом (газ. «Кавказ», 1875 г., № 55).

2 ა. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრომი.

1 ი. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრომი.
2 ი. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრომი.

ბის ან მასზე უფლებების შეზღუდვის სურვილის დროს, „საოკრუტო სასამართლომ ერთ-ერთთა ენოდენ მნიშვნელოვანი სამოქალაქო უფლებების, კერძოდ, საკუთრების უფლებების საკითხი... გადაწყვეტა მფლობელებისათვის მეტი-მეტად შემაიწროებელი და ამასთან ერთად, დამამძიმებელი აზრით“.¹ ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ ეკონომიკური ცხოვრების აღმავლობის მიზნით კანონი იყავს მესაკუთრეთა ინტერესებს, ყოველნაირი აქტების სამეურნეო ინიციატივას, მფლობელს ფართო უფლებებს ანიჭებს განკარგოს სურვილისამებრ საკუთრება და გამოიყენოს ოგი, როგორც ვაკუუმისა და საკრედიტო მოშოქცევის საგანი. მაგრამ სამართალშეუფარებელმა ორგანიზებმა თუ ვერ ვიცავს კანონის ტრეშპირტი აზრს და საკრედიტო ურთიერთობებში შეზღუდვებს მესაკუთრის ინტერესები, მაშინ კანონმდებლის ნება და აზრი მიუღწეველი ოცნება იქნება: „კრედიტის კარებში მესაკუთრის შეცვლის ცდისას თუ კარები გადაღობილი იქნება კანონების არასწორი შეფარებებითა და ახსნა-განმარტებით საკუთრების სამართლის ერთ-ერთი არსებითი ნაწილის მიმართ, მაშინ კრედიტის თავისუფალი მოშოქცევა, რომელიც ასე მტანხობარება ყოველგვარი შარისა და შევარტებისადმი, მისი შეუნაცვებელი დახმარება მოაგრობებსა და ხალხების მისწრაფებაში ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერებისაკენ, დაჩრება მხოლოდ და მხოლოდ ხასურველ, მაგრამ მიუღწეველ ოცნებად“.² ი. ჭავჭავაძის შტკიცებით, სამართლის ნორმის შეფარდებისას შეცდომების თავიდან ასაცილებლად სამართლის შეფარდებულმა უნდა დაადგინოს კანონის ტრეშპირტი აზრი. სამართლის ნორმის შენარსის დადგენა კი ხდება კანონის ახსნა-განმარტების, გზით, ურომლისოდაც შეუძლებელია, საერთოდ, სამართლის ნორმის სწორი შეფარდება. ი. ჭავჭავაძე შენიშნავს, რომ „სამუშაოაროდ, საოკრუტო სასამართლომ მოცემულ შემთხვევას შეუფარდა კანონის მთელი რიგი მუხლი შათი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე და, რა თქმა უნდა, უბრალოდ ჩამოთვლილი X ტომის I ნაწილის მუხლების მთელი ვრცელი წეროზა ერთ რაგად და, ამასთან, საქმესთან დაუკავშირებელად ვერ ავსებს ამ ძირითად ხარვეზებს, კანონის ახსნა-განმარტების არ არსებობას“.³

სამართლის ნორმის შეფარდებისას ამ იურიდიული ინსტიტუტის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, ი. ჭავჭავაძე საგანგებოდ ამუშავებს, სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების თეორიას.

2. კანონის ახსნა-განმარტება და მისი სახეები ი. სამართლის ადგენს კანონ-

მდებელი, რომლის ნების შესახებმცოდნეობა წესრადდეს საზოგადოებრივი ურთიერთობებში. კანონმდებელი ცდილობს სამართლის ნორმისა საკუთარი ნება გადმოსცეს ნაოლად და ვარკვევით, მაგრამ საზოგადოებრივი ურთიერთობებში იმდენად მრავალფეროვანია, რომ კონკრეტული ფაქტის სამართლით რეგულირებისას, ყოველთვის საჭიროა კანონმდებლის მიერ კანონში გადმოცემულ მოხარტებაში ვარკვევა, სამართლის ნორმის შენარსის დადგენა და დაწესტება მოცემული ფაქტის იურიდიული ნიშნების მიხედვით. ი. ჭავჭავაძის შტკიცებით, სამართლის ნორმის შეფარდების მიერ კანონის ახსნა-განმარტების აუცილებლობა არ ამცირებს კანონმდებელს. აქედან სრულებითაც არ გამომდინარტობს ის, თითქმის კანონმდებელმა ვერ შეუძლი თავისი აზრის გადმოსცემა მის მიერ დადგენილ კანონში. ი. ჭავჭავაძე შიუთითებს, რომ კანონში ყოველთვისაა მოცემული კანონმდებლის აზრი, მაგრამ საჭიროა მისი შეცნობა. უნდა გვახსოვდეს რომ სამართლის საბტებში მოჩვენებითი წინააღმდეგობანი არ უნდა გვაწვიადოთ, პირქით, ეს წინააღმდეგობანი უნდა გადავალახოთ კანონის ახსნა-განმარტების გზით: „კანონის ახსნა-განმარტების ძირითადი წესი მდგომარტობს იმაში, რომ ყოველთვის იგულისხმება კანონში არსებული აზრი. თუ სადმე შეგვეუბება წინააღმდეგობა, ეს წინააღმდეგობა უნდა შევარკვოთ და კოდე უფრო არ უნდა გავაწვიადოთ იმ უბრალოდ საფუძვლით, რომ კანონმდებელს არ შეუძლია განჩარს და არც კი იწამს იმას, რომ თავის თავს ეწინააღმდეგებობდეს“.¹

ი. ჭავჭავაძე შიუთითებს, რომ სამართლის ყველა სუბიექტი ვალდებულია დაეშორილოს კანონს, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ მიერ ვანუბრდება შესრულებს სახელმწიფოს ის ბრძანებები, რომლებიც დადგენილია სამართლის ნორმით. კანონისადმი შორჩილება მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მოქალაქეებმა, სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებებმა თავიანთ საქმიანობაში იბუღმძღვანელონ სამართლით დადგენილი მოთხოვნებით. რადგან კანონისადმი შორჩილება სხვა რამეს არ ნიშნავს, ზუნებრავია, სამართლის სუბიექტებში დაინტერესებული და ვალდებული არიან კარგად ვარკვენენ კანონის მოთხოვნებში. კანონისადმი შეგნებული შორჩილებას აუცილებლობად წარშოსდგება სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების საჭიროება. მაგრამ სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების თეორიაში სადავთა თუ რა უნდა ვებტებოთ კანონში და როგორ უნდა ვავიგოთ ახსნა-განმარტების გზით კანონის ტრეშპირტი აზრის დადგენა.

იურიდიული მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა კანონის ახსნა-განმარტების თაობაზე, კერძოდ, მეცნიერთა ერთი ქგულის აზრით, ახსნა-გა-

1. ი. ჭავჭავაძე, დსას. ნაშრომი.

2 იქვე.

3 იქვე.

1 ი. ჭავჭავაძე, დსას. ნაშრომი.

ნორტებისა და დღევანდელი უნდა იქნეს კანონის წამყვანი წინააღმდეგობა მხოლოდ შესაფარდებლად შერჩეული კანონის ფარგლებში. მეორე ჩვეულების აზრით კი, სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების მონაწილე შესაფარდებლად შერჩეული ნორმის წინააღმდეგ გაჩვენა იმ ნების მიხედვით, რომელიც ამ ნორმის გადმოცემული კანონმდებელია. ი. ქავჭავაძე შესანიშნავად იცნობს კანონის ახსნა-განმარტების თეორიაში არსებულ ამ აზრთა სხვადასხვაობას და დამაყრებლად ასახულებს იმ აზრის ტენდენციას, რომ სამართლის ნორმის შეფარდების კანონის აზრის დადგენა უნდა მოხდეს კანონში გადმოცემული კანონმდებლის ნების მიხედვით, კერძოდ, ამის გაჩვენებით, თუ როგორც გადმოცემული სამართლის ნორმაში კანონმდებლის ნება და აზრი: „კანონი არსებობს და ჩვენ ვაღებდეთ ვართ მას დავემორჩილოთ, მაგრამ უნდა დავემორჩილოთ მხოლოდ კანონში გადმოცემული კანონმდებლის ნების და არა იმ აზრის შესაბამისად, რომელიც შეიძლება კანონმდებელად იქნეს თავს მოხვეული კანონისათვის მისი გაუგებრობის გამო. კანონისადმი მორჩილების სხვაგვარი მოთხოვნის უფლება არაა იმ აქვს“¹.

კანონის ახსნა-განმარტება, როგორც განსაზღვრული იურიდიული მოვლენა, რთული პროცესია და იგი გულისხმობს კანონმდებლის მიერ ნორმით დადგენილი აზრის გაჩვენებას (выяснение), და, რაც მთავარია, მის მიკვლევას (раскрытие): „კანონი რომ შეუფარდოთ კანონმდებლის ნებისა და განზრახვის შესაბამისად, იგი უნდა ვაფიქსოთ, მაგრამ მისი ვაგება არ შეიძლება იმ საქმისათვის გარეშე, რომელიც ამჟამად ამჟამად კანონის აზრის გაჩვენება და მიკვლევას იქნის და რუმელსაც ახსნა-განმარტება (толкование) ეწოდება“². ი. ქავჭავაძე სპეციულობს, კანონის გაჩვენება გულისხმობს მხოლოდ შესაფარდებლად შერჩეული ნორმის შეცნობას, ამ შემთხვევაში სამართალ-შემფარდებელი კმა, უფროდებდა მხოლოდ სამართლის ერთი ნორმის ფარგლებში, რაც შეეხება კანონის აზრის მიკვლევას, იგი შეფარდებით ფართო იურიდიული საქმიანობა და გულისხმობს კანონის აზრის გაჩვენების შედეგად შეცნობილი კანონმდებლის აზრის სრულყოფის კანონმდებლობის სერით სხვა შესაბამისად, სამართლის სხვა ნორმების წინააღმდეგ გათავისუფლებით, სამართლის რეალიზაციის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, სამართლის ნორმის შეფარდების პროცესში კანონის ახსნა-განმარტების შემოაღწეული იურიდიული აქტის საფუძველია, რადგან, როგორც ი. ქავჭავაძე მიუთითებს, კანონის ახსნა-განმარტებისას, სამართლის ნორმის აზრის გაჩვენებას და მის მიკვლევას „გამოიხატება მართლმსაქმების

სწორი განმარტებების მთელი კომპლექსი ამიტომაც, სამართლის ნორმის მისადაგება საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეული შემთხვევისათვის კანონის ახსნა-განმარტების გარეშე, ი. ქავჭავაძის მტკიცებით, სამართლის ნორმის შეფარდების დიდი ხარვეზია, რასაც შედეგად მოხდეს კონკრეტული ფაქტის სამართლებრივი რეგულირება კანონმდებლის ნების საწინააღმდეგოდ.

სამართლის ნორმის რეალიზაციაში სამართლის მრავალი სუბიექტი მონაწილეობს და რადგანაც ნორმის რეალიზაცია კანონის ახსნა-განმარტების გარეშე შეუძლებელია, ნორმის აზრის გაჩვენებითა და მიკვლევით დაინტერესებულია ეველა მთავარი, სამართლის რეალიზაცია გულისხმობს ნორმის შესრულებას, გამოყენებას და შეფარდებას, სამართლის ნორმის ასრულებას და იუვენებს სამართლის ეველა სუბიექტი, რაც შეეხება კანონის შეფარდებას, მას ახდენს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები, რომელთა სათავეში, როგორც წესი, იურიდიული განათლების მქონე თანამდებობის პირები არიან, აქედან ცხადია, რომ კანონის ახსნა-განმარტებით დაინტერესებულია ეველა, ვინც კი ასრულებს, იუვენებს და უფარდებს სამართლის ნორმას, აკრიტიკებს რა თბილისის საოკრუტო სამართლის გადაწყვეტილებას, ი. ქავჭავაძე მიუთითებს, რომ მას „არავითარი კანონიერი საფუძველი არა აქვს და ამიტომაც იგი არასწორია, იმაში ადვილად დააჩვენებდა ეველა, ვინც უტრუდებდა კი დაუფლებულია იურიდიულ განათლებას, კანონში გამოხატული სიტყვებისა და გამოთქმების გრამატიკული განსაზღვრისა და აზრებისა და ცნებების ლოგიკური შეპირისპირების გზით კანონის წინააღმდეგობის დაახლოებისა და აზრის დადგენის გაჩვენებულ ჩვეულებას, უპირატესად ვაშობს იმათზე, რომელთაც სერიოზული და სილიდური განათლებით ვაგაჩვენებული აქვთ უნარი განსაზღვრონ კანონის აზრი კანონმდებლობის სხვა დადგენილებებთან იმ წინააღმდეგ კავშირით, რომელიც ერთ მთელად აერთიანებს მოცემულ საკითხზე ეველა სამართლებრივი ინსტიტუტსა და სამართლებრივ წესს“³.

სამართლის ნორმის შეფარდების პროცესში უკველგვარი შეცდომისა და ხარვეზის თავიდან ასაკლებლად საჭიროა სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების ხერხების ცოდნა და მათი გამოყენება, ი. ქავჭავაძე კანონის ახსნა-განმარტების თანაზე ანუ შედეგს საერთადადებო თეორიულ მონაწილეობებს და, ამასთან ერთად, ცალკეული საკითხის მიხედვით ვააღებებს კანონის ახსნა-განმარტების ნიშნებს, იგი იცნობს სამართლის ახსნა-განმარტების ეველა ფორმას, კანონის სიტუაციისთვის, ლოგიკურ, ფილოლოგიურ და ა. შ. ახსნა-განმარტების, მისი აზრით, სიტუ-

¹ ი. ქავჭავაძე, დსაპ, ნაშრომი.

² ი. ქავჭავაძე, დსაპ, ნაშრომი.

³ იქვე.

ვა-სიტუაციით ახსნა-განმარტების ზოგადი მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ სიტუაცია, რომელიც ვადმოქმედობს ნორმა, როგორც წესი, მიუყვამოვლოდ ეს მნიშვნელობა, რაც მათ განიხილავს ჩვეულებრივ საღამაჰარკო ენაში, ამასთან, მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ კანონმდებელი ძალიან ზეჰარად ზოგადით სიტუაცია იყენებს სპეციალურად, იურიდიული აზრით. მაგალითად, სიტუაცია „მფლობელობა“ ჩვეულებრივ საღამაჰარკო ენაში გამოიყენება კუთვნილების, საკუთრების აზრით. მაგრამ კანონმდებელი მის ენაღმად იყენებს სპეციალური, იურიდიული აზრით, კერძოდ, სიტუაცია „მფლობელობა“ საკანონმდებლო აქტებში გამოიყენება საკუთრების ერთ-ერთი შეზღვევითი ელემენტის აღსანიშნავად საკუთრების სხვა ელემენტების, კერძოდ, განკარგვისა და სარგებლობისაღმად განსახიზღებლად. ნაწარმო დებულების 168 მუხლის შინაარსის დადგენასთან დაკავშირებით კანონში მოხსენიებული სიტუაციები — „მფლობელობისა“ და „საკუთრების“ განსაკრევად ი. ჰვაჰვაჰად აღდგენს რუსეთის იმპერიის საშოკალაჰო სამართლის კანონების X ტომის მეორე ნაწილის მეორე მუხლით დადგენილი სამართლის ნორმის სიტუაცია-სიტუაციით ახსნა-განმარტებას, იგი წერს: „თუ ჩავუყვარდებით მოტანილი X ტომის მეორე ნაწილის საწარმე მუხლის სიტუაცია-სიტუაციით აზრს, ჩვენ დაინახავთ, რომ კანონი აერთიანებს რა კუთვნილების ფაქტის ვარაუდს მფლობელობის ფაქტთან, ამ უთანახმელებს განსაზღვრავს მხოლოდ ორი ნიშნით, სახედღობრ: ნაშდვლიან მფლობელობის ფაქტით და სხვისი პარტეციპიის, სხვისი უფლების არ-არსებობით. ამ, არსებობად მთელი განსხივავება კუთვნილების აზრით მფლობელობის სიტუაცია და კუთვნილების, საკუთრების უფლებას შორის“.

მაგრამ კანონის სიტუაცია-სიტუაციით ახსნა-განმარტება ურდუდების ვერ გვადგენს სასურველ შედეგს და იგი საკმარისა არ არის კანონში გადმოქმედი კანონმდებლის აზრის დახადგენად. ი. ჰვაჰვაჰად წერს: „კანონის ახსნას და განმარტებას მარტო სიტუაცია-სიტუაციით თარგმნეც კანონისა ურდუდების არა შეუღებს“. ამიტომ კანონის ახსნა-განმარტების თერგონა იცნობს სამართლის ნორმის შინაარსის დადგენის სხვა მარტებისაჰც, კერძოდ, კანონის ლოგოჰურ, ხასტემატურ, კრამატოჰურ და ა. შ. ახსნა-განმარტებებს. კანონის ახსნა-განმარტებების ეს მარტები ეშუარტება სამართლის სისტემაში გადრთიანებულ ნორმებს შორის ლოგოჰურ, კრამატოჰურ, ხასტემატურ და ა. შ. კავშირებს. ამიტომაც, ი. ჰვაჰვაჰადის აზრით, ამ, ვინც ედილობს კანონის ახსნა-განმარტების გზით სამართლის ნორმის შინაარსის დადგენას, იგი დუფლებული უნდა იყოს

„კანონში გამოხატული სიტუაციები [ხედავთ მუხ. 168] განმარტული განსაზღვრისა და აზრებისა და ცნებების ლოგოჰური შეიარსებადების გზით კანონის წინამძღვრების დახლოებისა და აზრის დადგენის გარკვეულ ჩვეულებს“.

მზრად, ცნობილია კანონის ახსნა-განმარტების სხვადასხვა მარტები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ სამართლის ნორმაში მოცემული კანონმდებლის ნება. მაგრამ ი. ჰვაჰვაჰად მიუთითებს, რომ ზოგჯერ სამართლის ნორმის შინაარსის სრული შეცნობა შეუღლებელია კანონის ახსნა-განმარტების ერთი რომელიმე მარტის გამოყენებით და ასეთ შემთხვევაში უფლებელია სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების რამდენიმე და ერთდროულად ენაღმად მარტის კომპლექსურად გამოყენება, რაც მოთხოვს საფუძღლიან იურიდიულ ცოდნასა და გამოცდილებას. სამართლის ნორმის შინაარსის დახადგენად კანონის ახსნა-განმარტების მრავალ მარტს იყენებს ერთდროულად ი. ჰვაჰვაჰად იურიდიული აზრუდებისში „ნაწარმო დებულების 168 მუხლი და მისი შეფარდება თბილისის საოკრუგო სასამართლოს მიერ“.

ი. ჰვაჰვაჰად მიუთითებს, რომ თბილისის საოკრუგო სასამართლომ ნაწარმო დებულების 167 და 168 მუხლებისა და, აგრეთვე, სხვა სამართლებრივი ნორმების არასწორა გაგების გამო გამოიტანა მცდარი დასკვნა, კერძოდ, თითქოს უფროსი ნორმისი, სანამ იგი შეასრულებდეს ამ დამატოკებდეს რამე აქტს უმრავი ჰონების გადაცემის ამ დავირავების შესახებ, ვალდებულია დარწმუნდეს იმაში, რომ გადასაცემა ამ დახავირავებელი ჰონება ვამსხვისებელი ამ დამატოკებდელი მზარის კუთვნილება და იგი მოვალეა ამაში დარწმუნდეს არა მარტო სიმტოკის წესით შესრულებული მხოლოდ უფლების დამკრავრების აქტით, არამედ სამიჯრო აქტებითაც, რომლებიც მიითებულია ამიერკავკასიის მზარის გამოყენის შესახებ დებულების 218 მუხლში.

თბილისის საოკრუგო სასამართლოს გადაწვეტილების მცდარობის ნათლსაჰურად ი. ჰვაჰვაჰად, პირველ ურდუდისა, კანონის ახსნა-განმარტების გზით არკვევს საშოკალაჰო გარავებების ზოგად სამართლებრივ მნიშვნელობას და ამასთან დაკავშირებით, ნორმისის, როგორც სახედღობრ ნელსუფლებას ორგანოს წარმომადგენლის, დანიშნულებას. ი. ჰვაჰვაჰად მიუთითებს, რომ საშოკალაჰო გარავებები სხვა არაფერია თუ არა კანონით ნებაღართული განსაზღვრული ურთიერთობები, რომლებიც ეღობდება კერძო პირთა წებით. საშოკალაჰო გარავებების ამ განსაზღვრებიდან ნათელია ნორმისის, როგორც სახედღობრ ნელსუფლებას ორგანოს დანიშნულება და მისი ბელისუფლებების საზღვრები, კერძოდ, ნორმისის ვალდებულება ამ ბელისუფლებების ავტორიტეტით დაამო-

1. ი. ჰვაჰვაჰად, დსაბ, ნაწრომი.

1 ი. ჰვაჰვაჰად, დსაბ, ნაწრომი.



წმის კანონით ნებადართული უკველგვარი სა-
საქალაქო გარიგება, რომელიც იდება კერძო
პირთა შორის. აქედან ცხადია, რომ ნოტარიუსის
ფუნქცია-მოვალეობა უნდა გამოვლინდეს მხო-
ლოდ იმ პირობების გათვალისწინებით, რომელი-
თაც იქმნება გარიგების შესრულების შესაძლე-
ბლობა. ნოტარიუსის სხვა მოქმედება სასაქალა-
ქლო გარიგებათა აქტების შესრულების ან და-
მოწმებისას იქნება ზედმეტფუნქციის გადამტე-
ვა და კანონსწინააღმდეგო. სასაქალაქო გარი-
გების დამოწმება და დამტკიცება, რომელიც უნ-
და უძრავ ქონებაზე საკუთრების ფუნქციას სხვა
პირზე მის გადასვლაზე, უფროსი ნოტარიუს-
ის კომპეტენციის სპეციალური საგანია. რაც
დადგენილია სანოტარო დებულების 167 და
168 მუხლებში, სადაც ნათქვამია, რომ უფრო-
სი ნოტარიუსი, სანამ იგი შესრულებდეს ან
დამტკიცებდეს უძრავ ქონებაზე საკუთრების
ფუნქციის გადასვლის ან შეზღუდვის აქტს, ვალ-
დებულია დარწმუნდეს კუთვნილის თუ არა ქონე-
ბა იმ პირების, რომლებიც ასხვიებენ ან
ზღუდავენ მათ ფუნქციებს. ი. ჭავჭავაძე შენიშ-
ნავს, რომ კანონის ამგვარი მოთხოვნა თითქოს-
და ზღუდავს სასაქალაქო გარიგებების თავის-
ფუნქციას, რადგან რა ზედი აქვს კანონს, ცეცხ-
შეიტანოს განსაზღვრული წესის კუთვნილებას, მა-
ინა, როცა მხარეთა წინამძებელი არაა ყოფ-
ნა-გაყოფაზე და ამასთან არ არსებობს გარკვე-
პირების პრეტენზია განსაზღვრულ წესზე, მაგრამ
კანონი კანონია და მას უნდა დავუმორჩილოთ
მხოლოდ კანონმდებლის წების მიხედვით. თბი-
ლისის საკრებულო სასამართლომ ვერ დაადგინა
იმ მუხლებს შინაარსი კანონმდებლის წების მი-
ხედვით. იმის, რაც ვერ გაყოფა სასამართლომ,
რუსული იურიდიული არაის მოშველებითა და
სხვა ნორმატიული აქტების ახსნა-განმარტებით.
ი. ჭავჭავაძე წათვლს მდის და 167 და 168 მუ-
ხლების არს კანონის ახსნა-განმარტების წინა-
დასაზღვრებს შემდეგ სამ თვისში: პირველი, სა-
ნოტარო დებულების ამ მუხლებში არაიათ, სრუ-
ლებით არაა საქრთო ნოტარიუსი დარწმუნდეს
მხარეს აქვს თუ არა ქონებაზე საკუთრების ფუნ-
ქცია, საუხებთ საქმისათვის წესის კუთვნილე-
ბის ფაქტის შემოწმება; მეორე, წინის კუთვნი-
ლების ფაქტის დარწმუნებლად სასწრაფოა,
სიმტკიცის აქტების გარდა, სხვა წერტილებით
დამამტკიცებელი საბუთებიც; მესამე, ნოტარი-
უსის მოქმედების უძრავ ქონების აქტის დამტკი-
ცებისას უფრო მეტად აქვს საკუთარს და არა
ფუნქციის სასამართლო-სარევიზო შემოწმების
სახაით, თვსების სახით გამოვლინებული
მოსაზრების დახასიათებლად ი. ჭავჭავაძე ად-
გენს შინაგან კავშირებს, ერთი მხრივ, სანოტარო
დებულების 167 და 168 მუხლებსა და, მეო-
რე მხრივ, რუსეთის იმპერიის მთელ სასაქალა-
ქლო კანონმდებლობას შორის. ი. ჭავჭავაძე
მითითებს, რომ სასაქალაქო კანონმდებლობის
X ტომის მეორე ნაწილის მეორე მუხლში ნათ-

ქვამია, რომ უძრავ ქონების უკველგვარი
ქართო ფლობა, თუნდაც უკანონო, მიიწვევა
უდავოდ და დაუფლავ კანონით მართობისა და
თვითნებობისაგან. სანამ მანზე ვახსენებუ-
ლი არ იქნება და ან ცალკე და ქო-
ნება არ მიეკუთვნება სხვა, ი. ჭავჭავაძე სჯამს
კითხვას: რით შეიძლება გამართლებულ იქნეს
ამგვარი კანონის არსებობა ან თვითონ საფუძობს,
რომ ამგვარი კანონის არსებობა უნდა იხსნას
მხოლოდ იმით, რომ პირის უკველგვარ ფუნქცი-
და სამდელ ურთიერთობაში წისებულ ქონება-
ზე მფლობელობა, როგორც ფაქტ, ვედლის-
მობს, აგრეთვე, ნეტარ პირის სატონობის
ფაქტს. ი. ი. კუთვნილების ფაქტს, მფლობელ-
ობის ფაქტის კუთვნილების ფაქტთან ანუ
მჭიდრო კავშირის თავისი ისტორიული საფუძე-
ლი აქვს, კერძოდ, ცივილიზებული საზოგადოე-
ბის ჩასახვიდან ხალხის შეგნება უკველთვის ად-
რთობებს მფლობელობის ფაქტთან საკუთრების,
კუთვნილების ფაქტს, რაც იხსნა მოქმედ კან-
ონმდებლობაში. ეს აშკარად მოჩანს X ტომის
მეორე ნაწილის მეორე მუხლიდან. პირველი ნაწი-
ლის 1358, 1361 და სხვა მუხლებიდან. შემოად-
ნიშნული სასამართლის ნორმების ახსნა-განმარტე-
ბიდან ი. ჭავჭავაძე ასევეს: „სამდელ მფლო-
ბელობას, რომელზეც საკუთრების ფუნქციას კი-
არ არსებობს, კანონი ანიჭებს საკუთრების, კუ-
თვნილების მნიშვნელობას, სხვათადაც არაა არ
ექმნობდა ერთი მუხლით იმაზე მეტის დასაფუძა,
რაც დადებითი სახით იკრძალება მეორეთი...
1358 მუხლიდან, რომელიც სხვა არაფერია, თუ
არა X ტომის მეორე ნაწილის მეორე მუხლის
პირდაპირი შედეგი და განსაზღვრულია, განა წა-
თლად არა ჩანს, რომ სხვაში, რომლის მიმართაც
ნოტარიუსი უნდა დარწმუნდეს, გაყოფის ან და-
გარაყვების შემთხვევაში სიმტკიცის აქტის შეს-
რულებისას, შეიძლება იყოს სამდელი მფლო-
ბელობის ფაქტაც, მოწმელობაზე კანონი უშუა-
ლად აფრთხილებს კუთვნილების, საკუთრების ფა-
ქტის ცნებას, როგორც ეს უკვე შეგონთ დაინა-
ხეთ, თუ რა მნიშვნელობას და ძალას ანიჭებს ამ
შემთხვევაში კანონი სამდელ მფლობელობას,
ეს ნათლად ჩანს X ტ. პირველი ნაწილის 1392
და 1393 მუხლებიდან, რომლითაც ნებადართე-
ლია გაყოფა და დგარაყვება კ საკუთრ ქონე-
ბისა, თავისთავად ცხადია, მხოლოდ იმ პირობით,
თუ ქონება ანუ ფუნქცია გამსხვიებლის სამდელ
მფლობელობაში, მაშასადამე, მაშინაც კი, როცა
ქონებაზე არსებობს სხვისი პრეტენზია, კანონს
არ შეუძლია გამოუოს კუთვნილების ცნება წამ-
დელი მფლობელობის ფაქტად“.

კანონის ახსნა-განმარტების ბერებების ერთობ-
ლიად გამოყენების შედეგად, ი. ჭავჭავაძე ასა-
ბუთებს, რომ სასაქალაქო კანონმდებლობის წე-
მოადინიშნული მოთხოვნები ასახულია სანოტარო
დებულების 167 და 168 მუხლებში და სხვა-

ნაირად არც შეიძლება, რადგან მოქმედი სამართლის სისტემა ერთიანი და შეუქცევადი მის ცალკეულ ნორმატულ აქტებს შორის პრაქტიკულ წინააღმდეგობას ქონდეს ადგილი.

ამრიგად, ასკენის ი. ჭავჭავაძე, თბილისის საოკრუგო სასამართლომ არასწორად გადასწვეიტა) საქმე, რადგან იგი ვერ გაერთვება მოქმედ კანონმდებლობაში, კერძოდ, სასტარო დებულების 167 და 168 მუხლების თანახმად, იმისათვის, რომ ნოტარიუსმა შეასრულოს და დაამტკიცოს ქონების გასხვისების ან მასზე უფლების შეზღუდვის აქტი, იგი უნდა დარწმუნდეს მხოლოდ ქონების ფაქტობრივ კუთვნილებაში (ფაქტობრივ მფლობელობის აწრით), იმისათვის კი საკმარისია მართლ სიმტკიცისა და სამიჯნო აქტები და სხვა წერილობითი მტკიცებულებანიც, როგორც კანონი დასაშვებად თვლის ნაშვადი მფლობელობის ფაქტის დასადასტურებლად. გარდა იმისა, კანონის მიხედვით, ნოტარიუსის ამ მოქმედებას აქვს საერნობარო და არასტრიოზული ხასიათი. ამიტომაც არც სასამართლოს და, კერძოდ, არც ნოტარიუსს, ქონებაზე დაუდასტურებელი უფლების საბაბით, არ შეუძლია იმსჯელონ ამა თუ იმ მხარის მიერ დადებული გარავნობის ან უიღვაწეადვის სამოქალაქო გარიგების სარგებლიანობის ან არასარგებლიანობის შესახებ. სხვაგანადაც ეს იმენსოდა ხელყოფა სამოქალაქო გარიგების საერნობა-სამართლებრივი თავისუფლების საწინააღმდეგობა, რომლის ძალითაც თითოეულ მხარეს ეჩვენება უფლება და შესაძლებლობა ყველა შემთხვევაში თავიანთ განსაზღვროს ესა თუ ის გარიგება რამდენად შეესაბამება მათ ინტერესებს.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს, რომ თბილისის საოკრუგო სასამართლოს მიერ კონკრეტული საქმის არასწორად გადაწყვეტა, ერთი შეხედვით, ქვეყანაში სამოკალაქო სამართლებრივ რეცესს თითქოსდა საფრთხეს არ უქმნის, მაგრამ სასამართლო პრაქტიკის დიდი მნიშვნელობა აქვს

სამართლის რეალიზაციის ძირითადი შემთხვევების განსაზღვრაში, კერძოდ, სასამართლოს მიერ ერთი კონკრეტული შემთხვევის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტალება შეიძლება გახდეს ყველა მსგავსი შემთხვევის ანალოგიურად გადაწყვეტის საფუძველი. სხვა სიტუაციით რომ ვთქვათ, სასამართლო პრაქტიკის მასალების საფუძველზე გაკეთებულმა დასკვნამ შეიძლება შეასრულოს სახელმძღვანელო მითითების როლი; მით უმეტეს, თუ ეს გადაწყვეტალება გამოტანილია ისეთი მძალი ინსტანციის სასამართლოს მიერ, როგორც თბილისის საოკრუგო სასამართლოა. სწორედ ამიტომ, მიუთითებს ი. ჭავჭავაძე, ამ სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტალებაში აღჭრული საკითხი ზოგადი ხასიათისა და მოითხოვს სპეციალურ შესწავლას. წინააღმდეგ შემთხვევაში თბილისის საოკრუგო სასამართლოს მიერ გამოტანილი არასწორი გადაწყვეტალებების მოთხოვნათა ანალოგიურ შემთხვევებზე გავრცელება მნიშვნელოვნად შეუძლებს შესაფერთო ინტერესებს და ხელს შეუშლის ეკონომიკურ აღმავლობას.

იურიდიული თზულება — „სასტარო დებულების 168 მუხლი და მისი შეფარდება თბილისის საოკრუგო სასამართლოს მიერ“ და აგრეთვე, სახელმწიფოხა და სამართლისადმი მიძღვნილი ი. ჭავჭავაძის ნაშრომები წარმოდგენას გვაძლევს მათ ავტორზე, როგორც დიდ სწავლულ იურისტზე, რომლის თეორიული მსკელობები იურიდიული მცენიერების დრმა ცოდნასა და მაღალ სამართლებრივ კულტურას ემყარება. გადაუტარებლად შეიძლება ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძის იურიდიული თზულებები, რომლებიც მაღალ თეორიულ დონეზეა შესრულებული, მაგრამ, სამწუხაროდ, უოვედმხრივ და მთლიანად ქერ კიდევ არაა შესწავლილი, მის ავტორს წარმოაჩინეს, როგორც სწავლულ იურისტსა და სამართლის დიდ თეორეტიკოსს.

დავაფუსტოთ ზოგიერთი ცნება

„მშენებლის“ 1962 წლის მე-9 ნომერში „განხილვის წესით“ დაბეჭდა ე. წ. ქველიძის წერილი „პოეზიისა და პროზის მიჯნაზე“. წერილში ჩვენი სალიტერატურო ცხოვრების შეტად სატირბორტო პრობლემებია წინ წამოწეული, ამიტომ ის თავისი შენაარსითაც, სარედაქციო მინაწერის გარეშე იწვევს განხილვისა და კამათის სურვილს.

წერილის სათაურია, ზემო აწრით, საქმარისად უნებად ვერ მიანიშნებს იმ საკითხზე, რომელიც ავტორის წინაშე დგას. პოეზიისა და პროზის ურთავრთდასპლოცების, მათ შორის ზღვაარის მოშლის ტენდენცია მას თავისთავად არ აინტერესებს. ეს მხოლოდ ფონია, რაზეც ახლესა მსჯელობა თანამედროვე ქართული ლიტერატურის მიმართებაზე მხოლოდო ლიტერატურასთან, კერძოდ იმზე, თუ რამდენად ორგანულად ითავისებენ თანამედროვე ქართული მწერლები მხოლოდო ლიტერატურის მიღწევებს.

ე. ქველიძის დავარტვებით, უკანასკნელი პერიოდის ქართული მწერლობა სულ უფრო ცდილობს გაითავლისწინოს მხოლოდო, განსაკუთრებით დასავლეთეუროპული, სალიტერატურო პროცესის გამოცდილებმა. ეს უკვლად სასიკეთო პროცესია. მაგრამ მასაც თავისი საფრთხე მოჰყვება: „როცა კაცს არ გააჩნია ნიჭი, აქლმა საუკეთარო, ეროვნული კულტურის სიუფარტული და ზომიერებას გრძნობა, არსებობს სხვა საშეშრობად, რომ უცხო ხელოვნებასთან ზარებას შეიძლება წარმოშვას ბრმა მიმბაძეულობა და ეპიგონობა, რაც უველგან და უკვეთთუვის დასავლეთი იუო და არის“. (გვ. 127).

შეძლია, არ დავთანხმო ავტორის მსჯელობას. უცხო კულტურის მიღწევითა გადმონერტვის თავისთავად მისხაბლებებელ მსდელობა მდუამ დაკუწირებული სიძნელეებთან და შეიძლება მიგვიყვანოს იმგვარ მოვლენებთან, „როცა სხვის დაღებულ ლუქას წავუპოტიწე-

ხით, ვერ გადავვლდავთ და მოუნდებლად უკან გადმოვადებთ“ (გვ. 127). ზუსტად არის მიანიშნებულა ამ მოვლენათა „სუბიექტური ფაქტორებიც“. ამ ზოგად ღონეზე არც განსახილველია არაფერი და აღარც საკამათო, უკველივე ამის თქმა ამოორულადაც შეიძლება. სალიტერატურო იქ იწუება, სადაც ავტორი კონკრეტულ მასალაზე გადადის და ცდილობს აჩვენოს, კერძოდ რა არის თანამედროვე ქართული ლიტერატურაში არაორგანული, ხელოვნური, უფრო მითრეული, უცხო გავლენათა უკრიტიკო მიღებით შობილი.

თავის ზოგად მოსაზრებათა სადემონსტრაციოდ ავტორი ირჩევს ორი თანამედროვე პოპულარული ქართული მწერლის — ბესიკ ბარანაულიისა და გურამ დორანაშვილის ნაწარმოებებს. პირველი მათგანი პოეზიის გამოკნაულებას განსახიერებს, მეორე კი — პროზის გამოეტურებას; საერთო ძალეებით ისინი საერთო შედეგებს აღწევენ — ზღვარს შლიან პოეზიასა და პროზას შორის, რასაც ე. ქველიძე „უწარის გაუცხოებას“ უწოდებს და რაც მისი აწრით, სწორედ დასავლეთიდან მონაქროლი ქარებით არის შემოტანილი ჩვენს ლიტერატურაში.

ამგვარი არჩევანი, ზემო აწრით, სწორია. ე. ქველიძის მიზანი არა ცალკეულ მწერალთა განიქებაა (უნეკო და იოლადა ვასაკრიტიკებელი ავტორის პოვნა არასოდეს არ კარს). არაქედ მთელი სალიტერატურო პროცესისათვის ნიშნულ ტენდენციითა წარმოჩენა. ასეთი ტენდენციები კი სწორედ საუკეთესო, პირველი რიგის მწერალთა შემოქმედებაში ჩანს უფრო მკაფიოდ. ძნელია ზ. ბარანაულს ან გ. დორანაშვილს უნიქობა ან მშობლიური კულტურის არასაკმარისი სიუყარული დაწმამო — ამას ე. ქველიძე არც აკუთებს. მაგრამ, როგორც გვახსოვს, „მოუნდებელი ლუქის“ ფენომენის ერთ-ერთ „სუბიექტურ მიკობად“ მას

ზომიერების გრძობას ნაკლებობა აქვს დასა-
ზღვრული. ზომიერების გრძობა კი ისეთი
რამ არის, რაც თვით უმადლებს რანგის მწერ-
ლებსაც დალატობს ხანჯაბან. ზომიერების
გრძობის დალატი გემოვნების დალატია. სა-
მადღობატურად კრიტიკის (რომლის მთავარა
სიკვდილ სწორედ მაღალი გემოვნება უნდა
იყოს) უმართლებს ამოკანა კი ის არის, „გე-
მოვნებითი რეაქციის“ შეზღუდვებზე დროუ-
ლი და უშედეგო რეაგირება მოახდინოს.

ბ. ხარანაულის შემოქმედებებში არასასურ-
ველი ტენდენციების გამოვლენის ნიშნულად ე.
ჩავდელიძემ აარჩია ლექსი „კარტოფილის ამო-
ღება“, რომელსაც იგი დეტალურად არჩევს და
პოეტს წარუბრუნებლად უთვლია (ჩემი აზრით,
სამართლიანად). ე. ჩავდელიძეს კარგად ესმის,
რომ ერთი მუსტი ლექსიდან (პოეტის სხვა
ნაწარმოებებს, მაგალითად, პოემას „ბენიარსი
თარგანი“ ის მაღალ შეფასებას აძლევს) ზო-
გადი დასკვნების გაკეთება სარისკო საქმეა,
მაგად აქ, მისი აზრით, გამოწყობის უნდა
დავუშვათ, და ამას განაპირობებს ორი მიზეზი:
„ქრ ერთი, ეს ლექსები არსებულად ლიტერა-
ტურული მოდის გამო მოწონებას ამსახურებს
პროფესიონალურ თუ არაპროფესიონალურ
წრეებში და, მეორედ, რაც მთავარია, ამქრად
საქმე ვაკვებს არა შემთხვევით ნაკარჯისთან,
არამედ პოეტის შეგნებულ შემოქმედებით მო-
წოდებისთან და, თუ შეიძლება ასე ითქვას, წი-
ნისწარ განზრახულ პოზისთან“ (გვ. 182). პირ-
ველი მიზეზი, ავტორისავე აღიარებით, მთა-
ვარი უა არის (ეს სტატიის ზოგად მონაწილე ნა-
ვლებს უკავშირდება), ამიტომ ჩვენც ამისთანად
მთავსივით ურჩავდებოდა რა პოეტიკის (თუ პო-
ზის) ებრძვის კრიტიკის პოეტის ლექსში? რა
პოლიცია მარცხდება ლექსის დამარცხებით?

აქ ჩვენ ვიხსენებთ სტატიის სათაურს: „პო-
ეტიკა და პოზის მიჯნაზე“. ტენდენცია, რომ-
ლის გამოვლენასაც, ე. ჩავდელიძის აზრით, წარ-
მოადგენს ლექსი „კარტოფილის ამოღება“,
არა პოეტიკის გამარჯობა, პოეტიკის უარყოფა
„გაუცხოება“, პოეტიკის ქვედა არაპოეტიკად,
ხუნებინება, რომ როცა პოეტიკა კარგავს საკუ-
თარ თავს, აქცევა არაპოეტიკად, და ამავდ დროს
ინარჩუნებს პოეტიკად უოფნის პრეტენზიას, ეს
უდრია, ვასაკრატეებელი და დასაგმობი. ლექ-
სში „კარტოფილის ამოღება“ სწორედ „უარყოფის
გაუცხოება“ მოხდა. და მოხდა არა შემთხვევით,
არამედ პოეტის შეგნებულად მიღებული მო-
წოდების შედეგად. ესე იგი, ბ. ხარანაულის პოლი-
ცია ამაში მდგომარეობს, რომ პოეტიკა მავნი-
მალურად დაგუბლოვით პარზას. ამას (რო-
გორც კონკრეტული ლექსის მაგალითზე ვახდა
ცხადი) პოეტიკის თვითუარყოფამედ მივყავართ.
მასთანადასე, არა მხოლოდ ლექსი „კარტოფი-
ლის ამოღება“ სუსტი, არამედ არასწორია ის

ზოგადი პოლიცია, რაც ლექსს მდგომარეობა
ევს.

ეს მსჯელობა სახეებით ლოგიკურია. სრული
დაშავრებლობისთვის საჭიროა ვაჩვენოთ ერთი
რამ: მინც რატომ სურს ბ. ხარანაულს გა-
კეთოს შემოქმედებითი „ხარაიკი“ — დაუ-
ახლოოს პოეტიკა პარზას?

სწორედ აქ გამოვლის ამატრუე დასავლური
კულტურის „მოუხილებელი“ გალენა. პოეტი-
კის პარზისთან დაახლოების ტენდენცია, ე. ჩა-
ვდელიძის აზრით, თავისუფალ ლექსში, ანუ ვერ-
ლისში ვლინდება, ამ უკანასკნელს კი ვახე-
ტონებულად მდგომარეობა უკავია თანამედრო-
ვე დასავლურ პოეტიკაში, ხოლო საქართველოში
მისი ცნობილი ნიმუშებია ბ. ხარანაული.

ვინც ე. ჩავდელიძის თვალსაზრისს ჩემი სტატი-
ის მიხედვით ეტნობა, მას ეტვიც არ შეეპარება,
რომ საქმე ვაკვებს ვერლისის აშკარა მოწინა-
აღმდეგობთან, მაგრამ ეს ასე არ არის. ე. ჩავ-
დელიძე ზოგერთივითი ფორმალურად კი არ
აყვადებს — „ახსებითი მიწვევლობა არა აქვს,
ვერლისის წერს პოეტი, თუ ტრადიციულ ლექსს,
მთავარია, როგორ წერს, რა ნიჭიერებით!“
(გვ. 182) — რათა მერე თქვას, ქართულად ქრ
კარგი თავისუფალი ლექსი არ დაწერილაო
არა, ეს არა მხოლოდ სრულფასოვან პოე-
ტიკად აყვადებს ვერლისის, არამედ უფრო
შორს მიდის და მას, პოეტიკის განვითარების
თვალსაზრისით, რითმან ლექსზე მაღლა აუე-
ნებს! სანამ ბ. ხარანაულის ხსენებული ლექსის
განხილვას დაიწყებდეს, იგი დამაჭრებლად და
საქმის ცოდნით მსჯელობს ლექსის ამ ორ ტი-
პის მიმართებაზე, იმაზე, რომ ვერლისი მეთა-
ნიურად კი არ უარყოფს ტრადიციულ რითმი-
ან ლექსს, არამედ ეშუარება მას. წინადაც
გულისხმობს, რომ მისი ადეკვატური აღქმა
მხოლოდ ტრადიციული პოეტის ფორმეა შე-
საძლებელი. ამიტომ „ქრეზიტიკი თავისუფალი
ლექსი, სწორედ მისი უბრალეობისა და სიმარ-
ტივის გამო, უფრო ძნელად დასაწერია და ძნე-
ლადაც აღსაქმელი, ვიდრე ტრადიციული“ (გვ.
182). ვერლისისთან არა მარტო შეიძლება დაი-
წეროს, არამედ დაწერილა კიდევ პოეტიკის
პრეზიტიკი ნიმუშები, ქართულად კი ეს გაუ-
კეთებია ბ. ხარანაული.

მაშ რა გამოვიდა? ლოგიკური შენობა, ამდენ
ხანს რომ ვაკვებდით და თითქმის ავადეთ კიდევ,
უტნებ დაგვეტნება. ვამბობთ, ბესიკ ხარანაული
იმიტომ არ გამოვიდაო ლექსი „კარტოფილის
ამოღება“, რომ განუდგა ტრადიციულ პოეტიკას
და იხელმძღვანელა არასწორი პოლიციით —
სყადა, მაქსიმალურად დაეახლოვებინა პოეტიკა
პარზისთვის. არადა, აღმოჩნდა, რომ ეს პოლი-
ცია უდრებს საფუძვლად საერთოდ თავისუფალ
ლექსს, რომელიც თავისთავად კარგი რამე უო-
ფილა და პოეტიკა ახად, უფრო მაღალ საფეხურ-
ზე აუყვანია. ლექსის — „კარტოფილის ამო-

დება" — წარუმატებლობა განაპირობა არასწორმა პოზიციამ, რომელიც თავისთავად სწორია.

კრიტიკოსი აშკარად ეწინააღმდეგება თავის თავს, ე. ი. მსქელობაში რაღაც შეცდომა ვაიპაჩა. ჩემი აზრით, ეს შეცდომა იმ თვისებაშია, თითქოს ვერლიბრში ფულისწიპობდეს პოეზიის დასაბუთების პროზასთან, რომ თავისუფალი ლექსი თავისი არსით ნაკლებად „პოეტურია“, ვიდრე რითმისა. ეს გარეგნული, ზედაპირული შეთხვეტილებათა, და გასაკვირია, როგორ ენდო მას კაცო, რომელიც ასე კარგად უყოფელი გარკვეული ლექსის თერაპიაში. პოეზიას პოეზიად აქცევს პოეტური ხილვა, პოეტური აზროვნება, პოეტური ინტონაცია, — რაღაც მოუღებელი ბეჭი, რომელიც შეიძლება ჩაისყოს რითმისა, შეიძლება არა. ამით მე აქვს თქმა არ მინდა, რომ რითმა და ტრადიციული ლექსის სხვა ატრიბუტები გარეგნული შემთხვევითი ელემენტებია პოეზიისა. ერთი რაივს პოეტური ზედვა რითმის ლექსს მოთხოვს, მეორისა — არა. ვერ დავიკრებ აქვს ცოდნას, ეტყობოდა პოეტურია აზროვნების რა ტიპი რა ლექსს მოითხოვს, მაგრამ რაღაც ვიცოდე, აქ ამის გარკვევის დრო, ადვილი და, რაც მოთავარი, საქართვება არ არის. ერთი რამ კი უნდა ითქვას: ე. ჩველიძის მტკიცებობა, „ტრადიციულ ლექსში სხვაუღებო და უნიკობა მანიწვე აქვს თავს, ზოლო თავისუფალ ლექსში უნიკობის შენიღბვის უფრო მეტი საშუალება არსებობს და ამიტომაც ძნელი გასარჩევია, სადაა ტრადიციული პოეზია და სადა არა“ (გვ. 182). ჩემი აზრით კი, საქმის ტრადიციული ვითარება ზუსტად საპირისპიროა. ვერსადეიკაციული ტექნიკის შესწავლა უკვლავ ნორმალურ ადამიანს შეუძლია, მათ შორის პოეტური ნიჭის არქონის (სწორედ ამიტომ ჰქვია მას „ტექნიკა“). ამის მავალიობები ბლომად მოიპოვება მერს (ისევე, როგორც, აღზაო, ბევრი სხვა ქვეყნის) თურნალებისა და წიგნების უფრტყლებზე. ვერსადეიკაციული ტექნიკის ცოდნა აქვს სწორედ ის „ნიღაბი“, რაც უნიკო პოეტობა შეიძლება შეტყალება წარმატებით აიფაროს. თავისუფალ ლექსში კი პოეტური ხილვა „შეშედი“ საბოლოო, ტრადიციული პოეზიის ხარაგობისა თუ სამშენისებებს გარეშე წარმოუდგება მკითხველს. უნიკობის შენიღბვის საშუალება აქვს არის — აზრის გაბუნდოვანება, მოშენებისით მრავლისმეტყველობა. მაგრამ ამგვარი „ნიღაბი“ ზუსტად არ წარმოადგენს ვერლიბრის მონაპოვარს. ე. ჩველიძის მიერ აღნიშნული ემპირიული ფაქტი — რომ უნიკო პოეტობა ზოლო უფრო ზეირად აფარებენ თავს სწორედ ურითმო ლექსს, სხვა არაფერზე მიანიშნებს, თუ არა ვერლიბრის პრესტიჟის ამაღლებასზე. ეს სალიტერატურო პროცესის გარკვეული მომენტის თავისებურებაა და არა ვერლიბრის შენიღბვის ბუნების მახასიათებელი.

რაც შეეხება ბ. ხარანაულს, ვერლიბრის ვიკო იქნება, ვატიკოსო, რომ იმავე წესს (ესე იგი ვერლიბრში, რომელსაც ე. ჩველიძე პოეზიის გაპროზაულებას აზრადებს). რომელმაც პოეტი შემოქმედებით მწვერვალზე იყვანა, იგი შეიძლება „თანის გაუცხოების“ უფსკრულში გადაიქცეოს. აქ არც ვერლიბრია შეუნი და არც უცხო ეგზოტიკური ხილვის მოუწოდებლობა. ისე კი, უნდა ითქვას, რომ კრიტიკოსის დასაბუთებული ზოგიერთი ლექსი გარკვეულ ხილვებზე მიანიშნებს პოეტის შემოქმედებაში. ამის საბუთია მისი ბოლოდროინდელი შემოქმედებითი დუმილი. ძნელი სათქმელია, რაივს ბრალია ეს. ამის გასარკვევად უფრო ღრმა ანალიზია საჭირო, ვიდრე ე. ჩველიძე და მე ვაწარმოებო. ერთი კი ცხადია: სხვისი მიზანმიმართული ადვილი და ემიგრაცია, რომელიც „სხვის დაღვივებულ ლექსის ემოციონებაში“, შემოქმედებითი ხილვები არ ახასიათებო. ასეთი რამ მოხდის მხოლოდ პოეტებს, რომლებიც ხიტყვაში თავიანთ სულს ანივთებენ. და ამგვარი დუმილი ზეირად მათი შემოქმედების პირდაპირად ახალ საფეხურზე ასვლით მოვარდება. ისევე, როგორც პოეზიის გაპროზაულების (პოეზიის თანის „გაუცხოების“), ისევე პოეზია გაპოეტურების (პოეზიის თანის „გაუცხოების“) ტენდენციას ე. ჩველიძე ერთი მწერლის ნაწარმოების მავალით აჩვენებს — ესაა გ. დოჩანაშვილის მოთხრობა „ვატერ(პო)ლო“, ანუ აღდგენილი საშუალება. თუკი ბ. ხარანაულს ლანარაკისის წაყოფი იყო, თანამედროვე დასავლური პოეზიის ეტყობოდა რა მოვლენას ზაქვს იგი ეგზოტიკურად წარუმატებლად (სხვათა შორის, ამითაა განპირობებული, რომ ე. ჩველიძეც ადვილად „წვევებს“ მის პრობლემას და, შეზამაზისა, წინამდებარე სტატიაშიც მის პოეზიაზე ნაკლებად შეერთდით), გ. დოჩანაშვილის ზამა მიზანმიმართულობის ობიექტი შეტად გარკვეული ჩანს. შეიძლება ითქვას, ესაა XX საუკუნის მთელი დასავლური „მოდერნიზტული“ ლიტერატურა, რომელიც თავის მხრივ ტრადიციულ რეალიზტურ ლიტერატურას უპირისპირდება. ხიტყვა „მოდერნიზტული“ ბრტყულებაში იმპორტ ჩავსვი, რომ ეს უფრო კრებითი სახელია, ვიდრე მეცნიერული ცნება და ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებული მხატვრული მოვლენების მიმართ გამოიყენება. მაგრამ ე. ჩველიძე თითქმის არც ზმარობს ამ, უკვე ტრადიციულად ქცულ, ტერმინს. სამაგიეროდ, იგივე მომცველობას ანიჭებს იგი ტერმინებს „ბუნებრივი“ და „გაუცხოება“, რომელთაც თავისთავად საკმაოდ კონკრეტული და გაცილებით უფრო ვიწრო საზრისი ვაჩნაა. ამტომ, იმის შესაფასებლად, თუ რამდენად მართებულია მათი ხტეროს ამგვარი გაფართოება, უნდა შევცადოთ მათი ამ კონკრეტული, საკუთარი საზრისის გარკვევას.

დაიწყო „გაუცხოების“. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სიტყვით ჩვენ გამოვხატავთ ორ სარულიად სხვადასხვა ცნებას, რომელთაგან პირველი ზოგადფილოსოფიურია, მეორე კი გარკვეულ მხატვრულ ზღვრებზე მიახლოებული. იმ ცნებაში, საიდანაც ეს ცნებები ჩვენთან შემოვიდა, ისინი სხვადასხვა ტერმინებით გამოიხატებოდა. ერთად, გერმანულ ენაში მათ შეესაბამება სიტყვები „Entfremdung“ და „Verfremdung“, რუსულში—„отчуждение“ და „остранение“.

გერმანული ტერმინებით ამიტომ დაიწყო, რომ პირველი ცნება მეგელია და მარქსმა შემოიტანეს, მეორე კი — ბრეტანა (თუმცა, უნაბნელებელი შემთხვევა ცოტა უფრო რთულია და ამაზე ქვემოთ გვქვინება ლაპარაკი). მეგელიანული Entfremdung გამოხატავს არსისა და არსებობის შეუხამებლობას, ე. ი. ისეთ ვითარებას, როცა რაიმე საკუთარ თავს ამხიანებს, საკუთარ არსს კარგავს, საკუთარი თავის მიმართ უცხო ხდება. მაგალითად, მეგელიანთის მატერიალური სამყარო არის გონის, იდეის „გაუცხოება“; თავისი უსაკუთრებო არსით ისე იდეალურია, მაგრამ წარმოდგება როგორც მატერიალური. მარქსიდან მოკიდებული გაუცხოების ცნება მხოლოდ ადამიანისა და მისი სამყაროს მიმართ გამოიყენება. გაუცხოებულა, ერთად, კაპიტალისტური წარმოების მუშა, რადგან იგი უმოწყალო ექსპლუატაციის პარკეტში საკუთარ ადამიანურ არსს კარგავს. პოპულარულია გაუცხოების ცნება XX საუკუნის დასავლური ფილოსოფიის ზოგ მიმართულბაშიც. მაგალითად, ე. ჯეილისის მიერ წახსენები „ტექნიკური გაუცხოების“ ფენომენი აღნიშნავს იმ ვითარებას, როცა ტექნიკური ცვალიზაციის პირობებში ადამიანი ემონება მანქანას, ისე ექცევა, როგორც მანქანის ფუნქციონირებისათვის არის ზელსაურელი (ბუნებრივია, „მანქანა“ აქ ფართო აზრით არის გაგებული), ამის მაგივრად, რომ მანქანა მოიხმაროს თავისი ტექნიკურად ადამიანური მიზნებისა და ღირებულების ზოცი-შეხმისათვის.

სულ სხვა წარმომადგობისაა ტერმინი Verfremdung, რომელიც ჩვენს საშუაუნში შემოიტანა ბრეტანა თავისი ესთეტიკური პროგრამის ქვეკუთხედური პრინციპის აღხაზნავად. სხვათა შორის, თვით ტერმინი მოღაჯ მას არ მკუთვნის. მან აჩვენა, რომ თარგმან რუსი თეორეტიკოსის ე. შკლოვსკის მოგონილი სიტყვა „отчуждение“ სიტყვის ასეთი ფორმა ისტორიულად შემთხვევითობის შედეგია. ე. შკლოვსკი ამოღოდა სიტყვიდან „странный“, აქედან კი შექმნა „остранение“. კორექტორს ერთი „н“ ამოუშლია და, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დაჰყვირადა სწორედ ამონიშვრია კორექტორის შეცდო-

მის შედეგად მიღებული ფორმა „отчуждение“ ეს ტერმინი ნიშნავს ზელოვნებას, უპირატესად კი თეატრალური ზელოვნების მიერ გამოყენებულ ზერბს. მისი არსი ისაა, რომ ზელოვანი მოვლენებს ჩვეული ფორმით კი არ წარმოადგენს, ე. ი. კი არ მათვეს რაღვრ ცხოვრებას, არამედ, პირიქით, ცვალობს წარმოადგინოს იგი უჩვეულო, მოულოდენე, დაზახინებელი ფორმითაც კი. ამის მიზანია ზელოვნების აღქმიდან თანავადცდის მომენტი გამოირიცხოს და, ამხთანადე, ჩვეული კალაპოტიდან ამოადგოს, აფორაიკოს მათურბელი (ან მითხველი), დაორღვიოს მას აღქმის ინერცია, რათა მან ახალი თვლით შეხედოს მოვლენას, გადასინჯოს თავისი შეხედულებები. თუმცა, ბრეტანეული „გაუცხოების“ შესახებ ამ ბოლო ხანს იმდენი დაიწერა ჩვენში, რომ მასზე დიდი ხნით შეტერბა აქ არ ღირს: მთავარია განვსხვავოთ ის ზოგადფილოსოფიური „გაუცხოებისაგან“. ზემი აზრით, გაუცხოებობა თავიდან ასაკილებლად კარგი იქნებოდა, ქართულშიც ამ ორი ცნებასთვის სხვადასხვა ტერმინები შეგვეფარდებინა: ერთად, ბრეტანეული „Verfremdung“ და შკლოვსკისეული „отчуждение“ გვეთარგმნა „გაუცხოებება“ (ეს ზერბი ზომ საცნაურს ებრძვის ზელოვნებაში), ან თუნდაც „გაუჩვეულებება“, „გახსვანაირება“ (შეიძლება უკეთესი სიტყვაც მოიძებნოს), მაგრამ არა „გაუცხოება“. გაუცხოებობას რომ თავი გაუანგებო, ასეთი თარგმანი უფრო ზუსტი იქნებოდა.

ბოლო რა უზუსტობაშია და გაუცხოებობაშია შეიძლება მივიყვანოს ტერმინოლოგიურმა აღრევაჰ, ამის ნიშნში თუნდაც ე. ჯეილისის სტატეაა. იმაზე დაკვირვებით, თუ როგორ ხმარობს სტატეის ავტორი ამ ტერმინს, უცალობლად დავახვენი, რომ მას „ტექნიკური გაუცხოება“ და ბრეტანეული მხატვრული „გაუცხოება“ ერთი გაუცხოების ორი სახე ჰგონია. ამის გამო მას მოსდის ლოგიკური შეცდომა, რომელიც პარალოგიზმის (ტერმინის გაორება) სახელით არის ცნობილი. იგი შემდეგნაირად ავებს თავის მხეცლობას: ჭეი ერთი, ერთანხებდა „ერთიკაში გამოქმულ აზრს“ (ერთად, ლ. ბრეტანის აზრს, რომელსაც ის არ ახელებს), რომ ე. დონანაშვილის მოთხრობა ბრეტანეული „გაუცხოების ესთეტიკის“ კანონებით არის დაწერილი, მეორე მხრე, იგი ამოღის იმ თავისთავად სამართლიან დებულებიდან, რომ „მოდერნიზმის“ სახელით გაერთიანებული დასავლური ზელოვნებას სხვადასხვა მიმდინარეობას აერთიანებს ერთი რამ: ეველი ისინი ამა თუ იმ ზერბით (მათ შორის, შესაძლოა „გაუცხოების ესთეტიკის“ ზერბთავე) გამოხატავენ სამყაროში ადამიანის ტოტალური

გაუცხოების სიტუაციას", ე. ი. სიტუაციას, როცა ადამიანს დაკარგული აქვს თავისი ძირითადი ღირებულებები, ცხოვრების საზრისი, როცა საშუარო, საზოგადოება, მეორე ადამიანი მას წარმოუდგება როგორც უცხო, შტრალი ძალა, როგორც აბსურდი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, დამარჯობ, ხუნებრადია, ფილოსოფიურ „გაუცხოებაზე“. მაგრამ ე. ქველიძე მიანიც ასკვნის: რაბან გ. დონანაშვილი „გაუცხოების ესთეტიკის“ ბერბებს იყენებს, მაშინადაც, ის ცდილობს ადამიანის ცხოვრების აბსურდულობა დაჯავახოს. მეტი კრიტიკოსს თვითონვე უყვარს: რატომ აკეთებს მწერალი ამას, ის ხომ „ქერ არ დგას აბსურდული ხელოვნების (აქ აბსურდის ხელოვნება და აბსურდული ხელოვნება აღრულება) მიმდევრთა პოზიციურში“. მისთვის „ზოგადად საშუარო, თავისი უოფერების მისაღები და მისაწონია“ (გვ. 145). მაგრამ ის მაშინვე შეუდება, რაშია საქმე: ბრმა მიმბაძველობა ვეულოფრის თავი და თავი. ამ მიმბაძველობას, თურმე, მწერლობა და უნებურად, მის წარამოგში მისთვის უცხო მსოფლმხედველობრივი მოტივები შემოუტანია, ოღონდ, შეიძლება საქმე ამით არ დამთავრდეს, რაზეც მაინაშენებს სიტყვა „ქერ“: მწერალი ქერ არ დამდგარა აბსურდისებო პოზიციურზე, მაგრამ დროთა განმავლობაში შეიძლება ფორმას შეანარსიე მოხვედს და მწერალშია თვითონაც იწამოს ცხოვრების უსაზრისობა, აი, რა საშუალოა ბრმა მიმბაძველობა, „სხვათა დაღუპილი ღუგუის წაბარება“.

როცა ლ. ბრეგაძე ამბობს, გ. დონანაშვილი „გაუცხოების ესთეტიკას“ მიხედვით, ის კონკრეტულად ბრებებს თეორიას პრინციპებიდან ამოღის. ე. ქველიძისთვის კი „გაუცხოების ესთეტიკა“ ვაკლდებით უფრო ფართო ცნება და მასზე, ბრებების ვარდა, კეთება, კამოუს, მარცხის, ბეკეტის, იონესკოს, აღამოვის, სარტრის, ქობისა და სხვა ხელოვანთა ესთეტიკური კონცეფცია იგულისხმება. ამისთან, ის აცხადებს, რომ ეს კონცეფცია „ექსისტენციურ ფილოსოფიურ მოძღვრებაზე აღმოცენდა“ (გვ. 145). მაგრამ ზოგიერთი დასაბუთებულად მწერლის შემოქმედება დროში წინ უსწრებს ევზისტენციალისტური ფილოსოფიის წამოყალიბებას. რაც შეეხება „გაუცხოების ესთეტიკას“ თეორიკოსს — ბრებებს, მისი თეორიის პრინციპებს არა მარტო ევზისტენციალისტური ფილოსოფიის პარალელურად ელიბდებოდა, არამედ ბრებები შეიძლება ევზისტენციალიზმის შემამთავრის — მაიდეგერის ანტიპოდადაც წავთვალეთ. ხად მშრალი განსჯის კაცა — ბრებები და ხად ადამიანის მისტიკურ ხადრეთა მამიებელი მაიდეგერი! თუ ბრებების შეხედულებათა მსოფლმხედველობრივ ძირებს ჩვედებით, ისინი, უპირველეს უყოფიან, მარქსაშში უნდა ვეძიოთ. ბრებებს ხელოვნება სოციალისტური იდე-

აღებით ხელდგმულობს. მას არასოდეს უნდა ენება კობვის ქვეშ ადამიანურ სიტუაციას მარტივი, ძირითადი ღირებულებები: სიყვით, სამართლიანობა, სოლიდარობა, რომელთა შერყევანაზე სწორედ აგებული, ერთი მხრივ, ევზისტენციალიზმის ტრაგიკული პათოსი, მეორე მხრივ კი — აბსურდის ესთეტიკის ცინიზამდე მისული სკეფსაბი, კიდევ უფრო ძნელი იქნება საერთო ესთეტიკური პრინციპები მოვუნაბოთ, ვთქვათ, მარცხის სიცოცხლით სავსე პერსონაჟებსა და ბეკეტის უსაბო კაც-სქემებს. რა თქმა უნდა, ყველა ეს XX საუკუნის დასავლური კულტურის ფენომენებია და მათ რაღაც საერთომინიშნულვანაში შეიძლება ვუპოვოთ—მაგრამ ამას მეტად ღრმა ანალიზი სჭარდება და არა ყველა სკოლისა და ტენდენციის ერთმანეთში აღრვა და ერთმანეთზე დაყვანა.

მეორე ტერმინი, რომელსაც ე. ქველიძე ხმარობს, არის „აბსურდი“. რეალურში იცა ხან „აბსურდის ხელოვნებას“ უპირისპირებს, ხან „გაუცხოების ესთეტიკას“. მაგრამ ზვედ ზვედ ვსა ვავუეთ და ვყოლოთ გავარკოთ, რა კონკრეტულია საზრისის მის. დევს ამ ტერმინს ფილოსოფიასა და ხელოვნების ისტორიაში.

XX საუკუნის დასავლურ კულტურაში ტერმინი „აბსურდი“ ორ მნიშვნელოვან მოვლენას მოგვაგონებს: კამოუს „აბსურდის ფილოსოფიის“ და ბეკეტის, იონესკოს და სხვათა „აბსურდის ესთეტიკის“. სწორი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ ორ მოვლენას საერთო არაფერა აქვს, ისინი ერთსა და იმავე ნიდადაზე აღმოცენდნენ. ეს ნიდადაია თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ვერპოული კულტურის ტრადიციულ ღირებულებათა მსხვერვა, რომელიც „ოფიციალურად“ ნიციუს მიერ „ღმერთის სიყვადლის“ გამოცხადებით დაიწყო. ეს ის ღირებულებებია, რომლებიც საზრისის აძლევენ ადამიანის სამყაროში არსებობას. უღირებულებოდ უოცნა უსაზრისოდ უოცნა, სიცოცხლის საზრისის დაკარგვა, უსაზრისობის სხვა სამელი კი აბსურდია. მაგრამ აბსურდის ცნების რეალიზაცია სხვადასხვა საზოგადოებრივ სიტუაში სხვადასხვაგვარაა. კამოუს ფილოსოფიისა და მასზე დაფუძნებული ხელოვნების კოლიზია საზრისდაკარგული სამყაროს წინაშე მდგომი ადამიანის მდგომარეობაა. სწორედ ამ მდგომარეობას აქვია „აბსურდი“. რაკ ღმერთი არ არსებობს, არაფერს აქვს საზრისი. ხოლო თუ არაფერსა აქვს საზრისი, ღირს კი ცხოვრება? კამოუს ადამიანი არ ეტემა თავის ხედისწერას, ეტრძება თავისი მდგომარეობის აბსურდულობას, თუმცე წინასწარი არის ვანწირული დასამარცხებლად. მისი ბრძოლა აბსურდთან სულაც არ არის აბსურდული. იცა გამოხატულია სიზუდის მითის ცნობილ კამოუსზედ ინტერპრეტაციისა. რომელიც ანტიკური ტრადიციის სიმაღლებზე ადის. ანტი-

ერთი ტრადიციის კოლიზიაც ხომ გვიჩანს ბუდისტურაზთან ბრძოლა: გვიჩინი მარცხდება, მაგრამ სწორედ ამ დამარცხებითაა ის გვიჩინი.

არსებითად სხვაგვარადია საქმე ანსურდის თეატრში. ბეკეტმა, ონესკომ და მათმა მიმდევრებმა საბოლოოდ გადააღიარეს „კომენტატორული ილუზია“ ადამიანის ანადგობნული. „დეთონერაცია“ სულის შესახებ, რომელსაც უნარი აქვს შეებრძოლოს სამყაროსებულ ბედისწერას. „ანსურდისტებისათვის“ უცხოა სამყაროს ანსურდულუბნასთან ადამიანის შეებრძოლების თემა. ადამიანი ისევე ანსურდულია კმნადება, როგორც სამყარო მის ვარსებში. შესახაზისად, ბუდისტებშიც საქმე ამ ანსურდულუბნას ვაძრისახება. ოღონდ, თუ კამიუს ადამიანს (სიზიფე) ნათლად და სრულად აქვს გაცნობიერებული ანსურდის მდგომარება, რომელშიც ის აღმოჩნდა, და მოქმედებს ამ გაცნობიერებიდან ამოსვლით, ანსურდის თეატრის პერსონაჟებს საერთოდ არაფერი არ ესმით ნათლად და არც იმჩნევენ, რომ მათი მოქმედება უსაზრისოა — ამიტომ ისინი ხასაციაღონი არიან. კამიუს შემოქმედება ამ ანსურდული კატეგორიის ექვემდებარება, ანსურდის თეატრისა კი — კომპლექსისა. კამიუს საბერძნე ტრადიციული, ანსურდის თეატრისა — გროტესკული. კამიუს თანაფგრძნობს თავის გვირბს, პერსონაჟი alter ego-ა ავტორისა. ანსურდის თეატრი კი თვითონ დაბოთრატორიულ ექსპერიმენტს ატარებს, ხადაც ცდის პირი ადამიანი, ზოლო ბუნების-მეტყველის ცუდი გონებით შეიარაღებული ავტორი და მყოფრებელი თავის ადვანტიზმს მის უსუსურ მდებლობას რაღაც მოჩვენებითი საზრისი მანაც შესძინოს თავის ურვლად უსაზრისო მოქმედებას.

